

wignis el versia moamzada: DiaDma

DaTuCHam.

diadi datuchas momzadebuli el. wignebis sanaxavad ewviet jgups:



უნიკალური ეგზეგლარი

რომანი

ინგლისურიდან თარგმნა
სალომე ბენიძემ



გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

პავიჩი ქართულად

საგამომცემლო პროექტის ავტორები
ზვიად კვარაცხელია
ბვანცა ჯოგავა

მილორად პავიჩი
უნიკალური ეგზეგვლარი

Milorad Pavić
UNIKAT + PLAVA SVESKA

რედაქტორი თამარ ლონდარიძე
დამკაბადონებელი ლიკა სხირტლაძე
გარეკანის დიზაინერი თეონა ჭანიშვილი



ნიგნი გამოიცა სერბეთის რესპუბლიკის კულტურისა და
ინფორმაციის სამინისტროს მხარდაჭერით

Book was published with support of the Ministry of Culture and
Information of the Republic of Serbia

ISBN 978-9941-458-55-2

Original title: Unikat + Plava sveska

© 2011 Jasmina Mihajlović; www.khazars.com

By arrangements with Tempi Irregolari di Pesarino Astrid

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2015

როგორ წავიკითხოთ ეს წიგნი

წიგნის ავტორი უძველესი დროიდან შემონახულ ოქროს წესს მიჰყვა: დასასრული წიგნის გვირგვინი და მთავარი სამკაულია. ეს რომანი სხვა წიგნებს არ ჰგავს. თითოეული მკითხველისთვის ის სხვადასხვაგვარად მთავრდება. ყოველ თქვენგანს შეუძლია სასურველი დაბოლოება აღმოაჩინოს. ამ წიგნს ასე დასასრული აქვს და ის ღარიბი კაცის ას ოქროს ჰგავს, რომელიც მას, ხალხური ზღაპრის მიხედვით, ჯადოსნური ფრინველის საფასურად გადაუხადეს. თქვენ შეგიძლიათ, თავად აირჩიოთ და სხვადასხვა თავისი წილი დაუტოვოთ.

იყავით ბედნიერი საკუთარი დასასრულით, სხვა დასასრული თქვენ არ გჭირდებათ.



ნაწილი პირველი

**ორმოცდაათწლოვანი
ღიმილი**

1.

KENZO

ალექსანდრე ანდროგენია. ზოგი ალექსს ეძახის, ზოგი კი სანდრას. ამჟამად ალექს კლოზევიჩი (გნებავთ, სანდრა კლოზევიჩი) პაპ „მესამე კატაში“ ზის და მშვენიერ შავკანიან მიმტანს რძიან ყავას და გამომცხვარ ხვეულას უკვეთავს. მას დაბალი, შავი მოკასინები შიშველ ფეხებზე აცვია, მიმზიდველი უღვაში კი ზედა ტუჩს კი არა, პირდაპირ ღიმილს უმშვენებს.

– დღეს რას ინებებთ? – კითხულობს მიმტანი. მის ღიმილს უღვაში არ ჩრდილავს. მისი ღიმილი პოეზიაა.

– ავგუსტა, ავგუსტა... შემოვედი თუ არა, მაშინვე შევნიშნე, რომ დღეს სხვანაირი ხარ. მოდი, შემოგხედო... მაჯებზე და კიდევ სადღაც Amsler დაგინვეთებია. მშვენიერია! Jean Luc Amsler!

ალექსს გამოცნობანას თამაშს ორი კარგად გამოწყობილი, ახალგაზრდა კაცის გამოჩენა აწყვეტინებს. მათ ხუთასდოლარიანი კოსტუმები აცვიათ, თუმცა ისე გამოიყურებიან, თითქოს ტანსაცმელში ათასები ჰქონდეთ დახარჯული. სანამ ისინი სარკეში აირეკლებიან, ალექსის მახვილი ყნოსვა ორივეს სურნელს არჩევს. ერთ-ერთს სუ-

მოისტის ვარცხნილობა აქვს, რომელიც მისივე ფეხსაც-
მელივით ძვირი ღირს. Kenzo ასხია. მეორე შავკანიანია.
მისი თითო გაღივება მინიმუმ ოცდაათ დოლარად ფასობს.
პერანგის ნაცვლად ტანს ოქროს ჯაჭვი უფარავს. Calvin
Klein-ის სურნელს აფრქვევს.

ალექსი მოულოდნელად ეძახის ოფიციალტს: „კი-
დეე ერთი ხვეულა, თუ შეიძლება!“ და გარბის. იგი უჩი-
ნარდება კარს უკან, რომელსაც „ტუალეტი“ აწერია. შე-
მოსულები ერთმანეთს უყურებენ, შემდეგ სხდებიან და
საპირფარეშოს შესასვლელს დაკვირვებულ მზერას არ
აცილებენ. ამ დროს, კარს უკან, ალექსი სწრაფად იხ-
დის ლურჯ მაისურს, იცვამს ქალის წითელ პერანგს,
რომელსაც შიგნიდან ხელოვნური მკერდი აქვს მიმაგ-
რებული, ჩანთიდან შავ პარიკს იღებს და იხურავს, ჩან-
თას შიდა მხრიდან აბრუნებს და პრიალა, მოდურ ხელ-
ჩანთად აქცევს, რომელშიც მოკასინებს მალავს. შიშველი
ფეხის ფრჩხილებზე მკვეთრი ფერის ლაქი უპრიალებს.
მიმაგრებულ უღვაშს იშორებს, წარბებიდან ხელოვ-
ნურ სიმუქეს იწმენდს, ტუჩებს წითლად იფერავს და
საპირფარეშოდან ჩქარი ნაბიჯით გამოდის. ის ბარის
მიმართულებით ფულს ისვრის, ღრმა, ქალური ხმით იძა-
ხის: „ავგუსტა, ძვირფასო, ხურდა შენი იყოს!“ და ტაქსის
გასაჩერებლად განვდილი ხელით იქაურობას სასწრაფოდ
ტოვებს.

ორი ახალგაზრდა კაცი თვალს ადევნებს მთელ ამ
არეულობას. ავგუსტას სიცილი ამჯერადაც ლექსის სტრი-
ქონებივით იღვრება ჰაერში. სტუმრები გონს მოდიან,
ელვისებურად ტოვებენ პაბს და სანდრად გადაქცეულ
ალექსს მისდევენ. არც ისე ხანგრძლივი დევნის შემდეგ
შავკანიანი მას ეწევა, იჭერს, პარიკს ხდის და ეუბნება:

– არ გაინძრე! ნუ გაართულებ, თორემ რამდენიმე
გალანუნებას მიიღებ, რამდენიმე ყვითელ და შავ გა-

ლანუნებას. გაიგე? ახლა მომისმინე! ვილაცას შენი ნახვა უნდა. ვის და რატომ – თვითონაც კარგად იცი. აჯობებს, ხმა არ ამოიღო და წამოგვეყვე.

მათ ალექსი მეორადი წიგნების მალაზიაში შეჰყავთ. უკანა ოთახში, რომელიც ჰავანური სიგარების სუნითაა გაჟღენთილი, უზარმაზარი ტანის ჯენტლმენი ზის და სიგარებისთვის ბოლოების ნაჭრით ერთობა. ის მკრთალი სიბნელითაა გარშემორტყმული, რომელსაც მხოლოდ თაროებზე განლაგებული წიგნების მოოქრული წარწერები ანათებს. მას ყველა „სერ უინსტონს“ ეძახის. სერ უინსტონი განსაკუთრებით იმითაა ცნობილი, რომ მან ყოველთვის წინასწარ იცის, ვის როდის მოკლავენ.

– რაღაც კარგად ვერ გამოიყურებით, ბატონო კლოზევიჩ, – ამბობს ის მშვიდად, ბრჭყვიალა, გამჭვირვალე ბუდიდან, რომელსაც „Partagas“ აწერია, ფრჩხილებნამძვრალი ხელით სიგარას იღებს, მსხვილ ბოლოს აჭრის, ბუდეს მაგიდაზე დებს და სიგარას უკიდებს.

– აბა, საკუთარ თავს შეხედეთ, – განაგრძობს ის და ხელს ალექსისკენ იქნევს, რომელიც იქვე დგას, უპარიკოდ, თმაგაჩეჩილი, ჭუჭყიანი, ოფლიანი, შიშველი ფეხებით და პომადა და პუდრ გადაგლესილი სახით.

– ჯანდაბას თქვენი თავი. უზარმაზარი ვალი გაქვთ ჩემი, დიდზე დიდი ვალი გაქვთ და უკვე ყველა ვადა დაარღვიეთ. ზუსტად რას საქმიანობთ?

– ვაჭარი ვარ, – ფრთხილად პასუხობს ალექსი, თან ჩანთიდან ამოღებულ მოკასინებში ფეხების ჩაკვებებას ცდილობს და ამატებს, – თქვენი სარკვეც გიჩვენებთ, რასაც ვაკეთებ.

ალექსი ნაბიჯს დგამს და წიგნების კარადაზე მიმაგრებულ სარკესთან დგება.

ყველა, ვინც ოთახშია, რიგში ჩამწკრივებულივით ერთ მხარეს ტრიალდება. ბროლის სარკეში, არეულ-დარეული

ალექსის ნაცვლად, მშვენიერი, დახვეწილი, თეთრ კაბაში გამონყობილი ქალი მოჩანს. ისეთი ქალია, თავისი გულის ცეცხლით ღუმელს რომ ააბრიალებს. კაბას უზარმაზარი, მარაოსავით გაშლილი შლეიფი აქვს. მასზე გაბნეულ ვარსკვლავებში ერთი სიტყვა იკითხება: „კიბო“.

ნამიერი გაკვირვებისა და დაეჭვების შემდეგ სიგარიანი ჯენტლმენი აზრებს თავს უყრის. ხმამაღლა გადახარხარებისგან თავს იკავებს, სანაცვლოდ მხოლოდ აცემინებს და ამბობს:

– ილუზია... გასაგებია. თქვენი საქმის დიდოსტატი ჩანხართ, მისტერ კლოზევიჩ, მაგრამ რაც შეეხება ვაჭრობას, ფაქტია, რასაც არ უნდა ყიდდეთ, კარგად არ გამოგდით. ასე ჩემს ვალს ვერასოდეს გადაიხდით. მოგვიწევს, სხვა პირობებზე შევთანხმდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი ცუდად დამთავრდება. თანახმა ხართ?

ალექსი თავს უქნევს. სიგარიანი ჯენტლმენი უჯრიდან ორ ფოტოს და გასალებს იღებს და ალექსს მაგიდის მეორე მხრიდან აწვდის. შემდეგ კი ამბობს:

– მოკლედ, გარიგებას გთავაზობთ. აი, ეს ორი ადამიანი, ფოტოებზე რომ ხედავ, სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის. ორივე უნდა მოგვაშორო. სამუდამოდ. აქ მათი სახელები და მისამართები წერია. ეს გასალები ერთ-ერთის პირადი ლიფტისაა, რომლითაც სამუშაო კაბინეტამდე ადის. მიიხვდით? იმედია, ერთმანეთს გავუგეთ. დამიჯერეთ, თქვენთვისვე აჯობებს, ამ ჯენტლმენებზე იზრუნოთ, ვიდრე ჩვენ ვიზრუნოთ თქვენზე, მისტერ კლოზევიჩ. ახლა კი, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მინდა, რაღაც გაჩვენოთ.

ამ სიტყვებით ის შავკანიანისკენ ტრიალდება და კითხვას სვამს:

– რომელი ხელით ისვრი, ასურ?

– მარჯვენით. მარცხენა ხელით დანას ვატრიალებ.

– შენ, იშიგუმი?

იშიგუმის სახეზე ღვთაებრივი, ორმოცდაათდოლარიანი ღიმილი ეფინება.

– მარჯვენა ხელით ვისვრი, ბოს. მარცხენას არ ვიყენებ. ორჯერ სროლა არ მჭირდება.

– დაჭიმე მარცხენა, ბიზნესს ვერ დავაზარალებთ.

იშიგუმი მარცხენა ხელს შლის და ჭიმავს, მისი ბოსი კი ელვის სისწრაფით იღებს სიგარების საჭრელს, ქვეშევრდომს ნეკს მოსახარში აჭრის და ჯერ კიდევ სისხლიან თითს ჰაერში აღმართავს.

იშიგუმი ჭრილობას იხვევს. „Kenzo“-ს სურნელს უფრო მძაფრად აფრქვევს, თითის დარჩენილ ნაწილს პირში იღებს და ოთახს სასწრაფოდ ტოვებს. ბოსი იშიგუმის თითს გამჭვირვალე ბუდეში ათავსებს, რომელსაც „Partagas“ აწერია, საიმედოდ ლუქავს და ალექსს გადასცემს.

– ეს შესახსენებლად გამოგადგებათ, მისტერ კლოზვიჩი. როგორც ხედავთ, აქ საკმარისი ადგილია საიმისოდ, რომ მისტერ იშიგუმიმ თქვენი ორი ნეკი, ან რაიმე მსგავსი მოათავსოს, თუკი ჩვენს შეთანხმებას დაარღვევთ. ახლა შეგიძლიათ, ნახვიდეთ. ვუბრძანებ, კარგი დღე გქონდეთ.

ალექსი ქურჩაში გადის, მზის შუქით დაბრმავებული, რამდენიმე ნაბიჯს დგამს, უხვევს, ტაქსიში ჯდება და გამჭვირვალე ბუდეს ხსნის, საიდანაც ზიზლით აცურებს იშიგუმის ნეკს და ფანჯრიდან ისვრის, თან ბუტბუტებს:

– ჩვეულებრივი რეზინის თითია. ამის დანახვაზე მე უნდა დავცემულიყავი, თითქოს ვერაფერი ვიყნოსე.

2.

OLD SPICE

ფოტოზე საშუალო ასაკის მამაკაცია გამოსახული. მის სახეს, რომელიც „Armani“-ს პერანგიდან იწყება, ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს ამბობს: „ადამიანებმა არ უნდა იფიქრონ. როგორც კი ფიქრს იწყებ, მაშინვე ხვდები, რომ გონებაჩლუნგი ხარ“. ფოტოს უკანა მხარეს წარწერას ამოიკითხავთ:

„ისაია კრუისი, ნაძლევეების მენეჯერი, ქალაქის იპოდრომი“.

ალექსი ფოტოს და პანანინა გასაღებს ჯიბეში იღებს, მრავალგზის ხსენებულ მოკასინებს იცვამს, ძლევამოსილ უღვაშს ღიმილთან იმაგრებს და გარემოს დასაზვერად იპოდრომისკენ მიემართება. მან იცის, რომ სიგარიანს არ უხუმრია. რაიმე უნდა მოიფიქროს. დროის მოგება მაინც უნდა შეძლოს.

მთავარი შენობა ოთხსართულიანია. მეოთხე სართული მთლიანად მენეჯერს ეკუთვნის. ლიფტის სამი ლილაკი შეზღუდვების გარეშე გამოიყენება, მეოთხე კი ბრძანებას გასაღების გამოყენების გარეშე არ ასრულებს. ალექსი გასაღებს ციფრი 4-ის გვერდით დამონტაჟებულ საკეტში

ათავსებს. გასაღები საკეტს იდეალურად ერგება, მაგრამ ალექსი მის გადატრიალებას არ ჩქარობს. ხელის ერთი მარტივი მოძრაობა და პირდაპირ ფოტოდან მომზირალი კაცის კაბინეტში აღმოჩნდება, ჯერ კი ამის დრო არ დამდგარა. ის გასაღებს ჯიბეში იღებს და ლიფტიდან გამოდის.

იპოდრომზე არაფერი ხდება. რამდენიმე ცხენი ჩორთით ნავარდობს. თავლა ულაყების უხეში ოხშივრითა და ფაშატების მწარე ოფლის სუნითაა გაჟღენთილი. ალექსი გარშემო იყურება, ძებნას აგრძელებს და იმედი აქვს, რომ მისტერ კრუისს სადმე გადააწყდება. ძაღლების კვალს დალანდავს და ადამიანთა ჯგუფს უახლოვდება. შეკრებილები ელექტროკურდელს აღტაცებით გადევნებული მწევრების რბოლას უყურებენ.

ალექსი მწკრივებს შორის იკვლევს გზას და სვლას მწვანე ბალახზე განაგრძობს. ქოლგის ქვეშ უზარმაზარ, სამეფო ბორზოის ლანდავს. სრულიად თეთრი მწევარი მაგიდასთან დგას. ამავე მაგიდასთან, ბამბუკის სავარძელში, ოპერის ცნობილი მომღერალი, მათიას დისტელი ნებივრობს. დისტელის ოქროსფერი ფაფარი მზეზე შარავანდედით ელვარებს და ახლა ის კიდევ უფრო დიადი და უძლეველი ჩანს, ვიდრე სცენაზე. მის წინ, მაგიდაზე, მოოქრული კვერცხი დევს თამბაქოსათვის. მომღერლის გვერდით მჯდომ შუახნის ქალბატონს ახლახან დაუმთავრებია ნამცხვრის ჭამა. ის მწევარს თავზე ეფერება. მწევარი გატრუნულია. შუახნის ქალბატონი სარკეს იშველიებს და პომადას იახლებს. ახლა მისი ტუჩები მარწყვს ჰგავს.

სწორედ ამ დროს ალექს კლოზევიჩს ბურნუთისა და რალაც გაურკვეველთან შეზავებული კოკაინის ყოვლისნამლეკი სუნი სცემს, რასაც ცოტა ხანში მოჰყვება Bvlgari-ის სუნამოთი დამძიმებული მწევარის ბენვის სურნელი და

შუახნის ქალის სახელი, რომელსაც სიმპათიური მამაკაცი ატანს ჰაერის ტალღებს:

- ლემპიცკა! ფეხზე ჩაიცივი!

ალექსი ასკვნის, რომ დისტელის ხმა, რომელიც ახლა ჩახრენნილია, ოპერაში სხვანაირად უღერს და ამის გაფიქრებისთანავე, ქარს მასთან მრბოლელი მწვერებისა და დაუჯერებლად ძველმოდური, პარსვის შემდგომი ლოსიონის, „ძველი სანელებლის“ სურნელი მოაქვს. ალექსი ტრიალდება და ჰაერშივე იჭერს ფოტოდან დამახსოვრებულ მზერას. ისაია კრუისი გაცილებით დაბალია, ვიდრე მას წარმოედგინა. ისაიას პერანგი ძვირადღირებულია, თუმცა პატრონს ტანზე მაინც მოპარულივით ადგას.

ალექსი ხვდება, რომ მთელი დღის მცდელობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. წასასვლელად გამზადებული, კიდევ ერთხელ იხედება იქით, სადაც მათიასი, ლემპიცკა და რუსული მწევარი სხედან. ძალღი შამპანურის ბოთლის სიგრძის დრუნჩს პატრონის ფეხებს შორის ითბობს. ლემპიცკა ფეხსაცმელს ისევ იხდის და მაგიდის ქვეშ ერთ ტერფს მეორით იზელს. რბოლას არ უყურებს. ახლა ის დროსავით ბრმაა.

3.

POISON

ამ დილით ალექს კლოზევიჩს კიდევ ერთი ბრძოლა აქვს გადასატანი. ის წვერს იპარსავს. სარკიდან მაცქერალი საკუთარი ანარეკლი, იგივე სანდრა, საქმეს ურთულებს. როგორც ყველა ანარეკლს, მასაც ევალება, მოძრაობები აბსოლუტური სიზუსტით გაიმეოროს, მაგრამ როგორც კი ალექსი საპარსს აიღებს ხელში, სანდრა მაშინვე თავისი ჯადოსნური, მუქი ლურჯი თმის ვარცხნას იწყებს. როცა ალექსი სახეს იქაფავს, სანდრა პუდრით იფარავს ლოყებს. გამოდის, რომ ალექსი სარკეში ვერაფერს ხედავს და პარსვისას მხოლოდ ინტუიციას მიჰყვება. ბოლოს სანდრა ამბობს:

- ე. ი. ყველაფერი გადანყვიტე?
- შენც იცი, რომ სხვა გზა არ მაქვს. ჩვენი პროექტი ძალიან ძვირი ჯდება, - მოკლედ უჭრის ალექსი.
- ეს არ გამართლებს. მე ვერაფრით დაგეხმარები. ბოლოს და ბოლოს, ვალის აღება შენი იდეა იყო და არა ჩემი.
- სასაცილო ხარ და სისულელეს ამბობ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მე და შენ სინამდვილეში ერთი ვართ.
- სწორედ ამიტომ შენ ყველაზე კარგად იცი, რა შეუძლია ჩემს წყევლას.

- ვერაფერს დამაკლებ. თავი იმიტომ გადავიპარსე, რომ შენი ყველა ნყველა ავისხლიტო.

სახლიდან გასვლამდე ალექსი ყურისძირებსა და მაჯებზე პარიზული „Bougeois“-ს Envergnure-ს იპკურებს, სანდრა კი, რომელიც მის მოძრაობებს იმეორებს, იგივე ადგილებზე Antracite-ს ისხამს.

ალექსი უღვაშს იმაგრებს და ქუჩაში გადის. ფოტოზე, რომელიც ჯიბეში უდევს, აყვავების ასაკში მყოფი ქალი გამოსახული. ქალის მომნუსხველი ღიმილი ჯერ ლოყებზე ღრმავდება პანანინა ორმოებად, მერე კი საყურეებს არხევს. ქალს ლივია ჰეხტი ქვია. ის „Plusquam City“ ბანკის მეთვრამეტე სართულზე მუშაობს. ლივია ჰეხტი ამ დანესებულების ხელმძღვანელია.

მერსედესი შენობის შესასვლელთან ჩერდება და სანამ ქალი საბანკო საქმის ტაძარში შეაბიჯებს, ალექსი რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალის დაფიქსირებას ასწრებს: ქალბატონი ლივიას ღიმილი საკუთარ დაბოლოებებამდე არ გრძელდება და სინამდვილეში ისევე უბადრუკად გამოიყურება, როგორც ანკესზე წამოგებული თევზი გამოშიგვნის შემდეგ. ქალბატონი ჰეხტის იისფერი თვალები უსიტყვოდ ბრძანებს: „ჩემს მზერას მიჰყევი!“ თვალები მის გერმანულ სახეს ფრანგულად თარგმნის. სუნამო Poison-თან ერთად, მის კანს სხვა სურნელის კვალიც აჩნია, სურნელის, რომელიც Poison-ს ხელს უშლის, თავი სრულად ამხილოს. ალექსი იძულებულია, გაიქცეს და ქალბატონ ჰეხტის დატოვებულ არომატს კვალში ჩაუდგეს ფოიეში, რომელსაც უზარმაზარი, ამოყირავებული გემის ფორმა აქვს. და უცებ ის ხვდება, რაშია საქმე. მან უკვე იცის. ლივიას ქალურ სურნელს მამაკაცის სუნი ერწყმის. უფრო ბანალური სუნი - „Dolce & Gabbana“.

მამ ასე, Poison-ის გარდა, დამატებით, ქალბატონი ჰეხტი მამაკაცურ სუნამოს ისხამს, Dolce & Gabbana-ს. ახლა ალექსმა ამ მეორე სურნელის პატრონი უნდა იპოვოს.

ალექს კლოზევიჩი მთელ დღეს „Plusquam City“-ში ატარებს და ეძებს, ეძებს ფოიეში, ეძებს სართულებზე. ერთ-ერთ სალაროსთან, რიგში, ალექსი „Dolce & Gabbana“-ს სუნს გრძნობს, თუმცა ის მოხუც ქალბატონს ასდის, რომელმაც დილით, სრულიად შემთხვევით, საკუთარის ნაცვლად ქმრის სუნამოს დაავლო ხელი. „Dolce & Gabbana“ ალექს კლოზევიჩს მეორედ ლიფტში ეჩეხება. ის ამჯერად ასაკოვანი ბატონისგან იღვრება, რომელიც ყოველ ამოსუნთქვაზე ციკანივით კიკინებს. ბოლოს ალექსი ანაბრების განყოფილებაშიც შერბის. თანამშრომელ ქალთან საუბრისას, მეზობელ ოთახში სიმპათიურ, მწვანეთვალემა მამაკაცს ხედავს, განსაკუთრებით დაცული ანაბრების საგანგებო დეპარტამენტის უფროსს, რომელსაც მომაკვდინებელი მზერა აქვს. ალექსს მასთან მისვლის არანორმალური სურვილი კლავს, მაგრამ თავს სასწრაფოდ თოკავს, როცა იყნოსავს, რომ სიმპათიური მამაკაცი, როგორც შესასვლელში, კედელზე განთავსებული დაფა იუნყება, მორის ერლანგენი, Dolce & Gabbana-ს სურნელს აფრქევს. მინის კარიდან კარგად ჩანს, რომ მორის ერლანგენის კაბინეტი, მასთან ერთად, უჭირავს მის თანამემნეს, ზეთისბილისფერ ქალს ეგვიპტური ფორმის თავით, რომელსაც ეტყობა, რომ კისერი ღამლამობით ბალიშის ნაცვლად მეტალის ნახევარმთვარეზე უსვენია.

სწორედ ამ დროს ტელეფონი რეკავს და ასისტენტი ბატონ ერლანგენს ატყობინებს, რომ მალლა, ქალბატონ ჰეხტთანაა გამოძახებული, კონსულტაციის გასაველელად.

მწვანეთვალემა ჯენტლმენი ოთახიდან გამოდის და ალექსს ნაჩქარევად უვლის გვერდს. ერლანგენი სიმპა-

თიურია, მამაკაცის სხეულზე ქალის მარმარილოს ქანდაკების თავი ადგას. დაფაზე ნანერვილ სახელიანი კაცის კანიდან Dolce & Gabbana ისეთ ლეთაებრივ არომატს ტოვებს, რომ ალექსი ნაქცევის პირას მიდის. თუმცა სხვა სუნი მაინც სცემს. ბატონი ერლანგენის მამაკაცურ სუნამოს ქალური სუნიც დაჰყვება. მისდა გასაოცრად, ალექსი ხვდება, რომ ეს არაა Poison, რომელსაც ქალბატონი ჰეხტი იყენებს, ის ქალი, ბატონი ერლანგენი თავის კაბინეტში „კონსულტაციისთვის“ რომ გამოიძახა და თავად, გარდა საკუთარისა, სწორედ მორისის სურნელს ატარებს. განსაკუთრებით დაცული ანაბრების საგანგებო დეპარტამენტის უფროსის დამატებითი სუნი Dune გახლავთ, რომელიც სხვა ქალს ეკუთვნის.

ალექს კლოზევიჩი შენობას ხელების ფშვნეჭით ტოვებს. სუნების კომპოზიციამ მათემატიკურად ზუსტი შედეგი მისცა. ქალბატონი ჰეხტი არაჩვეულებრივი გემოვნებით ირჩევს საყვარლებს, ბატონ ერლანგენს კი, ერთის ნაცვლად, ორი სატრფო ჰყავს. ქალბატონი ჰეხტისა და მისი Poison-ის გარდა, მორისის ცხოვრებაში სხვა ქალიც არსებობს, ქალი, რომელიც Dune-ს ისხამს.

ბანკიდან გამოსული ალექსი ტრამვაის ღია სახურავზე ადის და ადგილს იკავებს. ხელი თვალთან მიაქვს და ნეკათითს აშტერდება. სრულიად კონცენტრირებული, ნარმოდგენს, როგორი შეიძლება იყოს თითის მოჭრით გამოწვეული ტკივილი. ნარმოდგენა იმდენად ცხადია, ტკივილი რეალური ხდება და ძლიერდება. ალექსი მის დამორჩილებას იწყებს. ცერა თითიდან ჯერ ყურზე გადააქვს, მერე მუხლზე, შემდეგ მარცხენა თვალზე, ბოლოს ენის წვერზე აგროვებს და სალექტი რეზინის მსგავსად აფურთხებს ქუჩაში.

შემდეგ კი დიდი მონდომებით იწყებს არიის ლილინს მუსორგსკის „ბორის გოდუნოვიდან“.

ნაწილი მეორე
**ოქროს საბურთეთი
კოკაინით**

1.

HUGO BOSS

მათიას დისტელი წარმოდგენის შემდეგ შინ ბრუნდება. ის დაღლილი და დადარდიანებულია საკუთარი ხმის გამო, რომელიც გაცვდა და დაიბზარა. შესაძლოა, ამას მსმენელი ვერც კი ხვდება, მაგრამ მაინც. ალებს თუ არა ბინის კარს, ძალლი, რომელიც მასთან ერთად შედის სახლში, ღრენას იწყებს. ჭექა-ქუხილის მსგავსი ხმა ცხოველის უზარმაზარი მკერდიდან ამოდის. შემდეგ კი ყველაფერი ისეთი სისწრაფით ხდება, თითქოს ახლად შექმნილ დედამინაზე სეზონები ცვლიდნენ ერთმანეთს.

სანამ მომღერალი გონს მოვა, ძალლი ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში მიმალულ უცნობს ესხმის თავს. შეშინებული უცხო გამნარებული ღრიალებს: „მიშველეთ! მიშველეთ!“ ის ნაზად ეხვევა დისტელის ყელს, თავად დისტელი კი მწევარს ზურგს აქცევს, რომ დაუპატიჟებელი სტუმარი თავდასხმისგან დაიცვას. მის მკლავებში მშვენიერი მძარცველი ნევს.

უცნობის ლურჯი თვალები მადლიერებითა და აღტაცებით შესცქერიან მამაკაცს. მისი ხელები დისტელის კისერს ისე შემოხვევია, საკოცნელად იწვევს. ზედა ბაგე

მხურვალედ უელავს, ქვედა მოყინვია, ენიდან სიტკბო ეღვრება. კოცნამ მომღერლის Hugo Boss-ის სურნელი ოპიუმით შეისრუტა. მომღერლებს შეუძლიათ, ამოიციონ სოპრანოს ენა და გამოარჩიონ ალტო ბარიტონისა და ბანის ენებისგან. დისტელი გრძნობს, რომ ამ ენებიან კოცნას ტენორის მამაკაცური ენის გემო აქვს.

ის კოცნას ნყვეტს და ხელის მკეეთრი მოძრაობით უცნობს პარიკს ხდის. სინათლეზე მამაკაცის გადახოტრილი თავი მოჩანს.

- ვინ ეშმაკი ხარ და რას აკეთებ ჩემს ბინაში?

- ვინ უნდა ვიყო? შენი თაყვანისმცემელი ვარ.

- ამის თქმა ყველას შეუძლია, მაგრამ ეს ძარცვას არ ამართლებს.

- მძარცველი არა ვარ. მომისმინე.

უცნობი ღიღინს იწყებს. ის აბსოლუტური სიზუსტით მღერის არიას ოპერიდან, რომელიც დისტელიმ ზამთარში უნდა შეასრულოს. მღერის მუსორგსკის. მღერის დისტელისეული მანერით. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მძარცველი ტენორია და არა ბანი, ამიტომ არია ცოტა სასაცილოდ ჟღერს. დისტელი გულგრილია სხვისი ნამღერის მიმართ და ბრაზობს. ის არიის დასრულებას არ ელოდება, მძარცველის ჩანთას სწვდება, ხსნის და ოქროს საბურნუთეს იღებს.

- ე. ი. არაფერი მოგიპარავს? აბა, ეს რა არის?

- მე ფეტიშისტი ვარ. მინდა, შენი ნივთი თილისმად მქონდეს. ეს პირველი იყო, რაც ხელში მომხვდა. თუ გინდა, რაიმე სხვა მომეცი. არ არის აუცილებელი, ძვირფასი იყოს.

მწევარი ღრენას განაგრძობს. დისტელი ტელეფონთან მიდის და ამბობს, რომ პოლიციაში აპირებს დარეკვას.

- გთხოვ, არ გინდა. სანაცვლოდ რაღაც უნდა შემოგთავაზო.

- მაინც რა?

- ტელეფონის ნომერი.

- ტელეფონის ნომერი რად მინდა?

- ამ ნომერს ოქროს ფასი აქვს და მის ცოდნას ყველა ისურვებდა. ეს იმ ადამიანის ნომერია, რომელიც მომავალს ყიდის. მას შეუძლია, შენი ხვალისდელი დღის რამდენიმე წუთი დღეს დაგანახოს. სცადე, რას კარგავ? პოლიციელების საქმეში ჩარევა რა ხეირს მოგიტანს? მათთვის მე მხოლოდ ლიფსიტა ვარ, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ არ დავინუნები.

ამ სიტყვებით უცნობი შავ პარიკს იხურავს, დისტელის ნომერს კარნახობს, რომ მან მობილურში ჩანერა მოასწროს და მიდის.

ტელეფონის ნომერია: 0389-430-23001

2.

ADDICT DIOR

ოპერის თეატრის ლოჟებს Addict Dior-ის ტალღად მოვარდნილი სურნელი ავსებს, რომელსაც თავად მადამ მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიციკა მოყვება. სახე „სმარტის“ პუდრით აქვს დაფარული, რაც მისი კანის ცხიმოვან და ნაკლებად ცხიმოვან ნაწილებს ერთგვაროვან შესახედაობას აძლევს. ტანთ „ფილოსოფის“ კაბა აცვია. სპექტაკლი ცოტა ხნის დაწყებულია. დღეს მუსორგსკის „ბორის გოდუნოვს“ წარმოადგენენ. მადამ ლემპიციკა თავის ადგილს იკავებს, პროგრამას უგულისყუროდ იღებს და კითხვას იწყებს:

„პუშკინის პიესა „ბორის გოდუნოვი“ 1825 წელს დაიწერა. მას საფუძვლად დაედო კარამზინის ისტორიული ცნობები და 1772 წელს ვენეციაში ანონიმურად გამოქვეყნებული „პეტრე დიდის ისტორია“. პიესის მთავარი გმირი რუსეთის მეფე, ბორის გოდუნოვია, რომელიც მე-17 საუკუნეში მართავდა ქვეყანას. მან ტახტი ახალგაზრდა უფლისწულის, დიმიტრის მკვლელობით ჩაიგდო ხელში. მეფობის სხვა პრეტენდენტმა, გრიშკა ოტრეფიევმა, გოდუნოვი დაამხო და თავი უფლის ნებით მკვლელებს გადარჩენილ პრინც დიმიტრიდ გამოაცხადა. ტახტზე ასვლის

შემდეგ თვითმარქვიამ ცოლად პოლონელი ჰერცოგის ასული, მარინა მნიჟეჩ სენდომირსკა შეირთო.

„ბორის გოდუნოვის“ განხილვისას, რუსეთის მეფე ნიკოლოზ I-მა, რომელმაც პუშკინის გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, პოეტის შემოქმედების მეთვალყურეობა თავის თავზე აიღო, ავტორს შესთავაზა, პიესა პროზაულ ნაწარმოებად გადაეკეთებინა. ამავდროულად, მან დასვა შეკითხვა, „ბორის გოდუნოვი“ ტრაგედია იყო თუ კომედია? პოეტმა მეფის წინადადება უარყო, რის შემდეგაც პიესა აკრძალეს.

ოპერა „ბორის გოდუნოვი“ რუსმა კომპოზიტორმა მოდესტ მუსორგსკიმ 1868 წელს, პუშკინის ნაწარმოების მიხედვით დაწერა“.

შუქი მკრთალდება და სცენაზე ეკლესიის სასაფლაო მოჩანს. ლემპიცკა ნერვიულად ელოდება თავისი საყვარლის, დისტელის სცენაზე გამოჩენას, რომელიც მთავარ როლს თამაშობს. ქალი სპექტაკლს ინტერესით ადევნებს თვალს. დისტელი მღერის და თან, უესტებით ჯადოქრობს, ცერა თითის ფრჩხილს კოცნის და მოოქრულ ღილს ხელს არ უშვებს. მღერის იტალიურად. მადამ ლემპიცკა მთელი კანით გრძნობს, როგორ შურთ თეატრში დისტელის, როგორ ეზიზღებათ იგი მეტოქეებს. მადამ ლემპიცკას შეუძლია, ამ სიძულვილთაგან თითოეულის ფერი დაასახელოს. მან კარგად იცის, რომ როგორც ფეხსაცმელში ვერ დააგუბებ წყალს, ისე სიძულვილს ვერ გაექცევი და ეს ცოდნა შიშით ავსებს.

სპექტაკლი მთავრდება. ფარდა ჯერ იხურება, მერე რამდენიმეჯერ იხსნება, მაყურებელი დისტელის უხმობს, ის კი არ ჩანს. მადამ ლემპიცკა მისი გასახდელისკენ მიდის. გასახდელი მდიდრულადაა მორთული. სარკის გვერდით დისტელის ქანდაკება დგას – მომღერალი ფალსტაფის

როლშია. მწევარი ტახტრევანს გაჰკვრია. ლურჯი სააბა-
ზანო ლუი XVI-ისეული სტილით არის გაკეთებული.
შესამჩნევად დალლილი დისტელი სავარძლის საზურგეზე
გადანოლილა, ხელში ჭიქა უჭირავს, რომელშიც „ჩივას
რეგალი“ ასხია, მაგიდაზე კი შუშხუნა „მოეტე“ უდევს.
სხეულს სანახევროდ ბორის გოდუნოვის სამეფო სამოსი
უფარავს, სანახევროდ კი საკუთარი ყოველდღიური ტან-
საცმელი.

მადამ ლემპიცკა ოთახში შერბის. მწევარი სასწრაფოდ
ფხიზლდება, ირმის ფეხებზე დგება და ქალს ტურებში კოც-
ნის. ძალღი მადამ ლემპიცკაზე მთელი თავით მაღალია.

- გეყოფა, თამაზარ, მორჩი! - ბრაზობს ქალი, ვისკის
ყლუპავს, დისტელის მუხლზე ჯდება და საყვარელს საკუ-
თარი ბაგეებიდან ვისკის ასმევს.

- არაჩვეულებრივი იყავი, - ჩურჩულებს მადამ ლემ-
პიცკა, - მაგრამ გთხოვ, სანახევროდ ჩაცმული ნუ ზიხარ.
ეშმაკი ადამიანს ყოველთვის გზაჯვარედინზე წამოენევა.

- რომელ გზაჯვარედინზე? - დაბნეულად ეკითხება
დისტელი.

- ნებისმიერ გზაჯვარედინზე: იქ, სადაც სიბნელე
სინათლეს ერწყმის, ღამე დღეს, ერთი ფეხი - მეორეს და
ადამიანი საკუთარ თავს... დალლილი ჩანხარ. ასეთი რთუ-
ლია სიმღერა?

- სიმღერის ბრალი არ არის. ეს როლი არ მომწონს.
გარდა ამისა, წუხელ ძალიან ცუდად მეძინა, რამდენიმე
დღის წინ კი ჩემი ბინა გაძარცვეს.

- მერე? შეატყობინე პოლიციას?

- არა.

- არა? რატომ?

- გარიგება დავდე.

- ღვთის გულისათვის, ქურდს როგორ გაურიგდი?

- ქურდი არ აღმოჩნდა. როგორც ჩანს, უბრალოდ უნდოდა, ჩემი ნივთი ჰქონოდა. სამაგიეროდ, ერთი ადამიანის ტელეფონის ნომერი მომცა, ადამიანის, რომელიც მომავალს ყიდის.

- შენ რა, აპირებ ვილაც შარლატანს დაურეკო?

- რატომ მეკითხები?

- იმიტომ, რომ გაცილებით უარესად გამოიყურები, ვიდრე ოდესმე. ასეთი არასოდეს მინახავხარ.

- სიზმრების ბრალია. პუშკინი დამესიზმრა, ორჯერ. მეორე სიზმარი პირველის გაგრძელება იყო.

- მეც დამესიზმრებოდა პუშკინი, ყოველდღე მუსორგსკიზე, ბორის გოდუნოვზე და პუშკინის ჯამბაზებზე რომ ვფიქრობდე. ეცადე, დაივიწყო და მოდუნდე. მოდი, მოგეფერო.

ლემპიცკა დისტელის ხელს იღებს და თითებს სათითაოდ ულოკავს, თითქოს მის ასოს ეალერსებოდეს. სანამ მეორე ხელზე გადავა, კითხვას სვამს:

- მაინც რა დაგესიზმრა? ამბობენ, როცა ვინმეს სიზმარს უყვები, მისი შხამი შენგან გადის და მასში იღვრება, ვინც გისმენს. ალაპარაკდი, გვიამბე შენი სიზმარი და შხამს მე და ძალღი გავინანილებთ.

- ოთახი დამესიზმრა. ფანჯარასთან მომცრო ტანის, მუქკანიანი, თმახუჭუჭა კაცი იდგა. თავიდანვე ვიცოდი, რომ პუშკინი იყო. ყველა ალექსანდრ სერგეევიჩს ეძახდა. ის ქარბუქს გასცქეროდა და რუსულად ფიქრობდა.

- მაგრამ შენ ხომ რუსული არ იცი.

- სიტყვაც კი არ ვიცი, მაგრამ სიზმარში ყველაფერი მესმოდა, რაც მის თავში ტრიალებდა. ის გართმულ სტრიქონებად ფიქრობდა, ფიქრობდა დემონებზე, ფიქრობდა, როგორ დაფრინავენ ისინი ფანტელეპივით...

მოულოდნელად მაღამ ლემპიცკა თხრობას აწყვეტინებს საყვარელს:

- ეგ სტრიქონები ზეპირად ვიცი:

ზეცა ნისლმა გადაფარა,
ფიფქებს ებრძვის ქარიშხალი,
ხან მხეცივით ყმუის, ხანაც
ნუხს ბავშვივით მოტირალი.

- საიდან იცი?

- ვიცი. ამ ლექსით დოსტოევსკის „ეშმაკნი“ იწყება.
შემდეგ რა მოხდა?

- თავიდან სიზმარი ბუნდოვანი იყო, თითქოს წყლის
მიღმა ვიხედებოდი. შემდეგ გამოსახულება თანდათან
დაინმინდა და გამკვეთრდა. ფანჯრის შიგნით პატარა
„ფორტოჩკა“ დავინახე. პუშკინმა „ფორტოჩკა“ გამოალო
და ფანტელები ოთახში შემოფრინდა.

- როგორ ახერხებს ადამიანი, დემონთაგან და ბოროტ
სულთაგან რომელიმე ოთახში შემოუშვას? - იკითხა
პუშკინმა ჩემს სიზმარში, - როგორ უნდა მივხვდეთ, თუ
ისინი ჩვენს გვერდით დასახლდნენ? ვინ არის დემონი
სინამდვილეში? დემონიც ადამიანივით იკვებება, მაგრამ
ვერაფერს ინელებს. ეს იმიტომ, რომ დემონი სამყაროს
ბრუნვაში არ მონაწილეობს. თუ ჭიქა წითელ „ტოკაის“ და-
ლევს, შარდის ნაცვლად, ისევ წითელ „ტოკაის“ გამოყოფს.

- არა! - ამბობს მადამ ლემპიცკა. მწევარი, რომელ-
საც ჰგონია, რომ ქალი მას მიმართავს, დივნიდან დგება
და ხალიჩაზე ინაცვლებს.

- ეს ყველაფერი სიზმარში შეიტყვე? - კითხულობს
მადამ ლემპიცკა.

- დიახ. სიზმარი აქ მთავრდება, ამბავი სხვა ლამით,
სხვა სიზმრით გრძელდება და უფრო შემადრწუნებელი
ხდება.

- რატომ? - უკვირს მადამ ლემპიცკას, - რა არის აქ
შემადრწუნებელი?

- ჩემს სიზმარში, პუშკინის გვერდით, ტახტზე, უზარმაზარი, თეთრი მწევარი წევს. მწევარს ოქროს თავი აქვს. ნაბიჯს რომ ვდგამ და ვუახლოვდები, შიში მიპყრობს, არ გავალვიძო, რადგან სიზმარშივე ვიცი, რომ თუ ძილისგან გამოფხიზლდება, ვინმეს დაგლეჯს. პუშკინი კი ისევე ფიქრობს, როგორ მოხიბლოს ეშმაკი. საშინელებაა!

- რატომ გაღელვებს პუშკინზე სიზმრები ასე ძალიან? ნუთუ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ადგილს ველარ პოულობ?

- პუშკინი ეშმაკთან შეხვედრას იმ კითხვის დასასმელად ცდილობს, რომელიც არც მე მასვენებს: როგორ და როდის დადგება ჩემი აღსასრული? სავარაუდოდ, დემონის პასუხი მეც შემეხება. სწორედ ამიტომ ვნახე ეს სიზმარი.

- მაგრამ, ძვირფასო, ეს ხომ მხოლოდ სტრიქონებია!

- რა სტრიქონები? - ხრინწიანი ხმით კითხულობს დისტელი.

- პუშკინს აქვს ლექსი, „მგზავრის ელეგია“, სადაც სვამს კითხვებს, როდის დამთავრდება მისი ცხოვრება და სად არის მისი სამარე. უმნიშვნელო ლექსია, ამიტომაც ვიცი. ვენაში რუსი ემიგრანტების შვილებთან ვმეგობრობდი - ერვინთან წელს ზემოთ უფრო ახლოს ვიყავი, დიტერთან კი წელს ქვემოთ. მათ ლექსი გერმანულად თარგმნეს და რუსი თეთრგვარდიელის ქალიშვილს, ლიზას, რომელსაც ხშირად აბუჩად ვიგდებდით, მავანი გერმანელი პროეტის ნაწარმოებად გააცნეს. ლიზას ვთხოვეთ, ლექსი რუსულად ეთარგმნა და დავპირდით, რომ დიტერი მის თარგმანს გაზეთში დაბეჭდავდა. მშვენივრად გავერთეთ. შენ კი, ძვირფასო, ყველაფერს მეტისმეტად სერიოზულად აღიქვამ.

- ასე იმიტომ გგონია, რომ ჯერ ყველაფერი არ იცი. არსებობს რაღაც, რაც კიდევ უფრო მაშინებს.

- მაინც რა?

- საშინელება ისაა, რომ ეს სიზმარი თავად ვიყიდე.
- საკუთარ სიზმრებს ყიდულობ? როგორ? ვერაფერი

გავიგე.

- ეს სიზმარი ახლა არ უნდა მენახა. სამ კვირაში უნდა დამსიზმრებოდა, მაგრამ გადავიხადე, რომ დროზე ადრე დამფრთხობოდა ძილი..

- რას ამბობ, ძვირფასო? აბა, შემომხედე! შენი თვალე-ბი ვისკით სავსე ჭიქასავითაა - ფსკერზე ყოველთვის აღ-მოაჩენ სიმართლის ნატამალს. მოდი, ვნახოთ... არ უარყო, რომ იმ კაცს, იმ შარლატანს, მომავალს რომ ყიდის და პარასკევს ორშაბათად ასაღებს, ხშირად სტუმრობ. ამას მალავ. აღიარე, რომ ნომერზე, რომელიც მძარცველმა მოგცა, უკვე დარეკე!

- კარგი, მერე რა მოხდა?

- თუ ნახვალ, მეც წამოგყვები. უნდა გავარკვიო, რა უნდა იმ კაცს შენგან, თუ ქალია?

- ვერ წაგიყვან. მარტო უნდა მივიდე. სწორედ ესაა ერთ-ერთი პირობა.

- ერთ-ერთი პირობა? ე. ი. სხვა პირობებიც არსებობს? რა ხდება? გაშანტაჟებს? ფულს გძალავს? არ მითხრა, რომ სიზმარი მართლაც მოგყიდა და შენ ისეთი სულელი აღმოჩნდი, რომ ფული გადაუხადე. ხვალ ერთად წავიდეთ, აუცილებლად უნდა ვნახო, ვინაა.

- ხვალ ერთად წავიდეთ, ოღონდ საავადმყოფოში. ექიმს უნდა გავესინჯო, მაინტერესებს, ყელის კიბო მაქვს თუ არა.

- კიბო? - კივის მადამ ლემპიკა და დისტელის შე-შინებული შესცქერის, თან ცდილობს, საზარელი სიმართ-ლის უკან დამალული საიდუმლო ამოიკითხოს. მან იცის, რომ საიდუმლო გაცილებით ძველია, ვიდრე სიმართლე. ასეა დასაბამიდან.

3.

MAGNUM

„ძვირფასო ლემპიკა,

ნუ გაგიკვირდება, რომ დარეკვის ნაცვლად, ელექტრონულ წერილს გწერ. ხმა აღარ მემორჩილება, შესაბამისად, მობილურსაც ველარ ვიყენებ. შემეძლო, მოკლე ტექსტური შეტყობინებაც გამომეგზავნა, მაგრამ მოგეხსენება, რომ წარმოდგენა არ მაქვს, ეს როგორ უნდა გავაკეთო. ამიტომაც მობილური სახლში დავტოვე. საავადმყოფოდან გწერ, წერილს შინიდან მოტანილ ლეპტოპზე ვკრეფ. აქ გარკვეული დროით მომიწევს დარჩენა. ნუხელ მოვედი და რომ გავიგე, დიდი ხანი ვერ დავბრუნდებოდი შინ, მთელი სეზონის სპექტაკლები გავაუქმე. თანაც, ბორის გოდუნოვის პარტია არც არასოდეს მომწონდა. კარგი დიაგნოზი არ მაქვს, მაგრამ მიხარია, რომ მყავს ადამიანი, რომელიც მდგომარეობას მიმსუბუქებს. ეს ჩემი „სიზმრების გამყიდველია“, როგორც შენ მას მოიხსენიებ. ვიცი, არ მოგწონს ჩვენი ურთიერთობა, მაგრამ მან მასწავლა, როგორ დავანანევრო ტკივილი, რომელიც დღითიდღე უფრო აუტანელი ხდება, როგორ დავაქუცმაცო იგი ყველის ნაჭერივით და ნამცეც-ნამცეც მოვინელო.

მან იცის, რომ ავადმყოფობასაც აქვს საკუთარი სული, რომელიც ჩვენში სახლდება და ჩვენს სულებს ებრძვის. თუ გინდა, ავადმყოფობის სული შეიცნო, ის აქვეა, შენს ორგანიზმში, ჩვენს თითოეულ უჯრედში. ოღონდ უნდა იცოდე – კიბოს სული დაუმარცხებელია და ხელშეუხებელი, ისევე, როგორც მარადისობა.

ძილში ისევ კომპარებს ვხედავ. ისევ მესიზმრება პუშკინი, რომელიც მე-19 საუკუნის სავარძელში ზის და თავისი დიდი ბაბუის მე-18 საუკუნის პორტრეტს შესცქერის. მის წინ სკივრი დგას, რომელიც ძველი მონეტებითა და აფრიკული ნემსებითაა სავსე. პუშკინი ჩაფიქრებულია, თუმცა ამჯერად მისი ფიქრები არც რითმებად მესმის და არც რუსულია. წარმოგიდგენია? ბოლო სიზმარში პუშკინი ფრანგულად ფიქრობდა. წარმოდგენა არ მქონდა, რომ ფრანგულად ლაპარაკი შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სიტყვის მნიშვნელობა ვიცოდი, მისი აზრების დინებას ვერ მივყევი.

– ჩემი დიდი ბაბუა ჰანიბალის აფრიკელი ჯადოქარი, – ფიქრობდა პუშკინი, – და გრაფ რაგუნისკის ბალკანი გრძნეული არ შეცდებოდნენ...

– უცებ მან ისე ხმამაღლა წამოიყვირა, ლამის გამომეღვიძა.

– არინა როდიონოვნა! დედი.

ოთახში მოხუცი ქალი შემოვიდა, რომელსაც პუშკინმა სამზარეულოდან ნაჭრის თოჯინის შემოტანა სთხოვა. ქალმა მას მიაწოდა ფაქიზად შეკერილი სამი თოჯინა, განიერი ქვედაბოლოებით, რომელთაც ჩაიდანს, ნამცხვრის კალათს და მაგრად მოხარშულ კვერცხებს ახურავენ სითბოს შესანარჩუნებლად.

ჩემი სიზმარი აქ წყდება, წყდება ყოველთვის სამოცდამეთერთმეტე წამზე, მაგრამ არ ვწუხვარ, რადგან

მირჩევნია, „მომავლის გამყიდველმა“ გამალვიძოს, ვიდრე ტკივილმა.

სწორედ ტკივილია მიზეზი, რის გამოც ამ წერილს ვწერ. შეიძლება, ავადმყოფობა მალე გაუსაძლისი გახდეს და უნდა დამეხმარო. წადი ჩემს ბინაში (როგორც მახსოვს, გაქვს გასაღები), ბარის უჯრაში მენამულისფერ შარფში გახვეული ნივთი მოძებნე და მომიტანე. იმედი დავიტოვოთ, რომ არ დამჭირდება, მაგრამ თუ ტკივილი ჭკუიდან შემშლის, მირჩევნია, ახლოს მქონდეს. ექიმს შევუთანხმდი, რომ ზეგ ერთი საათით საავადმყოფოდან გასვლის უფლებას მომცემს. დღის 5 საათისთვის შევხვდეთ კაფეში „თ ბედნიერების დასაწყისია“, სადაც, ჩვეულებრივ, ჩაის ვსვამდით ხოლმე. შენ მენამულისფერ შარფში გახვეულ ნივთს გადმომცემ, მე კი საუცხოო ახალ ამბავს გაგანდობ, რომლის შენთვის გაზიარებაც, უკვე რამდენიმე დღეა, ძალიან მინდა. ბოლოს და ბოლოს, მეც მაქვს კარგი სიახლე, თანაც, ჩემი ჯანმრთელობის შესახებ.

მიყვარხარ. გთხოვ, თამაზარს მიაკითხე. მუნჯ სელინასთანაა.

შენი დისტელი“



შეგრძნებით, რომ დროს შეუძლია, ერთ ადგილას გაიყინოს, მერე კი იმ მიმართულებით განაგრძოს დინება, რომლითაც მანამდე არასოდეს წასულა, მადამ მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიციკა დათქმულ დღეს დისტელის ბინაში მიდის, გზად „მუნჯ“ სელინას სტუმრობს, რომ თამაზარს აკოცოს, შემდეგ კი მომღერლის საძინებელში, სადაც ბევრი სასიამოვნო ნუთი გაუტარებია, ისე შედის, როგორც იღუმალ მღვიმეში. მაგიდაზე გადაშლილ ნიგნს

პოულობს, „Du bon usage de la lanter“, ჯდება მინის კასრზე, რომელიც ტაბურეტის მაგივრობას სწევს, ბარის უჯრაში კი პოულობს ნივთს, რომლის დანახვაც სუნთქვას უკრავს – მენამულისფერ შარფში ძვირადღირებული „კომბატ მაგნუმია“ გახვეული. შვიდივე ტყვია ადგილზეა.

მადამ ლემპიკვა მაღალყელიანი წინდების ქვეშ ყალყზე დამდგარ ბენვებს გრძნობს. უზარმაზარი შავი ქუდის ქვეშ თმა და შიში ველარ ეტევა. ის დაბურულ და ცარიელ კაფეში „თ ბედნიერების დასაწყისია“ შედის, კაპუჩინოს უკვეთავს და დროდადრო თავის „ჩოფარდის“ ფირმის საათს დასცქერის, მაგრამ ვერ ხვდება, რა დროა და უკვირს, რა ესაქმებათ ციფრებს ციფერბლატზე.

– ნეტავ რაში მჭირდება ეს ნივთი? – ფიქრობს მადამ ლემპიკვა და საათს ათვალეერებს. იმავე წამს იგი სკამის სახელურს ეხება და ხვდება, რომ სკამი ურთმელისგანაა დამზადებული. ხელს მაგიდაზე, ჭიქის გვერდით დებს და გრძნობს, რომ მაგიდა თეთრი ნეკერჩხლის ხისაა. მას ერთი შეხედვით შეუძლია, თქვას, რომ კედლები ნაძვითაა მოპირკეთებული. ნაძვის სუნსაც კი გრძნობს. მადამ ლემპიკვა თავისი უცნაური უნარის აღმოჩენით გაოცებას ვერ ასწრებს. კაფეში დისტელი შემოდის. ის ქალისკენ მიიჩქარის, ეხვევა მას და კოცნის ჯერ ერთ, შემდეგ კი მეორე საფეთქელზე, თან ხრინწიანი ხმით ჩურჩულებს:

– მოიტანე?

ქალი მას მენამულისფერ შარფში გახვეულ ნივთს გადასცემს. სხდებიან.

– დალევ რაიმეს? – ეკითხება მადამ ლემპიკვა საყვარელს. კაცი უარის ნიშნად თავს აქნევს. ის ფერმკრთალია, თითქოს წყვდიადი სამგზის შემორტყმია გარს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისეთი სიმპათიურია, როგორიც არასოდეს ყოფილა. მხოლოდ ყურები გახდომია გამჭვირვალე, მათ მიღმა კი ოქროსფერი თმა მოუჩანს.

- გეტყობა, რომ არ გიძინია. სიზმრები ისევ გტანჯავს? დისტელი თავს უქნევს.

- გთხოვ, „მაგნუმს“ ერიდე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შენი დიაგნოზი ძალიან ცუდია, გთხოვ, ფრთხილად იყავი.

მადამ ლემპიცკა ჩუმდება, რადგან დისტელი ტუჩებს სახესთან უახლოვებს და ჩურჩულებს:

- მნიშვნელოვანი სიახლე მაქვს შენთვის. სამი კვირის შემდეგ სანახავი სიზმარი ვიყიდე „მომავლის გამყიდველისგან“. ახლახან დამესიზმრა. ისევ შეეხვდი პუშკინს, რომელმაც დემონებისგან პასუხი მიიღო, როდის და როგორ მოკვდებოდა. შესაბამისად, პასუხი მეც გავიგე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყელი არ იქნება ჩემი სიკვდილის მიზეზი. დაავადებისგან, რომელიც მტანჯავს და რომლის გამოც საავადმყოფოს კედლებში ვარ გამოკეტილი, განვიკურნები. სიზმრის წინასწარმეტყველების მიხედვით, მუცლის გამო მოკვდები და არა ყელის. ახლა უკან უნდა დავბრუნდე. ზეგ საავადმყოფოში მოდი, ალბათ უკვე მეცოდინება, როდის გამომწერენ.

- საავადმყოფოში მე წაგიყვან, - ფრთხილად ეუბნება მადამ ლემპიცკა, მაგრამ ამაოდ. დისტელის ის დის სახლში მიჰყავს და გზას მარტო აგრძელებს.

ვარსკვლავები უკვე ცაზე კიაფობენ, როცა დისტელი მანქანით იპოდრომთან მიდის და ჩერდება. მანქანიდან გადმოსვლისას გრძნობს, რომ ჰაერი შემოდგომის სიბრძნითაა გაჯერებული, წამიერად ყოვნდება, განაცრისფრებულ ხეებს თვალს ავლებს და საგანგებო გასაღების გამოყენებით, ლიფტით ადის ნაძლევეების მენეჯერის, ისაია კრუისის კაბინეტში. პოულობს მისტერ კრუისს, რომელიც დიდი მონდომებით ამოწმებს მის ანგარიშებს, „მაგნუმიდან“ სამი გასროლით კეფას უხვრეტს - კლავს. შემდეგ იმავე გზით ბრუნდება უკან. ლიფტი ჩერდება,

დისტელი მეოთხე სართულის გასაღებს საკეტიდან აძრობს და იატაკზე აგდებს. ასეთ დროს იპოდრომის თანამშრომლები ადგილზე არ არიან, მაგრამ დისტელი გამოსვლისას შავთმიან ქალს ეჩეხება, რომელსაც ჯინსი და ნითელი ბლუზი აცვია. მამაკაცი აჩქარებით ტოვებს იქაურობას, ქალი კი გასაღებს იღებს და მეოთხე სართულზე ადის.

დისტელი საავადმყოფოში ბრუნდება, რევოლვერს, სამი დარჩენილი ტყვიით, სანოლის გვერდით, უჯრაში ინახავს და წვება. ის სიზმარს ელოდება, სიზმარს, რომელმაც მასში ტკივილი უნდა მოკლას და ემსგავსება ჭიქას, რომელშიც ცოტაოდენი ღვინო ჩარჩენილა, გამშრალა და ფერად კრისტალებად ქცეულა. რას ტოვებს ამქვეყნად? მხოლოდ ერთ უზადოდ ჩადენილ დანაშაულს და ერთ მედიდურ მწევარს, სხვას არაფერს.

რამდენიმე დღის შემდეგ, დილით, მაღამ ლემპიცკა საავადმყოფოში მიდის საყვარლის სანახავედ. ავადმყოფის მონახულების ნებას დიდი ყოყმანის შემდეგ რთავენ. ცოტა ხნით მარტო რჩებიან. დისტელი კარგად არ გამოიყურება და მაღამ ლემპიცკა განცვიფრებულია, რომ კაცი მზერას ისე იზოგავს, თითქოს ფული იყოს და მისი დახარჯვის ეშინოდეს.

უცებ საიდანლაც, მალლიდან, უზარმაზარი ქუდის გავლით, მის გონებას ფიქრი წვდება:

– მზერა მართლაც შეიძლება, დაიხარჯოს.

დისტელი უკანასკნელ ძალას იკრებს და ქალს მენამულისფერ შარფში გახვეულ „მაგნუმს“ აწვდის. მაღამ ლემპიცკა სასწრაფოდ, თითქმის სიხარულით ინახავს ნივთს ზურგჩანთაში, მაგრამ მალევე ხვდება, რომ ამ იარაღს არავითარი დანიშნულება აღარ აქვს დისტელის სიცოცხლისათვის, არც სიკვდილისათვის. შეშინებული

ქალი ექიმებს უხმობს. ისინი ამცნობენ, რომ მეტასტაზები დისტელის კუჭს მისწვდნენ.

დისტელი უკანასკნელად ახელს თვალებს და სიკვდილის წინ ამბობს:

– ისევ ვნახე სიზმარი. მომავალში ვიმოგზაურე. ვნახე, რა მოხდება ოთხი თვის შემდეგ, როცა მე უკვე აღარ ვიქნები. გაუსაძლისი იყო. მარადისობის 71 წამი... ჭეშმარიტება და სინათლე. მარტოობის დასასრულს სიკვდილი იწყება.

უკვე მკვდარი დისტელი ისე იშმუშნება, როგორც ჩანს, იმქვეყნად მისთვის მიუღებელი რაღაც დაინახა. წარბებს რამდენიმეჯერ ჭმუხნის და საავადმყოფოს საწოლში მხარს იცვლის, თითქოს გვერდით ვილაცას ადგილს უთავისუფლებს.

ნაწილი მეხუთე
მეშვიდე ტყვია

1.

MUST DE CARTIER POUR HOMME

მკვლელობათა დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელიც მადამ მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიცკას წინაშე დგას, ტანდაბალი კაცია. მაისურიდან Must de Cartier eau de toilette-ს სურნელს აფრქვევს. ერთი თვალი მეორეზე სწრაფი აქვს. მადამ ლემპიცკა მას ფარფლებიანი ქუდის ჩრდილიდან უთვალთვალებს და ასკვნის: ამ კაცის სხეულში წყალი არ მიედინება.

– ბატონო უფროსო ინსპექტორო, თქვენი ნახვა იმიტომ მოვისურვე, რომ ჩემი ძვირფასი ბატონი დისტელის სიკვდილის შესახებ, რომელიც ოპერის მომღერალი იყო და როგორც მოგეხსენებათ, ახლახან დავასაფლავეთ, ბევრი რამაა ბუნდოვანი.

– საინტერესოა, – უფროსი ინსპექტორის ჩლიფინი მისივე ფერადი წვერის მიღმა ისმის. ის ქალს სკამისკენ ანიშნებს. მადამ ლემპიცკა ერთბაშად იწყებს მოყოლას:

– ჩემთვის ცნობილია, რომ დისტელის სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე მისი ბინა გატეხეს. მან მითხრა, რომ ქურდთან გარიგება დადო, ერთობ უცნაური პირობებით და მისგან „მომავლის გამყიდველის“ ტელეფონის

ნომერი მიიღო. როგორც ვიცი, ამის შემდეგ „მომავლის გამყიდველს“ რეგულარულად ხვდებოდა. ამ ადამიანმა, რომელიც, დისტელის თქმით, ქალი არ იყო, მის სიზმრებზეც მოახდინა გავლენა. დისტელის სახლის გასაღები მაქვს, მის ძაღლსაც მე ვკვებავ, ამიტომ შევძელი, მისი მობილური მეპოვა და ის ნომერი მომეძებნა, რომელიც მძარცველმა ჩააწერინა: 0389-430-23001. ნება მიბოძეთ, ეჭვი გამოვთქვა, რომ დისტელის სიკვდილი მხოლოდ კიბოს არ გამოუწვევია და თუ გამოვიძიებთ, ბევრი უცნაური დეტალი გამოიკვეთება. საქმე გაცილებით რთულადაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

- მაგრამ, ქალბატონო, გამომძიებლის დასკვნა ძალიან ნათელია. ბატონი დისტელი საყლაპავი მილის კიბოთი გარდაიცვალა, მუცლამდე მისული მეტასტაზებით.

- ძვირფასო ბატონო უფროსო ინსპექტორო, ეს ყველაფერი სიმართლეა, მაგრამ საიდუმლო ყოველთვის გაცილებით ძველია, ვიდრე სიმართლე. ასეა დასაბამიდან. ნუთუ არ შეიძლება, გამყიდველს ვესტუმროთ, რომ თქვენი მომაჯადოებელი თვალებითაც შეათვალიეროთ, ვინ არის და რა ადამიანია?

უფროსი ინსპექტორის სახეს მისი ცნობილი, ქალური ღიმილი ანათებს. ის ფეხზე დგება.



- ვინ არის აქ უფროსი? - რამდენიმე წუთის შემდეგ კითხულობს უფროსი ინსპექტორი ეუფინ შტროსი წითელი აგურის შენობის შესასვლელში დამაგრებულ დამაფონში და საკუთარ თავს წარადგენს. კარზე, რომელიც იღება, წარწერაა:

ნიშნების სახლი

ა. & ს. კ. – მოძრავი ქონების სააგენტო

მადამ ლემპიცკა და მისტერ შტროსი კიბეზე ადიან და უეცრად პანანინა, მინიატურულ ეკლესიაში აღმოჩნდებიან, რომელიც ძალიან ჰგავს პროტესტანტულს – მხოლოდ აუცილებელი მორთულობა ამშვენებს. მათ მასპინძლობს და „ტაძარში“ ჩამწკრივებული სკამებისკენ მიუძღვება მშვენიერი ქალი. მას უზარმაზარი, მეოცნებე თვალები აქვს, რომლებიც თითქოს ვიღაცის სიზმრიდან გადმოვიდნენ და ახლანდელი პატრონის სიზმარში მოხვდნენ. მისი, თმაში მიმოხვეულ ლაქის წვეთებში „კიბოს“ თანავარსკვლავედი ელავს.

მისტერ შტროსი მას ამცნობს, რომ ინფორმაციას აგროვებს გარდაცვლილი მომღერლის, დისტელის შესახებ და მადამ ლემპიცკას წარუდგენს.

– თქვენი გვართ თუ ვიმსჯელებთ, მხატვრის ახლობელი უნდა იყოთ, – ეუბნება მასპინძელი მადამ ლემპიცკას.

– არა, გარდაცვლილი მისტერ დისტელის ახლობელი ვარ, – ცრუობს ლემპიცკა.

– სად ვართ, ეკლესიაში? – კითხულობს უფროსი ინსპექტორი. სანამ ქალები საუბრით არიან გართული, ის მალულად აღებს თავისი სკამის ქვეშ მდებარე უჯრას და მაშინვე ხურავს. უჯრა თითქმის ცარიელია, სიღრმეში მხოლოდ გამჭვირვალე, მბრწყინავი, წაგრძელებული საგანი მოჩანს. ინსპექტორი ძლივძლივობით ამჩნევს წარწერას, რომლის ბოლო ასოებიც უჯრიდან ელავს: „.....tagas“.

– არა, ეკლესიაში კი არა, სავაჭრო კომპანიაში ხართ.

– აჰა, ძალიან კარგი. იქნებ სიკეთე გამოიჩინოთ და მისტერ დისტელისთან დაკავშირებული ეჭვების გაქარწყლებაში დაგვეხმაროთ? თუმცა მოვლენებს წინ ნუ გავუს-

წრებთ. ჯერ გვითხარით, ვინ ბრძანდებით, ვისთან საუბრის პატივი გვაქვს.

– სანდრა. სანდრა კლოზევიჩი, ნიშნების სახლის მეპატრონე. ასტროლოგი ვარ, რა თქმა უნდა, რეგისტრირებული.

– იყო თუ არა განსვენებული დისტელი თქვენი კლიენტი?

– დიახ, იყო.

– რა იყიდა თქვენგან?

– საკუთარი მომავლის მცირე მონაკვეთი, თუმცა ვფიქრობ, შეუძლებელია, სიკვდილის მიზეზი მომავალი იყოს.

– მაშ, რამ მოკლა დისტელი, თქვენი აზრით?

– კიბომ.

– მართალი ბრძანდებით, მის კლოზევიჩ, – მონყალედ პასუხობს შტროსი. სწორედ ამ დროს საუბარში მადამ ლემპიცკა ერთვება:

– კერძოდ რას ყიდით?

– სიზმრებს, ქალბატონო. ფაქიზად მოზელილ პურს და კობტად გამოძერწილ სიზმრებს ოქროს ფასი აქვს. ორივე კარგად იყიდება.

– ეს იგივეა, რაც ნისლით ვაჭრობა.

– თქვენს სიტყვებში იმაზე მეტი სიმართლეა, ვიდრე წარმოგიდგენიათ, მისის ლემპიცკა. სიზმრები ნისლითაა სავსე, მაგრამ ნისლში კიდევ უფრო მეტი სიზმარი იმალება.

– ეგ როგორ?

– ჰაერი სიზმრებითაა სავსე. ჩვენ სიზმრები გვაკრავს გარს. არა მხოლოდ ადამიანების, არამედ ცხოველების, მცენარეების და კლდეების სიზმრები, წყლის სიზმრები, რომელიც მარადიულია, რადგან წყალს არაფერი ავიწყდება და ერთხელ მომხდარს მისი მეხსიერება სამუდამოდ ინა-

ხავს. ჩვენ გარშემო, ყველგან, ნანახი და უნახავი სიზმრები ცხოვრობენ. ჩვენ მათ ცხადში ვისრუტავთ, ოღონდ ვერ ვამჩნევთ, ზუსტად ისე, როგორც ვერ ვამჩნევთ ჰაერს, რომელიც გვაცოცხლებს. ღამით ისინი ჩვენში იდგამენ ფესვებს და ასაზრდოებენ ჩვენს ნაწილს, რომელსაც პურიტა და ღვინით ვერასოდეს გამოვკვებავთ. არსებობს წიგნი, სადაც წერია, რომ სიზმრები დედამიწის ატმოსფეროსა და მის გარშემო არსებულ მაგნიტურ ველს ავსებენ. მინიდან კოსმოსამდე ისინი ადვილად ამოსაცნობ, უცნაურ სხეულს ქმნიან. თუმცა ჩვენთვის, სიზმრების გამყიდველებისთვის, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ცოტა გვიცნობს, მაგრამ საქმე, რომელსაც ვემსახურებით, უძველესია. კასტასავით ვართ. რელიგიურ სექტას არ წარმოვადგენთ. შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი გილდია გვაქვს, რომელიც სიზმრებით ვაჭრობას და საერთოდ, სიზმრების ბაზარს უძღვება.

სანამ მის კლოზევიჩი ლაპარაკობს, უფროსი ინსპექტორი შტროსი ჩუმადაა, მაგრამ მისი ფიქრები სამი მეტრის რადიუსზე ისმის. მისი მთავარი შეკითხვა ასე უღერს:

– საქონელს სად შოულობთ?

– სამყაროს მარადისობაში, იქ, სადაც ნანახი და უნახავი სიზმრები ერთმანეთში ირევა. თითოეულ მათგანს საკუთარი ზოდიაქოს ნიშანი აქვს.

– ნანახი და უნახავი სიზმრები?

– დიახ, ზუსტად. ნანახ სიზმრებს უდიდესი როლი აქვთ კაცობრიობის ისტორიაში, თუმცა მათი საბაზრო ფასი სათანადოდ მაღალი არ არის. ისინი მარადისობაში ლივლივებენ და მხოლოდ იმ ადამიანებს ემორჩილებიან, ვინც მათი ფასი იცის. მაგალითს მოგიყვანთ:

ვთქვათ, ბერძენი ბრძენის, პითაგორას გარდაცვალებიდან 300 წლის შემდეგ, წერა-კითხვის უცოდინარ

პანჯაბელ ქალს დაესიზმრა მათემატიკური მოქმედება, თეორემა, რომელიც მისთვის სრულიად გაუგებარი და შესაბამისად, უსარგებლოა. ქალი სიზმარს მალევე ივინყებს, სიზმარი კი მარადისობაში ლივლივს განაგრძობს. რამდენიმე წლით ადრე, სანამ პითაგორა თავის ცნობილ თეორემას დაამტკიცებდა, სიზმრების გამყიდველს ხელში ჩაუვარდა სიზმარი, რომელიც პანჯაბელ ქალს საუკუნეების შემდეგ უნდა ენახა და პითაგორას მისცა, მოუყვა, ან ვინ იცის, იქნებ მიჰყიდა. ასე „შეიცნო“ პითაგორამ „ჭეშმარიტება“ ძილში, იპოვა გამოსავალი და „აღმოაჩინა“ თავისი თეორემა.

მოკლედ რომ ვთქვათ, საუკუნეებია, არსებობენ ადამიანები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, სიზმრებს „ხიდან კრეფენ“, შემდეგ კი ეს სიზმრები ბაზარზე გააქვთ და ყიდიან. მე ერთ-ერთი მათგანი ვარ. გადასახადებსაც პატიოსნად ვიხდი. სულ ესაა. ახლა კი, ნება მიბოძეთ, დაგტოვოთ და საქმეს დავუბრუნდე, მოვალეობები მაქვს, რომელიც უნდა შევასრულო.

უკან დაბრუნებისას უფროსი ინსპექტორი შტროსი მადამ ლემპიცკას თვალში ნაკლებად ფიცხი, გაცილებით სასიამოვნო (რაც, სავარაუდოდ, მეტაფიზიკის ლექციით გამოწვეული გადაღლის ბრალია) და მკაფიოდ შეუხედავი ჩანს. მათი გზები იყოფა. მადამ ლემპიცკა ფიქრობს:

– ღმერთო ჩემო, შტროსმა ამ ქალს ყოველ ჯერზე ასი დოლარით მეტი უნდა გადაუხადოს.

2.

ANTRACITE

ოცდასამ ივლისს, სამის ოცდახუთ წუთზე, ისე, რომ არც თარიღი ახსოვს და არც დრო, საშუალო ასაკის ქალი წითელი აგურის შენობასთან დგას და გამალებით აჭერს თითს ღილაკს, რომლის გასწვრივაც წარწერაა:

ნიშნების სახლი

ა. & ს. კ. უძრავი ქონების სააგენტო

ქალი კარის გაღებას ელოდება, თვალებს ქუდის ფარფლი უჩრდილავს და უჭრელებს. ისეთი ლამაზი თვალები აქვს, ნებისმიერი ადამიანი იყიდის თითოეულ მათგანს, ისევე დაუფიქრებლად, როგორც ბაზარში კვერცხს ყიდულობს. მის მკერდს თავბრუდამხვევი სურნელი ასდის. ცალი ძუძუდან კომშის არომატი იფრქვევა, მეორედან – მსხლის. ქალს უყვარს, როცა ქუჩაში მკერდზე ჩქმეტენ, რაც იშვიათად ხდება, თუმცა მის შეხებაზე უარის თქმა ყველას უჭირს, ზოგჯერ მდედრობითი სქესის გამვლელებსაც კი. ღამით ქალს მენამულისფერი ჩაჩი უფარავს თავს, საბნად კი სიტყვები ახურავს, რომელიც ოდესღაც ქუჩაში მიაძახეს: „ასეთ ქალს სახელიც არ სჭირდება!“

- ვინ არის? - ისმის შეკითხვა შავი ლილაკიდან.

- მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიციკა.

- ისევ თქვენ? პოლიციაც გახლავთ?

- არა, ამჯერად მარტო ვარ.

- კი მაგრამ, რა გნებავთ? უკვე გითხარით, რომ ეს ეკლესია არ არის.

- მეც მინდა, თქვენი კლიენტი გავხდე. არ მიმიღებთ?

მადამ ლემპიციკა კიბეზე ადის, „ტაძარში“ მის სანდრას ხვდება და რომელიღაც რიგში, სკამზე ჯდება.

- მითხარით, რისი შემოთავაზება შეგიძლიათ ჩემთვის?

მის სანდრა მადამ ლემპიციკას გვერდით იკავებს ადგილს. მისგან Antracite-ს სუნი მოდის.

- შემიძლია, ყველაზე სასიამოვნო და ყველაზე შიშის-მომგვრელი სიზმრების რეტროსპექტივა შემოგთავაზოთ გასული საუკუნეებიდან. მათ კიდევ ერთხელ ნახვას საკმაოდ ხელსაყრელ ფასად შეძლებთ. მაგრამ აბა, რაში გჭირდებათ? თითოეული მათგანი ხომ უკვე იხილეთ. უკეთესი იდეა მაქვს თქვენთვის.

- ჩვენი მრავალათასწლოვანი გამოცდილება და ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების ყოვლისმომცველი მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ ძალიან ცოტა ადამიანს სურს, ფროიდის და იუნგის მსგავსად, უკვე ნანახი სიზმრები იხილოს. უმეტესობა მეორადი მოხმარების პროდუქციის შეძენაზე უარს ამბობს და ამჯობინებს, ჯერ კიდევ უნახავი სიზმრები იყიდოს, საკუთარი, ან სხვისი, სიზმრები მომავლიდან, რომელიც ხვალინდელი დღისკენ ხსნიან სარკმელს, სიზმრები, რომლებიც ჯადოქრების, ნათელმხილველებისა და ექიმების დახმარების გარეშე შეგვაცნობინებენ, რა გველის.

ყველაზე რთულია, რომელიმე ადამიანის უნახავი სიზმრები გამოარჩიო და შეკრიბო უთვალავ სიზმარს

შორის. ყველაზე ძვირი სწორედ ასეთი სიზმრები ღირს. ადამიანისთვის, ვისაც სიზმრები ეკუთვნის, თითოეული მათგანი ძალზე ღირებულია, სხვებისთვის კი მათ ფასი საერთოდ არ გააჩნიათ. ასეთი სიზმრის ყიდვით, ფაქტობრივად, საკუთარი მომავლის ნაწილს იძენ.

- სიზმრების ადგილსამყოფელს როგორ ადგენთ? როგორ იგებთ, რომელი სადაა?

- ვიცით, რადგან თითოეული სიზმარი უნიკალური ეგზემპლარია. შეუძლებელია, სხვაში აგერიოს. საკმარისია, თქვენი რომელიმე ნივთი მქონდეს ხელთ და თქვენს სიზმრებს ამოვიცნობ. დაახლოებით, იგივეა, ძალღს რომ ტანსაცმლის ნაჭერი მისცეთ იმ ადამიანის სუნის ასაღებად, ვინც უნდა მოძებნოს. ეს ჩვენი სამუშაოს ურთულესი ნაწილია. წარმოიდგინეთ, ვეფხვებზე სანადიროდ რომ მიდიოდეთ, ოღონდ თქვენი მიზანი იყოს, დაიჭიროთ კონკრეტულ ადგილას მცხოვრები კონკრეტული ვეფხვი, რომელსაც ყველა იცნობს და ყველას ახსოვს, ვინ დაგლიჯა და როდის.

- ამდენი რალაც მითხარით, მაგრამ მაინც ვერ მივხვდი, რას მთავაზობთ.

- თქვენს მომავალს. მე შემიძლია, თქვენი მომავლის ფრაგმენტი მოგყიდოთ, რომლის ხანგრძლივობაც მხოლოდ ერთი წუთი იქნება, შეიძლება, ათიოდე წამით მეტი. მაგრამ დღეს უნდა მითხრათ, რომ გჭირდებათ, ნახოთ ფრაგმენტი სიზმრისა, რომელიც სამ წელიწადში, ან ორმოცდაათი წლის ასაკში დაგესიზმრებათ.

- და ეს ფასიანია?

- დიახ, მაგრამ საფასურს ფულით ვერ გადაიხდით, რადგან არც საქონელია ხელშესახები. ის, რასაც თქვენ ყიდულობთ, არ არის ერთი დღე თქვენი მომავლიდან, არამედ ღამეა, ძილით გაუღენთილი ღამე. ჩვენი ვაჭრობის

საგანი აწმყოში გადმოტანილი თქვენივე სიზმარია, რომელიც მომავალში უნდა ნახოთ.

- გარიგების პირობები რა არის?


- მხოლოდ სამი პირობაა. მარტივით დავინყოთ. პირველ ყოვლისა, 1000 დოლარს მიხდით. მეორე – კონკრეტულ ბანკში სეიფს ხსნით თქვენს სახელზე. ბანკის მისამართს და საკონტაქტო პირის ვინაობას მე გეტყვით. ტელეფონით შეუთანხმდებით. მნიშვნელობა არა აქვს, სეიფში რას მოათავსებთ. მხოლოდ ცხვირსახოციც რომ იყოს, საკმარისია. მთავარია, სეიფის ნომერი მიიღოთ და ჩემთან მოიტანოთ. მესამე, ყველაზე რთული პირობის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ.

მის სანდრა მაღამ ლემპიცკას ლურჯ-ოქროსფერ სავიზიტო ბარათს აძლევს. მაღამ ლემპიცკა ბარათს იღებს, უყურებს და ბოლოს, დაბნეული ათავსებს მას ქოლგის არშიის პანანკინტელა ჯიბეში.

დამშვიდობებისას მის სანდრა ამბობს:

- არ დაგვაგინყდეს, აუცილებლად უნდა მითხრათ თქვენი ზოდიაქოს ნიშანი. თქვენი ნანახი და უნახავი სიზმრები სწორედ თქვენი ზოდიაქოს თანავარსკვლავედში ლივლივებენ. დღეს კარგი დღეა მათ დასანახად.

ლემპიცკა მის სანდრას ბარათს უწვდის. ბარათზე არც ტელეფონის ნომერია და არც მისამართი, მხოლოდ მისი ზოდიაქოს, მერწყულის თანავარსკვლავედია გამოსახული:



მომდევნო დღეს ბანკ „Plusquam City“-ს თანამშრომელი მადამ ლემპიცკას ამცნობს:

– მისტერ ერლანგენი მალე მიგიღებთ.

ერლანგენი ქალს ხელს უწვდის. მისი მქრქალი მზერა მადამ ლემპიცკას წამითაც არ შორდება. ქალს ეგზოტიკური კაბა აცვია, „ბალკანიკა“, რომელიც „მონას“ აბრეშუმნარევი ტყავისგანაა შეკერილი, „სანპელეგრინის“ მოტმასნილი, მაღალყელიანი წინდებიდან წყალმცენარეებისა და ჩაის სუნი ასდის. ხელზე მრავლისმთქმელი საათი უკეთია. ერლანგენი ქალს ტკბილხმოვანებასა და „Dolce & Gabbana“-ს სურნელში ხვევს და მისაღებისკენ მიუძღვება, სადაც ვარდისფერ ტყავგადაკრული ორი სავარძელი დგას. მადამ ლემპიცკა და მისტერ ერლანგენი სხდებიან. მათ მომცრო შადრევანი და გლადიოლუსის ფორმის ლურჯი სანათი ჰყოფთ. ერლანგენი ქალს კაიროს ყავას სთავაზობს, რომელსაც თავად ხარშავს უკანა კედელთან მოთავსებულ ქურაზე. შემდეგ ისევ ჯდება და მუსიკას რთავს. ოთახი მოცარტის ჰანგებით ივსება. მისაღების შორეულ კუთხეში მრგვალი, ვერცხლისფერი კარია, რომელიც სეიფების ოთახში გადის. კარი დაკეტილია.

– შეიძლება ვიკითხო, რა სასიამოვნო საქმიანობითაა დაკავებული მადამ ლემპიცკა თავისუფალ დროს? გთხოვთ, ჩემს ცნობისმოყვარეობას დაკითხვად ნუ მიიჩნევთ. ამის უფლება არ გვაქვს.

– რა გიპასუხოთ, არც ვიცი. განსაკუთრებული გატაცება არ მაქვს. ადრე წიგნების კითხვა მიყვარდა, მაგრამ რაც 21-ე საუკუნეში, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მერწყულის ეპოქაში შევაბიჯეთ, მე-20 საუკუნის წიგნებს გულს ვეღარ ვუღებ. მეჩვენება, თითქოს მათი გმირები სადღაც გადასახლდნენ და ფურცლები უპატრონოდ მიატოვეს. გარდა ამისა, ვერასოდეს ვხვდები, რა დაინერა მდედრობითი სქესის მკითხველთათვის და რა –

მამრობითისთვის. თქვენ ხვდებით? მგონი, თქვენ მისტერ ერლანგენი უნდა იყოთ, ხომ არ მეშლება?

– დიახ, მაღამ ლემპიცკა, მორის ერლანგენი გახლავართ. შუადღისას აქ მუსიკის მოსასმენად მოსვლა მიყვარს. ეს მოცარტის ოპერაა, „ჯადოსნური ფლეიტა“... თქვენ გიყვართ მუსიკა?

– დიახ, „გოთან პროფექტი“ მიყვარს, ასევე ხშირად ვუსმენ „ხაზარების გზას“ და „ბუდა ბარის“ ნაკრებს.

– მაშინ მე და თქვენ მონათესავე სულები გამოვდივართ. ფილმებზე რას მეტყვიან?

– დაზუსტებით ვერაფერს. ძალიან ბევრი ფილმია და ვიბნევი, შერჩევა მიჭირს. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ ავარჩიო საუკეთესოები კარგებს შორის.

– მაგრამ, ძვირფასო მაღამ ლემპიცკა, ფილმები საკმაოდ მარტივი ასარჩევია. წარსული და მომავალი ორი ბრმა და უტყვი მარადისობაა. ერთი უკან დარჩა, მეორე კი წინაა. მხოლოდ ფილმები, ხმისა და ვიდეო ჩანაწერები ინახავენ ჩვენი წარსულის ნაწილს მათი გამოგონების დღიდან. ამიტომ კინო აუცილებლად უნდა შეიყვაროთ. ერთხელაც შინ უნდა მესტუმროთ და ჩემთან ერთად უყუროთ ყველა დროის საუკეთესო ფილმებს. ყველაფერი მაქვს. თუ მესამე ფილმის ნახვის შემდეგ ჩემს აზრს არ გაიზიარებთ, მეოთხეს აღარასოდეს ჩაგირთავთ. მაპატიეთ, ბევრს ვლაცობ და მოცარტის მოსმენაში ხელს გიშლით.

მისტერ ერლანგენი ყავის დასამატებლად დგება და მაღამ ლემპიცკა მისი პიჯაკის ქვეშ ისეთ ნივთს ლანდავს, თმა ყალყზე უდგება – „კომბატ მაგნუმი“, ერლანგენს ზუსტად ისეთივე ძვირადღირებული იარაღი აქვს, როგორც მის განსვენებულ საყვარელს, მათიას დისტელის ჰქონდა. ქალი თავის ზურგჩანთას საიმედოდ ბლუჯავს და კითხულობს:

– ნუთუ თქვენი აქ ყოფნით და მუსიკის მოსმენით საქმე არ ზარალდება?

– პირიქით, მაღამ ლემპიცკა. ეს ჩემი სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილია. სინამდვილეში, ჩვენ ახლა სეიფების ოთახის კარის გაღებას ველოდებით.

– თუ სწორად გავიგე, გასაღები უნდა მოგვიტანონ, არა?

– არა. გასაღები ისაა, რასაც ჩვენ ვუსმენთ. კარი მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტის“ 14 კონკრეტული წუთის საშუალებით იღება. აკუსტიკურ კოდს ყოველდღე ვცვლი – ახალ კომპოზიტორს ვირჩევ. აი, გაილო კიდევაც. როცა შევალთ, სეიფის გაღებაში პირადად დაგეხმარებით, შემდეგ კი თქვენს ძვირფასეულობასთან მარტო დაგტოვებთ.

ბოლოს და ბოლოს, დაბნეული მაღამ ლემპიცკა საცავში მარტო რჩება. გარშემო ისე იყურება, თითქოს ანგელოზის დაკარგულ ღილს ეძებს. შემდეგ აჩქარებით იღებს ჩანთიდან განსვენებული მათიას დისტელის კუთვნილ „კომბატ მაგნუმს“, რომელიც მენამულისფერ შარფშია გახვეული და სეიფში ათავსებს.

მიუხედავად საყვარელი მომღერლის დაკარგვით გამოწვეული ტკივილისა, რომელიც მის გულს ვინრო ბიუსტჰალტერივით უჭერს, საცავიდან გამოსული მაღამ ლემპიცკა, ზურგჩანთაში შენახული სეიფის ნომრით, უცნაურ სიმსუბუქეს გრძნობს, გრძნობს უსირცხვილო შვებას, რომ საყვარლის სიკვდილზე დარდი ისევე გაქრა ამქვეყნიდან, როგორც თავად დისტელი...

Δ

- შემდეგი პირობა რა არის? - გარდაუვალ შეკითხვას უსვამს მაღამ ლემპიცკა მის სანდრას მომდევნო შეხვედრისას.

- ორალური სექსი.

ლემპიცკა იცინის.

- რატომ გგონია, რომ ამ პირობას შევასრულებ. მე ლესბოსელი არა ვარ.

- მე კი ქალი არა ვარ, - გაყინული ხმით პასუხობს მის სანდრა.

- ქალი არა ხარ? აბა, ვინ ხარ? - უცებ შინაურდება მაღამ ლემპიცკა.

- ანდროგენი.

- ეგ რას ნიშნავს?

- ესეც ვარ და ისიც. თუმცა უნდა გითხრა, რომ სულაც არ აღმაგზნებ.

- არა?

- არა. მიზეზი უფრო სერიოზულია, ვიდრე ეროტიკული სურვილები. მხოლოდ ასე შემიძლია, შევამოწმო, სიზმარი, რომელიც უნდა მოგყიდო, ნამდვილად შენია თუ არა.

- დისტელიმაც იგივე გაიარა თავისი სიზმრის საყიდლად?

- არა, - იცინის მის სანდრა, - მას სულ სხვანაირი პირობები ჰქონდა. პირობებს მე არ ვიგონებ, თავად სიზმარი მკარნახობს.

- თუ დაგთანხმდები, როგორი ორალური სექსი გვექნება? აზრზე არა ვარ, რა გაქვს ფეხებს შორის სინამდვილეში.

- იუნგი წაიკითხე. გარკვევით წერს, რომ ანდროგენები ჰერმაფროდიტებში არ უნდა ავურიოთ. თუმცა მეცნიერებაში ნუ გადავეშვებით. ხვალ სალამოს აქ მოხ-

ვალ სავახშმოდ. ყველაფერი აი, ამ მაგიდაზე მოხდება. როგორ – ეს უკვე შენზეა დამოკიდებული. თუ არ მოხვალ, არაფერი დაშავდება. შენი სიზმარი ისევ მარადისობაში, ვარსკვლავებს შორის განაგრძობს ლივლივს და შენს ხვალისდელ დღეს დაელოდება. არ დაგავიწყდეს, რომ შენი ნების სანინაალმდეგოდ არაფერში გითრევ. შენი სურვილით მოდიხარ და გადანყვეტილებასაც თავად იღებ. მაგრამ თუკი მოხვალ და ყველაფერი ისე მოხდება, როგორც გითხარი, მეორე დღეს შენი მომავლიდან ნანყვეტი დაგესიზმრება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ნაადრევად ნახავ სიზმარს, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ უნდა გენახა.

3.

ENVERGURE POUR HOMME

ოთახის მეორე ბოლოში, კედელთან, მაღალი კარადა დგას, რომელიც Bidermeier-ის პერიოდის გერმანული სა-შუალო ფენის გემოვნების მიხედვითაა შექმნილი. მას შვიდი უჯრა აქვს, რომელსაც, ჩვეულებრივ, „შვიდ დღეს“ ეძახიან. თითოეული უჯრა კვირის რომელიმე დღის სახელობისაა. იქვე პატარა მაგიდა მოჩანს, ერთი ადამიანისთვის გაშლილი ვახშმით. როცა მადამ მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიცკა ოთახში შედის, მის სანდრა უკვე ზის ერთადერთ სკამზე. მთელი ყურადღება საჭმლისკენ აქვს მიმართული. სუში კოჭას არომატით, წყალმცენარეების სალათი და მწვანე ჩაი – ასეთია მენიუ. ფინჯნიდან არეკლილი ნათება ჭერზე ნერვიულად ცახცახებს.

მის სანდრა ჭამას არ წყვეტს, თუმცა სტუმარს მაინც სტყორცნის გაყინულ მზერას. თვალს არ ახამხამებს. თმა უბრწყინავს. სპილოს ძვლის ჩხირები, რომლის დახმარებითაც ბრინჯს შეექცევა, ნაზად უჭირავს თხელი თითებით, რომელთაც, თავის მხრივ, ხელთათმანები უფარავს. არც ხელთათმანები გამოიყურება ჩვეულებრივად – ერთ მათგანს შვიდი თითი აქვს, მეორეს ხუთი.

თუ ხელთათმანებით ვიმსჯელებთ, მის სანდრა თორმეტი თითის პატრონია, სწორედ იმდენის, რამდენი თვეცაა წელიწადში. ერთი თითი ერთ თვეს უდრის.

მის სანდრა სტუმარს არ ესალმება, არც არაფერს სთავაზობს, არც მოკითხვით იწუხებს თავს. ლემპიცკა ცოტა ხანს ერთ ადგილას დგას. ფეხებს ერთმანეთს უნაცვლებს, მერე კი დანიწკლულ ფარფლებიან ქუდს სწრაფად ისვრის ოთახის კუთხეში. ჯერ ერთ ბროლის ქუსლიან „სვაროვსკის“ ფეხასცმელს იხდის, მერე მეორეს და უცებ დისტელის ხმა ჩაესმის:

– ლემპიცკა, ფეხზე ჩაიცვი!

მადამ ლემპიცკას თვალების მდინარე მთელი სიჩქარით მიიწევს მის სანდრასკენ. მოკლე, გამჭვირვალე ქვედაბოლო ხელს არ უშლის, ოთხზე დგება და მაგიდის ქვეშ ძვრება. ორი რამ აოცებს: მის სანდრას აღარ ასდის Antracite-ს სურნელი, რომელიც მადამ ლემპიცკას მათი პირველი შეხვედრიდან დაამახსოვრდა. ახლა მისგან Envergnure-ს მამაკაცური არომატი მოდის. მეორე, რასაც ლემპიცკა გონების დაკარგვამდე მიჰყავს, მის სანდრას ფეხებს შორის აღმოჩენილი შვიდი იწის სიგრძის ასოა. სანდრა ჩაის ხვრებას თავს ანებებს, შვიდთითიანი ხელთათმანით სიგარელას იღებს და სექტემბერსა და ოქტომბერს შორის აქცევს. სანდრა და მადამ ლემპიცკა უნისონში მოქმედებენ. ერთი მაგიდის ზემოთ ქაჩავს სიგარას, მეორე – მაგიდის ქვემოთ.

სეანსის დასასრულს მადამ ლემპიცკა დგება და ალტაცებით შესცქერის სანდრას მომხიბვლელ სახეს, რომელიც ამბობს:

– სიზმარს, რომელიც შვიდი თვის მერე უნდა გენახა, სადღაც, მომავალი წლის მარტში, ხვალ ნახავ. თავიდან ვერ იცნობ. მოგეჩვენება, რომ ჩვეულებრივი სიზმარია, მაგრამ

არ იდარდო, როცა დრო გავა და სრულად დაგესიზმრება, ყველაფერს მიხვდები. როგორც ადრევე გითხარი, ანმყოში მხოლოდ მისი მცირე ნაწილის გადმოტანაა შესაძლებელი. ერთ პატარა რჩევას მოგცემ. როცა მომავლის სიზმრებს ელოდები, ჯობია, საკუთარ საწოლში არ გეძინოს და არც თავი გედოს იმ მხარეს, სადაც ჩვეულებრივ გიდექს...

Δ

მეორე დღეს მაძამ ლემპიცკა „მომავლის სიზმრის“ სანახავად გონდოლას ყიდულობს. ნამდვილი ენეციური ნავი შავად პრიალებს. გამყიდველი გონდოლას ქალის საძინებელში, პირდაპირ საწოლის თავზე კიდებს ჯაჭვებით. ლემპიცკა გონდოლაში სხვადასხვა ფერის ბალიშებს ისვრის. სალამოს ქაფიან აბაზანაში წვება, ახალ ლამის პერანგს იცვამს, Addict Dior-ს იპკურებს. სუნამოსგან, მისდა გასაოცრად, საზამთროს სურნელი მოსდის, რითაც ქალი უკმაყოფილოა. ბოლოს მაძამ ლემპიცკა ჰაერში „მოტივტივე“ ბუდეში ძვრება. ყველაფერი, რაც კი ოდესმე სმენია სიზმრების შესახებ, ერთ წინადადებაში იყრის თავს, რომელსაც დაძინებამდე განუწყვეტლივ იმეორებს:

– სიზმარში სმენა არ უნდა დაკარგო. რასაც გაიგონებ, უნდა დაიმახსოვრო.

მაძამ ლემპიცკა ჩაძინებისთანავე პატარა ბიჭად გადაიქცა. ბიჭი უზარმაზარ სახლში, მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. მას პირველ სართულზე, უზარმაზარი სასადილო დარბაზის შიგნით შემოსაზღვრულ პატარა ოთახში ეძინა. მოკლედ, ეს იყო ოთახი ოთახში. ოთახს ორი ფანჯარა ჰქონდა, რომლებზეც ლამაზი ფარდები ფრიალებდა. ფარდებიდან მშვენივრად მოჩანდა, როგორ ერთობოდნენ ოჯახის წევრები და სტუმრები სასადილო დარბაზში. დედა კი სალამოობით ფარდის იქიდან ამოწმებდა, ეძინა თუ არა ბიჭს.

მაგრამ ზოგჯერ ბიჭი ფხიზლობდა. თვალებს ხუჭავდა და უსმენდა. უფანჯრო კედელზე უზარმაზარი კარადა იყო მიდგმული, თითქოს უზარმაზარ ოთახში მდებარე პატარა ოთახში მესამე ოთახი ჩაეშენებინოს ვინმეს. სწორედ უფანჯრო კედლის მხრიდან ისმოდა ხანდახან ფეხის ხმა. კარადაში ვილაც დააბიჯებდა. ნაბიჯები ბიჭს ყოველ ღამით არ უფრთხოებდა ძილს, მაგრამ როცა ესმოდა, ყოველთვის გარკვევით. ხის გოლიათის ორმაგ კარს მიღმა, ნაბიჯები ზოგჯერ ჩქარდებოდა და ახლოვდებოდა, ზოგჯერ კი ირეოდა და სადღაც, სივრცეში იკარგებოდა. შეშინებული ბიჭი ფხიზლდებოდა და საწოლზე წამომჯდარი ელოდებოდა, როდის დაისადგურებდა სიჩუმე.

მადამ ლემპიცკას სიზმარი აქ წყდება. ის იღვიძებს და იმედგაცრუებული, გათენებისთანავე მიდის „მომავლის გამყიდველთან“, რომ სიზმრის ახსნა მოისმინოს. „ნიშნების სახლის“ „ტაძარში“ მის სანდრა არ ხვდება. მის ნაცვლად მადამ ლემპიცკა ახალგაზრდა კაცს აწყდება, რომელსაც სუფთად გადაპარსული თმა და უღვაში აქვს, ფეხზე გაპრიალებული, შავი მოკასინები აცვია, ტანზე – ლურჯი მაისური და ჯინსი. Envergure-ს სუნი ასდის. ხელში გარდაცვლილი მათიას დისტელის კუთვნილ ოქროს საბურნუთეს ათამაშებს. გახვრეტილ წარბზე მბრწყინავი ქვა უკეთია. მადამ ლემპიცკა შესვლისთანავე მძვინვარებს:

– ე. ი. თქვენ ხართ მის სანდრა! რა გარანტია მაქვს, რომ არ მომატყუეთ? სიზმრიდან ნაწყვეტი ძალიან მოკლე და უაზრო იყო.

– რა თქმა უნდა, ეს ხომ მხოლოდ სამოცდათერთმეტი წამია თქვენი მომავლიდან. მხოლოდ დასაწყისია სიზმრისა, რომელსაც შვიდი თვის შემდეგ, მომავალი წლის მარტში ნახავთ.

მადამ ლემპიცკა ისეთი განრისხებულია, ვერც კი ამჩნევს, რომ „სიზმრების გამყიდველი“ უცხოსავით ექცევა, თითქოს ერთმანეთს პირველად ხედავენ, თითქოს მის წინ მდგომი ახალგაზრდა კაცი არასოდეს ყოფილა მშვენიერი მის სანდრა, მაგიდის ქვეშ გადაშლილი ფეხებით, თითქოს ერთმანეთისთვის არასოდეს მიემართოთ შინაურულად.

– მაინც რას ნიშნავს ეს სიზმარი?

– ამას ნუ მკითხავთ. ზოგიერთი ექსპერტი, მაგალითად, იუნგი, მიიჩნევს, რომ ყველაფერს ასოციაციები ხსნის, რომლებსაც სიზმრებამდე მივყავართ, ზოგიერთი კი, მაგალითად, ფროიდი, ამბობს, რომ ის ასოციაციებია მთავარი, რომლებიც სიზმრებიდან მოდის. თუ სიზმრის გაგრძელების ნახვა გინდათ, ახალი სამოცდათერთმეტი წამის მისაღებად ხელახალი შეკვეთის გაკეთება მოგიწევთ. მის საყიდლად იგივე პროცედურა გექნებათ გასავლელი.

– გაგრძელების ნახვის არავითარი სურვილი არ მაქვს. თქვენ მე შეურაცხყოფა მომაყენეთ. მომიწევს, ჩემს ადვოკატს მივმართო. მაინც ვინ ხართ, რომ არარსებულ საქონელს ყიდით? ის ნივთი კი, რომელიც ხელში გიჭირავთ, განსვენებულ მომღერალ დისტელის მოპარეთ, როცა ბინა გაუტეხეთ.

სანამ მადამ ლემპიცკა ლაპარაკობს, ალექს კლოზევიჩი, გნებავთ, სანდრა, მუსორგსკის ლილინს იწყებს, საბურნუთეს ხსნის და ცხვირს იპუდრავს. ნივთს, რომელშიც დისტელი კოკაინს ინახავდა, ალექს კლოზევიჩი ახლა პუდრის ჩასაყრელად იყენებს.

4.

ADDICT DIOR + DOLCE & GABBANA

მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიციკა ასაკის სანინაალ-მდეგო მედიკამენტს იღებს, რომელიც ქვირითზეა დამზადებული და ფრჩხილებს „სმარტის“ ლაქით იღებავს. ლაქი ხელის თითოეული მოძრაობისას, ან სხეულის ტემპერატურის ცვლილებისას იცვლის ფერს. ასე მოკაზმული ის კაიროსკენ მიემგზავრება, თავის ახალ საყვარელთან, მისტერ მორის ერლანგენტან ერთად. თვითმფრინავის დაჯდომისთანავე მის მენამულისფერ ფრჩხილებს თეთრი ვარდის ფერი ედება. მისტერ ერლანგენი მას „მენა ჰაუს ჰოტელისკენ“ მიუძღვის. სასტუმროს ოთახის ტერასის კარიდან მათ ოთახში ხეოფსის პირამიდა იჭრება. ნითელ ქვიშაში გახვეული პირამიდა ხელის განვდენაზე მოჩანს. უდაბნოს სურნელი ქალის და კაცის სხეულების არომატს ერწყმის – ერთმანეთში არეულ Addict Dior-ს და Dolce & Gabbana-ს.

– რამდენი წლისაა ეს ურჩხული, ჩვენს სანოლს რომ გადმოსცქერის? – კითხულობს მადამ ლემპიციკა.

– რასაც ვხედავთ, მხოლოდ პირამიდის სხეულია. ის არ იყო ასეთი დაბადებიდან მემილიონე ლამეს, არც ათი

მილიონი ლამის შემდეგ დასდებია ფერი, რომელიც ახლა აქვს. შემდეგ მის კედლებზე რამდენიმე ასეულობით მილიონმა ლამემ გადაიარა და საუკუნეთა დაუსრულებელი დინების შედეგად, პირამიდამ შეიცვალა ფერი და ფორმა – გახდა მოხუცი და ნაცრისფერი, ისეთი, როგორიც ახლაა.

– მაშინებ, – ამბობს მადამ ლემპიციკა. ბატონი ერლანგენი გულში იკრავს საყვარელს და პირდება, რომ კაიროს უძველეს მოედანზე ნაიყვანს, სადაც არაბულ, მოხარშულ ჩაის დალევენ.

ერლანგენის ხიბლს წინ ვერავინ აღუდგება. ისინი ბედუინებს შორის იკვლევენ გზას და ერთმანეთს ვნებია-ნად კოცნიან. აქლემები შეყვარებულ წყვილს უცქერენ. სალამოს ერლანგენი ქალს მკერდზე ეფერება და ხერხემალს ულოკავს. მადამ ლემპიციკას ცხოვრებაში დგება დღე, როცა ჰყავს ვილაც, ვინც ქუჩაში, თხებისა და პურით მოვაჭრეების დასანახად, ძუძუებს უჩქმეტს. ქალაქის კოპტურ ნაწილში მისტერ ერლანგენს ნარგილეს აჩერებენ. სანამ ის „ორი ვაშლის“ არომატს წყლის გავლით ისუნთქავს, მოხუცი ქალი მადამ ლემპიციკას თვალებს ეგვიპტურად ხატავს: ახლა ლემპიციკას ღმერთ რას უგავს მზერა, რომლითაც თითქოს ძველი ნელთალრიცხვის 1350 წლიდან იყურება. ქალის თვალებში მისი სულის აღმოსავლეთი და დასავლეთი ხვდება ერთმანეთს. მარჯვენა თვალი მზეა. წარბი და წარბის შემოგარენი შავად აქვს შეღებილი. ქუთუთო ბალახისფრად უნთია. მარცხენა თვალი მთვარეა. წარბი და მისი მიდამო მუქ ლურჯად მოუჩანს, წამწამი კი მუქ ყვითლად – ქვიშისფრად ანათებს. სწორედ მარცხენა თვალში კიაფობს ლამის ნათება.

ხნიერი ქალი ხატვას ამთავრებს და ამბობს:

– მომისმინე, შვილო, და კარგად დაიმახსოვრე, რასაც მოხუცი ზოიდა გეტყვის. შენ ქალღმერთივით წითელი

გუგები გაქვს. სთხოვე შენს კაცს, ჭიპისთვის წითელი ქვა გიყიდოს და ატარე ისე, როგორც ქალღმერთს შეეფერება.

ნასიამოვნები ერლანგენი პირველივე იუველირთან ყიდულობს ლალის ქვას, რომელსაც ლემპიცკა ჭიპში ითავსებს. ერლანგენი ქალს ყველაზე უჩვეულო ადგილებში, საჯაროდ ეუფლება: ტაქსიში, ლიფტში, ეგვიპტური მუზეუმის მამაკაცების საპირფარეშოში, კაიროს უძველეს სასაფლაოზე, სადაც ცოცხლები ცხოვრობენ და მომცრო პირამიდის სიბნელეში, სადაც ქალი შიშისგან ცახცახებს.

დილით ლემპიცკა საყვარელს ეუბნება:

- ორივენი აფრიკაში უკეთ გამოვიყურებით, ვიდრე ევროპაში.

- სარკეებს არ ენდო, - პასუხობს კაცი, - არაბული სარკეები უფრო გამხდარს გაჩენენ ადამიანს, ვიდრე სინამდვილეში ხარ.

- არა ხარ მართალი. ყვავილები, რომელიც ევროპაშიც მინახავს, აქ უფრო მაღალი და ლამაზია და სამჯერ უფრო ძლიერ სურნელს აფრქევს. ადამიანებიც, ვირებიც და თხებიც ისე გამოიყურებიან, თითქოს თანამედროვე მედიცინისა და ფიტოთერაპიის ყველა სიკეთე მათთვის არსებობს. აქ ჩრდილში მარტია და მზეზე - ივლისი.

ძველ ქალაქში ძლივს პოულობენ ჩამოსაჯდომ ადგილს. პატარა ქუჩა მაგიდებით, სკამებითა და მსოფლიოს ოთხივე მხრიდან ჩამოსული ხალხითაა გადაჭედილი. ადამიანები ერთდროულად იცინიან ასობით ენაზე და ჩაის სვამენ. ერთი ბელგიელი მაგიდაზე ადის და გასაოცარი სიზუსტით ასხამს ჩაის ორი მეტრით ქვემოთ, ტროტუარზე მოთავსებულ მინის ფინჯანში. მარკიზინი და ერლანგენი მას ტაშს უკრავენ. ბელგიელი მაგიდიდან ჩამოდის, ჭიქას იღებს და წყვილის ფერხთით, ბორდიურზე ჯდება. ის თავს ვინ ვამ დი კოებუსად წარადგენს და კითხვას სვამს:

- გსმენიათ ზღაპარი ბალახის შესახებ? თუ არ გსმენიათ, მე მოგიყვებით. კაიროდან ისე არ უნდა ნახვიდეთ.

ლემპიცკა ერლანგენის კალთაში ზის, ჩაის ხერეკს, თვლემს და ბელგიურ ჩურჩულს ისმენს. ერლანგენის თითი მასშია.

კაირო ლემპიცკას და ერლანგენის გარშემო სუნთქავს, უზარმაზარ მკერდს ხსნის, მკლავებს შლის, ყოველ ღამით ორ მილიონ ადამიანს იკრავს გულში, რომ დილით ისევ გაუშვას. ლემპიცკას დაბინდული თვალები ჩრდილოეთს და სამხრეთს ველარ არჩევენ, ვერც მარჯვენას და მარცხენას. აქ მარტი მშვენიერია, მაგრამ ქალი არც კალენდარს უყურებს, არც საათს. ასე ცხოვრობს იქამდე, სანამ აქ, კაიროში, სიზმარს არ ნახავს, უფრო სწორად, გაგრძელებას ადრე ნანახი სიზმრისა, რომელიც არასოდეს დავიწყებია.

სიზმარი, რომელიც მაღამ ლემპიცკამ კაიროში ნახა

რული ერევა თუ არა, მაღამ ლემპიცკა მაშინვე იქცევა ბიჭად, რომელიც ოთახში ზის და კარადიდან გამომავალ იდუმალ ფეხის ხმას სულგანაბული უსმენს. საკუთარ ნაჭურჭში ჩაკეტილი, ძილშიც კი ხვდება, რომ ეს სიზმარი ერთხელ უკვე უნახავს. შეშინებული ბიჭი გაღვიძებას ცდილობს, მაგრამ სიზმარი მაინც გრძელდება.

ბიჭი მაგიდასთან ზის. კარადა, საიდანაც ხანდახან წყლის წვეთების ხმა ისმის, მის ზურგსუკან დგას. ოთახში ოჰარაშკა შემოდის, მისი ბიძაშვილი. გოგო თოთხმეტი წლის იქნება, ბიჭი, ალბათ, შვიდის, თუმცა მან არც თავისი ასაკი იცის და არც გოგოსი. შუადღე დგას. დრო ნელა გადის. ბიჭის მშობლების სახლში სადილობა ახლახან დაასრულეს და ნებივრობენ. ოჰარაშკას ლანგარი უჭირავს. ლანგარზე

ერთი ჭიქა ჟოლოს წვენი და შვრიის ფაფით სავსე ჯამი აწყვია. ფაფა მისი მომზადებულია და სანამ ოჰარაშკა ლანგარს მაგიდაზე დგამს, ბიჭი ხედავს, როგორ იქცევა გოგოს პირი, ენითა და კბილებით გამოტენილ ღიმილად. ბიჭი ამ ღიმილის მნიშვნელობას ხვდება და შეშინებული ყვირის:

– არა! არა! არა! – წამოხტომა უნდა, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვრის, თითქოს მოაჯადოვეს. სწორედ ამ დროს ლემპიცკა, რომელიც სიზმარში ბიჭია, თავის ცხოვრებაში პირველად განიცდის ერექციას. ოჰარაშკა ბრძანებს:

– ჭამე!

შეშინებული ბიჭი შვრიის ფაფით სავსე კოვზს პირისკენ მიაქანებს და ჭიქასაც სულმოუთქმელად იყუდება. ოჰარაშკა მაგიდის ქვეშ ძვრება, თავით მუხლებს უშლის, ქამარს უხსნის და კანფეტივით წუნნის. ბიჭი წვენის სმას წყვეტს, გოგო კი ხარბად ენაფება სითხეს, რომელიც მის პირში ჩაედინება.

როცა რაღაც ტკბილი და ბლანტი ბიჭის სხეულს ტოვებს, სიზმარი წყდება და მადამ ლემპიცკას ეღვიძება. ის ტირის.

სიზმრისგან მიღებული ემოცია იმდენად მძაფრია, რომ მადამ ლემპიცკა მძინარე ერლანგენს ანჯღრევს და ეუბნება:

– სასწრაფოდ უნდა დავბრუნდე ევროპაში!

ერლანგენი ქალს დაბინდულ მზერას აპყრობს და უსიტყვოდ იცინის, ბოლოს კოცნის და პასუხობს:

– ჩემო მშვენიერო, ხვალ ისედაც მივემგზავრებით. შვებულება დამიმთავრდა და სამსახურს უნდა დავუბრუნდე.

Δ

დილა, როცა მაღამ ლემპიცკა სახლიდან გამოდის, ბრმაა, დღე კი სულელი. არავინ იცის, რომელი საათია, როცა ის შავ ლილავს თითს აჭერს. იქვეა წარწერაც:

წიშნების სახლი

ა. & ს. კ. უძრავი ქონების სააგენტო

- ჯანდაბა! მართალი იყავი! გამაგებინე, ვინ ხარ ასეთი? - ყვირის ლემპიცკა შესვლისთანავე და „სიზმრების გამყიდველს“ უყოყმანოდ სთხოვს თავისი მომავლის კიდევ ერთ მონაკვეთს.

ალექს კლოზევიჩის უღვაში ღიმილისგან იგრიხება. ის მკლავებს შლის:

- ალბათ უკვე დარწმუნდით, რომ მე არავის ვატყუებ. არც თქვენ გამიცურებიხართ. იმ საღამოს, ვახშმობისას, სხვა მხრიდან რომ მოდგომოდით მაგიდას, ან სხვაგვარად, მივხვდებოდი, რომ სიზმარი თქვენ არ გეკუთვნოდათ. ნება მიბოძეთ, პირდაპირ გითხრათ, რომ ამჯერად ფასი გაცილებით მაღალი იქნება.

- ასეთი რა უნდა მომყიდოთ? რატომ ღირს უფრო ძვირი?

- ამჯერად მარადისობის ნაწილს მიიღებთ, რაც გაცილებით სარისკოა და ძვირად ფასობს. თუმცა ვფიქრობ, აჯობებს, ამ საქმისგან თავი შორს დაიჭიროთ და კრაზანების ბუდეში არ აღმოჩნდეთ. დარწმუნებული არა ვარ, რომ შეთანხმების პირობების მოსმენა გინდათ.

- შეგიძლიათ, მითხრათ. მშიშარა ვარ, მაგრამ მხოლოდ უმნიშვნელო რამეების მიმართ. აბა, რა გაქვთ ჩემთვის?

- სიზმარი, რომელიც ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში უნდა გენახათ, დაახლოებით, ორ წელიწადში.

- წინა სიზმრისგან რით განსხვავდება?

- შემეძლო, ნებისმიერი სიზმარი შემომეთავაზებინა, რომელსაც მომავალში იხილავთ, მაგრამ ეს სიზმარი სხვებს არ ჰგავს. თქვენ მისი ნახვა არ გინერიათ, რადგან ოცდაჩვიდმეტ წლამდე ვერ იცოცხლებთ. ეს სიზმარი მარადისობიდანაა, სამარიდან, მაგრამ მაინც თქვენ გეკუთვნით. ვწუხვარ, რომ ამის თქმა მიწვეს, მაგრამ სხვაგვარად მოლაპარაკებას ვერ გავაგრძელებდით.

- რა იცით, რომ ოცდაჩვიდმეტ წლამდე ვერ მივალწევ?

- ძვირფასო მადამ ლემპიცკა, მე კარგად შემეძლია ასეთი რამეების გამოთვლა. თუკი ჩემი გარდაცვალების დღე ვიცინიწინასწარ, თქვენი რატომ არ უნდა ვიცოდე? თქვენ ოცდაჩვიდმეტ წლამდე ვერ იცოცხლებთ. ერთადერთი, რაც თქვენი არარსებული მომავლიდან შემეძლია, მოგცეთ, სიზმრის ნაგლეჯია, სიზმრის, რომელსაც ნახავდით, უფრო დიდხანს რომ გეცოცხლათ.

- კი მაგრამ, როგორ ხდება ეს?

- როცა ჩიტს იჭერ, ხელში მისი რომელიმე ნაწილი კი არ გრჩება, არამედ თავად ჩიტი, მნიშვნელობა არა აქვს, დიდია თუ პატარა. ასეა სიზმრებიც. შენი სიზმრის ის ნაწილი, რომელსაც ვერასოდეს ნახავ, მარადისობაში ლივლივებს, ისევე, როგორც ჩიტი, რომელიც მანამდეც არსებობდა, სანამ შენ მას შეამჩნევდი. სხვა მაგალითიც შემეძლია, გითხრა: თმა და ფრჩხილები ზრდას აგრძელებენ ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, არც სიზმარი კვდება, რადგან მის დასრულებას ერთი სიცოცხლე არ ეყო.

- დისტელიმ თუ მიიღო რაიმე მინიშნება, როგორ მოკვდებოდა? სხვაგვარად რომ აგისხნათ, შემეძლია, დისტელის სიზმრის ის ნაწილი ვნახო, რომელიც მარადისობის წიალიდან მოიპოვეთ, მაგრამ პატრონმა ვერ მოასწრო მისი დასიზმრება, გარდაცვალების გამო?

- ეს შეუძლებელია. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ დისტელიმ მთელი სიზმარი ნახა, სიკვდილის შემდგომი ნაწილის ჩათვლით. გარდა ამისა, მასთან სულ სხვა პირობები არსებობდა. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თქვენი სიზმარი, რომლის დაჭერაც მოვახერხე, თქვენი განსვენებული საყვარლის, მისტერ დისტელის სიზმარზე ასი წლით ახალგაზრდაა. მისი სიზმარი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანაა, თქვენი კი მეოცეს ადრეულ პერიოდს ეკუთვნის.

- ეს რას ნიშნავს?

- მნიშვნელობა თუ გაინტერესებთ, ფროიდის რომელიმე მიმდევარს უნდა მიმართოთ და არა მე. მე არც ექიმი ვარ, რომ გიმკურნალოთ, არც ჯადოქარი, რომ გინანასწარმეტყველოთ, რა მოხდება. არც პოლიტიკოსი გახლავართ, რომ უკეთეს ცხოვრებას დაგპირდეთ, არც კიბერკაპიტალს ვმართავ, რომ დიდებული ხვალინდელი დღე დავიცვა და გადავარჩინო. მე მხოლოდ ვვაჭრობ და არაფერი შემიძლია გარდა იმისა, რომ მოგყიდოთ თქვენი მომავალი, ისეთი, როგორიც არის.

5.

ADDICT DIOR + DOLCE & GABBANA + POISON

მადამ ლემპიჯკა „ნიშნების სახლად“ წოდებულ „ტა-
ძარში“ ზის, უსმენს „მომავლის გამყიდველს“, რომელიც
დისტელის და მისი სიზმრების შესახებ ლაპარაკობს და
ამბობს:

– ე. ი. თქვენ შეგიძლიათ, ერთმანეთისგან განასხვავოთ
თქვენი კლიენტების სიზმრები, ისევე, როგორც ზოგიერთი
ქალი არჩევს რწყილის ნაკბენს კოლოს ნაკბენისაგან.

– თუ იმას გულისხმობთ, რომ სიზმრები მწარედ იკბი-
ნებიან, მაშინ დიახ, მართალი ბრძანდებით.

– თემას დავუბრუნდეთ. მითხარით, რა უნდა გავაკეთო
იმისთვის, რომ სამარის მიღმა დარჩენილი მომავლის
სამოცდათერთმეტი წამი დამესიზმროს? რა არის მარადი-
სობის საფასური? თქვენ თქვით, რომ პირობები საკმაოდ
რთულია. მტკივნეულია მიცვალებულთა სიზმრების ნაკ-
ბენი?

– უფრო მეტიც.

– ეს როგორ გავიგო? – კითხულობს მადამ ლემპიჯკა.
მისი გამჭვირვალე ენა ტუჩებს შორის სრიალებს, როგორც

ყოველთვის, როცა მნიშვნელოვან პასუხს ელოდება. ის ჩუმადაა. თვალები დახუჭული აქვს.

- ადამიანი უნდა მოკლათ.

ლემპიცკა თვალებს ახელს:

- ესაა ერთ-ერთი პირობა?

- კი, მაგრამ რადგან თქვენ ოცდარვიდმეტი წლის ასაკამდე გარდაიცვლებით, ვფიქრობ, საყოყმანო არაფერია. თუმცა უნდა შეგახსენოთ, რომ ზუსტად არ ვიცი, როდის მოკვდებით, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ აღნიშნულ ასაკს ვერ გადააბიჯებთ.

- გამოდის, რომ შესაძლოა, უფრო ადრეც მოკვდეთ? რამდენად ადრე?

- არ ვიცი. სამწუხაროდ, ვერ გამოვთვალე.

- უთქვამს ვინმეს თქვენთვის, რომ საოცრად დახვეწილი და ზრდილი ნაგავი ხართ?

- ნუ ბრაზობთ, მაძამ ლემპიცკა. ჯერ ყველაფერი კარგად ანონ-დანონეთ. არ აჩქარდეთ. თუ კიდევ გაქვთ რაიმე ეჭვები, მიუხედავად ჩვენთან თანამშრომლობის პოზიტიური გამოცდილებისა, კარგად დაფიქრდით ახალ შემოთავაზებაზე. ნუთუ არ გსურთ, იხილოთ ფრაგმენტი მომავლისა, რომელსაც სხვაგვარად ვერასოდეს ნახავთ? ნუთუ არ გსურთ, გახდეთ მონაწილე ამბისა, რომელიც თქვენი სიკვდილის შემდეგ მოხდება? ნუთუ ასეთი უნიკალური ეგზემპლარის მოსაპოვებლად უმნიშვნელო მსხვერპლის გაღება არ გიღირთ?

- მაგრამ ვინ... ვინ უნდა... თუკი გადავწყვეტ?

- შეგიძლიათ, არჩევანი თავად გააკეთოთ, მაგრამ, ძვირფასო მაძამ ლემპიცკა, არც ისე რთულია, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე აირჩიოთ ადამიანი, რომლისთვისაც სიცოცხლის მოსწრაფებას ისურვებდით. ნუთუ არავინაა, ვინც გძულთ, ან, დავუშვათ, ვისზეც ეჭვიანობთ?

- არ ვიცი. არ ვიცნობ ასეთ ადამიანს, თუმცა ყნოსვით ვგრძნობ, რომ უნდა არსებობდეს.

- მაშინ დაფიქრდით, გადაამოწმეთ და როცა დარწმუნდებით, იმოქმედეთ. არ დაგავეინყდეთ - მკვლელობა ჩემი თანდასწრებით უნდა მოხდეს, რათა დაერწმუნდე, რომ ნამდვილად მოკალით. ეს შეთანხმების ნაწილია.

მოსმენისას ლემპიცკას გონება სხვაგანაა. „ჩემი ფისუნია მეზიზღება“ - ჩურჩულებს ის. რაც ეგვიპტიდან დაბრუნდნენ, ერლანგენს სულ ორჯერ ელაპარაკა, ვერც მობილურზე უკავშირდება, ვერც ბანკში პოულობს. ის ყოველთვის „ანგარიშს წერს“, ან „თათბირზე“. სახლში მისული კი მობილურს თიშავს.

- ნეტავ საკუთარი ბალიში მაინც თუ აქვს? რამდენ ბალიშზე შეიძლება, კაცმა თავი დადოს? - ფიქრობს ნიშნების სახლიდან გამომავალი ლემპიცკა და განრისხებული მიემართება ბანკისკენ.

- მისტერ ერლანგენი ადგილზე არ გახლავთ, მოგვიანებით კი თათბირი აქვს.

მადამ ლემპიცკა ხვდება, რომ ნებისმიერი მცდელობა, დაიყოლიოს ერლანგენის თანაშემწე შეხვედრის დანიშვნაზე, ფუჭად ჩაივლის, ამიტომ მხოლოდ სეიფის გახსნას ითხოვს.

ვარდისფერი ავეჯით მორთულ ოთახში ის ბანკის თანამშრომელ, ცხენივით გაპრიალებულ, ზეთისხილისფერ ქალთან ერთად ზის და ბელა ბარტოკს უსმენს. აუტანელი მუსიკის ყოველი ბგერა ლემპიცკას ბრაზს კიდევ უფრო ადუღებს. როგორც კი ვერცხლის მრგვალი კარი იღება, ქალი სეიფიდან „მაგნუმს“ იღებს და თავის ზურგჩანთაში ათავსებს. შარფს ისევ ყუთში დებს. ლემპიცკა ბანკს სწრაფად, თითქმის სირბილით ტოვებს, „მომავლის გამყიდველს“ ურეკავს და სთავაზობს, მივიდეს ბალითა და ტბით გარშემორტყმულ ვილაში, სადაც ერლანგენი ცხოვრობს.

ლემპიცკა და კლოზევიჩი შესასვლელთან ყოვნდებიან. შემოდგომა დგას. ტბაზე ფოთლები ცვივა, თითქოს წყლის ზედაპირს ტყე გადაჰფენია. კარი ჩაკეტილია. ლემპიცკას გასაღები არა აქვს. კლოზევიჩი ფრთხილად აღებს საკეტს თავისი დანით, რომელსაც ბილეთს ეძახის. სახლი ცარიელი ჩანს, მაგრამ მეორე სართულიდან მალევე ისმის ქალის ხმა, რომელიც, მისი აზრით, შინ დაბრუნებულ მასპინძელს უხმობს:

– ძვირფასო, აქა ვარ!

ნახევრად შიშველი ქალი ოთახიდან გამოდის. მაღალი ჩექმები სასქესო ორგანომდე წვდება.

აღუქს კლოზევიჩი ძლივს ასწრებს გააზრებას, რომ მისი მოლოდინი გამართლდა. შორიდან გრძნობს „Poison“-ის მკრთალ სუნს და ხვდება, რომ ქალი, რომელიც კიბეზე ჩამოდის, „Plusquam City“-ს აღმასრულებელი საბჭოს წევრი ლივია ჰეხტია და მას ლემპიცკა სამი გასროლით კლავს. „მაგნუმიდან“ სამი ტყვია ვარდება, მაღამ ლემპიცკას თვალებზე კი ეჭვიანობისა და მრისხანების სამი ცრემლი ჩნდება.

სწორედ ამ დროს სახლი Dolce & Gabbana -ს სურნელით ივსება. აღუქს კლოზევიჩი სასწრაფოდ იმალება ფარდის უკან. ჰოლში ერლანგენი შემოდის. ის სამსახურიდან ბრუნდება. ჩანს, უკვე უნახავს გატეხილი საკეტი. ხელში თავისი „მაგნუმი“ აქვს მომარჯვებული.

ერლანგენი ყვირის:

– ლემპიცკა, დააგდე იარაღი! – მაგრამ ქალი მისკენ ტრიალდება და უმიზნებს. ორივე ერთდროულად ისვრის. მაღამ მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიცკა უსულოდ ეცემა, ერლანგენი კი ოდნავაა გაკანრული. ლემპიცკას რევოლვერი ცარიელი აღმოჩნდა – მასში მეშვიდე ტყვია არ იდო.

ახლა ალექს კლოზევიჩმა უნდა მოიფიქროს, როგორ გაძვრეს შეუმჩნეველად, მიუხედავად იმისა, რომ სახლის პატრონი მისგან ორ ნაბიჯში დგას. ერლანგენი მშვიდად იღებს თავის „სონი ერიქსონს“ და პოლიციაში რეკავს. სწორედ ამ დროს კლოზევიჩი ამჩნევს, რომ მადამ ლემპიცკას ფრჩხილებზე ლაქი ფერს იცვლის – ჯერ ატმისფერი ხდება, მერე ყვითელი, მერე მწვანე და წითელი, ეჭვიანობისა და მრისხანების ცრემლები კი იმსხვრევა და იფანტება. „ნეტავ სიკვდილის ფერი რომელია?“ – ფიქრობს კლოზევიჩი. ის სამალავიდან გამოდის და ერლანგენს უკნიდან უახლოვდება.

– აქ რა ხდება? მთელი მსოფლიო შეიშალა!

– ვინ ოხერი ხარ? – კითხულობს გაოცებული სახლის პატრონი.

– გამვლელი. სროლის ხმა გავიგონე და ღია კარში შემოვედი, ვიფიქრე, დახმარება დაგჭირდებოდათ. მე უკვე თქვენი მოწმე და ალიბი ვარ. დავადასტურებ, რომ თავდაცვის მიზნით ისროლეთ, მაგრამ ახლა უნდა წავიდე. ჩემს ნომერს დაგიტოვებთ. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, დამირეკოთ. ერვინი მქვია.

ამ სიტყვებით კლოზევიჩი მისტერ ერლანგენს ნომერს აწერინებს: 0389-430-23066 და სახლიდან სწრაფი ნაბიჯით გადის, რადგან შორიდან უკვე ისმის პოლიციის მანქანების საყვირების ხმა.

ნახილნი მართხე

განარჩენი

მორის ერლანგენის სასამართლოზე, რომელსაც მა-
დამ მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიცკას მკვლელობაში
ედებოდა ბრალი, მოკლულის დის, სოფია ანდროსოვიჩის
მიერ დაქირავებულმა ადვოკატმა და გარდაცვლილი
მომღერლის, მათიას დისტელის წარმომადგენელმა, ახა-
ლი ბრალდება წამოაყენეს: ალექსანდრ კლოზევიჩი და
მისი სავაჭრო კომპანია „ნიშნების სახლი“ დისტელისა
და ლემპიცკასათვის სიზმრების უკანონოდ მიყიდვაში
დაადანაშაულეს.

სასამართლომ ორი განსხვავებული განაჩენი გამო-
იტანა.

- მორის ერლანგენს მიესაჯა პატიმრობა თავდაცვის
მცდელობის გადამეტებისთვის, რამაც ლემპიცკას სიკვ-
დილი გამოიწვია.

- სასამართლომ დაადგინა, რომ ა. კლოზევიჩმა უკა-
ნონოდ მიიღო ანაზღაურება თავისი კლიენტის, ან გან-
სვენებული მადამ ლემპიცკასგან, თავის მხრივ კი არ გას-
წია სათანადო მომსახურება და არ გადასცა ლემპიცკას
ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქცია, მიუ-
ხედავად იმისა, რომ კლიენტს წინასწარ შეთანხმებული
არც ერთი პირობა არ დაურღვევია. განაჩენი ეფუძნება

ბრალდებულის, ალექსანდრ კლოზევიჩის აღიარებას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

„მოუხედავად იმისა, რომ მაღამ მარკიზინ ლემპიცკამ პირნათლად შეასრულა „ნიშნების სახლის“ მიმართ ნაკისრი ვალდებულებები, მისთვის სიზმრის გარდაცვალების შემდგომი ნაწილის წინასწარ გადაცემა ვერ მოხერხდა, რადგან მარკიზინი მანამდე მოკლეს. მზად ვარ, ზარალი ავუნაზღაურო მის მემკვიდრეებს, თუკი დამტკიცდება, რომ სარგებელი უკანონოდ მივიღე. თუმცა თავს დამნაშავედ არ მივიჩნევ“.

სასამართლომ ალექსანდრ კლოზევიჩს აღიარების საფუძველზე, დააკისრა შეთანხმების დარღვევით გამოწვეული ზარალი აუნაზღაუროს გარდაცვლილი მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიცკას მემკვიდრეს, მის სოფია ანდროსოვიჩს. ასევე, მიღებული სარგებელი სასამართლომ უკანონოდ სცნო.

• ალექსანდრ კლოზევიჩი გამართლებულია შემდეგ ნაწილში – მან სრულად გადასცა შეძენილი სიზმარი (71 წამი) ბატონ დისტელის, რაც მტკიცდება ორ გარემოებაზე დაყრდნობით:

ა. როგორც ექიმები ამტკიცებენ, სიკვდილისწინა აგონიაში მყოფმა დისტელმა მაღამ ლემპიცკას უთხრა, რომ მომავალში იმოგზაურა და დაამატა: „მარტოობის დასასრულს სიკვდილი იწყება“. კლოზევიჩის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი სიზმრებიდან ვიგებთ, რომ სწორედ ესაა დისტელის სიზმრის ფინალური წინადადება.

ბ. ა. პუნქტის შესაბამისად, ვასკენით, რომ მაღამ ლემპიცკამ კლოზევიჩთან შეთანხმება დადო მას შემდეგ, რაც მის საყვარელს, დისტელის, პრეტენზია არ გამოუთქვამს „ნიშნების სახლის“ მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

ვასკვნით, რომ კლოზევიჩმა დისტელის გადასცა სრული სიზმარი, რის შედეგადაც დისტელის პუშკინი დაესიზმრა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მოვაჭრე ვერ დაისჯება შემოსავლის უკანონოდ მიღების გამო.

- უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ ვერ დაადგინა კავშირი ლემპიცკას შემთხვევასა და იპოდრომის ნაძლევების მენეჯერის, ისაია კრუსის სიკვდილს შორის. ეს უკანასკნელი დანაშაული დღემდე გაუხსნელი რჩება უფროსი ინსპექტორის, ეუჯინ შტროსის მცდელობის მიუხედავად.

მინაწერი:

დისტელი-ლემპიცკას საქმის მსვლელობისას „ნიშნების სახლს“ დაეკისრა ვალდებულება, სასამართლოსთვის წარედგინა ანგარიშები დისტელისა და ლემპიცკასათვის მიყიდული სიზმრების შესახებ. აღნიშნული ანგარიშები მომზადებული და ხელმოწერილია ალექსანდრ კლოზევიჩის მიერ და ინახება სასამართლოს არქივში, განცალკევებით, დისტელისა და ლემპიცკას საქალაქდებში. გამოძიების დროს უფროსმა ინსპექტორმა შტროსმა დაადგინა, რომ „ნიშნების სახლში“ დაცულია დისტელისა და ლემპიცკას სიზმრების აღწერა. ორივე მათგანის შესახებ არსებობს აუდიოჩანაწერი, სადაც ალექსანდრ კლოზევიჩი სიზმრების შინაარსს ყვება.

კლოზევიჩის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი ანგარიში და ჩანაწერები დანართის სახითაა მოცემული.

დანართი
ანგარიში სიზმრების შესახებ

ანგარიში შესულია:

1. „პუშკინის სიკვდილის სიზმარი“, რომელიც წარმოადგენდა ხელშეკრულების საგანს ოპერის მომლერალ მათიას დისტელის, როგორც მყიდველს და „ნიშნების სახლს“, როგორც გამყიდველს, შორის.

2. „ნაბიჯების სიზმარი“, რომელიც წარმოადგენდა ხელშეკრულების საგანს მაღამ მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიკვას, როგორც მყიდველს და „ნიშნების სახლს“, როგორც გამყიდველს, შორის.

ანგარიშის პირველი ნაწილი

მომზადებულია ალექსანდრ კლოზევიჩის მიერ, სასამართლოს მოთხოვნით.

სასამართლოსა და უფროსი ინსპექტორის, ეუჯინ შტროსის მოთხოვნით, მე, ქვემოთ ხელმოწერი ალექსანდრ კლოზევიჩი, მოვაჭრე-ასტროლოგი და „ნიშნების სახლის“ - ა. & ს. კ. მოძრავი ქონების სააგენტოს მფლობელი, ვიძლევი ამ ჩვენებას სრული მორალური, პროფესიონალური და მატერიალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

შექმნილი გარემოებიდან და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მოხოვეს აღმედგინა, მეამბნა და გამეანალიზებინა ან განსვენებული მომღერლის, მათიას დისტელისა და მადამ მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიციკას სიზმრები, რომლებიც მათ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ნახეს. ზემოთ ხსენებული თანამდებობის პირების მოთხოვნისამებრ, წარმოვადგენ ანგარიშს, ორი ჩანაწერისა და მოცემული შენიშვნის სახით:

„სიღრმისეულ ფსიქოლოგიაში სიზმრების ახსნა უბრალო, თითქმის მექანიკური ამოცანაა, რომელსაც მხოლოდ მოსამზადებელი დანიშნულება აქვს. გაცილებით რთულია, აღადგინო ამომწურავი ტექსტი, რომელიც, თავის მხრივ, სიზმრის ინტერპრეტაციაა. სიზმრის დაწვრილებით გასახსენებლად და მისი შინაარსის გასაგებად საჭიროა ფსიქოლოგიური მომზადება, ფრაგმენტების გაერთიანების ნიჭი, ინტუიცია, სამყაროს და ხალხის შეცნობის უნარი. ყველაზე მნიშვნელოვანი კი გარემოებების სპეციფიკური ცოდნა და „გულის გონიერება“ (ჰელმუტ ჰარკი, „Lexikon Jüngscher Grundbegriffe“).

ჩემთვის რთულია, ვამტკიცო ის, რაც თავად სიზმარში სიტყვებით კი არ ჩანს, არამედ, ფიქრის მსგავსად, ბევრი მიმართულებითაა გაფანტული და ვიზუალურად, ან შეგრძნებების დონეზე გამოიხატება. სიზმრები არ შეიცავენ ვერბალურ პასუხებს ჩვენს კითხვებზე, ისინი თავისუფლად ლივლივებენ სივრცეში, სადაც დრო არ არსებობს და საკმარისია, მათი სიტყვებად ან ნაწერებად გადაქცევა ვცადოთ, მაშინვე კარგავენ მომხიბვლელობას და სიგრძეში იკარგებიან. ისე ჩანს, თითქოს თითოეული მათგანი უფრო დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე სინამდვილეში. ჩემ მიერ რამდენიმე გვერდზე აღწერილი ორი სიზმრის ხანგრძლივობა მხოლოდ რამდენიმე ათასი წამი იყო. სიზმარს, შიშის მსგავსად, სიგრძე არ გააჩნია, მხოლოდ სიღრმე და სიგანე აქვს.

მიუხედავად ამისა, დიდი მცდელობის შედეგად, დღის სინათლეზე გამომაქვს ორი სიზმრის შინაარსი და ვიტოვებ იმედს, რომ ჩემი ქმედება ხელს შეუწყობს სიმართლის დადგენას. სხვა სახის დახმარების განევა ჩემს ძალებს აღემატება.

დასასრულს, ნება მიბოძეთ, აღვნიშნო, რომ დისტელის სიზმარი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანაა და ყველაფერს, რაც გარშემო ხდება, ძალზე რეალისტურად აღწერს, რადგან ის სამყაროს პუშკინის თვალით ხედავდა და არა საკუთარი პოზიციიდან. გარდა ამისა, სიზმარში დისტელიმ ხუთი სხვადასხვა შიში განიცადა. ჩემს ნაწერს სწორედ ამ შიშების მიხედვით ვყოფ.

ალექსანდრ კლოზევიჩი

სიზმარი პუშკინის სიკვდილის შესახებ

ჩანაწერი I

ოპერის განსვენებული მომღერლის,
მათიას დისტელის სიზმარი
პუშკინის სიკვდილის შესახებ.

(აღწერილი ა. ს. კლოზევიჩის მიერ,
ისე, როგორც შესაძლებელი იყო
მისი აღდგენა და გადმოცემა)

პირველი შივი

მომღერალ დისტელის სიზმარში ალექსანდრ სერგეევიჩ პუშკინი დაბალი, გამხდარხ და ძალიან თმიანია. დისტელის თავიდან ვერ იცნო პოეტი. მის ვინაობას მაშინ მიხვდა, როცა პუშკინმა ოთახი გადაჭრა, ფანჯარასთან მივიდა, ხელის მოძრაობით ვენერას ნიშანი გამოსახა და ცერა თითის ფრჩხილს აკოცა. ცერა თითზე პუშკინს ბეჭედი მოუჩანდა. გარეთ ქარიშხლიანი ღამე იდგა. ფანჯრიდან შემოჭრილ ხმაურში რუსული სტრიქონები გაისმა.

ზეცა ნისლმა გადაფარა,
ფიფქებს ებრძვის ქარიშხალი,

ხან მხეცივით ყმუის, ხანაც
წუხს ბავშვივით მოტირალი.

ფანჯრის შიგნით მეორე, უფრო პატარა ფანჯარა – „ფორტოჩკა“ მოჩანდა, რომელიც პუშკინმა გამოაღო. ოთახში თოვლის ნამქერი შემოიჭრა.

შემდეგ ალექსანდრ სერგეევიჩი სავარძელში ჩაესვენა. მის გვერდით, ტახტზე, უზარმაზარ ძალღს ეძინა – უმშვენიერეს თეთრ არსებას ოქროსფერი თავით. მათ წინ, კედელზე, პუშკინის დიდი ბაბუის პორტრეტი ეკიდა, რომელზეც პოეტის წინაპარი პეტრე დიდის დროინდელი ოფიცრის ფორმაში გამოესახათ. დიდ ბაბუას მუქი, თითქმის შავი კანი ჰქონდა, ვერცხლისფერი პარიკი ეხურა, მკლავებზე კი ხმალი მოუჩანდა. პუშკინმა მას კითხვით მიმართა:

– როგორ შეუძლია ადამიანს, დემონი ოთახში შემოიჭყუოს? როგორ შეუძლია, აიძულოს, მის კითხვებს გასცეს პასუხი? რა ძალა, რა ჯადოქრობა უნდა გამოიყენოს, რომ დემონმა მომავალი გადაუშალოს თვალწინ?

ნახატზე, დიდი ბაბუის ხელმარცხნივ, წიგნების მომცრო გროვა მოჩანდა, გროვის ქვემოთ კი გაურკვეველი საგანი, რომელიც ნახატიდან თითქმის ამოეჩიჩქნათ და მისი ფორმის გარჩევა შეუძლებელი გამხდარიყო. დიდ ბაბუას თითები წიგნზე ეწყო, ისე, თითქოს გაურკვეველი საგნისკენ მიანიშნებდა. როგორც ჩანდა, პასუხის პოვნა პუშკინის კითხვაზე სწორედ აქ შეიძლებოდა. ალექსანდრ სერგეევიჩმა მშვენიერად იცოდა, რა იყო წაშლილი ნივთი, რადგან ეს ნივთი ჯერაც მისი მშობლების სახლში იდგა, სწორედ იმ მაგიდაზე, სადაც ასი, ან მეტი წლის წინ, ზემოხსენებული პორტრეტი შეიქმნა – ეს იყო პუშკინის დიდი ბაბუის სკივრი, ტყავის ქმნილება, მეტალის დეტალებით. ალექსანდრ სერგეევიჩი სკივრთან მივიდა და გახსნა.

სკივრში „ვუდუს“ ნემსები და სხვადასხვა იმპერიის დროინდელი, უსარგებლო მონეტები ეყარა ქისით. მონეტებსაც, ნემსების მსგავსად, ჯადოსნობისთვის იყენებდნენ.

სკივრის გახნისას ალექსანდრ სერგეევიჩმა მეხსიერების სიღრმიდან გამოიხმო ლეგენდები დიდი ბაბუისა და მისი აფრიკული წარმომავლობის შესახებ, რომელიც მის ოჯახში თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ის ამბავიც გაიხსენა, როგორ დამალა დიდმა ბაბუამ თმაში ჯადოსნური ნემსები და აფრიკიდან რუსეთში ჩამოიტანა, როცა ტყვეებით მოვაჭრეებმა გაიტაცეს და გრაფ სავა ვლადისლავიჩ რაგუსინსკის მიჰყიდეს კონსტანტინოპოლში. გრაფი თავადაც განსწავლული იყო მისნობაში და ძირითადად მონეტებით ჯადოქრობდა. ჩანს, ბიჭის ყიდვა სწორედ იმიტომ გადაწყვიტა, რომ მის თმაში „ვუდუს“ ნემსები შენიშნა. მან ახალგაზრდა, შავკანიანი მონა რუსეთში ჩაიყვანა და პეტრე დიდს წარუდგინა, რომელმაც ბიჭი აბრამ პეტროვიჩ ჰანიბალად მონათლა, სამხედრო სკოლაში მიაბარა და რუს დიდგვაროვან ქალზე დააქორწინა.

– თუკი საკუთარი თავის შესახებ სიმართლის გაგება გინდა, მტერს უნდა მოუსმინო, – ამბობდა ჰანიბალი. მისი სიტყვები ოჯახში კარგად ახსოვდათ, – მხოლოდ მტერს შეუძლია, ყველაფერი გითხრას. ნემსები სწორედ ამისთვისაა.

– ვინ არის ადამიანის ყველაზე დიდი მტერი? – შეკითხვების დასმა განაგრძო პუშკინმა და პასუხი თავადვე მალე იპოვა. – ეჭვგარეშეა, ეშმაკი. ამიტომაც ნემსებით უნდა დაუკარგო მოსვენება, გამოიძახო და აიძულო, გითხრას, როგორია შენი ბედისწერა. მაგრამ საინტერესოა, როგორ უნდა აღმოაჩინო დემონი? იქნებ ვინმე ისეთს გადაეყარო,

ვისაც ბოროტი ძალა არასოდეს უნახავს? ამიტომ კარგად უნდა იცოდე, დემონი როგორია და ამოიცნო იგი. ამბობენ, რომ ადამიანები ეშმაკს ხედავენ, ეშმაკი კი ღმერთს. იმასაც ამბობენ, რომ უწმინდურის ცრემლები უმარილოა. სანამ ჭამას დაიწყებს, კერძს ყოველთვის მარილს უმატებს. მას უნაკლო ყნოსვა აქვს და მსხვერპლის სუნს კილომეტრებიდან გრძნობს. კიდევ ერთი რამაა აღსანიშნავი, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანიც – დემონი ადამიანივით იკვებება, მაგრამ ვერაფერს ინელებს. თუ ჭიქა წითელ „ტოკაის“ დალევს, წითელ „ტოკაისვე“ მოშარდავს. თუ თევზს შეჭამს, განავლის ნაცვლად, მთელ თევზს გამოაგდებს, რომელიც შეგიძლია, აილო და ისევ სუფრაზე დადო. სწორედ ამიტომ დემონი სამყაროს გლობალურ ბრუნვაში არ მონაწილეობს.

ასეთი ფიქრები ირეოდა ალექსანდრ სერგეევიჩის თავში, რომელმაც შესანიშნავად იცოდა, რომ გრაფ რაგუსინსკის ქისა და მისი დიდი ბაბუის ნემსები ერთ სკივრში შემთხვევით არ მოხვედრილა.

– მთავარს დავუბრუნდეთ. იმედია, ჩემი დიდი ბაბუა ჰანიბალის ნემსებს, გრაფ რაგუსინსკის ძველ მონეტებთან ერთად, ჯერ კიდევ შერჩენიათ ძალა. საინტერესოა, იმოქმედებს თუ არა აბრამ პეტროვიჩ ჰანიბალის აფრიკული მაგია და გრაფ სავა რაგუსინსკის ბალკანური ჯადოქრობა. არ უნდა დამავიწყდეს, რომ დიდი ბაბუის თმა მაქვს, ნამდვილი აფრიკული თმა, რომელიც მინიშნება იქნება ნემსებისთვის ჩემს ამოსაცნობად.

ალექსანდრ სერგეევიჩმა კულულები მოიჭრა და სკივრში ჩაყარა, შემდეგ ვინმე არინა როდიონოვნას დაუძახა და სთხოვა, სამზარეულოდან ნაჭრის სამი თოჯინა გამოეტანა – თოჯინები ფუმფულა კაბებით, რომლებსაც ჩაიდნებისთვის, ორცხოობილებით სავსე კალათებისთვის და მოხარშული კვერცხებისთვის სითბოს შესანახად იყენებდნენ.

თოჯინებიდან ერთი ნაცრისფერწვერიანი ბერი აღმოჩნდა, წელზე ბანრით შემოჭერილი ფართო ანაფორით, მეორე – ახალგაზრდა ქალი, ხაბარდიანი, წითელი კაბითა და გაფოთლილი თმით, მესამე კი ხმალშემორტყმული ახალგაზრდა კაცი, ოქროთი მოკაზმული ტუნიკითა და გენერლის ეპოლეტებით.

– ესეც ასე, – წაიჩურჩულა ალექსანდრ სერგეევიჩმა და წიგნების კარადისკენ შებრუნდა, – ახლა კი გავიგოთ, რა გელოდება. მომიწევს, რომელიმე ისტორიული მოვლენა ავირჩიო და დროში ვიმოგზაუროთ.

მან კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“ და 1772 წლის ვენეციური გამოცემა, „რუსეთისა და პეტრე დიდის ისტორიის“ პირველი ტომი გადმოიღო, წიგნები მაგიდაზე დააწყო და ვენეციური წიგნი ფრჩხილით ალაღბედა და დააშალა. 1599 წელი. ბორის გოდუნოვის მეფობის უამი.

– ვნახოთ, აქ რა წერია. – თქვა პუშკინმა და კითხვას შეუდგა:

„ბორის გოდუნოვმა პრინცი დიმიტრი მოკლა და სამეფო ტახტზე ავიდა, თუმცა ის მალევე დაამხო ცრუ დიმიტრიმ, ვინმე გრიშკა ოტრეპიევმა. ცრუ დიმიტრის სამხედრო წარმატებით სასონარკვეთილმა გოდუნოვმა თავი მოინამლა. თვითმარქვია მალევე გამოაცხადეს მეფედ მოსკოვში. მან პოლონელ ჰერცოგინიაზე, მარინა მნიშეკ სენდომირსკაზე იქორწინა...“

პუშკინმა წიგნი დახურა და თოჯინებს მიმართა:

– მგონი, საკმარისია, რაც წაგიკითხეთ. არის რაღაცები, რაც საკუთარი თავის შესახებ თავად უნდა შეიტყუოთ. მოდი, სიცოცხლეს დავუბრუნდეთ – თქვენს სიცოცხლეს. ვენეციელი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ბორის გოდუნოვის ისტორია ერთდროულად კომედიაცაა

და ტრაგედიაც. რატომაც არა? ამბავსაც აქვს თავისი სარჩული და პირი, ისევე, როგორც თქვენ, თოჯინებს. ერთი და იგივე მოვლენა, შეიძლება, კომედიად იქცეს ქუჩაში და ტრაგედიად – ნიგნში. ვცადოთ. პირველ ყოვლისა, სამივეს აქვე მოგათავსებთ, რომ გაქცევა ველარ მოახერხოთ.

ალექსანდრ სერგეევიჩი მაგიდას მიუჯდა და ნერას შეუდგა. ერთმანეთის მიყოლებით, მწკრივებად გამოჰყავდა ფიგურები და ჩამწვარ სანთლებს ახლებით ცვლიდა. სიბნელე უკვე ტყდებოდა, როცა მან სკივრიდან ფრთხილად ამოკრიფა რაგუსინსკის ძველი მონეტები და მათი შემოწმება დაიწყო. ზოგიერთ მათგანს გვერდზე აწყობდა და ადარებდა, შეესაბამებოდა თუ არა გადარჩეული მონეტები მის გამოთვლებს, რომელზეც მთელი ღამე იმუშავა. შემდეგ პუშკინმა თოჯინებს დაავლო ხელი და თქვა:

– თქვენი ვინაობის გაცხადების დრო მოვიდა. გაგიმხელთ, რა გქვიათ.

პირველად ხმალშებმული თოჯინა დაიდო წინ:

– აბა, ვნახოთ, ვინ შეიძლება, იყო. ალბათ, გრიშკა. სახელი ძალიან გიხდება. თვითმარქვია. ცრუ დიმიტრი. ხომ არ გეშინია? რა თქმა უნდა, კი. ეს სამი მონეტა შენ გერგო. გრძნობებმა არ გძლიოს. რა მონეტებია? ყველაფერი გამოვთვალე: ერთი ვენეციური მონეტა, ერთი ბიზანტიური ვერცხლი და დუბროვნიკული დინარის ნახევარი. ძვირი არ ღირხარ. შევხედოთ... ჰო, შენ თვითმარქვია უნდა იყო, ცრუ მეფე. რუსეთის ვენეციური ისტორია ამბობს, რომ კაბა განიძარცვე და მონასტრიდან წამოხვედი, ლათინურს ისწავლი და რომის პაპს წერილებს მისწერ, რომ კრემლში ფებს შედგამ თუ არა, მაშინვე სასტიკი ქარი ამოვარდება. შენ ომში უნდა ნახვიდე და ჩემი წინაპარი, რომელიღაც

პუშკინი დაგეხმაროს. ძველი ნაცნობები გამოვდივართ. ორი საუკუნე გვაკავშირებს. ვენეციურ ისტორიაში ისიც წერია, რომ რუსეთს იქამდე მართავ დიმიტრის სახელით, სანამ ბრბო სასახლიდან გამოგათრევს და მოედანზე მოგკლავს. მაშინ კი დაუნდობელი ქარიშხალი კიდევ ერთხელ ამოვარდება.

ალექსანდრ სერგეევიჩმა თოჯინას ხმლით გადაუნია მოსასხამი და მკერდზე სამი მონეტა მიაკერა, თან ხმადაბლა ლილინებდა:

გლებებს ვერცხლი გადასდითო თავზე,
ვინ აწონოს მათი ქისა სავსე,
ვინც იმღერებს – განძიც ერგოს მასვე...

– შენთან ყველაფერი მარტივად მოგვარდა, გრიშკა.
– დაასკვნა ალექსანდრ სერგეევიჩმა და ხელში მეორე თოჯინა აიღო – ნაცრისფერწვერიანი, ფართო ანაფორაში გამონწყობილი ბერი.

– ე. ი. შენ ბერი ხარ. ბორის გოდუნოვის და თვით-მარქვია გრიშკას ღროს რუსეთის სამეფო კარზე ბევრი შენისთანა ტრიალებდა. ზოგიერთი ჩუდოვოს მონასტერში ცხოვრობდა, იქ, სადაც გრიშკა ოტრეპიევი აღიკვეცა და მსახურობდა მანამდე, სანამ გაიქცეოდა და მოსკოვისკენ მიმავალ პოლონელებს შეუერთდებოდა. ზოგიერთმა ბერმა საკუთარი თვალით ნახა, როგორ მოკლეს უგლიჩში უფლისწული დიმიტრი, გოდუნოვის დაკვეთით. შენ ერთ-ერთი მათგანი უნდა იყო. სახელს დაგარქმევ. პიმენი იქნები. გადანყვეტილია, ძმაო. ახლა კი დაჯექი და ჩემი სიტყვები ჩაინერე:

„ეს საბოლოო უარყოფაა,
ჩემი ცხოვრება აქ დამთავრდება“.

- ძალიან კარგი. ახლა შეგიძლია, დაისვენო. გამოთვლასაც გადავხედავ. ვერაფრით დავიმახსოვრე. რამდენჯერაც ვცადე, მხოლოდ ორი მონეტა გერგო, რაიმე ხომ არ გადაგიმაღლავს? ერთი თურქული აქჩა და ერთიც - გერმანული ვერცხლის თალერი. ვერაფერს გავანყობთ.

და პიმენად წოდებულ თოჯინას პუშკინმა ბერის ანაფორის ქვეშ გრაფ რაგუსინსკის მონეტები მიაკერა.

- შენი ჯერიც დადგა, მშვენიერო. ვიცი, რომ შენი გამოთვლის შედეგი მდედრობითია, ანუ ლუნი. ოთხი მონეტა გერგო: ერთი ნახევრად ვერცხლის თალერი, ერთი ოქროს მონეტა, ერთი ღუბროვნიკული დინარი და ერთიც აქჩა.

მან წითელკაბიანი თოჯინა აიღო, ფრთხილად აკოცა, ღილები შეუხსნა და მონეტები არშიაზე მიაკერა.

- შენ მარინა ხარ, მარინა მნიშეკ სენდომირსკა. მშვენიერი გოგო. საკმაოდ ძვირად ფასობ. შენ პოლონელი ჰერცოგინია იქნები, რუსეთის ცრუ დედოფალი, თვითმარქვია გრიშკას ცოლი. როცა მოსკოვში ჩახვალ, რომ მასზე იქორწინო, ძლიერი ქარი იქროლებს. როცა ბრბო შენს მატყუარა ქმარს სასიკვდილოდ განირავს, შენ ძიძის ხაბარდის ქვეშ შეძვრები და დაიმალები, ჰო, სწორედ ისეთი კაბის კალთას შეაფარებ თავს, როგორიც თვითონ გაცვია.

შემდეგ ალექსანდრ სერგეევიჩმა სამივე თოჯინას ერთად მიმართა:

- საჭირო დროს თქვენი გამოხმობა რომ შევძლო, ყველაფერი უნდა ვიცოდე: როგორ გამოიყურებოდით სიცოცხლეში, რას აკეთებდით, რას ამბობდით. ყველაზე კარგად ეს მაშინ გამომივა, თუ თქვენზე პიესას დავწერ, სადაც საკუთარ თავებს კიდევ ერთხელ იპოვით და თქვენს სამყაროს დაუბრუნდებით. თუ დავწერ პიესას ბორის გოდუნოვის, ცრუ მეფე გრიშკა ოტრეპიევის

და მისი მეუღლე მარინა სენდომირსკას ცხოვრებაზე, ორიოდ სიტყვას კი მამა პიმენის შესახებაც დავამატებ, სიცოცხლეს ხელახლა გარუქებთ. მაშინ უკვე შეგეძლებათ, ჩემთან გაჩნდეთ და უპასუხოთ კითხვებს, ასე რომ მტანჯავს... დღეისათვის საკმარისია!

კედელზე ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული ფლორენციული სარკე ეკიდა. მხოლოდ ოქრო შემორჩენილიყო. ხე მთლიანად შეეჭამათ ჭიებს. ტახტზე მწევარს ეძინა. სარკეში მკრთალად მოჩანდა ოთახში მოციმციმე სანთლის ანარეკლი. ალექსანდრ სერგეევიჩმა სარკეს სული შეუბერა და ოთახში ჩამოხვეწა.

სანამ ძილი თავს წაართმევდა, სიბნელეში ჩაძირულმა პუშკინმა გაიფიქრა:

- სხეული უფრო სწრაფად სწავლობს და ითავისებს ყველაფერს, ვიდრე სული, რადგან სულს წინ მარადისობა აქვს, სხეულს კი არა.

მეორე შიში

ოპერის მომღერალ დისტელის თავისი სიზმრის გაგრძელება მაშინვე დაესიზმრა, როგორც კი თავი ძილს მისცა. მან მაგიდასთან მჯდომი პუშკინი დაინახა და გაიგონა სიტყვები, რომელიც რუს პოეტს საკუთარი ხელით გამოჰყავდა:

- კალდერონი და ვეგა არ წამიკითავს, მაგრამ შექსპირი მართლაც დიდებულია! - სწერდა ალექსანდრ სერგეევიჩი თავის მეგობარს, ნიკოლაი რაიევსკის სწორედ იმ მომენტში, როცა მისი დაბადებიდან ოცდახუთი წელი შესრულდა. მიუხედავად ამისა, პუშკინის წინ, „ბორის გოდუნოვის“ ხელნაწერის გვერდით, ეწყობო არა შექსპირის ნიგნები, არამედ სამზარეულოს თოჯინები, რომლებიც

მან თავისი პიესის გმირებად: თვითმარქვია გრიშკა
ოტრეპიევად, მშვენიერ მარინად და ბერ პიმენად აქცია.

პუშკინმა „ბორის გოდუნოვის“ ხელნაწერი, რომელსაც
რამდენიმე წლის წინ დაუსვა წერტილი. დახურა და თო-
ჯინებს ღიმილით მიმართა:

– ესეც ასე, ჩემო ძვირფასებო. ტრაგედიის შუაგულში
ვართ. წიგნში ტრაგედია ტრიალებს, თუმცა ცხოვრებაში
ყველაფერი მაინც უფრო რთულია. აქ კომედია ბატონობს.
კომედია მტკივნეულია, თანაც ძალიან. ახლა მოგინევთ,
გზას დაადგეთ და რეალობაში შეაბიჯოთ. ცხოვრებაც
მტკივნეულია, ჩემო საყვარლებო. მალე ამას თავად მიხ-
ვდებით. დაიმახსოვრეთ – როცა დაგჭირდებით, ნემსების
დახმარებით გამოგიძახებთ.

პუშკინმა მარინა ხელში აიყვანა, წითელხაბარდიანი
თოჯინა და აქლემის ძვლის სახელურიანი ნემსი გულში
გაუყარა. სამოსს შიგნიდან ბიზანტიური და ვენეციური
მონეტების წკრიალი გაისმა. შემდეგ ალექსანდრ სერგეე-
ვიჩი იგივენაირად მოექცა ბერ პიმენად წოდებულ ფი-
გურას, ბოლოს კი ხმლიან თოჯინას მიადგა, რომელსაც
გრიშკას ეძახდა.

– გტკივათ? რა თქმა უნდა, გტკივათ. ცხოვრებაც
ასეთია, მაგრამ არ შეგეშინდეთ. უკვე შეგიძლიათ, და-
მოუკიდებლად აკეთოთ ყველაფერი. თქვენ მე აღარ
დაგჭირდებით. ველარ მიხილავთ იქამდე, სანამ მე არ
დაგიძახებთ, სანამ თქვენი მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუ-
კუნეებიდან ჩემს მეცხრამეტე საუკუნეში არ მოგიხმობთ
ნემსების ჩხვლეტით. და როცა ჩემთან თქვენი დროი-
დან დაბრუნდებით, თოჯინები კი აღარ იქნებით, არამედ
ხორცშესხმული, სისხლსავსე ადამიანები. ჩემგან გაქცევა
არ სცადოთ. გახსოვდეთ, თოჯინები აქ რჩება, ნემსებთან
ერთად. ყოველი ურჩობის ან გაუფრთხილებლობის გამო

ნემსი კიდევ უფრო ღრმად გაიკვალავს გზას თქვენი თოჯინის გულისაკენ. თქვენ ამას იგრძნობთ და მიხვდებით, რომ შეცდომები მტკივნეულია. ახლა კი გასწით, ჰადესის შვილებო! გზას გაუდექით!

მასაჩი შიში

დისტელის სიზმარი ზამთრის დღეს გაგრძელდა, როცა სიჩუმე უფრო ღრმა გახდა, ვიდრე სიტყვები. მოქმედება სანკტ-პეტერბურგში განვითარდა. დისტელის იქ არასოდეს უმოგზაურია, თუმცა სიზმარში როგორღაც იცოდა, რომ ქალაქი, რომელსაც ხედავდა, ჩრდილოეთ რუსეთის დედაქალაქი იყო, პუშკინი კი ეტლს მართავდა, რომელშიც ბერის კაბოსანი თოჯინა იწვა, მკერდიდან ამოჩრილი აქლემის ძვლის ტარიანი ნემსით. ეტლი წმინდა პეტრესა და პავლეს მონასტრის წინ გაჩერდა.

როგორც დისტელი ვარაუდობდა, პუშკინმა მონასტერში ანაფორიანი, ნაცრისფერ წვერიანი მამაკაცი დაინახა. გააოცა მისმა სიმაღლემ და სიგამხდრემ. პიმენი, რომელმაც სტუმრის დანახვისას ყვირილი მორთო, არც ისე ადვილი ამოსაცნობი აღმოჩნდა.

– როგორც იქნა, ალექსანდრ სერგეევიჩ, ბატუშკა! ღვთის გულისათვის, გამაგებინეთ, რას მიკეთებთ!

– დამლოცეთ და შემინდეთ, მამაო პიმენ, თუკი საერთოდ, ვიმსახურებ შენდობას. – მიუგო ალექსანდრ სერგეევიჩმა და ბერი ახლომდებარე ფუნდუკისკენ წაიყვანა. კართან რომ მივიდნენ, ის შეეტლეს მიუბრუნდა და უთხრა, გარეთ დალოდებოდათ, ოღონდ ეტლის სინათლეები არ ჩაექრო. ფუნდუკში შესულებმა შჩი, შემწვარი იხვი, სოკო, სტრასბურგული ღვეზელი და ორი ბოთლი წითელი „ტოკაი“ შეუკვეთეს. სანამ ვახშმობდნენ, ბერს წუნუნი არ შეუნყვეტია.

- ჰაერში გამოკიდებული დამტოვეთ, ბატუშკა, და აღარ გაგხსენებივართ. არც აქეთა ვარ, არც იქით. ყური მოვკარით, რომ თქვენი აღმატებულება პოეტი გამხდარა, ამბობენ, სიზმრებს ლექსებად ნახულობთ, მაგრამ მაინც ნება მიბოძეთ, ვიკითხო, როდემდე უნდა ვიჯდე და ველოდო, როდის მოიძებნება გამოსავალი?

- არც ისეთი უცოდველი ხართ, როგორადაც თავს გვაჩვენებთ. თქვენ ომი წამოიწყეთ, მეგობარო, ყაზანის კოშკებმა და ლიტვამ სიმშვიდე დაკარგეს. ვივარაუდებ, რომ მეფის სასახლის ბრწყინვალეობაც ნანახი გექნებათ...

- მაქვს. თქვენ წარმოიდგინეთ, პუშკინებსაც ვიცნობდი, თქვენს წინაპრებს. ერთმანეთს კარგად ვეწყობოდით. აი, თქვენი კი ვერაფერი გამიგია, ბატუშკა. ახალგაზრდა კაცი ხართ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ამიტომ მონასტრის წესდება და ჩემი ასაკი მაბედინებს, გითხრათ: ექსპერიმენტი, რომელსაც ჩემზე ატარებთ, არ არის ღვთისგან კურთხეული. უფრო მეტიც, რასაც თქვენ სჩადიხართ, ცოდვია. დიახ. რას მიკეთებთ მე, ღვთისგან ხელდასხმულ ბერს? არ გრცხვენიათ? კიდევ ერთი კითხვა მაქვს: საერთოდ, რა ჯანდაბა ხდება ჩვენს თავს, სად ვართ?

- როგორ თუ სად ვართ? რუსეთში, სანკტ-პეტერბურგში!

- არასოდეს გამიგია. რუსეთშია? ეს ყველაფერი რუსეთშია? ვერაფერს ვხვდები. თქვენი ლაპარაკიდან ალაგ-ალაგ ვიჭერ სიტყვებს, ყოველი მესამეს მნიშვნელობა მესმის, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მინდორში კალიებს დავსდევდე.

- იმიტომ, რომ უკრაინულად ლაპარაკობთ. იმიტომ, რომ ჩემი დიდი ბაბუების ეპოქიდან ხართ. თუმცა თქვენი საქმე ის კი არაა, რომ ჩვენს დროებას ფეხი აუნყოთ, არამედ ის, რომ ჭიქა მომიჭახუნოთ და ვახშამზე დამენვიოთ.

ალექსანდრ სერგეევიჩი იქამდე აძალებდა ბერს „ტოკაის“, შემწვარ-მოხრაკულთან და სადღეგრძელოებთან ერთად, სანამ პიმენის თავი მისსავე თეფშში არ აღმოჩნდა.

ალექსანდრ სერგეევიჩმა, რომელიც სწორედ ამ მომენტს ელოდა, ბერი თოვლში, იქვე მდგომი ეტლისკენ წაათრია. ისე გაჩერდნენ, რომ სანათების შუქზე კარგად გამოჩენილიყვნენ. ბერმა ღრმად ჩაისუნთქა ფანტელებით სავსე ჰაერი, ანაფორა აიწია, უზარმაზარი ასო ამოიღო და იქვე მოშარდა. ცხენებმა სუნი იგრძნეს და თოვლს მათი ფლოქვების ქვეშაც შეერია სიყვითლე.

მაგრამ მამა პიმენს არ მოუშარდავს წითელი „ტოკაი“, რომელსაც მთელი ღამე სვამდა. სითხე, რომელიც მის ფეხებთან დაიღვარა, ძალიან ჰგავდა ცხენების შარდს. სინათლეზე ყველაფერი კარგად ჩანდა.

– ვინ ხართ? გამაგებინეთ, ვინ ხართ! – აღმოხდა პიმენს, როცა ანაფორა ჩამოიწია, – დიდი ცოდვაა, ღმერთისგან ადამიანი ინათხოვრო და ასე მოექცე. ეშმაკი ხართ?

– არა, მამაო პიმენ, ეშმაკი არა ვარ, მაგრამ ის ვარ, ვინც ეშმაკს ეძებს, კითხვებზე რომ პასუხები მიიღოს. როგორც ვხედავ, არც თქვენ ხართ ეშმაკი, რადგან ეშმაკი რომ იყოთ, წითელ „ტოკაის“ მოშარდავდით. ამიტომაც არაფერს გკითხავთ. ჩემი შეკითხვების ადრესატი უწმინდურია და არა თქვენ. შევცდი და მომიტევეთ. შეავედრეთ ჩემი სული ღმერთს. მხოლოდ მან იცის, რომ ავი ზრახვები არ მამოძრავებს.

ამ სიტყვებით ალექსანდრ სერგეევიჩი ეტლში ჩაჯდა და მამა პიმენი თოვლში დატოვა. სკამზე გადანოლილი პუშკინი ფანჯრიდან უყურებდა ბერს, რომელიც უზარმაზარ სითეთრეში, ხელებგადაჯვარედინებული იდგა და ცდილობდა, არ გაყინულიყო. ალექსანდრ სერგეევიჩმა შუბლზე, წელსა და მხრებზე ხელების ტყაპუნით, ჭაღარა,

ბერივით შემოსილი თოჯინა აიღო, ჯერ მიკერებული მონეტები მოხსნა, მერე კი დიდი ბაბუა ჰანიბალის ნაქონი აფრიკული ნემსი დიდი სიფრთხილით ამოაძრო მკერდიდან.

პიმენი, რომელიც ეტლის გასწვრივ იდგა, მაშინვე გაუჩინარდა.

– გამოდის, პიმენი არ არის დემონი. კიდევ ორი მყავს შესამონებელი, გრიშკა და მარინა. შეიძლება, რომელიმე მათგანი აღმოჩნდეს ეშმაკი. რთული სამუშაოა. – დაასკვნა ალექსანდრ სერგეევიჩმა და შეეტლეს გასძახა, სწრაფად ევლო. ძალიან ერქარებოდა და ასაჩქარებლად კარგადაც შეუკურთხა მსახურს, რის გამოც ლამის კისერი მოიტეხეს.

მეოთხე პიუი

დისტელის სიზმარში კიდევ უფრო აცვივდა. ყველაფერი თოვლმა დაფარა. სწორედ იქ, თოვლში გახვეული სანკტ-პეტერბურგის გულში, პუშკინმა დაშაქრული იები გაუგზავნა ჰერცოგინია მარინა სენდომირსკას და ახლომდებარე ფუნდუკში ვახშმად დაპატიჟა. მან ერთი ლამით ფუნდუკის მთელი მეორე სართული იქირავა, ორი შესანიშნავი მისაღებითა და ორი საწოლი ოთახით. სტუმრის მოლოდინში მდიდრული ვახშამიც შეუკვეთა, ღვინის არჩევის საშუალება კი მარინას დაუტოვა.

სტუმარი იგვიანებდა. ოფიციატებმა უკვე მოიტანეს კერძები: ყველი ლიმბურგერი, ღვეზელი, თევზი და ანანასი. მარინა მნიშვნელოვნად სენდომირსკა ჯერ კიდევ არ ჩანდა. ალექსანდრ სერგეევიჩმა შემთხვევით ისარგებლა, ცერიდან ბეჭედი მოიხსნა და ორ თევზს შორის უფრო პატარაში დამალა. შემდეგ მოზრდილი თევზი თავის თეფშზე დადო, პატარა კი სტუმრისთვის განკუთვნილ თეფშზე მოათავსა. მარინა ჯერაც არ მოსულიყო. პუშ-

კინმა წითელხაბარდიანი თოჯინა აიღო, რომელსაც არ-შიაზე ვენეციიდან კონსტანტინოპოლამდე მოჭრილი მონეტები ჰქონდა მიმაგრებული და აფრიკული ნემსები კიდევ უფრო ღრმად ჩაარჭო გულში. რამდენიმე წუთში ვილაცამ კარზე სამჯერ დააკაკუნა. პუშკინს ეცნო ნიშანი და იგივენაირად უპასუხა. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ოთახში სახეაღწერილი, უმშვენიერესი, წითელკაბიანი გოგონა შემოვარდა, ყელზე ქარვის ყელსაბამით.

– შეჩერდით! რას მიკეთებთ? – ზღურბლიდან შესძახა მან, კაბა გადაიხსნა და ქარვის მძივს ქვემოთ მიმალული მოუშუშებელი ჭრილობა გამოაჩინა.

– პონი მნიშეკ! მარინა! თქვენ ლიტვურად ლაპარაკობთ! – აღმოხდა ალექსანდრ სერგეევიჩს, – თან ტირით. მერჩივნა, გეთქვათ: „ჩუმად იყავი! სულელი და ახალგაზრდა ხარ, ჩემს ძალას ვერ დაიმორჩილებ!“ როგორ შევუკვეთო შამპანური თქვენთვის, თუ რუსულად არ დამელაპარაკებით? მაგრამ შამპანურმა ხომ ყველა ენა იცის. მგონი, ორი ბოთლი წითელი „Veuve Clicquot“ ძალიან მოუხდება თქვენს კაბას. თევზი შევუკვეთე. რადგან დააგვიანეთ, უკვე მაგიდაზე დევს.

სტუმარი დაჯდა, ცოტა დაწყნარდა და ალექსანდრ სერგეევიჩს საშუალება მიეცა, კარგად შეეთვალა იერებინა ქალი. ვენეციური პუდრი ესვა, „Morticia“, ხშირი თმა ტალღებად ეყარა ტიცციანის ტილოებზე გამოსახული ლამაზმანებივით. პუშკინმა ლაპარაკის გაბმა სცადა.

– წაგიკითხავთ „ბორის გოდუნოვი“ „მოსკოვის სიახლეებში“ ან „ჩრდილოეთის ყვავილებში“?

– არა, თქვენი ხელნაწერი წამიკითხავს, სადაც ეწერა, რომ ჩემს ბაგეებს არასოდეს სწვევია ღიმილი. ეს სიმართლე არ არის.

- როგორ ფიქრობთ, რატომ უნოდა ვენეციელმა ისტორიკოსმა ბორის გოდუნოვის მეფობას ტრაგედია და კომედია ერთდროულად?

- მეფესაც იგივე კითხვა ექნება.

- მეფეს? რომელ მეფეს?

- როგორ თუ რომელ მეფეს? ნიკოლოზ პირველს. სხვას ვის?

- თქვენ რა იცით?

- ეს თქვენი საქმე არ არის. ბოლოს და ბოლოს, გინდათ ჩემი პასუხის მოსმენა თუ არა?

- რა თქმა უნდა, მინდა, მშვენიერო. რატომ უნოდა ვენეციელმა ისტორიკოსმა ბორის გოდუნოვის მეფობას ტრაგედია და კომედია ერთდროულად?

- იმიტომ, რომ მეთვრამეტე საუკუნეში, როცა წიგნი დაიწერა, ასეთი ჟანრიც არსებობდა. მას ტრაგიკომედიას ეძახდნენ. თუ ჩემი არ გჯერათ, მანუილო კოსაჩინსკი წაიკითხეთ, სწორედ მან დაწერა „მეფე უროშის ცხოვრების ტრაგიკომედია“... თუმცა მაინც მჯერა, რომ ეს ყველაფერი თავადაც კარგად იცით, უბრალოდ, ტრაგედიას და კომედიას განსხვავებულად აღიქვამთ.

სანამ ალექსანდრ სერგეევიჩი საუბრით იყო გართული, სტუმარმა თევზი მთლიანად, ბეჭდიანად გადასანსლა. პუშკინს ცარიელი თეფში დარჩა ცხვირწინ.

- ალბათ გეცოდინებათ, რომ სინამდვილეში სულაც არ ყოფილა ვენეციელი. - ლაქლაქი განაგრძო მარინამ და პუშკინს შამპანურის ჭიქა გაუნოდა შესავსებად.

- ვინ არ არის ვენეციელი?

- თქვენი ვენეციელი ისტორიკოსი. მისი სახელი ზაქარია ორფელინია.

- თქვენ რა იცით? - გაოცება დაეტყო ალექსანდრ სერგეევიჩს.

– მისი წიგნის ერთადერთი ეგზემპლარი არსებობს მისივე ხელმოწერით, რომელიც აკრძალულია.

პუშკინი კმაყოფილი ჩანდა. უკვე სწორ გზაზე იდგა.

– ასეთი რამ მხოლოდ დემონმა შეიძლება იცოდეს, – გაიფიქრა მან და ჰერცოგინიას ჭიქა აუვსო.

კიდევ ერთი ჭიქის შემდეგ სენდომირსკამ განაცხადა, რომ დაიღალა და დასვენება სჭირდებოდა. პუშკინს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

გალვიძებული ალექსანდრ სერგეევიჩი არ მოასვენა აზრმა, რომ ღამით რაღაც მნიშვნელოვანი გამოტოვა. გაახსენდა, რომ ჰერცოგინიას ფაჩურები ეცვა და გაიფიქრა, რომ მათ შორის ღამით რაღაც მოხდა. პუშკინი მაშინვე სტუმრის ოთახისკენ გაქანდა, მაგრამ მარინა იქ აღარ დახვდა, მიუხედავად იმისა, რომ კარი წინა ღამით თავად ჩაკეტა. სენდომირსკა გაპარულიყო, მის ოთახში კი, მაგიდაზე, თეფში იდგა ხელუხლებელი თევზითა და ჭიქა წითელი შამპანურით „Veuve Clicquot“. მაგიდის გადასაფარებელზე შამპანურიანი თითით გაკეთებული წარწერა ჩანდა: „მოკითხვა მარინა მნიშეკისგან“.

– ძალიანაც კარგი. – დაასკვნა პუშკინმა და თევზიდან ბეჭედი ჩანგლით გამოაძრო.

– გამოგიჭირე, მშვენიერო! საჭმელს ვერ ინელებ, ე. ი. დემონი შენ ხარ.

და მან აფრიკული ნემსი კიდევ უფრო ღრმად ჩაარჭო წითელხაბარდიან თოჯინას, ისე ღრმად, რომ აქლემის ძვლის ტარი კაბას თითქმის შეეხო.

დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. კარზე კაკუნი გაისმა და ოთახში მარინა შემოფრინდა.

– კიდევ რა გინდათ ჩემგან? შეგეძლოთ, ზრდილობიანად გეკითხათ და გიპასუხებდით. ეს უგემური თევზი და შამპანური სულაც არ იყო საჭირო. მე ალილატი ვარ,

დემონი. ეს არ გაინტერესებდათ? მითხარით, რა გავაკეთოთ თქვენთვის, ან სამუდამოდ შემეშვიტ.

- ერთი კითხვა მაქვს, საყვარელო.
- მკითხეთ.

როდემდე უნდა ვიხეტიאלო
ეტლით, ეტლით ანდა ცხენებით,
ნეტავ ფეხშიშველს ეს გზა ტიალი
სად მიმაქროლებს ჭენებ-ჭენებით?

არც მშობლიური კერის ალი მწვავს,
ვერც წინაპართა საფლავებს ვხედავ,
მივებარები ალბათ შავ მინას,
ღმერთო, სად მელის სიკვდილი ნეტავ?

იქნებ შარაგზის ვრჩები ამარა,
ან სულს ვეყრები კლდეების კართან,
იქნებ ხნულია ჩემი სამარე,
ანდა ხიდის ქვეშ, მდინარის კალთა.

- ეს თქვენი სტრიქონებია. რა უნდა მკითხოთ, მომწონს თუ არა? სიმართლე გითხრათ, არ მომწონს. საშუალოზე უარეს ლექსად მიმაჩნია.

- ნუ დამცინით. კითხვა სტრიქონებშია, კარგად დაფიქრდით და მიპასუხეთ.

- გამოდის, გინდათ, იცოდეთ, სად და როდის შეხვდებით სიკვდილს?

- დიახ. მახეში ვარ გაბმული. მაინტერესებს, თავი როგორ დავიცვა.

- ამ კითხვაზე პასუხი ცოცხალ ადამიანს არასოდეს მიუღია, დასაბამიდან მოყოლებული, მაგრამ იქნებ სხვაგვარად დაგეხმაროთ. გულდასმით მომისმინეთ და ნემსს

ხელი არ ახლოთ, რადგან ნემსები დემონებსაც გვაქვს. სიბრძნე გამოიჩინეთ და ის აიღეთ, რასაც გაძლევენ, ნაცვლად იმისა, რისი მოცემაც შეუძლებელია. რადგან კითხვა ლექსად დამისვით, პასუხიც პოეტურად უნდა გაგცეთ. თუ თანახმა ხართ ჩემს წინადადებაზე, იარალი და მოსასხამი აიღეთ. ოქროსლილეებიანი პალტო მე უნდა მათხოვოთ. ძალიან მომიხდება. მე იარალი არ დამჭირდება, მაგრამ თქვენ წამოიღეთ თქვენი. სროლა მოგიწევთ.

როცა კიბე ჩამოიარეს, მარინამ აუხსნა, სად მიდიოდნენ:

- ახლახან დაასრულეთ თქვენი რომანის, „ევგენი ონეგინის“ მეექვსე თავი, სადაც დუელია აღწერილი – თქვენი გმირი თავის მეგობარ ლენსკის კლავს. მშვენიერი სტრიქონებია, მაგრამ მეტი შეგიძლიათ. დღევანდელი დღე დაგეხმარებათ, დუელის სცენა უკეთესად დაწეროთ. წარმოვიდგინოთ, ვითომ მე ონეგინი ვარ, თქვენ კი ლენსკი. თოვლში ჩანექით, ვითომ უკვე გესროლეთ. ახლა კი ეპიზოდის გაუმჯობესებას მივადექით. ეს სცენა წიგნში ტრაგიკულია, ცხოვრებაში კი კომიკური და როგორც თქვენ ამბობთ, ტკივილიანი.

მარინამ ალექსანდრ სერგეევიჩს უბიძგა. პუშკინი თოვლზე დაეცა. ორივეს გაეცინა. ალექსანდრ სერგეევიჩმა შენიშნა, რომ მარინას ენაზე ხვრელი ჰქონდა.

- ხედავთ? სიცილიც შემიძლია. რაც შეგეხებათ თქვენ, სასიკვდილოდ ხართ მუცელში დაჭრილი, თუმცა მაინც შეგწევთ ძალა, იდაყვზე წამოინიოთ და მესროლოთ. მიდით, რას უყურებთ. დამიმიზნეთ და მესროლეთ. არ დამინდოთ! დაე, გონება ტკივილმა დამიბნელოს. ცეცხლი-მეთქი!

ალექსანდრ სერგეევიჩი ცალ იდაყვზე წამოინია, თითქოს მართლა დაჭრილი ყოფილიყო და მარინას მკერდი მიზანში ამოიღო: „Le vin est tiré il faut le boire!“ – მაინც

გაიძულე, ჩემს კითხვებს უპასუხო“. მან თვალთ ზუსტად ის წერტილი მონიშნა მარინას სხეულზე მორგებული საკუთარი პალტოს ქვეშ, სადაც თოჯინას აფრიკული ნემსი ჰქონდა ჩარჭობილი. ტყვია მიზანს მინვდა, მაგრამ პრიალა ღიღმა ის მაშინვე აისხლიტა და მიმართულება შეუცვალა. ასე რომ, ქალს არაფერი დაშავებია.

– მშვენიერი ნასროლი იყო, – აღიარა მარინამ, – ღიღმის პრიალა ზედაპირმა ტყვია აისხლიტა და ბედისწერა შეცვალა. მიზანს აცდით. სულ ესაა, რისი გაკეთებაც დემონს შეუძლია, თქვენს პოეტურ ნიჭში რომ დაგარწმუნოთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა პოეზიაში თქვენი ოსტატობა მისას აღემატება. ახლა კი ჩემი თოჯინა და ნემსი დამიბრუნეთ. მე ეს დავიმსახურე.

– რატომ გგონიათ, რომ თოჯინას დაგიბრუნებთ?

– იმიტომ, რომ უკვე ყველაფერი მიიღეთ, რისი მოცემაც შემეძლო.

პუშკინმა თოჯინა ქალის მიმართულებით ისროლა. მარინამ ის ჰაერში დაიჭირა, მონეტები სასწრაფოდ მოაგლიჯა, ჰანიბალის ნემსი ამოაცალა და ჯადოსნური ნივთები პუშკინისკენ გადაყარა, თვითონ კი თოჯინასთან ერთად გაუჩინარდა.

მეხუთე შიში

როგორც კი ოპერის მომღერალ მათიას დისტელის ონკოლოგიური განყოფილების პალატაში ჩაეძინა, მის მიერ შეძენილ სიზმარში, რომელშიც მომავალში თავად ვეღარ მიიღებდა მონაწილეობას, პუშკინს თავის მეეტლეზე ფიქრით გაეღვიძა. გაახსენდა, როგორ მიაქროლებდა სახლისკენ მსახური და როგორ ყვიროდა თავად: „ცოტა ნელა, სულელო!“ და მიხვდა, რომ მისი

სიფიცხე თოჯინებთან მიმართებაში, „ძალლსა და მგელს შორის იყო გაჭედილი“.

„მიუხედავად იმისა, რომ ეშმაკი ვიპოვე, პასუხი მაინც ვერ მივიღე. მარინა ხელიდან დამისხლტა. ისე გამოვიდა, თითქოს არც კი მითხრა და არც არა. მხოლოდ გრიშკა დამრჩა. იქნებ სწორედ ისაა, ვინც მჭირდება? მაგრამ გრიშკა საშიში ვინმეა, ვინ იცის, იქნებ ხმალიც გამოიყენოს, რაც ძალიან ცუდი იქნება. მე ნემსს დავატრიალებ, ის – ხმალს. თუმცა გამოსავალი მაინც არსებობს“.

ალექსანდრ სერგეევიჩმა გრიშკასთან შეხვედრა სარდაფში მონყობილ სამიკიტნოში დანიშნა. სამიკიტნოს ჭერი იმდენად დაბალი იყო, რომ გრიშკა ხმალს ქარქაშიდან ვერ ამოიღებდა. პუშკინმა გენერლის ეპოლეტიებიანი თოჯინა აიღო და გზას იმ იმედით გაუდგა, რომ დემონს კიდევ ერთხელ შეხვდებოდა. როცა ეტლი სამიკიტნოს წინ გაჩერდა, მან ჰანიბალისეული ნემსი კიდევ უფრო ღრმად ჩაარჭო თოჯინას გულის არეში, თითქოს გრიშკას სულში იქეჭებოდა. ყოველი შემთხვევისთვის, თოჯინის სამოსზე მიმაგრებული მონეტებიც შეამოწმა, მერე ტიკინა ეტლის კარის სათავესოში ჩადო და სამიკიტნოსკენ გაემართა, რომ სტუმრის მოსვლამდე ცოტა დაეღია.

პუშკინი ლიმონათის ჭიქით იჯდა და ქუჩაში გამავალი ფანჯრიდან იყურებოდა, როცა სამიკიტნოს შესასვლელთან გრიშკა დალანდა. მოეჩვენა, რომ მას ერთი მკლავი მეორეზე მოკლე ჰქონდა.

– ეს კარგია, თუკი შესაძლებელია, რომ ამ ვითარებაში რაიმე კარგი იყოს. – ჩურჩულით თქვა პუშკინმა და იგრძნო, როგორ ჩაცურდა გული სადღაც, ქვემოთ, თითქოს ისეთი რამ შენიშნა, რაც მანამდე არასოდეს უნახავს.

– გული თევზივითაა. მასავით დუმს. დარწმუნებით არასოდეს იცი, შენგან რა უნდა. – ფიქრობდა ალექსანდრ

სერგეევჩი და კარს თვალს არ აშორებდა. დრო გადიოდა, გრიშკა კი არ ჩანდა. უცებ მიხვდა, რა უცნაურობა შენიშნა ადამიანს, რომელსაც ცოტა ხნის წინ მოჰკრა თვალი (თუ, საერთოდ, გრიშკა იყო ის ადამიანი) – მას თავი ჰქონდა გადახოტრილი.

– ასეა! – წამოიძახა პუშკინმა, – გრიშკამ თავი გადაიხოტრა და ქუჩაში უქუდოდ გამოვიდა. საქმეც ეგაა. ასე ცდილობს, მაგიის ძალას გაექცეს. დაცემულმა ბერმა ანაფორა ისევ ჩაიცვა. სამიკიტნოში შემოსვლას არც აპირებდა, სადღაც სხვაგან ეძებს თავისუფლებას. ტრაგედიიდან პირდაპირ კომედიაში!

ალექსანდრ სერგეევჩი ქუჩაში გავარდა და მიმოიხედა, მაგრამ სტუმარს თვალი ვერსად მოჰკრა.

ღამე ნელ-ნელა ფარავდა ქალაქს. მდინარე ნევაში იძირებოდა საღამო. პუშკინმა ეტლთან მიიღბინა, სიცივე გულზე ჩხვლელტდა. უნდოდა, შეემონებინა, თოჯინა და აფრიკული ნემსი ისევ ადგილზე დახვდებოდა თუ არა. ნემსს არაფერი მოსვლოდა, მაგრამ სამოსის არშიები დაგლეჯილი აღმოჩნდა. საშინელება ის იყო, რომ მონეტებიდან, რომლებიც საკუთარი ხელით მიაკერა თოჯინას, არც ერთი აღარ ჩანდა, არც ვენეციური ფული, არც ბიზანტიური ვერცხლი და არც დუბროვნიკული დინარის ნახევარი. სამივე სადღაც გამქრალიყო. პუშკინმა მთელი ძალით დაუყვირა მეეტლეს, რომელსაც ეძინა და ჰკითხა, ვინ შემოიპარა ეტლში მისი არყოფნის დროს. თუმცა მალევე გაჩერდა. ღრიალი მაინც არაფერს არგებდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა დაემართა მონეტებს – მეეტლემ მოიპარა, სწორედ მათ საფასურად გამოთვრა და ახლა უგონოდ ეძინა, თუ გრიშკამ ანაპნა თავისივე სახელობის თოჯინიდან, შედეგი ერთი იყო. აფრიკული ნემსი ჯერ კიდევ ღრმად იყო ჩარჭობილი თოჯინის

გულში, მაგრამ მონეტები ტანსაცმელს აღარ ამძიმებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მან, ვინც ისინი მოიპარა და ნემსი ადგილზე დატოვა, მარადისობისთვის განირაგრიშკა, სადღაც სიკვდილსა და სიცოცხლეს, ტრაგედიასა და კომედიას შორის გამოკიდებული დატოვა... თუ გრიშკა დემონი არ იყო, სხვანაირად ვერ მოხდებოდა.

– მაგრამ მე ვერასოდეს გავიგებ სიმართლეს...

ალექსანდრ სერგეევიჩმა სწორედ ამ ფიქრით დაასრულა უწმინდურების ძიება, მთვრალ მეეტლეს მათრახი აართვა და ცხენებს გადაუჭირა. ისინიც გზას დაადგნენ. მიჰქროდნენ ცხენები და რულმორეულ პუშკინსაც თან მიაქანებდნენ. წმინდა პეტრესა და პავლეს ტაძრის სამრეკლოდან შუალამე ეშვებოდა და შეშინებული ცხენები სულ უფრო და უფრო სწრაფად ქელავდნენ სახლისაკენ მიმავალ გზას. ლამეში ეუვნების წკრიალი ისმოდა, წკრიალი, რომელიც მარცვლებად მეორდებოდა ლამის სიბნელეში:

„მარ-ტო-ო-ბის და-სას-რულს სიკვ-დი-ლი იწყე-ბა, მარ-ტო-ო-ბის და-სას-რულს სიკვ-დი-ლი იწყე-ბა...“

P. S.

სიზმრებს, როგორც წესი, სათაური არ აქვთ. ჩემს ჩანაწერში სიზმრების სახელები მე თვითონ მოვიფიქრე. მინდა, უფროსი ინსპექტორი შტროსის ყურადღება მივმართო ერთი დეტალისკენ – თუ რატომ დავარქვი ჩანაწერს „სიზმარი პუშკინის სიკვდილის შესახებ“. სიზმარი გასაოცარი სიზუსტით გადმოგვცემს პუშკინის სიკვდილის ამბავს, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში ამ კონკრეტულ მოვლენაზე არაფერია ნათქვამი.

როგორც დარგის ექსპერტებისთვისაა ცნობილი, პუშკინი 1837 წლის 10 ნოემბერს გარდაიცვალა ჭრილობის შედეგად, რომელიც მას ფრანგმა ემიგრანტმა, დანტესმა, დუელის დროს მიაყენა. პირველი სროლის უფლება სწორედ დანტესს ერგო. თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ მუცელში სასიკვდილოდ დაჭრილმა პუშკინმა შეძლო, იდაყვზე წამოწეულიყო და დანტესისთვის მკერდში ესროლა. თუმცა პალტოს ღილმა ტყვია აისხლიტა და მონინაალმდეგეს არაფერი დაუშავდა.

მინაწერი იმიტომ გავაკეთე, რომ ვიფიქრე, შესაძლოა, დისტელი-ლემპიციკას საქმეში, რომელსაც თქვენ იძიებთ, ესეც მნიშვნელოვანი დეტალი იყოს.

ალექსანდრ კლოზევიჩი

ანგარიშის მეორე ნაწილი

შედგენილია ალექსანდრ კლოზევიჩის მიერ, სასამართლოს მოთხოვნით.

ვადგენ რა ანგარიშს განსვენებული მადამ მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიცკას სიზმრის შესახებ სასამართლოს მოთხოვნით, ვამზადებ რა ანგარიშის აუდიოჩანაწერს მსაჯულებისა და უფროსი ინსპექტორი შტროსის ბრძანების თანახმად, საჭიროდ მივიჩნევ, რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო.

ზმანებას, რომელსაც შეგვიძლია, „მადამ ლემპიცკას სიზმარი ნაბიჯების შესახებ“ ვუნოდოთ, გარკვეულ დროს უცნაური რამ ემართება – სამ ნაკადად იყოფა. მადამ ლემპიცკა სამივეს ერთდროულად ხედავს. ერთ-ერთ მათგანში ის ანდროგენია, მეორეში – ქალი, მესამეში – კაცი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სიზმარი სამსართულიანია. სასურველია, ამ სამკაპს, მადამ ლემპიცკას სამსართულიან სიზმარს, ვინმე სერიოზულმა ფსიქოლოგმა მოუძებნოს ახსნა. მე ფსიქოლოგიაში ღრმად ჩახედული არ ვარ, ერთი უბრალო მოვაჭრე გახლავართ და არ გამოვდგები.

ბოლოს, ვალდებული ვარ, მოგახსენოთ, რომ სიზმრები უცნაური რამაა. სხვა ადამიანმა, შესაძლოა, სულ სხვანაირად გაიმბოთ მადამ ლემპიცკას სიზმარი, ადამიანებს სხვა სახელები დაარქვას, მოვლენები სხვაგვარად დააღაგოს, რადგან ამ სიზმრის თითოეული მოქმედი პირიც რამდენიმეა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ლემპიცკამ უფრო სმენით აღიქვა თავისი სიზმარი, ვიდრე მხედველობით.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშს სრული პასუხისმგებლობით ვადგენ და აუდიოჩანაწერის შექმნის დროსაც მხოლოდ კეთილი ზრახვები მამოძრავებს, ვაცხადებ, რომ ჩემი შესაძლებლობები სიზმრების სფეროში საკმაოდ შეზღუდულია.

ალექსანდრ კლოზევიჩი

სიზმარი ნაბიჯების შესახებ

ჩანაწერი II

განსვენებული მადამ მარკიზინ
ანდროსოვიჩ ლემპიციკას
სიზმარი ნაბიჯების შესახებ

(აღწერილი ა. ს. კლოზევიჩის მიერ,
ისე, როგორც შესაძლებელი იყო
მისი აღდგენა და გადმოცემა)

„ჩვენ არ ვფლობთ სახლებს, ისინი გვფლობენ ჩვენ“
– ხმამაღლა ნათქვამი ამ წინადადებით დაიწყო მადამ
ლემპიციკას სიზმარი. ლემპიციკა მაშინვე იქცა ბიჭად,
რომელიც მშობლების უზარმაზარ სახლში ცხოვრობდა.
სახლი ფლობდა მას. ბიჭს მეორე სართულზე, პატარა
ოთახში ეძინა, რომელიც უფრო დიდი – სასადილო ოთახის
შუაგულში იყო ჩაშენებული. შეიძლება ითქვას, რომ ეს
იყო ოთახი ოთახში, სადაც, სანოლის გარდა, ბალიშების
შესანახი სკივრიც იდგა. სკივრს ტყავის სახელურები
ჰქონდა, მის თავსახურს კი ფაიფურის ვაშლი ამშვენებდა.

პატარა ოთახის ორ ფანჯარას ლამაზი ფარდები ეფა-
რებოდა, საიდანაც თავისუფლად შეიძლებოდა სასადილო
ოთახში მოფუსფუსე ოჯახის წევრებისა და სტუმრების

თვალთვალი. დედა ხშირად ამონებდა ფანჯრის იქიდან, ეძინა თუ არა ბიჭს ღამით. თუ სკივრის სახელურები მაგრად ჰქონდა ჩაბლუჯული, ე. ი. უკვე ღრმა ძილს ნაელო.

მაგრამ ზოგჯერ დედა ცდებოდა – მაგრად შეკრული მუშტებით, გულში ჩაკრული სახელურებით ფხიზლობდა ბიჭი. ყოველთვის ერთი და იგივე ხდებოდა. უფანჯრო კედელთან უზარმაზარი კარადა იდგა, თითქოს ოთახში ჩაშენებულ ოთახში კიდევ ერთი ოთახი ჩაემატებინათ. ზოგჯერ კარადიდან ფეხის ხმა ისმოდა. შიგნით ვილაც დადიოდა. ყოველთვის არა, მაგრამ როცა ისმოდა, საკმაოდ ნათლად შეიძლებოდა თითოეული ნაბიჯის გარჩევა.

წლები გადიოდა. ბიჭი სკოლაში ნავიდა, კვირის დღეების სახელები ისწავლა და მიხვდა, რომ კარადიდან ხმა, ძირითადად, კვირაობით და ზოგჯერ სხვა დღეებშიც გამოდიოდა. კარგა ხანს ტანჯავდა ფიქრი, ნაბიჯები ქალს ეკუთვნოდა, მამაკაცს თუ ორივეს, ან სად მიდიოდა მათი პატრონი, როცა ხმა წყდებოდა. ბიჭი ხვდებოდა, რომ ხმაურს ქუსლები იწვევდა, რომელიც არც ისეთი წანვეტიებული იყო, როგორც დედამისის ფეხსაცმელს ჰქონდა. შესაბამისად, ვერც კარადაში მოსიარულე ფეხსაცმელი იქნებოდა დედამისის. ორმაგი კარის უკან ნაბიჯების ხმა ზოგჯერ ჩქარდებოდა და მალ-მალე გაისმოდა, ზოგჯერ კი ნელა და ყრუდ, თითქოს ის ვილაც, ვინც ბიჭს მოსვენებას უკარგავდა, შორიდან მოაბიჯებდა. შეშინებული ბიჭი სანოლზე იჯდა და გაფაცვიცებით უსმენდა უცნაურ ხმებს. უნდოდა, უფროსებისთვის მოეყოლა, რა აფრთხობდა, მაგრამ არ იცოდა, ეს როგორ გაეკეთებინა. ამიტომ დუმდა და უსმენდა.

კარადის გასაღების უზარმაზარი ჭუჭრუტანა საგულდაგულოდ იყო ჩაკეტილი. ტანსაცმელს ამ კარადაში არ

ინახავდნენ. ბიჭმა რამდენიმეჯერ სცადა, ჭუჭრუტანაში შეეხედა და გაეგო, რა ხდებოდა საიდუმლოებით მოცულ ადგილას, მაგრამ ვერაფერი დაინახა, გარდა მწუხრისა, რომელსაც თამბაქოს სურნელი შერეოდა. კარადას ორი, ურდულით ჩაკეტილი ფანჯარაც ჰქონდა, ერთმანეთში გადახლართული ცხენის ნალების ჩარჩოთი.

დიდი დრო გავიდა, სანამ ბიჭი მიხვდებოდა, რომ გარდა კვირა დღეებისა, ნაბიჯების ხმა დღესასწაულებზეც ისმოდა, თითქოს ვიღაც მთელ თავისუფალ დროს იყენებდა კარადაში სასეირნოდ. ერთ საღამოს ბიჭმა დაინახა, რომ მთვარის შუქმა კარადისკენ გადაინაცვლა და გასაღების ჭუჭრუტანაში შესრიალდა. ბიჭმა იგრძნო, როგორ დაუდგა თმა ყალყზე, კარადასთან სკამი მიათრია, ზედ აძვრა და ფანჯრის გისოსებში შეიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. შეშინებულმა, არაფერს ეკბინა, თითი გისოსებს შორის შეაცურა, თითქოს სიბნელეს უბიძგა. ხის ურდულს წაანყდა. ბიჭმა ფანჯარი აიღო და ურდულს მიარტყა. ისევ ვერაფერი დაინახა, რადგან საკეტს მიღმა, კარადაში, ხელთათმანი ეკიდა. ამჯერად მეორე კარის ჭუჭრუტანას მიადგა. იქ ხელთათმანი აღარ დახვედრია. ბუნდოვანი სილუეტების გარჩევა მოახერხა და გაოცებისგან ლამის სკამიდან გადმოვარდა. კარადაში ხე იზრდებოდა. მისი შავ-თეთრი ფოთლები ისეთი გამჭვირვალე ჩანდა მთვარის მკრთალ ნათელში, როგორც კარადაში დასადგურებული სიჩუმე. ნამდვილ, ცოცხალ ხეს, ბიჭის ოთახში რომ გატოტილიყო, მინასავით გამჭვირვალე ალუბლები მოესხა, მის ძირში კი უზარმაზარი, თეთრი მწევარი წამონოლილიყო და თვლემდა.

შეშინებულ ბიჭს კარადაში შეჭვრეტა აღარ გაუბედავს, თუმცა ხმაური თანდათან ძლიერდებოდა და უფრო მეტიც, ერთ საღამოს ერთდროულად გაისმა წყლის წკაპა-წკუპი,

ჩუხჩუხი, ბუყბუყი და ქალის სიმღერა: „სიმწვანე გვიცავს ნვიმისაგან...“ ყოველი სტრიქონის შემდეგ მომღერალი ჩუმად ასლოკინებდა და მოკლევნიანი ყოყმანის შემდეგ სიმღერას თავიდან იწყებდა. მომღერლის ხმამ მოსვენება დააკარგინა ბიჭს. სხეულის წყალი ისე უდუღდა სიმღერის საპასუხოდ, თითქოს ვიღაცამ ჯადოქრობა გამოიყენა და თავისთან გამოიძახა. აქაფებულ ტალღებად ქცეული საიდუმლოებები სისხლად მიედინებოდა მის ძარღვებში. ეს არ იყო სისხლის უბრალო მიმოქცევა, ეს რაღაც უფრო დიდს ჰგავდა, უცნაური კავშირის აჩრდილს, რაღაც უძველესს, რაღაც გამაოგნებელს, რასაც ადამიანის სხეული უკვე მილიონი წელია, ატარებს და ინახავს. იმავე წამს ბიჭის ნერწყვი თაფლად იქცა, ცხელმა ცრემლებმა ყელი დაუკანრა, თვალები ბლანტი, მარილიანი, ფაშატის სუნად აყროლებული სითხით გაენება და მისი მამაკაცური თესლის გემო ქალის რძის გემომ შეცვალა.

ბიჭი მთვარეულივით აძვრა კარადაზე და გასაღების ჭუჭრუტანას ჩასჩურჩულა:

– მანდ რას აკეთებ?

ხმაური ისე სწრაფად შეწყდა, თითქოს ვიღაცამ ბგერა გადაჭრა. ბიჭმა კიდევ ერთხელ, გაუბედავად შესძახა:

– ეი, ვინ ხარ?

უცნობი ჩურჩული უფრო ახლოდან გაისმა, ვიდრე ბიჭი მოელოდა:

– გეტყვი, მაგრამ მერე არ თქვა, რომ არ ღირდა.

– შემომიშვი შენთან.

– რატომ? არაფერში მჭირდება.

და ჩუმი, სლოკინშერეული სიმღერა ისევ გაისმა. გოგო შიგადაშიგ თევზის სუნს აცემინებდა, კედელს კანრავდა, ახველებდა ორჯერ, ჯერ ჩუმად, მერე ხმამაღლა, აგინებდა ცხენებს, უსტვენდა კბილებს შორის,

აჟღარუნებდა გასაღებს, თითქოს კარადის შიგნიდან გაღებას ცდილობდა, ან დაკეცვას... თან სულ მღეროდა და მღეროდა.

შემდეგ კი ვილაცამ კარადის შიგნიდან ბიჭს ველური ალუბლისა და თაფლის არომატიანი თამბაქოს კვამლი შემოაბოლა თვალებში. ყველაფერი სწორედ აქ დამთავრდა. შეშინებულმა და თამბაქოს სურნელით გაბრუებულმა ბიჭმა სანოლამდე ვერც მიაღწია, იატაკზე, ცხვრის ტყავის ფარდაგზე ჩაეძინა. უცნაურმა არსებამ მძინარეს რამდენიმე სიტყვა ჩასჩურჩულა ყურში. ბიჭმა მათი მნიშვნელობა ვერ გაიგო, მაგრამ სიტყვები დაიმახსოვრა და დროდადრო იმეორებდა, რომ არ დავიწყებოდა:

რათა გავუძლოთ დროებას შეშლილს,
მაღალო ღმერთო, ბორკილები აგვხსენი რწმენის
და ლოცვებად მიგვიღე შენში.



როგორც ანგარიშის დასაწყისშია აღნიშნული, მაღამ ლემპიციკას სიზმარი სამ განშტოებად იყოფა.

სიზმრის განშტოება, რომელიც მაღამ ლემპიციკამ ნახა, როგორც ანდრობენმა

ბიჭი მაგიდასთან ზის. კარადა, საიდანაც ხანდახან წყლის წვეთების ხმა ისმის, მის ზურგსუკან დგას. ოთახში ოჰარაშკა შემოდის, მისი ბიძაშვილი. გოგო თოთხმეტი წლის იქნება, ბიჭი, ალბათ, შვიდის, თუმცა მან არც თავისი ასაკი იცის და არც გოგოსი. შუადღე დგას. დრო

ნელა გადის, მარყუჟებად და ხაზებად იწელება. ბიჭის მშობლების სახლში სადილობა ახლახან დაასრულეს და ნებივრობენ. ოჰარაშკას ლანგარი უჭირავს. ლანგარზე ერთი ჭიქა ჟოლოს წვენი და შვრიის ფაფით სავსე ჯამი აწყვია. ფაფა მისი მომზადებულია და სანამ ოჰარაშკა ლანგარს მაგიდაზე დგამს, ბიჭი ხედავს, როგორ იქცევა გოგოს პირი ენითა და კბილებით გამოტენილ ღიმილად.

ბიჭი ამ ღიმილის მნიშვნელობას ხვდება და შეშინებული ყვირის:

– არა! არა! არა! – წამოხტომა უნდა, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვრის, თითქოს მოაჯადოვეს.

ბიჭს ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს. იმ დღეებისა და კვირების განმავლობაში ფეხის თითები სულ დაიკბინა და ფრჩხილები ნუნებამდე ამოიჭამა. სტუმრები ისევ იკრიბებოდნენ მათთან, ბიჭი კი თავის ოთახში იჯდა და საშინელებას ელოდა.

ერთ საღამოს დედამისი, ელინორ სიკინდიალი, რომელსაც, საუბრის დროს, თმის სარჭები და ნემსებიც აყოლებდნენ ხმას, სასტუმრო ოთახში იჯდა, მშვენიერ ქალბატონ ტესა პოკუმიცასთან და მის ქმართან, მისტერ პოკუმიცასთან ერთად. როცა ტესა ოთახში გაივლიდა, მისი ნაბიჯების ხმა იმ ხმაურს ჰგავდა, ჩიტები რომ ნისკარტით გამოსცემენ. ქმარი კი ჯერ კიდევ საათობრივად უხდიდა მას ფულს, რომ შიშველი ენახა. ქმარს ორი პროფილი ჰქონდა თავის განკარგულებაში – ერთი ღია, მეორე მუქი. სასტუმრო ოთახის სიჩუმე უეცრად შემოჭრილმა მოხუცმა ჰერცოგინიამ, მარინა სენდომირსკა იპსილატიმ დაარღვია.

– ყველას გკოცნით, ყველას გკოცნით! – ზღურბლიდან შესძახა მან და საზოგადოებას ნათლად დაანახა,

რომ ოთახში მყოფთა სათითაოდ გადაკოცნის არავითარი სურვილი არ გააჩნდა. როგორც ყოველთვის, მარაო ეჭირა, სახე ვენეციური პუდრით ჰქონდა დაფარული, მის ინტონაციაში კი პოლონური და ლიტვური ქარაგმები იგრძნობოდა. ის ყოველთვის ფრთხილობდა, უფრო მეტი ბეჭედი არ გაეკეთებინა, ვიდრე მისი ასაკი წლებს ითვლიდა. მარინა სტუმრად თავის სამ საყვარელთან, სამ მისოლუნგელს ძმასთან ერთად დადიოდა, რომელთაც ძალუძდათ, საკუთარი გვარი – პროდრომიდისი, ხუთივე წმინდა ენაზე წარმოეთქვათ. პროდრომიდისები მისოლუნგის ნისლს მიღმა ცხოვრობდნენ და იქიდან აკვირდებოდნენ სამყაროს. ყოველ აღდგომას ქალი ერთსა და იმავე საჩუქრებს უმზადებდა გარშემომყოფებს – ირმის მოყვითალო ტყავისგან დამზადებულ, კალატოზის ხელთათმანებს და ჰერცოგინია სენდომირსკა იპსილატის ზეთში შესრულებულ პორტრეტებს. პორტრეტები მომცრო მედალიონების ფსკერზე იყო გამოსახული (თითოეულისთვის ხუთი ასლი), გემებისა და კაპარჭების მოხატვაში დახელოვნებული ოსტატის მიერ. მფლობელებს შეეძლოთ, პორტრეტები თავიანთ სავიზიტო ბარათებთან ერთად წარედგინათ საქმიანი პარტნიორებისთვის. ჰერცოგინია სენდომირსკა იპსილატი ფოტოგრაფებს არ სწყალობდა. მას ყოველთვის განსაკუთრებული სააღდგომო საჩუქარი მოჰქონდა ბიჭისთვის: ნაყინის დანადგარით დამზადებული კანფეტები, წმინდა პარასკევას, ან მთავარანგელოზ მიქაელის ფორმის. ბიჭს მათი გემო მოსწონდა. წმინდა დედა პარასკევას რომი ჰქონდა შერეული, მთავარანგელოზი მიქაელის ხმალთან კი ვანილი იგრძნობოდა.

თუმცა სანოლში მირთმეული კანფეტი მხოლოდ უმცირესი კომპენსაცია იყო იმისა, რისი ატანაც ბიჭს უწევ-

და. ის იჯდა, უსმენდა უფროსების ლაპარაკს და საშინელების მოლოდინში, რომელიც სასტუმრო ოთახში უნდა დატრიალებულიყო, გრძნობდა, როგორ უჭამდა ნყვდიადი ფეხის თითებს.

სასტუმრო ოთახის შუაგულში უზარმაზარი, მრგვალი მაგიდა იდგა და როგორც კი მას გადასაფარებელი გადახადეს, ბიჭმა უკვე იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო. მაგიდას არც ერთი ლურსმანი არ ჰქონდა. მის გარშემო სტუმრები სულების გამოსაძახებლად იკრიბებოდნენ.

– აბა, დღეს ვინ გამოვიძახოთ? – იკითხა მისის სიკინდიალმა და მაგიდას მიუჯდა. – იქნებ განსვენებული დოქტორი ისიდორი? იქნებ დამეხმაროს. მგონი, უნძინდურ სულს გადავეყარე. დილით რომ ვდგები, ჭურჭლის განჯინა ღია მხვდება, მამაჩემის ბიბლიოთეკის შესასვლელიც მოღებულია, ტკბილეულის კარადის კარი კი სადღაც, შუაში ქანაობს.

– ვილაცამ მეც დამწყევლა, – ჩაერთო მისის ტესა, – ჩემი აჟურული წინდები დილაობით ერთმანეთში მხვდება გადანასკვული. ღმერთო, დაგვიფარე!

– დიდი ხანია, მინდა, დიმიტრის ვკითხო, არსებობდა თუ არა ქალთა მასონური ლოჟები მის სიცოცხლეში და თუ არსებობდა, დასწრებია თუ არა ჩემი ძვირფასი მიცვალებული მათ შეკრებებს. – დაამატა მისის ელინორ სიკინდიალმა. მიწვდა თუ არა ბიჭის ყურს ეს სიტყვები, მაშინვე მიხვდა, რომ ეს „სიკვდილის შემდგომი ჯაშუშობა“ მამამისს ეხებოდა.

– ნუთუ ის ფაქტი, რომ დიმიტრი ლოჟის წევრი იყო, არ უკრძალავს მას მსგავს თემებზე ლაპარაკს? – შენიშნა ჰერცოგინიამ.

– ვინ იცის, – უფროსმა პროდრომიდისმა უინტერესოდ გაატკაცუნა თითები, – სავარაუდოდ, სიკვდილის შემდეგ აღარ ევალებათ საიდუმლოებების შენახვა.

- ასეთ შემთხვევაში, რას იტყვით, რომ ქოთანს ვკითხოთ, სცალია თუ არა დიმიტრის ამაღამ? - დანარჩენებს გადახედა მისის ტესამ.

- არ არის ცუდი აზრი, - უპასუხა მისის სიკინდიალმა, ნახატის უკნიდან გადამალული რაპირა გამოაძვრინა, შეამონმა, მჭრელი იყო თუ არა და მრგვალ მაგიდაზე დადო. შემდეგ თიხის ქოთანი იქვე, ფანჯრის გვერდით, პატარა გამაცხელებელზე მოათავსა. როცა წყალმა დუღილი დაიწყო, ყველამ ყური ცქვიტა. წყლის ბუყბუყში სახელი ძნელად გაირჩეოდა.

- ვიკ! ვიკ! ვიკ! - გაისმა წყლიდან.

- ვიკი ვინლაა? - გაოცებით იკითხა მისის ტესამ და სარკეში თავის სილუეტს თავისივე ლამაზი თვალებით დააკვირდა.

- ასეთი არავინ გამოგვიძახია. - თქვა ერთ-ერთმა ჰერცოგინია სენდომირსკას საყვარლებიდან.

- სახელის ასე უბრალოდ ხსენება არ შეიძლება, - ჩაიბუზღუნა მისის ტესამ, - სახელი ბოთლს ჰგავს, რომელშიც ადამიანის მთელი არსება სუნამოსავით ინახება. სახელი ადამიანის სულს იცავს.

სწორედ ამ დროს მაგიდასთან კიდევ ერთი, სრულიად გამჭვირვალე სკამი გაჩნდა. მასზე მჯდომი ფიგურა ნელ-ნელა დაემსგავსა ცოცხალ ადამიანს. ჯერ მკლავები გამოჩნდა და უცნაური სუნი დადგა, მერე კი ზამთრის აღკაზმულობა, მიუხედავად იმისა, რომ გარეთ გაზაფხული იყო. ტანსაცმელი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე მათი პატრონი, რომელიც მაგიდაზე რაღაცას წერდა.

- ვინ ხართ? - დაინტერესდა მისის სიკინდიალი.

- ნუთუ ვერ მცნობ, ძვირფასო დედა? შენი ვიკი ვარ.

- არავითარ ვიკს არ ვიცნობ!

- თქვენს ადგილას რომ ვიყო, ჩემს სახლში დაუპატიუებელ სტუმარს არ მივიღებდი, მისის ელინორ! - უკმაყოფილოდ შენიშნა უმცროსმა პროდრომიდისმა.

- რა თქვით, ვინ ვარო? - ჩაეძია მასპინძელი.

- შენი შვილი, ვიქტორი.

- ღმერთო, გამაგებინე, რა ხდება? ჩემი შვილი ჯერ შვიდი წლისაც არაა და გვერდით ოთახში, აი, ამ ფანჯრის იქით სძინავს. თქვენ კი ვიღაც თაღლითი ხართ! ვერ გაგვაცურებთ!

ამ სიტყვებით მისის სიკინდიალმა რაპირას დაავლო ხელი და დაუპატიუებელ სტუმარს, თავს რომ ვიკად ასაღებდა, მკერდში გაუყარა.

ოთახში მყოფებმა ამოიგმინეს, ვიკმა კი გაიღიმა. არაფერი ჭირდა. იარაღის წვერმა მასში, როგორც ქარში, ისე გაიარა და უახლოეს სკამს შეერჭო, საიდანაც ჰერცოგინია სენდომირსკას საყვარლებს შორის უფროსი, დამდულრულივით წამოვარდა.

- ძვირფასო დედა, ეჭვი მაქვს, ჩვენი ქოთნები ერთმანეთში აირივნენ. - მშვიდად შენიშნა ვიქტორმა.

- ეგ როგორ? - ხმა ძლივს ამოიღო მშვენიერმა მისის ტესამ, თავზარდაცემულმა მისის სიკინდიალმა კი დაზიანებულ ადგილს მექანიკურად, რაპირით გადასახა ჯვარი.

- როგორც ჩანს, ამქვეყნიური მართლა არ ხართ. რაიმე ახსნა გაქვთ, აქ როგორ მოხვდით? - იკითხა მან.

- მაქვს, - უპასუხა ვიკმა, - ახსნა მარტივია: თქვენ ჩემთვის არ გიხმიათ, მაგრამ მე გამოგიძახეთ თქვენ. სულელები, მე კი არა, თქვენ ხართ. სწორედ ამიტომ ვერ დამიშავა ვერაფერი თქვენმა რაპირამ, რომელიც, სხვათა შორის, უკვე დიდი ხანია, ამ ოთახში აღარ კიდია, ისევე, როგორც ნახატი, რომლის უკანაც მას მალავდით.

- ისიც გვითხარით, საიდან გამოგვიძახეთ, ახალგაზრდავ? - დაინტერესდა მისის ტესა.

- ოჰ, ეგ მეც ძალიან მაინტერესებს. ყოველთვის მინდოდა, მცოდნოდა, მიცვალებულები სად ცხოვრობენ.

- მიცვალებულები? თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ მკვდრები ვართ?

- სხვაგვარად რომ ვთქვათ, მე ნამდვილად არა ვარ მკვდარი. თქვენ, დეიდა ტესა, 1898 წელს გარდაიცვალეთ, თქვენი ქმრის სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ. თქვენ, ბატონო პროდრომიდის, დიახ, თქვენ გეუბნებით, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე უმცროსი ხართ, მომიტევეთ პირდაპირობა და უფროს ძმაზე ადრე განუტევეთ სული. მხოლოდ თქვენი შუათანა ძმა, ძია ჰარისია ცოცხალი. ამიტომაც არ გახლავთ აქ. ჰერცოგინია სენდომირსკას სიკვდილის შემდეგ ჰარისმა მის ბეჭდებს შორის ყველაზე ძვირფასი ჩაიგდო ხელში - ბეჭედი, რომელიც უსტვენს. მართალია, ის ამტკიცებს, რომ სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე სენდომირსკამ ბეჭედი მას დაუტოვა, მე მაინც არ მჯერა, რომ თქვენ ნამდვილად გარდაიცვალეთ, ჰერცოგინია. ეს ცოტა ბუნდოვანი ამბავია. შემინდეთ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ თქვენ არც აქეთ ხართ და არც იქით...

- რა თავხედობაა! - შესძახა ჰერცოგინიამ, - პირს ალებს თუ არა, მაშინაც ტყუილებს აფრქვევს. ნუთუ დაუშვებთ, ელინორ, რომ სტუმრებს თქვენს სახლში ასე მოექცნენ? გაუგონარი ამბავია! ყმანვილო, რადგან ასე გვექცევი, არც მე დაგინდობ. დაე, ორჯერ მოკვდე იარაღიდან ნასროლი ტყვიით. ერთხელ სიზმარში, როგორც მამაკაცი, მეორედ კი ცხადში, როგორც ქალი!

- ძვირფასო დეიდა მარინა, ფაქტია, რომ მე ცოცხალი ვარ და უფრო მეტიც, თქვენი გამოძახება შევძელი.

- თქვენი ცოდნისა და გამოცდილების თანახმად, როგორ ხერხდება მიცვალებულების მოხმობა? - საუბარში ჩაერთო მისის სიკინდიალი.

- ბევრი რომ არ განვალოთ, მარტივად გეტყვით, - თქვა ვიკმა, - მიცვალებულების სხვა სამყაროდან გამოძახება შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ სული მარადიულად არსებობს, დაბადებამდეც და სიკვდილის შემდეგაც, ისინი, შეგვიძლია, მათი ცხოვრების რომელიმე კონკრეტული დღიდან გამოვიძახოთ და არა იმ დროიდან, როცა ჯერ კიდევ დაუბადებლები, ან უკვე გარდაცვლილები არიან. ჰოდა, მეც გიხმეთ. თქვენთან 1881 წელია, მაისის თვე. მე შვიდი წელი ჯერ არ შემსრულებია. აქ, ჩემთან, სხვა წელი და საუკუნეა, თანაც ზამთარი. თბილად ამიტომაც მაცვია.

- საკმარისია! გვეყო თამაში! - შეაწყვეტინა მისის სიკინდიალმა. - თუ ყველაფერი ისეა, როგორც თქვენ ამბობთ, მაშინ რას იტყვით ნამდვილ ვიქტორზე, რომელსაც მეზობელ ოთახში სძინავს? შეგიძლიათ, თავად შეამოწმოთ. ფანჯრიდან შეჭყეტაც საკმარისია.

- არ არის საჭირო, ძვირფასო დედა, ისედაც კარგად მახსოვს, როგორ მეძინა პატარა ოთახში, სანამ თქვენ სულებს იძახებდით. ნება მიბოძეთ, გითხრათ, რას ვაკეთებ ახლა იქ, ჩემს სანოლში, მეშვიდე წელიწადში მყოფი. თქვენ ცდებით - მე არ მძინავს. შეშინებული ვიჭამ ფეხის ფრჩხილებს. ახლა, როცა უკვე დიდი ვარ, ზოგჯერ გონებით ვბრუნდები კარადაში და ვუყურებ, როგორ სძინავს სანოლში ჩემს ბავშვობას.

- რაც გინდათ, ილაქლაქეთ, - შეაწყვეტინა მისის სიკინდიალმა, - სიმართლე გითხრათ, არ მჯერა, რომ მოვკვდი. ეს... ეს ძალიან უცნაურია... ბავშვობაში არ იყავით ისეთი უშნო, როგორიც ახლა ხართ... ვინ იფიქ-

რებდა... თუკი ეს შენ ხარ და არა ვინმე სხვა... შეხედე შენს ფეხსაცმელს. იმხელაა, კატის კნუტებს კალათად გამოადგებათ. გვითხარი, ბოლოს და ბოლოს, რისი გაგება გინდა ჩვენგან? რატომ გამოგვიძახე?

- შეცდომით, ძვირფასო დედა, შეცდომით.

- მაშ, ვის გამოძახებას ცდილობდით? - მშვენიერი მისის ტესა ისევ ჩაერთო საუბარში.

- ძვირფასო დეიდა ტესა, მე თქვენ მიყვარდით, მიყვარდით იქამდე, სანამ ლამაზი იყავით, თქვენ კი სილამაზე ღრმა მოხუცებულობამდე არ დაგიკარგავთ. თქვენი სიკვდილის შემდეგ მოვხვიე ხელი თქვენს ნივთებს, სამკაულებს, სუნამოს ბოთლებს, ფერ-უმარილსა და პუდრებს, ცხვირსახოცებსა და თვალის ფანქრებს, ხელოვნურ ხალებსა და ბეჭდებით მოკაზმულ ხელთათმანებს, წამწამების ასაპრებ მონყობილობას, მთელ თქვენს ბრჭყვიალა აღჭურვილობას და ამ ყველაფერს მთელ მსოფლიოში თან დავატარებ ტყავის სახელურებიანი, მწვანე ზანდუკით... ზოგჯერ ზანდუკს ვხსნი და ნივთებს ვამონწმებ. მათ ჯერ კიდევ თქვენი თმის სურნელი ასდით. მაგრამ თქვენ მაინც არა ხართ ის, ვისი ნახვაც ამაღამ მინდოდა.

- ვისი ნახვა გინდოდათ? - იკითხა მისის ტესამ და მის ხმაში იმედგაცრუება გაისმა.

- თქვენი ხათრით, მოვყვები, ვის გამოძახებას ვცდილობდი, როცა შევცდი.

თუ სულის გამოძახებას დააპირებთ, უნდა გახსოვდეთ, რომ შეგიძლიათ, მისი სულიც გამოიძახოთ, ვინც ჯერ არ დაბადებულა, მაგრამ სადაცაა, დაიბადება. ისიც იმ სამყაროში ცხოვრობს, სადაც სხვა დაუბადებელი და გარდაცვლილი სულები ბინადრობენ. რადგან სულებს მათი არარსებობიდან ვერ გამოვიძახებთ და მათი გამოხმობა მხოლოდ კონკრეტული მომენტებიდან

შეგვიძლია, გამოდის, დაბადებამდე კონტაქტის დამყარების ერთადერთი გზა არსებობს – მაშინ უნდა ვცადოთ მათთან დაკავშირება, როცა მათ ჩვენთან ახლოს ყოფნას ვგრძნობთ და გონებით ურთიერთობასაც ვახერხებთ, ანუ როცა ისინი ფიზიკურად არსებობენ დედის საშვილოსნოში. მინდოდა, დაუბადებელი არსება გამომეძახა და გამეგო, გავხდები თუ არა მამა ოდესმე და მსოფლიოს რომელ ნაწილში მოხდება ეს, მაგრამ რაღაც ამერია და ხელში თქვენ შემრჩით. სულ ესაა... მაგრამ რადგან ყველა აქ ხართ, ნება მიბოძეთ, შემთხვევით ვისარგებლო.

ამ სიტყვებით ვიკი მისის სიკინდიალს მიუბრუნდა:

– ძვირფასო დედა, მინდა, რაღაც გკითხოთ. გამბედაობა არ მეყო, რომ ეს კითხვა თქვენს სიცოცხლეში დამესვა.

– ასეთი რა არის?

– ხომ არ იცი, ვინ იმალეობდა ჩემი ბავშვობის კარადაში? ვისი ფეხის ხმა მესმოდა მისი სიღრმიდან? ქალის ხმა მახსოვს, რომელიც ხმადაბლა მღეროდა: „სიმწვანე გვიცავს წვიმისაგან...“ იქ, კარადის სიღრმეში, ხე იზრდებოდა.

– ისევ უაზროდ ალაპარაკდით, ძვირფასო! – მიუგო მისის სიკინდიალმა. – თუ თქვენს ნათქვამს დავუჯერებთ, კარადაში თქვენი ფეხის ხმა ისმოდა. თავად აღნიშნეთ, რომ გაზრდილი, ხშირად დაბრუნებულხართ თქვენს ოთახში და კარადიდან მძინარე ბავშვისთვის გითვალთვალიათ... სისულელეა. კარგად დაფიქრდით, რას ლაპარაკობთ, შვილო ჩემო. ეს ნორმალური არ არის. ალბათ გაგიგიათ, ასეთი გამოთქმა არსებობს: „მღვდელი გრდემლით და მჭედელი წიგნით ყოველთვის...“

მან წინადადება ვერ დაასრულა. ქოთანის თავისით ამოყირავდა და ვიკი გაუჩინარდა.

სიზმრის განმტოება, რომელიც მაღამ ლემპიცკამ ნახა, როგორც ქალმა

ბიჭი, რომლადაც მაღამ ლემპიცკა დაძინებისთანავე იქცეოდა, გაიზარდა. თავის სიზმარში მაღამ ლემპიცკა ამჯერად მაგისტრ ვიქტორ სიკინდიალს გადაეყარა, მაღალ, ახალგაზრდა კაცს, ამღვრეული მზერით, რომელიც გრენობლში სწავლის გასაგრძელებლად ჩასულიყო. ამ დროს მას უკვე ჰქონდა ხე, რომელიც ზეცისკენ მიმავალ ცრემლებს იფარავდა, სწორედ ისეთი ხე, ლემპიცკას რომ არასოდეს გააჩნდა.

როგორც კი ლემპიცკამ ახალგაზრდა კაცი თავისი სიზმრის ქალაქში დალანდა, სიკინდიალი ფუნდუკში გაჩერდა და ველური ალუბლით შენელებული ინდაური შეუკვეთა, „ბორდოსთან“ და „კამამბერთან“ ერთად, რომელსაც ვერასოდეს ირგებდა, მაგრამ ვერც ელეოდა. მაგიდასთან მჯდომი ვიქტორი, რომელსაც გვერდით ორი მწვანე, ტყავის შესაკრავებიანი ზანდუკი ედო, იქვე, კაუჭზე ჩამოკიდებულ გაზეთს მიწვდა. ბინას ეძებდა დასაქირავებლად. ერთმა განცხადებამ მისი ყურადღება წამსვე მიიპყრო:

„ქირავდება აბაზანა, ხედით მდინარეზე და საძინებელი ნიშით“.

როგორც წესი, ოთახები ქირავდება აბაზანით, თუმცა ამ შემთხვევაში ყველაფერი პირიქით იყო. ვიქტორმა ცდუნებას ვერ გაუძლო და მითითებული მისამართისკენ დაადგა გზას, რომ საკუთარი თვალთ ენახა, რას სთავაზობდნენ. ხელში აივანი შერჩა, აივანი ნამდვილი ბალით, მაგიდითა და სკამებით, რომელსაც, სახელურების ნაცვლად, ბროლის ვაშლები ამშვენებდა, მინის გუმბათით, საიდანაც ვენეციური ჭალი ეშვებოდა, ვოლტერის „ყურებიანი“, მოიისფრო ხავერდგადაკრული

სავარძლით, სპარსული ხალიჩითა და ქვის აბაზანით, რომლის გვერდითაც ქალის მარმარილოში გამოკვეთილი ბიუსტი იდგა. ვიქტორი აბაზანაში ტანსაცმლიანად ჩანვა, ფანჯრიდან გაიხედა და მდინარე დაინახა. მთელი ისერი მართლაც ხელის გულივით მოჩანდა. აბაზანას პატარა შესასვლელი ჰქონდა და ამ შესასვლელში, ფარდის მიღმა, მან ორმაგი კარი აღმოაჩინა. კარი სახლის სხვა ნაწილში გადიოდა, რომელიც არ ქირავდებოდა. იქ შესვლა აკრძალული იყო. სწორედ ამ ძველმოდურ, ფართო კარში იდგა დასაკეცი საწოლი – როგორც განცხადებაში ეწერა, ეს იყო საძინებელი ნიშა, პირდაპირი მნიშვნელობით. ვიქტორს წამითაც არ უფიქრია, აბაზანა იქირავა და გადაბარგდა.

ახალგაზრდა სიკინდიალი უნივერსიტეტში ტრამვაით დადიოდა, რომელიც ოთახივით იყო მორთული, ერთადერთი, ის აკლდა, რომ ყავა მოეტანათ. ერთ საღამოს, ლექციებიდან შინისაკენ მიმავალმა ვიქტორმა სასწაული იხილა. როცა ქალაქის ცენტრში, პარკთან, ტრამვაიმ მოძრაობა შეანელა, თითქმის გაჩერდა, საიდანღაც მუსიკა გაისმა. მგზავრები, მათ შორის, სიკინდიალიც, ფანჯრებს მისცვივდნენ, რომ თვალი მოეკრათ, გარეთ რა ხდებოდა. მაშინ ვიქტორმა არ იცოდა, რომ მისთვისვე აჯობებდა, ადგილიდან არ დაძრულიყო.

პარკში, ღია ცის ქვეშ, სადაც პატარა რესტორანი იდგა, სტუმრები ტანგოს ცეკვავდნენ. საოცარ ტანგოს, რომლის მსგავსიც ვიქტორს არც ცხადში უნახავს და არც სიზმარში. ათი თუ მეტი წყვილის მოძრაობა გაცილებით უფრო შთამბეჭდავი იყო, ვიდრე მუსიკა, რომელიც ტალღებად აწყდებოდა ტრამვაის კედლებს. სუნთქვაშეკრული სიკინდიალი დაძრული ტრამვაიდან ჩამოხტა. ჩამოხტნენ სხვა მგზავრებიც, რათა რესტორანში

დამსხდარიყვენ და ზღაპრული ტანგოსთვის ეყურებიანათ. გონებადაბინდულმა ვიქტორმა ერთ-ერთ მაგიდასთან იპოვა თავისუფალი სკამი. მაგიდაზე მალაღფეხიანი ჭიქა იდგა, რომელსაც ქალის ტუჩების კვალი ეტყობოდა. ჭიქის კიდეები ისე გამოიყურებოდა, თითქოს ვიღაცას მოელეჭა. ვიქტორი აღტაცებით შეაცქერდა მოცეკვავეებს და მზერა მამაკაცების წყვილზე შეეყინა, რომელიც „სისხლსმონყურებულ“ ტანგოს ასრულებდა. სრულყოფილი წყვილი იყო და პარტნიორების მოძრაობაში არაბუნებრიობის ნატამალიც არ ჩანდა. წამყვან როლს მონაცვლეობით ირგებდნენ, ჯერ ქალის, შემდეგ კაცის პარტიას რიგრიგობით ასრულებდნენ. მოგვიანებით, ცეკვის შუაში, მამაკაცები ერთმანეთს დაშორდნენ და თავიანთ ქალ პარტნიორებს დაუბრუნდნენ. ვიქტორმა მხოლოდ მაშინ შენიშნა ისინი, უფრო სწორად, თავიდან წითელი კაბა დაინახა, რომელიც ორი გოგონადან ერთ-ერთს ეცვა. კაბას წარწერა ამშვენებდა:

„ვატარებ მას, ვინც მე მატარებს“

ცეკვის დროს მართლაც კაბა ატარებდა გოგონას და არა პირიქით. მოოქრული ქამარი, წელის ნაცვლად, მკერდის ქვემოთ ჰქონდა შემორტყმული. პრიალა ფეხსაცმლის წითელი ძირები ყოველი შემოტრიალებისას თვალისმომჭრელად ელავდნენ. გოგო ცეკვავდა და თან პარტნიორი ახალგაზრდა მამაკაცის მხარზე გადებულ გრძელ ყალიონს აბოლებდა. ტანგო რომ დასრულდა, მენყვილემ იგი სწორედ იმ მაგიდასთან მიაცილა, სადაც სიკინდიალი იჯდა, მადლობის ნიშნად თავი დაუკრა და თავის ადგილს დაუბრუნდა. ყალიონი ვიქტორისკენ შეტრიალდა და გოგომ სიკინდიალს მის მშობლიურ ენაზე დაუსვა კითხვა:

– აქ რას აკეთებ?

ვიქტორი ფეხზე წამოიჭრა და დაბნეულობისაგან ისე გაიშალა, როგორც მდინარე – შესართავთან. იდგა და თვალს ვერ აშორებდა გოგოს მრავალფერი პომადით მოხატულ ტუჩებს, ლაპარაკისას თევზებივით რომ სრიალებდნენ და ელავდნენ.

– რა იცოდი, სადაური ვარ?

– რა ვიცოდი? გამოცნობა ძალიან ადვილია. ღილებით მივხვდი, უფრო სწორად, იმით, თუ როგორაა ღილები დაკერებული. ჩემს მაგიდასთან ჯდომა მხოლოდ ორი პირობით შეგიძლია: პირველი – ხმას თუ არ ამოიღებ, სიტყვა თუ არ წამოგცდება და მეორე – ნაყინს თუ მიყიდი. ერთი ბურთულა ვაფლში, საკმარისი იქნება.

ვიქტორი ნაყინის მოსატანად წავიდა. მაგიდასთან დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ ყალიონი მაგიდაზე ხრჩოლავდა, გოგო კი ისევ საცეკვაო მოედანზე გასულიყო, ამჯერად, სხვასთან ერთად. სიკინდიალს ერვებოდა, რომ მისი მოძრაობები მართავდა მუსიკას, რომ მუსიკა მიყვებოდა გოგოს და არა პირიქით. მან ცეკვა-ცეკვით გამოართვა ნაყინი ვიქტორს, ალოკა და უკან მიაჩერა ისე, რომ წამითაც არ გაჩერებულა, თითქოს მასზე მკლავებშემოხვეულ პარტნიორს ჭადრაკს ეთამაშებოდა.

– მიდი, შენც გასინჯე, – უთხრა გოგომ ვიქტორს, როცა მუსიკა შეწყდა და მაგიდასთან დაბრუნებული, სკამს დაენარცხა.

– რთულია ასე ლამაზად ცეკვა?

– ყველაზე რთული იმ კუნძებისთვის ფეხის აწყობაა, ვისთან ერთადაც ცეკვა გინევს. ზოგი ნაძვივითაა, ცეცხლი მალე ეკიდება და კვამლად იქცევა. ასეთებისგან მხოლოდ უსიამოვნებებს უნდა ელოდე. ზოგი ღვიას მოგაგონებს, სასიამოვნო სურნელს აფრქევს, მაგრამ სულ ესაა. ზოგი ინდაურის ხეს ჰგავს, მყარია, მაგრამ უსახური, ვნების ნა-

პერნკალიც კი არ გააჩნია. ზოგი წიფელივით სქელია, ზოგი მუხასავით ფესვმაგარი. საუკეთესო კი მათი ნაზავია.

– მე რომელი ვარ?

– შენ ზედმეტად ტკბილი ხარ. ველურ ალუბალს მაგონებ, მაგრამ ზუსტად ვერაფერს გეტყვი, სანამ შენთან არ ვიცეკვებ.

– მე არ ვცეკვავ.

– ასეც ვიცოდი. ისედაც საკმარისად ვიცეკვე, ფეხის გულები მტკივა. იცი, რას იზამენ აქ მოცეკვავე ქალები ამაღამ?

– არა.

– ფეხებს ცივი რძით დაიბანენ.

მან სანდლები წაიძრო და ვიქტორს მიაჩერა სატარებლად.

– გაქვს ცივი რძე? – იკითხა და წამოდგა.

– მაქვს.

– შორსაა?

– რა?

– სულელი ხარ. შენი სააბაზანო შორსაა-მეთქი?

– არა. აქვეა, ახლოს. – უპასუხა ვიქტორმა და ორივენი გზას დაადგნენ.

როგორც კი ოსტატ სიკინდიალის ნაქირავებ ბინაში აღმოჩნდნენ, გოგომ ბიჭს თითზე უკბინა. სანამ ვიქტორის გაოგნებული თვალები სტუმარს აშიშვლებდნენ, მან მაცივრიდან რძიანი ბოთლი მიიტაცა, კარი, სახელურის მაგივრად, ბროლის ვაშლით შეაღო და აბაზანაში ჩახტა.

ვიქტორი სანოლზე გაიშხლართა. სააბაზანოდან სითხის მრავალხმიან ბუყბუყს შერეული ხმადაბალი სიმღერა ისმოდა, რომელსაც დროდადრო სლოკინი წყვეტდა. სიკინდიალს ეცნო მელოდია და მალე სიტყვებიც ამოუტივტივდა გონებაში: „სიმწვანე გვიცავს წვიმისაგან...“

ბოლოს კი მიხვდა, რომ სიმღერა, რომელსაც გოგო ღლინებდა, ტანგო იყო.

ვიქტორი არ ამდგარა, ისე გასძახა სტუმარს:

– მითხარი, ვინ ხარ!

– გეტყვი და მერე არ მითხრა, რომ არ მითქვამს. ზღა-ტი-ა!

სიმღერა ისევ გაისმა, ამჯერადაც იშვიათი სლოკინის თანხლებით. სააბაზანოში გოგო მღეროდა, მღეროდა პაუზებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, აცემინებდა, კედლებს კან-რავდა, ახველებდა ორჯერ, ჯერ ჩუმად, მერე ხმამაღლა, აგინებდა ცხენებს, უსტვენდა კბილებს შორის, აუღარუნებდა გასალებს, თითქოს ცდილობდა, სააბაზანო შიგნიდან ჩაეკეტა. ბოლოს ვიკს სთხოვა, ყალიონი შეეკეთებინა და მისთვის მიეტანა. ბიჭმა მასთან მიახლოებისთანავე იგრძნო გოგოს ქალური სისველე საკუთარ ტუჩებზე და ველური ალუბლისა და თაფლის არომატთან შერეული თამბაქოს სურნელი. ამ სუნმა ვიკის სხეულის წყლები ააღელვა, ააკვილა და დულილამდე მიიყვანა, თითქოს ვიღაცამ მისი სული გამოიძახა. აქაფებულ ტალღებად ქცეული საიდუმლოებები სისხლად მიედინებოდა მის ძარღვებში. ეს არ იყო სისხლის უბრალო მიმოქცევა, ეს რაღაც უფრო დიდს ჰგავდა, უცნაური კავშირის აჩრდილს, რაღაც უძველესს, რაღაც გამაოგნებელს, რასაც ადამიანის სხეული უკვე მილიონი წელია, ატარებს და ინახავს. იმავე წამს ბიჭის ნერწყვი თაფლად იქცა, ცხელმა ცრემლებმა ყელი დაუკანრა, თვალები ბლანტი, მარილიანი, ფაშატის სუნად აყროლებული სითხით გაენება და მისი მამაკაცური თესლის გემო ქალის რძის გემომ შეცვალა. და ვიქტორი სააბაზანოში შევიდა.



დილით სიკინდიალმა ზლატიას ჰკითხა:

– რატომ არ გინდა, ჩემთან დარჩე?

– რატომ უნდა მინდოდეს? უკვე მყავს ორი ქმარი, პირველი და მეორე. ეს უკანასკნელი მეორეული მოხმარებისაა. ვერცერთს ვერ ვიტან. მომავალს ყოველთვის ისე ვუყურებ, როგორც ყველაზე დაუნდობელ მტერს. მისგან თავის დასაცავად წინასწარმეტყველებით ვიქცევ თავს, ჩემს ინტუიციას ნებას ვრთავ, იგრძნოს ის, რაც ჯერ არ ჩანს, იძულებული ვარ, განვჭვრიტო, რა მოხდება, შეძრწუნებული ველოდე, რას გვიმზადებდა ბედი, რა არის გარდაუვალი დროის მარადიულ მიმოქცევაში, როგორ დავბერდებით მეც და სხვებიც, რადგანაც ვიცი, რომ ერთი სიბერე კი არ მექნება, არამედ უამრავი მელის. ერთადერთი გზა არსებობს იმისთვის, რომ მომავალს აჯობო – ფეხმძიმობა. ჩემს ქმრებს არ ესმით ჩემი შიში. ბავშვი ისევე არ ანალვლებთ, როგორც აღმოუჩენელი ამერიკა არ ანალვლებდა მსოფლიოს. ისინი დღევანდელი დღით ცხოვრობენ და საერთოდ არ ფიქრობენ კონტინენტზე, რომელიც სადღაც არსებობს. „ტერა ინკოგნიტა“ მათ არ აინტერესებთ.

– სად არიან შენი ქმრები?

– ქვემოთ, შენი სახლის წინ. ორივე იქაა. მელოდებიან, როდის ჩავალ.

– საიდან იციან, აქ რომ ხარ?

– მათ ყოველთვის იციან, სად ვარ. შენც გეცოდინებოდა, ჩემი ქმარი რომ ყოფილიყავი, მაგრამ რადგან არ ხარ, ნება მიბოძე, დაგემშვიდობო, ძვირფასო. სანამ წავალ, ერთ საიდუმლოს გაგიმხელ.

– მითხარი.

– შეიძლება, შენ ამაღამ ჩემში ბავშვი ჩასახე. შეიძლება.



ოსტატმა სიკინდიალმა შესანიშნავად ისწავლა ტანგოს ცეკვა. ის ყოველდღე დადიოდა პარკში, ხვდებოდა ტანგოს მოყვარულებს, ყიდულობდა მოცეკვავეებისთვის ნაყინს, მაგრამ ზლატიას აღარასოდეს შეხვედრია.

„რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო რთული ხდება იმ ადამიანების ყურება, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში, ყოველდღე ვხვდებით. ჩვენ მათ ისეთებად ვიმახსოვრებთ, როგორებიც ათი წლის წინ იყვნენ. თითქოს დღესაც იგივე სახეები აქვთ, როგორიც მაშინ ჰქონდათ, პირველად რომ დავინახეთ. სიყვარულიც ასეა. ზლატია დღესაც ცეკვავს ჩემთან ტანგოს გრენობლის პარკში, მიუხედავად იმისა, რომ აქ არ არის“. – ფიქრობდა ის.

ვიქტორი ყოველდღე თავიდან იყვარებდა ზლატიას, ვნებიანად და ძლიერად. იხსენებდა მასთან შეხვედრის წამებს, იხსენებდა მასთან ურთიერთობას, რომელმაც კულმინაციას მაშინვე მიაღწია, როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, როცა ვიქტორმა პირველად ამოიკითხა ნარწერა ზლატიას კაბაზე:

„ვატარებ მას, ვინც მე მატარებს“

ზლატიას გახსენებისას ვიქტორი ხვდებოდა, რომ გოგოს ისევე ნაძალადევად და არაბუნებრივად ჰქონდა მორგებული ქალური ბუნება, როგორც წითელი კაბა, თუმცა ამ მდგომარეობის შესაცვლელად ვერაფერს აკეთებდა. სიკინდიალის ფიქრებში ბუნდოვნად ჩნდებოდა ზლატიას ღიმილი, თვალისმომჭრელ სპაზმებად ქცეული ხვეულებით, თითქოს სიცილი ტკივილს აყენებდა.

„საიდუმლოებები უფრო ძველია, ვიდრე სიმართლე“, – ფიქრობდა ვიქტორი და ეძებდა უცნობ ქალს, რომელთანაც ორი ღამე გაატარა. იხსენებდა მისი ხელების შეხებას უკუნ სიბნელეში და არ ტოვებდა შეგრძნება, რომ ზლატიას,

ორის ნაცვლად, სამი ხელი ჰქონდა – ორი თბილი და ერთი ცივი. შემდეგ კი, როცა მიხვდა, რომ ქალს ვერსად იპოვიდა, ბავშვის ძებნა დაიწყო, ბავშვის, რომელიც, შესაძლოა, მას და ზლატიას გაუჩნდათ.

„დრო მხოლოდ კალენდარზე არსებობს, სინამდვილეში კი, ყველას საკუთარი დრო აქვს ცხოვრებაში“, – ფიქრობდა ვიქტორი. ის აღარასოდეს შეხვედრია წითელკაბიან გოგოს. არც ბავშვი უპოვია. ალბათ მათზე ზლატიას ორი ქმარი ზრუნავდა, პირველი და მეორე, „მეორეული მოხმარების“. ალბათ.

სიზმრის განშტოება, რომელიც მაღამ ლემპიცკამ ნახა, როგორც მამაკაცი

მაღამ ლემპიცკას სიზმრის ეს განშტოება უფრო ხმებისგან შედგება, ვიდრე გამოსახულებებისგან. მამაკაცი, რომელიც მისი სიზმრის ამ ნაწილში ჩანს, საშინლად დაღლილი, ზარმაცი ან მოხუცია, ამიტომ წერილს ძალიან ნელა წერს. ლემპიცკას კაცის ხმა ძლივს ესმის, მაგრამ მაინც კარგად იცის თითოეული სიტყვა, რომელიც ქალაქზე ჩნდება.

გრატი. 2 აგვისტო. ა. წ.

ქვირფასო და ღრმად პატივცემულო ქალბატონო ევფრასია, მხოლოდ ახლა მომეცა საშუალება, თქვენს ორ, სიკეთით აღსავსე წერილს პასუხი გავცე, რადგან უკვე ძალიან მოვხუცდი ბედნიერებითა და სიხარულით აღსავსე ამბებისთვისაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა რამეებზე, რომელთა რიცხვშიც, საბედნიეროდ, თქვენი წერილები არ შედის. პირიქით, მათმა მიღებამ ძალიან გამახარა. ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ მე დიდი სიმპათიითა და პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული თქვენი გარდაც-

ვლილი მამის, მაიორ სიკინდიალის, დოქტორ ვიქტორის მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი სახით შესაბამისი ადამიანი იპოვეთ, რათა მის შესახებ სამნუხარო ამბები შეიტყოთ. მამათქვენი თავშეკავებული ჯენტლმენი გახლდათ, ძლიერი და თავდაჭერილი მამაკაცი, რომელსაც თამბაქონარევი პური უყვარდა და ლოცულობდა ნყალზე, რომელიც უნდა დაეღია...

თუმცა აჯობებს, თავიდან დავინყოთ, თქვენი პირველი წერილიდან. მაღამ ზღატია, რომელთან შეხვედრის პატივი მე არ მრგებია, მართალი იყო, როცა გეუბნებოდათ, რომ ერთი მამის ყოლას სამი მამის ყოლა ჯობია. შემძრა თქვენი წერილის იმ მონაკვეთმა, სადაც წერთ, რომ ხშირად მისულხართ გრენობლის პარკში ტანგოს საცეკვაოდ, იმ იმედით, რომ ნამდვილ მამას შეხედებოდით. სამნუხაროდ, დაგაგვიანდათ. მართალი ბრძანდებით, როცა ამბობთ, რომ ერთმანეთი ვერ იპოვეთ და უფრო მეტიც, მხოლოდ მაშინ გაიგეთ, ვინ იყო თქვენი ნამდვილი მამა, როცა ის ცოცხლებში აღარ ეწერა.

ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ მამათქვენი არ გახლავთ დაკრძალული სოჭში, საფლავში, რომელიც თქვენ პირველ წერილში ახსენეთ, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ჯვარს, საფლავზე რომაა აღმართული, მისი სახელი, დაბადების სწორი და გარდაცვალების არასწორი თარიღები აწერია. ალბათ გაინტერესებთ, საიდან ვიცი ეს ყველაფერი. სწორედ იმ წელს, რომელიც გარდაცვალების წლადაა მითითებული, მამათქვენს სოჭში ვახლდი საბრძოლველად. ერთ-ერთი შეტაკების დროს სწორედ აღნიშნულ სასაფლაოზე მოგვიხდა გავლა. შევჩერდით და მაიორმა სიკინდიალმა კვარზე საკუთარი სახელი ამოიკითხა.

- ასეთი შეცდომა როგორ მოხდა, მაიორო? - გავოგნდი მე. მან, ისე, რომ გაოცების ნატამალიც არ დატყობია, მიპასუხა:

- არავითარი შეცდომა. მოხუცმა ჰერცოგინიამ დიდი ხნის წინ მიწინასწარმეტყველა, რომ ორჯერ მოვკვდებოდი, ერთხელ - როგორც მამაკაცი, მეორედ - როგორც ქალი. ამიტომ უცნაური არაა, რომ ორი საფლავი უნდა მქონდეს. აქ ალბათ მდედრობითი მე მარხია.

ასეთი გახლავთ ამბავი მამათქვენის პირველი საფლავის შესახებ, ძვირფასო და პატივცემულო ქალბატონო ევფ-რასია.

მეორე წერილსაც მივადექით. ნება მიბოძეთ, პასუხი გავცე თქვენს მთავარ შეკითხვას - სად არის დასაფლავებული მამათქვენი, მაიორი სიკინდიალი. მე პატივი მერგო, არა მხოლოდ ომში ვხლებოდი მას, არამედ ვყოფილიყავი მისი კოლეგა სამოქალაქო საქმიანობის მიხედვითაც და დავხმარებოდი მამათქვენს იმ საქმეების მოგვარებაში, რომელთაც ომის დროს დიდ ყურადღებას უთმობდა. მახსოვს, სტეიტენბერგის სასახლეში დავბანაკდით, როცა მაიორმა ანგარიშები მიიღო მის დაქვემდებარებაში მყოფი მეთაურებისგან. შუადღე იყო. მაიორმა სიკინდიალმა ბიბლიოთეკაში შეგვკრიბა. რენესანსის ეპოქის უზარმაზარი მაგიდის ირგვლივ ვისხედით, რომელზეც სოჭისა და პიავეს რეგიონების რუკები იყო გაშლილი. ის ყურადღებით ისმენდა საომარი მოქმედებების ამბებს. ძლიერი ტკივილების გამო, მაიორი ვერც ჯდომას ახერხებდა და ვერც ერთ ადგილას დგომას, ამიტომ შეუსვენებლად დადიოდა. დროდადრო კომენტარებს აკეთებდა მოსმენილის შესახებ, თან ბიბლიოთეკის თაროებზე წიგნებს ათვალიერებდა, რომელიმე მათგანს გადმოიღებდა, შემდეგ უკან აბრუნებდა, ან მაგიდაზე დებდა. ვიცოდი, რომ სამხედრო რუკების გარდა, მაგიდაზე სხვა, მის სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული დოკუმენტებიც ეწყო. მაიორს კვლევა საომარ მოქმედებებზე მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა. მან კარგად იცოდა, რომ ომი უკვე წაგებული გვექონდა და

ყველაფერს, რაც, როგორც მაიორს, ევალეზოდა, მხოლოდ პროფესიული მოვალეობის მოხდის მიზნით, რწმენისა და მიზანდასახულობის გარეშე აკეთებდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს.

მაშ ასე, სამხედრო რუკების გარდა, მაგიდაზე იმ დღეს წიგნიც იდო – გიბონის „რომის იმპერიის დაკნინება და დაცემა“, გერმანული გამოცემის ბოლო ტომი. იქვე ენყო თურქებისგან ჯერ კიდევ თავისუფალი კონსტანტინოპოლის რამდენიმე რუკა და პანორამა.


აი, მათი ჩამონათვალიც:

„Byzantium nunc Constantinopolis“ – 1566-1574 წლების ინტერვალში დაბეჭდილი რუკა, „Lorenz & Keil, Libraires de S. M. I. Le Sultan“.

„კონსტანტინოპოლის აღწერა – როგორი იყო ქალაქი 1422 წელს, სანამ თურქები დაიპყრობდნენ“. Du Fresnoie Lib. I p.1.

„Constantinopel“ – გერმანული დაუთარილებელი გამოცემა, სადაც აღწერილია კონსტანტინოპოლში თურქების გაბატონებამდე.

მაიორმა სიკინდიალმა გერმანული და ანონიმური, შემდგომში გაფერადებული, გამოცემებიდან დააკოპირა სიმბოლოები, რომლებიც ბიზანტიური კონსტანტინოპოლის ყველა გოდოლს ამშვენებდა.



ნახატს თან ერთვოდა წარწერა:

„კონსტანტინოპოლის ყველა გოდოლზე გამოსახულია ფარი, ჯვარზე დატანილი ოთხი ასოთი – სერბული ჯვრის ელემენტებით... შესაძლოა, იმიტომ, რომ ბიზანტიის მომავალი იმპერატორი წარმოშობით...“

ეს მაიორის უკანასკნელი ჩანაწერია. მეორე დღეს მიღებული ბრძანების თანახმად, დავიძარით და ჩავერთეთ ბრძოლაში, სადაც მამათქვენი ჩემს თვალწინ დაიღუპა. იქვე დავმარხეთ, სადაც დაეცა. მისი საფლავის პოვნა ჯერ კიდევ შესაძლებელია იმ არმიის მეომართა განსასვენებლებზე აღმართულ ჯვრებს შორის, რომელიც აღარ არსებობს. ის დაიღუპა ქვეყანაში, რომელიც რუკაზე აღარაა და ახლა მისი საფლავი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიას ეკუთვნის. ხე, რომლის ქვეშაც მინას მივაბარეთ, დღესაც მის საფლავს გადმოჰყურებს და ყოველ წელს ისხამს მინასავით გამჭვირვალე, წითელ, ველურ ალუბლებს... თუ ქალბატონი ევფრასია ისურვებს მამის საფლავის მონახულებას, მიუხედავად ჩემი ასაკისა, მზად ვარ, თანამგზავრობა გავუწიო მას.

მას შემდეგ, რაც მაიორ სიკინდიალის ომის დროინდელი მემკვიდრეობა მე მერგო, მის ქალაქებში ერთი უცნაური ჩანაწერი ვიპოვე, რომელსაც ამ წერილსაც ვურთავ. ბავშვობაში მამათქვენს ესიზმრა, რომ ვიღაცამ ყურში ლოცვა ჩასჩურჩულა. მან გაიხსენა და ჩაიწერა ლოცვის ტექსტი, მე კი, თავს უფლება მივეცი, ეს სიტყვები მაიორის საფლავის ჯვარზე მიმაგრებულ დაფაზე ამომეტვიფრა.

აი, მამათქვენის ლოცვა:

რათა გავუძლოთ დროებას შეშლილს,
წმინდაო ღმერთო, ბორკილები აგვხსენი რწმენის
და ლოცვებად მიგვიღე შენში.

გაფრთხილება:

ერთი და იგივე წიგნის ასი დასასრულის წაკითხვა ისევე ვნებს თქვენს ჯანმრთელობას, როგორც მონევა.

ეს იგივეა, რაც სიკვდილის ასჯერ განცდა, ერთის ნაცვლად.

გააკეთეთ თქვენი არჩევანი! – წაკითხეთ „ლურჯი წიგნაკი“!

ლურჯი წიგნაკი

**„უნიკალური ეგზემპლარის“
100 დასასრული**

თქვენ ხელთაა ასი განსხვავებული დასასრული,
ერთის მაგივრად.

შეგიძლიათ, თავად აირჩიოთ თქვენი
უნიკალური ეგზემპლარი.
დანარჩენი სხვებისთვისაა.

ეპილოგი, ანუ ლურჯი ნიბნაკი

რაკი ერლანგენი ციხეში ჩასვეს მადამ მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიცკას მკვლელობისათვის, ალექსანდრ კლოზევიჩმა კი პატიოსნად გადაიხადა უკანონოდ მიღებული სარგებლის გამო დაკისრებული ჯარიმა, ლემპიცკასა და დისტელის საქმეები დაიხურა.

მაგრამ უფროსი ინსპექტორი ეუჯინ შტროსი არ გახლდათ ის კაცი, თავი რომ მთელი ღამე ერთ ბალიშზე დაედო და მშვიდად დაეძინა. უფრო მეტიც – მას სამი ბალიში ჰქონდა. მისტერ ეუჯინ შტროსი თავის ბლოკნოტში ჩანაწერებს აკეთებდა, ერთგვარ არაოფიციალურ ოქმებს ოფიციალურად დახურული საქმეების შესახებ. ორმა შემთხვევამ მისი განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა: ისაია კრუსის მკვლელობამ იპოდრომზე, რომელიც გაუხსნელი დარჩა და მადამ ლემპიცკას საქმემ.

ჩანაწერების უმეტესობა მისტერ შტროსს არ დაუთარილებია, ამიტომ ქრონოლოგიის დადგენა მეტისმეტად გაჭირდა. თუმცა გამონაკლისიც არსებობდა ერთი ჩანაწერის სახით, რომელსაც წელი, თვე და რიცხვი ჰქონდა მიწერილი. როგორც ჩანდა, მისტერ შტროსს წერა ბლოკნოტის შევსებამდე ცოტა ხნით ადრე შეუწყვეტია. ბოლო ჩანაწერი 2003 წლის 1 ნოემბრით თარიღდებოდა.

როგორც ვიცით, ინსპექტორი შტროსი სწორედ ამ დღეს მოკლეს. ეჭვმიტანილმა დაკავების დროს გაქცევა სცადა, ინსპექტორმა ის მიზანში ამოიღო, მაგრამ სანამ გაისვრიდა, მის ჯიბეში მობილურმა ტელეფონმა დარეკა და სწორედ ამ დროს ზურგში დაიჭრა – ეჭვმიტანილის თანამზრახველმა დანა საკმაოდ შორი მანძილიდან მოარტყა. მკვლელი არ დაუჭრიათ. დანა აშკარად ცაციისთვის იყო გალესილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მკვლელმა მარცხენა ხელით ისროლა. პოლიციის არქივში აღმოჩნდა ინფორმაცია ყოფილი მსჯავრდებულის, ასურ დადას შესახებ, რომელიც მემარცხენე გახლდათ და დანის სროლა ბრწყინვალედ ეხერხებოდა. იგი ქალაქის იატაკქვეშეთის „ბოსის“, „სერ უინსტონის“ დაჯგუფების წევრად მიიჩნეოდა, რომელთანაც ინსპექტორ შტროსს ძველი ანგარიშები ჰქონდა გასასწორებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, „ბოსის“ დაჯგუფების მიმართულებით ძიების წარმართვამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. ასურ დადას წინააღმდეგ სამხილი არ მოიძებნა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. „ლურჯი წიგნაკი“ ადასტურებს, რომ ინსპექტორ შტროსს გაუხსნელი საქმეები დარჩა, რომელთა ერთობლიობასაც თავად „ლემპიცკას და კომპანიას“ ეძახდა.

ცნობილია საქმესთან დაკავშირებული ორი მოვლენა, რომელიც ეუჯინ შტროსის სიკვდილის შემდეგ განვითარდა. საბჭოს თავმჯდომარის, ქალბატონი ჰეტის მკვლელობის შემდეგ „Plasquam City“-ში ახალი დირექტორთა საბჭო დაინიშნა, რომლის ხელმძღვანელობაც ბატონ იშიგუმის ჩააბარეს, იაპონელ ბიზნესმენს „50-დოლარიანი“ ღიმილით. ლემპიცკას შემნახველი ყუთი კი გატეხეს და 2005 წლის აგვისტოში კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა. მოკლეს კაცი, რომელსაც ქალაქში

ყველაზე ძლიერი დაცვა ჰყავდა – ზემოხსენებული „მისტერ უინსტონი“. „უინსტონის“ ყელზე შვიდი თითის ნაკვალევი აღმოაჩინეს – ვილაცას ხელით გაეგუდა. უფროსმა ინსპექტორმა თავის ჩანაწერებში აღნიშნა, რომ მას ენახა უცნაური, შვიდთითიანი ხელთათმანი მის კლოზევიჩის მარცხენა ხელზე, ხუთთითიანი კი მარჯვენაზე. „სერ უინსტონის“ მკვლელობის საქმეში ეს დეტალი ნამდვილად გასათვალისწინებელია.

„სერ უინსტონის“ მკვლელობის დრო – 2005 წლის აგვისტო – არაჩვეულებრივად ნათლადაა ნახსენები ინსპექტორი შტროსის 2003 წლის ჩანაწერში. დღიურის ამ ნაწილისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა ნამდვილად ღირს. აი, მისტერ ეუჯინ შტროსის ჩანაწერიც:

„წუხელ ფუნდუკ „შუალამის მზესთან“ ჩავიარე და ალექს კლოზევიჩი დავინახე, რომელსაც წარბში ღილი ჰქონდა ჩაკერებული. ხელი დავუქნიე და ფუნდუკში შევაბიჯე. ჩვენს საქმეში შემთხვევითი შეხვედრები, შეიძლება, ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდეს.

– რას მიირთმევთ? – ვკითხე გულდასმით. მან მიპასუხა, რომ უნგრულ ღვინოს, „კამეჩის სისხლს“ სვამდა და ერთი ჭიქა ჩემთვისაც შეუკვეთა. ქათმის სუპში თავჩარგულმა მალლა რომ ავიხედე, ბართან ჩამოკიდებულ სარკეში ჩვენს ანარეკლს შევაავლე თვალი და ჩემდა გასაოცრად, ვერსად დავინახე მის სანდრა, თმაში გარჭობილი მარათი. იმ დღეს კლოზევიჩის ქალური ნაწილი რატომღაც არ იყო წარმოდგენილი. სარკეში ბუნდოვნად ჩანდა მისი გადახოტრილი თავი და წარბში ჩაკერებული ღილი.

– ყოველთვის მავინყდება, რაღაც გკითხოთ თქვენი საქმიანობის შესახებ, რაც ბოლომდე არ მესმის. სასამართლომ დაადგინა, რომ თქვენს ბიზნესში არავი-

თარი დარღვევები არ იკვეთება, თუ მცირედ ჩავარდნას არ ჩავთვლით. დადასტურდა, რომ გადასახადებსაც პატიოსნად იხდით. ამიტომ ჩემი ინტერესი დაკითხვის ნაწილი არაა. მაინტერესებს, თქვენი საქმიანობა შემთხვევით თარიღებთან ხომ არაა დაკავშირებული, როგორ აგიხსნათ, ეშმაკობასთან, მაქინაციებთან, ან რაიმე თამაშებთან ხომ არ გაქვთ შეხება?

- რატომ შემთხვევით? - მომიგო კლოზევიჩმა, - თარიღებისთვის თავის არიდება შეუძლებელია.

- მაშინ მითხარით, ეშმაკობა რაში მდგომარეობს?

- ნება მიბოძეთ, მაგალითი მოგიყვანოთ. თავის სიზმარში დისტელი პუშკინის საშუალებით ეძებდა ეშმაკს, რათა პასუხი მიეღო შეკითხვაზე, როდის და როგორ დადგებოდა მისი აღსასრული. მაგრამ არც ერთი დემონი არ ცხოვრობს ყოველდღე, როგორც დემონი, არამედ ბოროტ სულად მხოლოდ საკუთარ დაბადების დღეზე იქცევა, რომელიც „მხეცის დღესაა“, ყოველ 666 დღეში ერთხელ. იმისთვის, რომ ჰერცოგინია მარინა სენდომირსკას ეწინასწარმეტყველა პუშკინის (იგივე დისტელის) სიკვდილი, აუცილებლობას წარმოადგენდა, მომღერალს სიზმარი სწორედ იმ დღეს ენახა, როცა სენდომირსკა „ქმედუნარიანი“, ანუ დემონი იყო. სხვა შემთხვევაში, მარინა ერთი ჩვეულებრივი, ლამაზი ქალი იქნებოდა, რომელიც არათუ წინასწარმეტყველებას ვერ შეძლებდა, არამედ ვერც კი გაიგებდა, რას ეკითხებოდნენ დისტელი და პუშკინი. ასევე ძალიან რთული აღმოჩნდა, მაღამ ლემპიცკას სიზმარში მარინა სენდომირსკა მაშინ გამოჩენილიყო, როცა მისი დემონური ბუნება აქტიურ ფაზაში იმყოფებოდა. შესაბამისად, მას უნარი შესწევდა, ორმაგად ეწინასწარმეტყველა სიკვდილის შესახებ - სიკინდიალისთვის და ლემპიცკასთვის...

- შთამბეჭდავია. მაგრამ ეს ყველაფერი საიდან იცით?

- ვკითხე მე.

- სიმართლე გითხრათ, ასეთ ცოდნას ყოველდღე არ ვფლობ. მაგალითად, გუშინ რომ გეკითხათ, ალბათ ვერაფერს გიპასუხებდით. სავარაუდოდ, ვერც ხვალ. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ დღეს მოხვედით და მეც გითხარით, რაც თავში მიტრიალებს. თანაც, დღეს ჩემი დაბადების დღეა, რომელიც არც ისე ბედნიერი გამოდგა.

- გილოცავთ! იქნებ მითხრათ, რატომ ხართ უკმაყოფილო დაბადების დღით?

- დღეს მინდოდა, ანგარიში გამესწორებინა ადამიანისთვის, რომელიც დიდი ხანია, მემუქრება, მაგრამ არ გამომივიდა. როგორც წესი, ასეთ საქმეებს ჩემს დაბადების დღეზე ვაგვარებ, მაგრამ ამჯერად უფრო მნიშვნელოვანი რამეები მქონდა მისახედი და მისთვის ამ დრომდე ვერ მოვიცალე. ახლა კი უკვე გვიანია, შუალამე დადგა.

- მაინც რით დაგემუქრათ?

- თითის მოჭრით.

- ვინ არის? გამიმხილეთ იმ ბატონის სახელი.

- ჩვენს საქმეში თქვენი ჩარევის არავითარი საჭიროება არ არსებობს, ბატონო ინსპექტორო. მასთან გასწორების შანსი კიდევ მომეცემა. არ მიყვარს, როცა მემუქრებიან.

- იცით თუ არა, რომ მოსალოდნელი მკვლელობის შესახებ აკეთებთ განცხადებას, მისტერ კლოზევიჩ?

- დიახ. უფრო მეტიც, შემიძლია, გითხრათ, მკვლელობა როდის მოხდება.

კლოზევიჩმა ჭერს ახედა და თითებზე რალაც გადათვალა.

- ზუსტად 666 დღეში, ანუ ამ ადამიანს 2005 წლის აგვისტოში მოვკლავ.

კლოზევიჩმა თავისი „კამეჩის სისხლი“ ბოლომდე გადაყლურნა და საპირფარეშოსკენ გაემართა. მე უკან ვავეკიდე. საინტერესო საუბრის გაგრძელება საპირფარეშოშიც შესაძლებელია. უფრო მეტიც, ასეთ ადგილებში ჩვეულებრივი ლაქლაქი გულითად დიალოგად იქცევა ხოლმე. როცა ჩახდილ კლოზევიჩს შევხედე, ადგილზე გავიყინე, მან კი არაამქვეყნიურად გადაიხარხარა. კლოზევიჩი სისხლს შარდავდა – სითხე შუშხუნა წვეთებად იღვრებოდა მის წინ.

თავიდან ვერ მივხვდი, რა აცინებდა ადამიანს, რომელიც შარდის ნაცვლად, სისხლს ღვრიდა საპირფარეშოში, მერე კი მიხვდი, რომ ეს კლოზევიჩის კი არა, „კამეჩის სისხლი“ იყო.

შემდეგ მან დაჟინებული მზერა მესროლა და მეც ისე გამოვიქეცი ფუნდუკიდან, რომ საკუთარ ფეხებს გამოვასწარი“.

ზემოთ მოტანილი და კიდევ ბევრი სხვა ჩანაწერის გამო, უფროსი ინსპექტორი შტროსის „ლურჯი წიგნაკი“ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. დღიურს ლურჯი მაუდის გარეკანი აქვს, ოქროსფერი ასოებით. როგორც ჩანს, ინსპექტორი ძირითადად სალამოობით წერდა, ზოგჯერ კი გამთენიისას, როცა მის ირგვლივ შემოჯარული ჩრდილები განსაკუთრებით იზრდებოდნენ და მუქდებოდნენ. ყოველთვის, როცა დღიურისთვის იცლიდა, სახეზე ნაცნობი ქალური ღიმილი დასთამაშებდა. გარდა დაკვირვების შედეგებისა და კომენტარებისა, რომელთაც ინსპექტორი შტროსი საქმის დეტალებიდან გამომდინარე ინიშნავდა, დღიურში ბევრ შემთხვევით მინაწერსაც შევხვდებით. მაგალითად, ერთ გვერდზე ინსპექტორის ხელს აცაბაცად მიუხატავს პეიზაჟი ხეებითა და მდელოებით, რომელიც ამავდროულად ქეციანი ცხვრის

ტყავსაც ჰგავს, მატყლი ბლუჯებად რომ სცვივა ადგილ-ადგილ. ნახატს მოსდევს საარშიყო ლექსის „მშვენიერი კატერინას შესახებ“ ფრანგული თარგმანი – კატერინას ქუჩა ჭყაპისგან გაინმინდა, რადგან მისმა საყვარლებმა მთელი თოვლი ქუსლებზე აიკრეს. ზოგჯერ შტროსის ჩანაწერები უცნაურად, ან უფრო მეტიც, სასაცილოდაც კი შეიძლება, მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ მათი ავტორი მხოლოდ საკუთარი თავისთვის წერდა და ვერ წარმოიდგენდა, რომ მის დღიურს ოდესმე ვინმე წაიკითხავდა (სიკვდილის შემდეგაც კი), ყველაფერი უფრო გასაგები გახდება. ზოგი ჩანაწერი მოკლეა, ზოგი აფორიზმს ჰგავს, ზოგი – გამთენიისას წამოცდენილ ბოდვას, ზოგან აზრები წყდება და წინადადებები ერთმანეთს ისეა აცდენილი, როგორც ფრაკი და ბაფთა – ფლოსტებს.

აქვეა დღიურის შესავლის სხვა ნაწილიც:

„ბევრი ფიქრის შემდეგ დავასკვენი, რომ ზოგჯერ თავს ისე ვგრძნობ, როგორც კლოზევიჩის ნანადირევი, კლოზევიჩის, რომელმაც თვალი გამისწორა, როგორც კაცმა, სახელად ალექსმა, სარკეში კი ქალის – სანდრას ანარეკლი დამანახა (მათი შეერთებით სახელ „ალექსანდრეს“ ვიღებთ). ალბათ ძალიანაც უნდოდა ჩემი გასულელება ორივეს, ალექსს – წარბში ჩაკერებული ღილით, სანდრას კი მადონას ღიმილით, როცა პირველად ვნახე „ნიშნების სახლში“, ასე რომ ჰგავდა ტაძარს. ყველაფერს, რაც მათ თავს ხდებოდა, იმით ამართლებდნენ, რომ „ანდროგენი“ იყვნენ, თითქოს დედამინის ზურგზე სხვა ანდროგენს არ უცხოვრია და თითქოს საიდუმლოს გასაღები მათ არსებობაში იმალებოდა და არა სარკეში.

გადავწყვიტე, კონსულტაციის გასავლელად კომპეტენტურ ადამიანთან მივსულიყავი, რომელიც სწორ

გზაზე დამაყენებდა. ძიებამ რეგისტრირებულ ასტროლოგთან, მის ილენა შიმოკოვიჩთან მიმიყვანა. ნეტავ ფეხი არ მიმედგა. მის ილენამ მითხრა:

- არავითარი შეცდომა! დაინახო ანდროგენის ორივე სახე, ქალურიც და მამაკაცურიც, ერთი რეალურად, მეორე კი სარკეში, ანდროგენზე კი არა, მასზეა დამოკიდებული, ვინც ხედავს.

- ეგ როგორ? - ვკითხე გაოგნებულმა.

- ანდროგენის ორ სახეს ყველა ვერ ხედავს. როგორც წესი, ისინი მეორე ბუნებას სარკეში, ან წყალში აჩენენ, ან მხოლოდ ერთი სახით ჩანან. ანდროგენის ორგვარად დანახვა ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ მის მიმართ ეშმაკეული განზრახვა ამოძრავებს. ასეთ ავგულებს „კაენის თვალი აქვთ“ - ისინი სამყაროს ჩვენგან განსხვავებულად აღიქვამენ“.

ეჭვგარეშეა, „ლურჯი ნიგნაკის“ ბევრ მკითხველს დაებადა კითხვა, როგორ ფლობდა „ნიშნების სახლი“ ადამიანთა სიზმრებს და საერთოდ, როგორ არის შესაძლებელი მსგავსი ტიპის ვაჭრობა. იგივე კითხვები აწუხებდა უფროს ინსპექტორ შტროსსაც. თავის დღიურში მან ამ საკითხის შესახებ ჩანანერიც გააკეთა:

„ლემპიცკასაც და მის დასაც, სოფია ანდროსოვიჩს, ორივეს ჰყავდა გურუ. თითოეულ მათგანს საკუთარი. მე სოფია ანდროსოვიჩის გურუს ვესტუმრე და ვკითხე, რამდენად შესაძლებელია სიზმრებით ვაჭრობა, როგორც ეს „ნიშნების სახლში“ ხდებოდა.

- გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. მე სხვა მიმართულებით ვმუშაობ. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩვენ, როგორც წესი, ცხადიდან ვუმზერთ სიზმრებს და შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც პირიქით, ცხადს უყურებენ სიზმრიდან. თუ ასეთი ადამიანი სწორი მიმართულებით გაიხედავს, სხვების

სიზმრების დანახვასაც შეძლებს, თანაც, ერთის კი არა, არამედ სიზმრების მთელი ფარის. ასეთ „გურუებს“ და „უფლებამოსილ პირებს“ შეუძლიათ, უნახავი სიზმრები მოიპოვონ და მათ სულში გააცოცხლონ, ვინც ამისთვის „მომზადებულია“. „მომზადებულებს“ ამისთვის გადახდაც უნდა შეეძლოთ. ასეთი გურუები თავიანთ კლიენტებს ეუბნებიან: „თუ ყურადღებით მოუსმენთ, მომავლის ხმას გაიგონებთ...“

– სიზმრების მოპოვებას როგორ ახერხებენ?

– ისინი ამტკიცებენ, რომ სიზმარი განსაკუთრებული ენერჯის დაგროვების შედეგად ჩნდება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინა ცხოვრებიდან გადმოსული ნეგატიური კარმაა. სიზმარში წარსული და მომავალი ერთმანეთშია გადახლართული, რადგან სიზმარს ანმყო დრო არ გააჩნია მათ დასაშორებლად. თუ იქ დადგები, სადაც ანმყო არ არსებობს და ჩვენს სამყაროს სიზმრების სამყაროდან გადმოხედავ, დაინახავ თანავარსკვლავედს, რომელსაც ნანახი და უნახავი სიზმრები ქმნიან. თანავარსკვლავედი ეკუთვნის ადამიანს, რომელიც დაკვირვების არეალში მყოფი ნიშნის ქვეშაა დაბადებული. სწორედ მაშინ შეძლებ, ყველაფერი დაინახო, რაც მის ზმანებებში ხდება, შეძლებ, წარსული და მომავალი ერთმანეთს შეახვედრო. სიზმრით მოვაჭრენი საქონელს სწორედ ასე მოიპოვებენ. თუმცა არიან სხვებიც, რომლებიც ამბობენ, რომ სიზმარს წარსული და მომავალი არ გააჩნია, არსებობს მხოლოდ ანმყო, ერთადერთი და მარადიული, ანმყო, რომელიც სამყაროს ავსებს. ისინი ასკვნიან: „თუნდაც შესაძლებელი არ იყოს, მოიპოვო და გაყიდო სხვების სიზმრები დღეს, ამ პროცედურის ოდესმე შესრულება სავსებით რეალურია, ამიტომ შეგვიძლია, დაშვება გავაკეთოთ და ჩავთვალოთ, რომ სიზმრების გაყიდვა უკვე არსებული და კარგად ნაცნობი პროცესია...“

- ყველაფერს, რაც მითხარით, სხვები ამბობენ, მაგრამ მე მაინტერესებს, თქვენ რას ფიქრობთ.

- მე ვფიქრობ, რომ აქ ერთი სიტყვაა ყველაზე მნიშვნელოვანი: „შეიძლება“... დასკვნის სახით კი, ალბათ აჯობებს, გავიცინოთ და სიზმრების ყიდვა-გაყიდვაზე ფიქრი თავიდან ამოვიგდოთ.

გურუსგან განსხვავებით, ვერც გავიცინებდი და ვერც თავიდან ამოვიგდებდი მომხდარს, რადგან „ნიშნების სახლის“ გარშემო მეტისმეტად ბევრმა გვამმა მოიყარა თავი“.

ინსპექტორ შტროსის „ლურჯ ნიგნაკში“ ბევრი სხვა ყურადსაღები ჩანანერია. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

„იპოდრომის ნაძლევეების მენეჯერის, ისაია კრუსის მკვლელობის შემდეგ, გადავწყვიტე, მის მეუღლეს ვწვეოდი. მისის ორა მშვენიერ, კეთილმონყობილ სახლში ცხოვრობდა. კარი ოდნავ მოთხვრილმა მსახურმა გაგვიღო. ანდაზა „ქამარი ყველა ყულფში არ ჰქონდა გაყრილი“, შესანიშნავად აღწერდა მის გარეგნობას. ის უზარმაზარ სასტუმრო ოთახში შეგვიძღვა და გვთხოვა, ქალბატონს დავლოდებოდით. ჩამოვსხედით თუ არა, მაშინვე გარშემო მიმოვიხედეთ. სარკის წინ, მოზაიკით მორთულ ხის სკივრზე, ვერცხლის ორი ხელი შევნიშნეთ, რომელზეც ბეჭდები და სამაჯურები იყო ასხმული. სამკაულების თვალიერებაში გართულებს ზურგს უკნიდან ქალის ხმა მოგვესმა:

- შუადღე მშვიდობისა. ჩემს ვერცხლის ხელებს აკვირდებით? ისაია კრუსის ნაჩუქარია. ფრჩხილებს არ დახედოთ, თუ შეიძლება. მათ გასალაქად ვერ მოვიცალე. არც ვიცი, „რევლონი“ აჯობებს თუ „მაქს ფაქტორი“. მგონი, ასეც არა უშავს.

შემოვბრუნდით და ხელში 14 ნლის გოგონა შეგვჩაჩა.

- შეიძლება დედათქვენი ვნახოთ, ძვირფასო?

- გაგიჭირდებათ. დედაჩემი თვითონაც არ მახსოვს. - გვიპასუხა მან დემონური ღიმილით, - მარტო ვცხოვრობ, რადგან ჩემი მეუღლე, ისაიაც გარდაიცვალა. ქალბატონი ორა მე ვარ, თუმცა ვერ მოვასწარი, ორა კრუსი გავმხდარიყავი. სამწუხაროდ, დაქორწინება ვერ შევძელით, რადგან ჯერ სრულწლოვანი არ გახლავართ. აი, ასეთი ამბავია.

ალბათ არ არის საჭირო ახსნა-განმარტება, რომ ვიზიტმა ყოვლად უშედეგოდ ჩაიარა. უკანა გზაზე ჩემმა ასისტენტმა მკითხა:

- ნუთუ ვერცხლის ხელს უცნაური ვერაფერი შეამჩნიეთ?

- როგორ არა, ნახევარი მილიონი დოლარის ძვირფასეულობა ჰქონდა ნამოცმული.

- სხვა რაღაცას ვგულისხმობ. ფრჩხილებს დააკვირდით?

- ?

- მე დავაკვირდი, თან ყურადღებით და ვფიქრობ, რომ ათივე ფრჩხილი ოდესღაც ცოცხალ ადამიანს ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, ვიღაც საბრალოს დააძრეს. იმ ჩერჩეტს კი სათამაშო ჰგონია და გალაქვას უპირებს.

უეცრად გონებაში ამომიტივტივდა, რომ სულ ცოტა ხნის წინ ვიღაცის ფრჩხილებდამძვრალი ხელები ვნახე... გამახსენდა, ვინც იყო! „სერ უინსტონი“! ქალაქის იატაკქვეშეთის მმართველს არც ერთი ფრჩხილი არ ჰქონდა. ნუთუ შესაძლებელია, რომ ფრჩხილები მისთვის ისაია კრუსს დაეძრო?“

ბოლოს კი, ნება გვიბოძეთ, შემოგთავაზოთ გარდაცვლილი უფროსი ინსპექტორი შტროსის ასი ჩანანერი - „ლურჯი წიგნაკი“, ზემოთ მოთხრობილი ამბის ასი დაპირებული დასასრული. ყველა მკითხველს შეუძლია, მისთვის სასურველი აარჩიოს და უნიკალური ეგზემპლარის მფლობელი გახდეს.

1.

შუალამე დგას. თვალებს ვხუჭავ. სიბნელიდან საათი მიყურებს ოთხი წითელი თვალით. მკვლელობა, რომელიც იპოდრომზე მოხდა, დაძინების საშუალებას არ მაძლევს. აშკარად უჩვეულო შემთხვევაა. მსხვერპლს ზურგიდან, კისრის არეში ესროლეს. მკვლელი თავს ან სხეულს კი არ უმიზნებდა, რაც გაცილებით ადვილი იქნებოდა, არამედ კონკრეტულად კისერს. მხოლოდ მხეცი ესხმის თავს მსხვერპლს ზურგიდან. ჩემი მცდელობა, გავხსნა იპოდრომზე მომხდარი მკვლელობა, მოთუხთუხე ქვაბიდან გადმოსული წვეთების გარედან ტლეკას ჰგავს.

2.

მადამ ლემპიცკას „ნაბიჯების სიზმრის“ სულები ერთ ადგილას იყვნენ თავმოყრილნი. ვიფიქრე, აუცილებლად დამეხმარებოდა შეხვედრა პროფესიონალთან – ოკულტისტთან, სპირიტუალისტთან ან მედიუმთან. პოლიციის დეპარტამენტის ბიჭები ხშირად დადიოდნენ მსგავს ბუნაგებში. როცა ჩემი განზრახვის შესახებ გაიგეს, მკითხეს: „სად გირჩენია გამგზავრება, კონსტანტინოპოლში თუ პარიზში?“

- პარიზში. - წამოვროშე ბევრი ფიქრის გარეშე. მათ ვინმე მაღამ ლუვესთან გამიშვეს, რომელიც პარიზში დამხვდა და ვიქტორ ჰიუგოს მუზეუმის გვერდით მდებარე „Places des voges“-სკენ გამისტუმრა. იქ მაღამ სუპერვილმა გაჩახჩახებულ სასტუმრო ოთახში მიმიღო, რომელიც პარკში აღმართულ სამხედროების მონუმენტს გადასცქეროდა. მან მკითხა, ვისი გამოძახება მინდოდა და მქონდა თუ არა კონკრეტული შეკითხვა გარდაცვლილთან. როცა ვუპასუხე, რომ მაღამ მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიცკას გამოსმობა მსურდა და ვაპირებდი, მეკითხა, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა მკვლელობაზე, მან „ნიკოლას ფლამელის სახლში“, მუსიე ლინეინთან გამიშვა. მუსიე ლინეინმა იქვე, მისი ბინის ქვემოთ მდებარე ფუნდუკში, ჭიქა ღვინოზე დამპატიჟა. სწორედ აქ შევიტყვე, რა უნდა გამეკეთებინა იმისთვის, რომ განსვენებულ ლემპიცკას ჩემთვის ეპასუხა და გამეგო, ვის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მის მკვლელობაზე.

ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში დავსხედით. მაგიდაზე სანთელი, ღვინო და „გლახაკის მაკარონი“ ეწყო. მოგვიანებით მან აღნიშნა, რომ ბინდი, რომელიც სახლში იდგა, ერთ-ერთი უძველესი იყო პარიზულ სიბნელებს შორის და ის აქ ცნობილი ალქიმიკოსების, პარნელა და ნიკოლას ფლამელის წყვილმა, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დააბინა.

- ამბობენ, რომ ადამიანის სხეულის ძირითადი ნაწილი წყალია, თუმცა ეს ასე არ არის. სინამდვილეში, ადამიანში წყალი კი არა, წყურვილია მთავარი. - ტანდაბალი კაცის ხმა ბინდიდან მოისმა, - თუმცა ცხოვრებაში სხვა მნიშვნელოვანი მამოძრავებლებიც არსებობს: შიში, ხურვება, შიმშილი, ტკივილი და ასე შემდეგ. ისინი დავიწყებული ენის მსგავს ერთობლიობას ქმნიან. გარდაცვლილთა

მოგონებებს კავშირი აღარ აქვთ ნივთებთან, რადგან მიცვალებულებს მატერიალური საგნების შესახებ აღარაფერი გაეგებათ. გარდაცვლილთა მოგონებები ენერგიებისგან შედგება, რომლებიც მათ სიცოცხლეში ამოძრავებდათ. სწორედ ეს არის არამატერიალური ძარღვი, რომელიც ორივე სამყაროსთვის საერთოა და ცოცხლებს და მიცვალებულებს ერთმანეთთან აკავშირებს. ჩამონერე ფურცელზე შენი ცხოვრების მამოძრავებელი ყველა ენერგია, რაც გაგახსენდება. მიმდევრობა არ შეცვალო, ისე მიუწერე ანბანის ასოები, პირველიდან ბოლოს ჩათვლით. არ დაგავინყდეს სიყვარული, სიძულვილი, სიხარული და მწუხარება, კეთილსურნელება და სიმყრალე. მოვლენების შემდგომი განვითარებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

მან „ბორდო“ მოწრუპა და დასძინა:

– ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს მივაღწეით. ინფორმაციის მიღება იმდენი ათეული ევრო დაგიჯდება, რამდენი წლისაც ხარ.

გადავუხადე. მუსიე ლინეინმა მოყოლა განაგრძო:

– რა უნდა იყოს შენი შემდეგი ნაბიჯი, ამას სულ სხვა ადამიანი გაგანდობს და არა მე. რისი თქმაც შემეძლო, უკვე ყველაფერი გითხარი. შენი გზა ეგვიპტისკენ მიდის. კაიროში უნდა ჩახვიდე და ქალაქის კოპტურ ნაწილში, ეკლესიასთან ახლოს, ქალბატონი ზოიდა იპოვო, რომელიც თვალს ეგვიპტური ფერებით ხატავს. მას ყველა იცნობს და მიგნება არ გაგიჭირდება... სხვათა შორის, ზოიდა შენს ლემპიციკასაც შეხვედრია.

– რა სისულელეა, – გავიფიქრე მე.

მუსიე ლინეინისგან რომ წამოვედი, საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ეგვიპტეში გამგზავრების არავითარი საჭიროება არ არსებობდა. ფულს პარიზში, ან სახლშიც მშვენივრად დავხარჯავდი.

3.

ბატონი ერლანგენი, რომელსაც დაუმტკიცდა, რომ თავდაცვისას მის მიერ მიღებულმა ზომებმა დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა, სასჯელს ციხეში იხდის. ის დღემდე ამტკიცებს, რომ ჰყავს მოწმე, მავანი გამვლელი, რომელსაც შეუძლია, დაადასტუროს, რომ ერლანგენი მხოლოდ ლემპიცკასგან თავის დაცვას ცდილობდა. მისი მოწმის სახელი ერვინია, რომელმაც, როგორც თავად ამბობს, შემთხვევის ადგილთან ახლოს ჩაიარა და სროლის ხმა რომ გაიგონა, სახლში დასახმარებლად შევარდა. ერლანგენის თქმით, ხსენებული ერვინი მზად იყო, ყველაფერი მოეყოლა სასამართლოსთვის, თუ ამის საჭიროება დადგებოდა. თუმცა ტელეფონის ნომერი, 0389-430-23066, რომელიც მან ერლანგენს დაუტოვა, საბავშვო ბაღის აღმოჩნდა და რასაკვირველია, იქ ვერავითარი ერვინი ვერ მოვიძიეთ.

დარწმუნებული ვარ, ერლანგენმა მოწმის არსებობის ამბავი თავად გამოიგონა.

4.

ლემპიცკასთან ბევრჯერ მილაპარაკია და ვიცი, ის არ იქნებოდა კმაყოფილი განაჩენით, რომელიც სასამართლომ „მის“ საქმესთან დაკავშირებით გამოიტანა. ეგონებოდა, რომ კლოზევიჩმა სასამართლო გააცურა და სინამდვილეში, გაცილებით მკაცრ სასჯელს იმსახურებდა. რისთვის?

ლემპიცკას ხშირად ვიხსენებ. ის ჩემს მოგონებებში უძრავია, ერთ ადგილასაა გაყინული. ჩემს მეხსიერებას შემორჩენილი ლემპიცკა არ არის ფილმი, უხმო ფილმიც კი, ის უფრო ფოტოკადრებია, გაყინული წამები, რომელთაც ცხოვრება გამოტოვებს. მის მიღმა უთვალავი კოცნაა,

ბევრი – ნაშლილი და კიდევ უფრო მეტი – შეუმჩნეველი და არარსებული. და მკვლელი, რომელსაც ლემპიცკა უსაზღვროდ უყვარს.

5.

ქალბატონი ჰეხტის გარდაცვალების შესახებ არსებულ დოკუმენტებში ნათქვამია, რომ ეს იყო ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა. მკვლელი, მადამ ლემპიცკა და მოკლული, ქალბატონი ჰეხტი ერთი და იმავე პიროვნების, მორის ერლანგენის საყვარლები იყვნენ. როგორც ჩანს, ამ კაცისთვის მუდამ გაზაფხულია.

6.

მადამ ლემპიცკამ ქალბატონი ჰეხტი „კომბატ 596 მაგნუმით“ მოკლა, არანორმალურად ძვირადღირებული იარაღით, რომლის შენახვისა და ტარების უფლებაც არასოდეს ჰქონია. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ის ლემპიცკას გარდაცვლილ საყვარელს, მისტერ დისტელის ეკუთვნოდა. სავარაუდოდ, დისტელისთვის ეს ძვირფასი იარაღი უფრო სუვენირი იყო, რადგან როგორც ლემპიცკამ აღნიშნა, მას „მაგნუმი“ მაშინაც კი არ გამოუყენებია, როცა ბინა გაუტეხეს. შესაძლოა, დისტელიმ სროლა არც იცოდა. იმავე ტიპის იარაღი გამოიყენა მისტერ ერლანგენმა, როცა მადამ ლემპიცკას ესროლა. მას ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება ოფიციალურად ჰქონდა, მისი „მაგნუმი“ კი „Plusquam City“-ს საკუთრებას წარმოადგენდა. ერლანგენი ბანკის საგანგებოდ დაცული სეიფების დეპარტამენტის მენეჯერი იყო და სწორედ ამ მიზეზით ატარებდა იარაღს. აქ შეგვიძლია, გავიხსენოთ ლათინური

გამოთქმა, რომელიც სკოლაში გვასწავლეს: „Habeunt sua fata magni“ – იარაღსაც აქვს საკუთარი ბედი.

7.

გადავწყვიტე, რუსული ეკლესიის წინამძღვარს ვწვეოდი, რომელმაც ლემპიცკას წესი აუგო. ვკითხე, რაიმე ისეთ ინფორმაციას ხომ არ ფლობდა, რაც გამოძიებას გამოადგებოდა. მას ორი ღიმილი ჰქონდა, მარჯვენა და მარცხენა, თმა კუდად შეეკრა და მოხდენილი ანაფორა ეცვა, მკერდზე ჯვრით. მან ჯერ მარცხენა ღიმილით მიპასუხა:

– როგორც ცა მოგზაურობს წყალში საკუთარი საფლავის გავლით, ისე სული მოგზაურობს სხეულში ჩვენი აღსასრულის გავლით... მეც მოგიყვებით ამბავს, რომელიც გამოძიების პროცესში გამოგადგებათ.

შემდეგ კი თხრობა ნათელი, მარჯვენა ღიმილით განაგრძო:

– კასპიის ზღვის სიახლოვეს უძველესი ტრადიცია არსებობს. ორი ადამიანი, რომელსაც უთანხმოება აქვს, ზღვის პირას გადის, მღვდელთან ერთად. ის ლოცვას კითხულობს, ყოველთვის ერთსა და იმავეს. დავა ამ ლოცვის დასრულებამდე უნდა გადანყდეს, არა აქვს მნიშვნელობა, რა გზით გადაიჭრება პრობლემა – ჭიდაობით თუ საუბრით. სანამ მღვდელი ლოცვას დაასრულებს, დავა დამთავრებული უნდა იყოს. დროის გადამეტება დაუშვებელია. ყველაფერს აგვირგვინებს ერთი სიტყვა: „ამინ!“

მოკლედ, ცხოვრობდა კაცი, რომელსაც ბევრჯერ მოუხდა კონფლიქტის ასე გადანყვეტა, ზოგჯერ სიტყვით, ზოგჯერ მუშტით. ყოველ ჯერზე ერთი და იგივე ხდებოდა – მისი მოწინააღმდეგე ახერხებდა, ლოცვის

დასრულებამდე გაემარჯვა. კაცი, რომელსაც დამარცხება თანამგზავრად ექცა, მივიდა მღვდელთან, როგორც თქვენ მოხვედით ჩემთან და რჩევა ჰკითხა. აი, რა უთხრა მას მღვდელმა: „შენი მონინაალმდევე ელოდება ლოცვის დასასრულს, სადაც უნმინდურია ნახსენები. სწორედ ამ მომენტში იმარჯვებს. სცადე, იქამდე მოერიო, სანამ მშველელად ეშმაკს მოუხმობს“.

8.

განაჩენს, რომელიც ერლანგენს გამოუტანეს, საკმაოდ მყარი საფუძველი ჰქონდა. მისი მხრიდან თავის მართლება, რომ მხოლოდ თავს იცავდა, სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა. ბალისტიკურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მაღამ ლემპიცკამ სამივე ტყვია ლედი ჰეხტის მისამართით ისროლა. მაშინ, როცა ერლანგენი ოთახში შევიდა და ლემპიცკას დაუმიზნა, ქალი ვერც ცეცხლის გასახსნელად მოემზადებოდა და ვერც ჩახმახს გამოჰკრავდა ხელს, რადგან ტყვიები უკვე აღარ ჰქონდა დარჩენილი. რევოლვერში მეშვიდე ტყვია არ იდო.

9.

– ვინ გასწავლათ, სხვისი სიზმრები ისე დაიჭიროთ, როგორც კატა თავს იჭერს?

– ზოგიერთ ადამიანს ამის თანდაყოლილი ნიჭი აქვს. რაქიტული მოგონებები, კოჭლი ფიქრები, დაკარგული კოცნა და უარყოფილი სიყვარული მემკვიდრეობითია. მემკვიდრეობითია გულმავინყობა და ყოველივე, რისკენაც ადამიანი ისწრაფვის. თუმცა სხვისი სიზმრების დაჭერის

უნარი გენეტიკურად არავის ერგება. გეტყვით, როგორ შევისწავლეთ ეს საქმიანობა და დანარჩენი თავად განსაჯეთ. ამოსავალი ნერტილი დროის მოტყუებაა. ახლავე გაიმბობთ, როგორ დაინყო ყველაფერი.

ერთი კატა გვყავდა, მომწვანო ზოლებით. ჩვეულებრივი კატა იყო, სხვა კატებს ჰგავდა და მათ მსგავსად, ბალებში, სხვენებსა და სარდაფებში ნადირობდა. მაქსიმამ ერქვა. ერთ დღით შინ დაბრუნებულმა ყბებში გაჩრილი მოზრდილი ცხოველი მოიტანა, რომელიც ვირთხას ჰგავდა. ეტყობოდა, რომ ჩვილი იყო, შორიდან ახალდაბადებულ ბაჭიას მივამსგავსეთ. წამიერად ისიც კი გავიფიქრეთ, რომ მაქსიმამ საიდანღაც ახალშობილი მოიტაცა და თავზარი დაგვეცა, მაგრამ მალევე მივხვდით, რომ შიშის საფუძველი არ გვექონდა.

მაქსიმამ მსხვერპლი მოათრია და კიბესთან დააგდო. პატარა არსება დავითრიეთ, კუდით ავაპორწიალეთ და დაკვირვებით შევხედეთ. მართლაც თოთო იყო, მაგრამ არა კურდღელი. თმიანი თათები ჰქონდა, მომცრო ჩლიქებით, წინა კიდურები ხელებს უგავდა – ხუთი თითი და ბასრი ბრჭყალები შევნიშნეთ. სახეს წვერი უფარავდა, თავზე ამოსული ბენვიდან ორი პატარა რქა უჩანდა, ოდნავ ქვემოთ კი წაწვეტიებული ყურები. ვიფიქრეთ, რომ მკვდარი იქნებოდა, რადგან კატას კარგა ხანს ეთრია და როგორც ჩანდა, მოეგუდა, მაგრამ როცა მაქსიმამ ნადავლს თათი წაჰკრა გასათამაშებლად, არსება შეირხა. ჯერ ერთი თვალი გაახილა, მერე მეორე, ბოლოს კი ენა გადმოაგდო და ენაზე ხვრელი გამოუჩნდა. კატა მსხვერპლთან თამაშს აგრძელებდა, მაგრამ მისი შეჭმის არავითარი სურვილი არ ეტყობოდა. პირიქით, ცოტა ხანში აიყვანა და კალათში ისე ჩასვა, როგორც თავის კნუტებს ექცეოდა, მოეფერა, ალოკა და ბენვი გაუპრიალა. პატარა ცხოველს ჩაეძინა.

დილით, საუზმობისას, კატა, ჩვეულებისამებრ, მაგიდის გარშემო ტრიალებდა. ჩვენდა გასაოცრად, ის უეცრად სკამზე ახტა, ჩამოჯდა და გარკვევით თქვა:

– რძე დამიმატეთ, თუ შეიძლება...

– შენ ლაპარაკი შეგიძლია? – ვკითხე აკანკალებული ხმით. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცოდით, რაც მოხდებოდა. მწვანეზოლებიანი კატა ამიტომაც ავიყვანეთ.

– მხოლოდ მაშინ ვლაპარაკობ, როცა საჭიროა, – მიპასუხა მან და მზერა პატარა მხეცს მიაპყრო, რომელსაც კუდი კალათიდან გადმოვარდნოდა. ის კატისკენ წამოვიდა და კუდი აჩვენა. მაქსიმას შიში და ბრაზი დაეტყო. შემდეგ პატარა მხეცმა გაიცინა და ყურები გაუდიდდა. გაიცინა კატამაც, თუმცა ნაძალადევად. კატისგან განსხვავებით, თოთო ცხოველი ხმას არ იღებდა, მაგრამ სწორედ ის აიძულებდა ლაპარაკს მაქსიმას, რომელიც, საკუთარი საქციელით შეშინებული, ბრძანებას კონვეიერით უსიტყვოდ ასრულებდა.

საღამოს კატამ ჩვენს კალთებს მოაშურა და აკრუტუნდა, მაგრამ მისი კრუტუნის მალევე გადაიქცა ფრანგულ არანესიერ ზმნებად და არსებით სახელებად. ბოლოს კი მაქსიმა, რომელსაც ჩვენს თავებს მიღმა გაყინვოდა მზერა, ალაპარაკდა:

– ყვითელი ვარსკვლავები უფრო დინჯად ციმციმებენ, ვიდრე თეთრი, რადგან ყვითლების მოგზაურობა სამყაროში გაცილებით ნელია. მათი სინათლე შვიდივე სამოთხეს გადის, რომელთაგანაც ზოგი სწრაფად ბრუნავს, ზოგს კი არასოდეს ერქარება. საჭიროა, იცოდე, ეს ყველაფერი როგორ დაინახო და თავისი ადგილი როგორ მიუჩინო...

შემდეგ მან გვაჩვენა, როგორ გვეპოვა სხვების სიზმრები ვარსკვლავებს შორის. მალე ისე გავინაფეთ,

რომ სიზმრებს თავგებივით ვიჭერდით... რთული სულაც არ არის. როგორც ალქიმიკოსი ფლამელი ამბობდა ოქროს მიღების შესახებ: „უკვე ჩემს ცოლს პარნელასაც შეუძლია, ოქრო შექმნას, როცა მოისურვებს...“

თავიდან სიზმრების დაჭერა დედამინაზე დავინწყეთ, აქვე, ჩვენს სიახლოვეს მოვიპოვებდით ცოცხალ, მოქმედ სიზმრებს. შემდეგ დედამინას გავცდით და ნანახი და უნახავი სიზმრების შვიდივე სამოთხეში ძებნაზე გადავედით. ადამიანის სიკვდილის შემდეგ მისგან მხოლოდ სიზმრები რჩება, ისევე, როგორც კატა ტოვებს მხოლოდ ბენვსა და ფეკალიებს, როცა შვიდივე სიცოცხლეს ამოწურავს.

პატარა მხეცი ცოტა ხანში გაუჩინარდა და კატამ ლაპარაკი შეწყვიტა. დასკვნის სახით, შემიძლია, ვთქვა, რომ გარკვეულწილად, მოვლენების ასე განვითარებას ველოდით, როგორც ზოლიანი კატის პატრონებს შეეფერებათ, თუმცა გვესმოდა, რომ შეიძლებოდა, ყველაფერი სხვაგვარადაც მომხდარიყო.

– კატას რომ თავი დავანებოთ, ნუთუ სიზმრების დასაჭერად უფრო მარტივი გზა არ არსებობს?

– ცხადია, არსებობს.

– ?

– უნდა ისწავლო, როგორ დაისიზმრო სხვისი სიზმრები საკუთარის ნაცვლად და ყველაფერი მოგვარდება.

– გინდათ, გითხრათ, რას ვფიქრობ თქვენს ნაამბობზე?

– გისმენთ.

– რაც მომიყვებით, იქიდან ერთი სიტყვაც კი არ შეესაბამება სიმართლეს.

– იცით რა, სიმართლე ვიტამინივითაა. შეიძლება გჭირდებოდეს, შეიძლება არა.

10.

მიცვალებულთა მოხსენიების დღეს მადამ ლემპიციკას საფლავი მოვინახულე. მინდოდა, მენახა, ვინმე მოვიდოდა თუ არა, ან ვინ მოვიდოდა. არავინ გამოჩენილა. ლემპიციკას ერთი ძუძუს თავი ისეთი ჰქონდა, მილიონ დოლარად ფასობდა, მეორე კი არაფრად ღირდა, დაახლოებით ისე, ერთი ნივთის საფასურს რომ იხდით და მეორეს გჩუქნიან. რომ მოენდომებინა, ძუძუებით პურსაც მოზელდა, როგორც სიმღერაშია.

11.

ყოფილი საზღვაო კაპიტანი ილია სკუდი ერლანგენის ვილის მეზობლად ცხოვრობს. ჩაიზე ვესტუმრე, სასაუბროდ. კაპიტნის სახლის წინ ძელსკამი დავინახე, ძელსკამზე კი ცხრა კატა. იქაურობა ისე გამოიყურებოდა, თითქოს ვილაცას ხეზე ბენვი გადაეკრა. ჩაი წინაკიანმა რომმა შეცვალა, საუბარი კი სრულმა ქაოსმა:

– ვინმე ხომ არ დაგინახავთ, ვინც აღნიშნულ დღეს ერლანგენის სახლში შევიდა?

– დიახ, ორი ქალბატონი დავინახე. ერთად არ მოსულან.

– როგორ გამოიყურებოდნენ?

– ადრე რომელიც მოვიდა, მას თმა *a la tramontana*-ს სტილზე ჰქონდა.

– ეგ რას ნიშნავს?

– როგორ გეტყობათ, მეზღვაური რომ არა ხართ, ბატონო ინსპექტორო. როცა „ტრამონტანა“ ქრის, ზღვა განსაკუთრებით ღელავს. ქალს, რომელიც პირველი მოვიდა, შეშლილი ზღვის ტალღებით ჰქონდა თმა დახვეული.

– მეორეს?

– მეორე გაცილებით გვიან გამოჩნდა, bonaza-ს ვარცხნილობით... თუმცა თქვენ ალბათ ეს სიტყვაც არ გაგიგიათ. Bonaza „მშვიდ ზღვას“ ნიშნავს.

– შემთხვევით სახლში მალევე შესული მამაკაციც ხომ არ შეგინიშნავთ, კაპიტანო?

– ძვირფასო ბატონო ინსპექტორო, მე მამაკაცებს ყურადღებას არ ვაქცევ. მათ შეუძლიათ, იმდენჯერ გაიარ-გამოიარონ ჩემს თვალწინ, რამდენჯერაც მოესურვებათ, მე კი მათი არსებობა არ შევიმჩნიო. თვალი მხოლოდ ქალებზე მიჭირავს. საერთოდაც, ჯობია, პოლიციას კაცებზე არაფერი უთხრა, თუ არ გინდა, მერე ცხვირი მიგინაყონ... ნებისმიერ შემთხვევაში, არც ორი კაცი შესულა სახლში ერთდროულად.

– სულ ესაა?

– არამც და არამც. იმედია, კიდევ ერთ ჭიქა კუბურ რომზე უარს არ იტყვით.

გაოგნებული დავრჩი. გამოდის, ერლანგენი არ ტყუოდა, მკვლელობის მოწმე მართლაც არსებობდა, მაგრამ მოგვიანებით, მისი პოვნა ვერსად მოხერხდა. ერლანგენის მტკიცებით, მოწმეს ერვინი ერქვა.

ვინ არის ერვინი? ხომ შეიძლება, ვიცნობდე და წარმოდგენა არ მქონდეს ამის შესახებ?

12.

ისაია კრუსის საქმესთან დაკავშირებით დაკითხვისას, მისტერ იშიგუმიმ, იგივე „50-დოლარიანმა ლიმილმა“, საიდუმლოდ მითხრა, რომ მკვლელობიდან რამდენიმე წუთში, ვიღაც ქალმა იპოდრომის ლიფტით ისარგებლა და მეოთხე სართულზე ავიდა, იქ, სადაც მკვლელობა მოხდა. მეოთხე სართულზე, მისტერ კრუსის სამუშაო კაბინეტში

მოხვედრა, მხოლოდ სპეციალური გასაღების გამოყენებით შეიძლებოდა, რომელზეც მხოლოდ გარდაცვლილს მიუწვდებოდა ხელი.

ვინ იყო იშიგუმის აღწერილი ქალი „ჯინსსა და წითელ ბლუზში“? პაემანზე მიმავალს არ ჰგავდა. იქნებ მკვლელს ხვდებოდა? იქნებ იცოდა, რომ მკვლელობა უნდა მომხდარიყო, ან ის, რომ უკვე მოხდა? იქნებ სურდა, დარწმუნებულიყო, რომ კრუსი ნამდვილად მოკლეს? საიდან ჰქონდა გასაღები? იქნებ იშიგუმის სულაც კრუსის მეუღლე, მისის ორა შეხვდა? მკვლელი მან ხომ არ დაიქირავა ეჭვიანობის ნიადაგზე, ან შურის საძიებლად? და ბოლოს, იქნებ მისტერ იშიგუმიმ ამოიცნო ქალი, მაგრამ გადაწყვიტა, მისი ვინაობა საიდუმლოდ შეენახა?

13.

წარმოიდგინეთ მშვენიერი ქალი.
გააორმაგეთ მისი სილამაზე,
გაასამმაგეთ.
აიყვანეთ კვადრატში
და დაივინყეთ.
ეს არის ლემპიცკა.

14.

კლოზევიჩის ბიზნესი – მომავლითა და სიზმრებით ვაჭრობა, – ბოლომდე ლეგალური ვერ იქნებოდა, მაგრამ რადგან მას, როგორც ასტროლოგს, ყველა საბუთი წესრიგში ჰქონდა, გადასახადებს იხდიდა და კანონის

გვერდის ავლით არ მოქმედებდა, ვერაფერი მიესაჯა, გარდა (თუ პოლიციის ენით ვიტყვით) „ჯარიმისა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ფურთხებისათვის“. განაჩენი აღსრულდა. თუ მისი კლიენტები იტყოდნენ, რომ კლოზევიჩმა ისინი მოატყუა, საქმე განსხვავებულ შემთხვევასთან გვექნებოდა. რაც უნდა იყოს, მასთან დაკავშირებით მაინც არსებობს კითხვის ნიშანი, რომელსაც მწვანე მელნით ვსვამ ჩემს დღიურში და თავს უფლებას ვაძლევ, ვთქვა, რომ არარსებული პასუხებისკენ მიმავალი გზა მასზე გადის.

15.

კონსულტაციისთვის სლავური ენებისა და ლიტერატურის ექსპერტს მივადექი. მინდოდა, ინფორმაცია მქონოდა პუშკინის ლექსების შესახებ, რომელიც დისტელის დაესიზმრა. აღმოვაჩინე, რომ ეს ლექსები მართლაც პუშკინს ეკუთვნის. კლოზევიჩის მიერ ჩანერილ ვერსიაში, დისტელიმ სიზმარი რუსულად კი არა, რომელიღაც სხვა ენაზე ნახა. გამოდის, ფიქრებია თარგმნილი და ისე ისმის, როგორც მუსიკის ჰანგები. სლავური ენების ექსპერტმა სხვა საინტერესო რამ დაასკვნა. სიზმრის სამი მონაკვეთი, სადაც პუშკინი ეტლში ზის და შინ ბრუნდება, პასუხია მისსავე ლექსზე „ცხოვრების ეტლი“. თუ მისი პოეზიის მოყვარულთა მოსაზრებას გავითვალისწინებთ, დისტელის სიზმარში მეეტლის გვერდით მჯდომი პუშკინი შეუჩერებლად მიჰქრის წინ, სიკვდილის შესახვედრად.

16.

საინტერესოა, რომ იატაკქვეშეთის დიდ ბოსს, „სერ უინსტონს“, კაცს, რომელმაც ყოველთვის იცის, ვის ელის სიკვდილი ქალაქში, წარმოდგენა არ ჰქონდა ერლანგენის ვილაში მოსალოდნელი მკვლევლობების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ მის კვალში ვდგავართ, მისი ოდნავი ბრალეულობაც არ იკვეთება. ასევე არ ჩანს მისი კავშირი მკვლევებთან, მაღამ ლემპიცკასთან და ბატონ ერლანგენტან. სიგარიანი კაცის ხელი, რომელსაც არც ერთი ფრჩხილი აღარ აქვს შერჩენილი, ამ საქმეში არ ურევიან.

17.

„ჩვენი ფიქრები საშენ მასალას ჰგავს, რომლითაც ჩვენ გარშემო ვაშენებთ სახლს სამყაროსგან გამოსაყოფად და თავის დასაცავად. სამწუხაროა, ფიქრი მეტისმეტად რბილი და დრეკადია იმისთვის, რომ მისგან ზღუდე ავაგოთ. რა არის ფიქრის მთავარი დანიშნულება, ჯერ კიდევ დაუდგენელია“ (ლემპიცკას საუბრიდან თავის გურუსთან, უდენიკინთან).

როცა უდენიკინს ვკითხე, რას ფიქრობდა ლემპიცკაზე, მან მითხრა:

– იყო დრო, როცა სამყაროს ისე აღიქვამდა, როგორც მხოლოდ ანგელოზებს შეუძლიათ.

– ?

– მას ერთი თვალი უფრო ღრმა ჰქონდა, მეორე კი უფრო ვიწრო. ერთი თვალით დღეს დაატარებდა, მეორით – ღამეს. მარჯვენა მხარეს ხედავდა, როგორც მარცხენას, მარცხენას კი როგორც მარჯვენას და არასოდეს ავი-

წყდებოდა შეფარდებები: რამდენი წყალი იყო დედამიწაზე ხმელეთთან შედარებით (3:1), რამდენი წყალი იყო მასში მის მშვენიერ სხეულთან შეფარდებით (3:1), რამდენი ცა იყო ვარსკვლავებს უკან მყარ ზედაპირთან შედარებით – აქაც 3:1 თანაფარდობასთან გვაქვს საქმე. მოკლედ რომ ვთქვა, ლემპიცკა ჰგავდა მას, ვისმა ფრჩხილებმაც ზრდა დიდი ხნის წინ შეწყვიტეს.

18.

გავეცანი რა ალექსანდრ კლოზევიჩის ანგარიშს, აღმოვაჩინე, რომ ერთ-ერთმა პერსონაჟმა ერთი სიზმრიდან მეორეში გადაინაცვლა, ორივეგან გამოჩნდა და თავისი როლი შეასრულა, მაღამ ლემპიცკასთანაც და მისტერ დისტელისთანაც. ოპერის მომღერლის სიზმარში ის დემონი იყო, ჰერცოგინია მარინა მნიშეკ სენდომირსკა, რომელმაც ერთდროულად უწინასწარმეტყველა პუშკინს და დისტელის მუცლის არეში მიღებული ჭრილობის შედეგად სიკვდილი. შემდეგ ის ლემპიცკას სიზმარში გადაბარგდა და გააცხადა, როგორ მოკვდებოდა ბიჭი, რომლადაც ლემპიცკა დაძინებისთანავე იქცა. მან ორმაგი, ჭეშმარიტად ანდროგენული სიკვდილი იწინასწარმეტყველა. მისი ნათქვამი ახდა. ლემპიცკას სიზმრის ბიჭს, სიკინდიალს, მარინა მნიშეკმა უთხრა:

– შენ ორჯერ მოკვდები, ორივეჯერ გასროლის შედეგად. ერთხელ სიზმარში, როგორც კაცი, მეორედ კი ცხადში, როგორც ქალი.

ჰერცოგინიას სიტყვები ზედმიწევნით ასრულდა. ბიჭი, ანუ მაიორი სიკინდიალი ბრძოლის ველზე დაეცა. მას ორი საფლავი ჰქონდა, ორივე ლემპიცკას სიზმარში. სანამ სიკინდიალი მეორე სამარეში განისვენებდა, პირველი ცარი-

ელი იყო, თითქოს წინასწარმეტყველების ახდენას ელოდა, თითქოს იცოდა, რომ ერთ დღეს მაღამ ლემპიცკა ცხადში უნდა მომკვდარიყო, მორის ერლანგენის იარაღიდან გასროლილი ტყვიით.

19.

როცა კლოზევიჩს დისტელისა და ლემპიცკას სიზმრების აღწერა ვთხოვე, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არც ფსიქიატრი იყო და არც სხვა რომელიმე მსგავსი პროფესიის წარმომადგენელი, რომ სიზმრების ახსნა და ანალიზი შესძლებოდა. როცა ყურადღება სიზმრების ჩანაწერებზე გავამახვილე, მან მითხრა, რომ ჩანაწერებს არავითარი ღირებულება არ გააჩნდათ და ანგარიშის დაწერა მხოლოდ ფუჭი შრომა იქნებოდა მისი მხრიდან.

– სიზმრებს შენს ჭკუაზე, ლაგამამოდებული ვირივით ვერ ატარებ. როცა სიზმარი განზე გაგიდგება, შეუმჩნევლად უნდა მოზიდო შენკენ, თითქოს არაფერი ხდება. ამიტომ სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ჩემს ანგარიშში აღმოჩენილი გარდაუვალი შეუსაბამობა დისტელისა და ლემპიცკას გაბნეული და ერთად შეკრული სიზმრებისა, რადგან მათი წინადადებებად ქცევა ნემსის ყუნწში გაძრომასავით რთულია. უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვები საოცრად გვანან ბატებს, რომლებიც სამხრეთისაკენ ერთმანეთის მიყოლებით მიფრინავენ.

20.

საინტერესოა, რომ წელს ქალაქში მომხდარ სამ მნიშვნელოვან მკვლელობაში ერთი და იმავე ტიპის იარაღი ფიგურირებდა – იშვიათი და ძვირადღირებული „კომბატ მაგნუმ 586“. სწორედ ამ იარაღით ჯერ მოკლეს

იპოდრომის ნაძლევეების მენეჯერი ისაია კრუსი, შემდეგ ქალბატონი ჰეხტი და თითქმის პარალელურად – მადამ ლემპიცკა. იარაღმა სამ სხვადასხვა ხელში გაიარა. ორი ხელის პატრონი ჩემთვის ცნობილია – ლემპიცკა და ერლანგენი, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, ვინ იყო მესამე, ვინც იპოდრომზე ისროლა.

21.

„ნიშნების სახლში“ ვიზიტისას მადამ ლემპიცკასთვის არ მითქვამს, რომ მისი საყვარლის, მისტერ დისტელის დაკრძალვამდე რამდენიმე დღით ადრე, მორგში წავედი და მომღერლის ცხედარი ვნახე. აქვე აღვნიშნავ, რომ მსგავსი ამბები ჩემი პროფესიული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და როგორც მკვლევლობების გამომძიებელს, ხშირად მაქვს საქმე მიცვალებულებთან.

დისტელი გვამის პირობაზეც კი მეტისმეტად შესაბრალისად გამოიყურებოდა და აშკარა იყო, რომ არც საფლავში წოლა მოუწევდა დიდხანს. ეტყობოდა, რომ ბევრი იტანჯა მას შემდეგ, რაც საკუთარი სიკვდილი სიზმარში ნახა, თუმცა ზმანებებში დაკარგულმა ბევრი ვერაფერი გაიგო. სიცოცხლემ მისი სიკვდილი გაუთვალისწინებელი გზის გავლით დატოვა. სახელდობრ, კლოზევიჩისგან ნაყიდი სიზმრის ნახვის გამო, ის ფიქრობდა, რომ მუცელში მოხვედრილი ტყვია მოკლავდა, შესაბამისად, იმედოვნებდა, რომ საყლაპავი მილის კიბო, რომელიც მანამდე დაუდგინდა, მკურნალობას დაექვემდებარებოდა. მოულოდნელად კი მეტასტაზებმა მუცელში გადაინაცვლა და დისტელი მიხვდა, რომ მისი აღსასრული დადგა, ზუსტად ისე, როგორც პუშკინზე ნანახ სიზმარში ეცნობა.

რას ნიშნავს მეტასტაზები ჩემს შემთხვევაში? ნუთუ მეც უნდა გამოვიყენო მათი მაგალითი გამოძიების დროს და საქმის გასახსნელად სხვა მიმართულებით წავიდე? ხომ არ აჯობებს, სხვა დამნაშავეები ვეძებო მათ ნაცვლად, ვისზეც აქამდე მქონდა ეჭვი?

22.

გადავწყვიტე, ერლანგენი მენახა. მოკლე მოკითხვის შემდეგ ლემპიცკას სეიფიდან ამოღებულისფერი მენამული შარფი ვაჩვენე და ვკითხე, ეცნობოდა თუ არა.

– არა, – მიპასუხა მან – ვისია?

– ლემპიცკას სეიფში ვიპოვე, თქვენს ბანკში.

ამის გაგონების შემდეგ ერლანგენმა ის გააკეთა, რაც მანამდე მე უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ვერ მოვიფიქრე – შარფი დაყნოსა.

– „ჰუგო ბოსი“, ეს მამაკაცის სუნამოა და ლემპიცკასი ვერ იქნება, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ მის მიღმა სხვა მძლავრი არომატი იმალება, – თქვა მან და შარფი დამიბრუნა. როგორც კი ნაჭერი ცხვირთან მივიტანე, იარაღის ზეთის სუნი მეცა. შესაბამისად, გავიგეთ, რა იყო გახვეული მადამ ლემპიცკას მენამულისფერ შარფში, როცა ბანკში ინახებოდა – დისტელის „კომბატ მაგნუმი“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბანკში, რომელსაც ქალბატონი ჰეხტი მართავდა, იდო იარაღი, რომელმაც მას სიცოცხლე მოუსწრაფა. თუმცა ეს დაკვირვებები შორს ვერ წავიყვანს. ფაქტი, რომ დისტელის შემდეგ მისი „მაგნუმი“ ლემპიცკას მქონდა, ისედაც ვიცოდით, შესაბამისად, ეს აღმოჩენა არაფრისმომცემია.

ყოველთვის ასე ხდება – გაიხედავ და შენს წინ კედელია აღმართული, კედელი გოდების, კედელი დუმილის, კედელი ქვის. მაგრამ როცა ზურგში დანას გესვრიან, აღმოაჩენ, რომ კედელი, რომელიც დაგიცავს, არ არსებობს.

23.

„ნიშნების სახლში“ სტუმრობისას მის სანდრა კლოზევიჩს ვკითხე, შეიძლებოდა თუ არა მისგან არა საკუთარი, არამედ სხვების სიზმრების ყიდვა. ჯერ კიდევ უნახავ, მომავლის სიზმრებს ვგულისხმობდი. მაგალითად, რამდენად შესაძლებელია, შეუკვეთო და ნახო სიზმარი, რომელიც შენთვის საინტერესო ადამიანს უახლოეს სამ წელიწადში დაესიზმრება.

– ეს ხომ სხვისი მომავლის თვალთვალი გამოდის?

– ზუსტად, – მივუგე „მე“.

– ალბათ შესაძლებელია, თუმცა გარკვეულ სირთულეებთან გვექნება საქმე. დაბრკოლებას თანხა არ წარმოადგენს – ალბათ დამეთანხმებით, 1000 დოლარი არაფერია ასეთი ტიპის მომსახურებისთვის, მაგრამ სხვა პირობები ძალიან რთულია შესასრულებლად და არ გირჩევთ, სცადოთ.

– როგორ გგონიათ, პირობებს ვერ შევასრულებ?

– მგონია, რომ სურვილი არ გექნებათ, შეასრულოთ.

– მითხარით, ლემპიცკამ და დისტელიმ რა გააკეთეს ისეთი, რასაც მე ვერ შევძლებ?

– ძვირფასო ბატონო ინსპექტორო, როგორც ხედავთ, მათ სხვისი სიზმრების ნახვა არ მოუთხოვიათ, საკუთარით დაკმაყოფილდნენ. მე კი მხოლოდ დახმარება გავუწიე.

24.

გადაუღებლად წვიმს. თითქოს ყველა საუკუნის წყალი ამალამ იღვრება ციდან დედამინაზე. არ ვაჭარბებ. წვიმა ძვლებამდე აღწევს. რატომ არ შეიძლება, ყველა დროის სიზმრებმაც ასე იწვიმონ და ძვლების გავლით გაიარონ სხეული? სიზმრების ბრუნვაც ხომ წყლისას ჰგავს, მათი მიმოცვლაც ხომ მარადიულია. კლოზევიჩი არც ისეთი ყბედი გამოდგა, მე რომ მეგონა და ლემპიციკა რომ აღწერდა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ცდილობდა, მსგავსი ფიქრები თავიდან აერიდებინა. თანაც, რა საჭიროა, ყველა ერთსა და იმავე აზრზე იდგეს, რომ ესა თუ ის მოვლენა სიმართლედ ჩაითვალოს? თუ ჩემი უნახავი სიზმრები მემალება, არავის ბრალი არ არის, ჩემ გარდა. ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ვერც სხვა ადამიანი შეავლებს თვალს? საინტერესოა, როგორ ხდება – როცა ველოსიპედს ატარებ და ქვითინებ, ნუთუ ველოსიპედიც ტირის?

25.

გალია, გალიის შიგნით კი საფირონისფერი ყვავილი. ტკბილი ბაზილიკისა და ინდური სანელებლების სურნელით გაჟღენთილი ბალიშები, ფანჯარაზე კი ქარის დამჭერი – ინდური მოწყობილობა. დაბოლოს, ნამდვილი, ვენეციური გონდოლა სანოლის ნაცვლად, ჭერიდან ჯაჭვებით ჩამოშვებული და შავად მოლაპლაპე. ეს ყველაფერი ლემპიციკას ბინის ჩხრეკისას შევნიშნე, და არა მარტო ეს. კედელზე ნახატი, უამრავი შენიშვნით გარშემო და მოზრდილი წარწერა მის ქვემოთ:

„დროის სფერო“.

„დრო სულივითა“, – ამოვიკითხე ლემპიცკას მინანქრებში – „მას რამდენიმე აურა აქვს, თითოეული – სფეროს ფორმის. ისინი ერთმანეთსაა გადაჯაჭვული, მათი ერთობლიობის საფუძველს კი დროის მძიმე სხეული ისე ამაგრებს, როგორც დედამინა ამაგრებს სამყაროს ფსკერს.

გამჭვირვალე და სურნელოვანი გარსი, რომელიც დროის სფეროს აკრავს, მარადისობაა. ის ღმერთს სინათლით უკავშირდება, მომავალს კი მუსიკის ერთი ჰანგით. შეგვიძლია, სფეროების მთელი აცმა წარმოვიდგინოთ, რომლებიც ერთმანეთის ქვეშ ან ერთმანეთში ქანაობენ. მრავალშრიანი მომავალიც გამჭვირვალეა. მის ქვემოთ უღრმესი, არაისტორიული წარსულია, რომლის განჭვრეტაც არც ისე ადვილია. ეს დროის არაისტორიული განსხეულებაა, რომელიც ყველაზე შორეულ მომავალს ისე ეხება, როგორც აღმოსავლეთი და დასავლეთი ეხება დედამინას. ამ შრის ძირას სხვა, გაუმჭვირვალე შრეა, რომელიც ისტორიულ წარსულს, იგივე ისტორიულ დროს შეიცავს. დროის სფეროს ფსკერში ანმყოს ბუნდოვანი ბირთვია, ცხოვრება, მთელი თავისი სირთულით, რომელიც საათმა უკვე გაზომა და გაუშვა“.

ნახატის შუაგულში ლემპიცკას „ჩოფარდის“ მაჯის საათი მიუკრავს და თავისი საყვარლის, მისტერ დისტელის სიკვდილის დროზე გაუჩერებია, რომ ისრებს აღარასოდეს გაეგრძელებინათ სვლა.

26.

ღრმა შემოდგომა და კიდევ უფრო ღრმა ღამე. ჩემ გარშემო ადამიანთა მოდგმა თავის პირველსაწყისს უბრუნდება – ყოველ წამს უკან და უკან მიიწევს... ასეთ დროს სამყაროს სიბრძნე აღარ არსებობს. მხოლოდ

ეჭვები, ინსტინქტები, სიზმრები, სიძულვილი და ინტუიცია ბატონობს.

მოცემულ ვითარებაში საკუთარ თავს ხშირად ვუსვამ კითხვებს და პასუხებსაც თავად ვცემ: ერლანგენი უფრო ნაკლებად დამნაშავეა, ვიდრე სასამართლომ გადანყვიტა, დისტელი კი ნაკლებად უდანაშაულო, ვიდრე ჩანს და ვიდრე ამის დამტკიცება შესაძლებელია. სავარაუდოდ, ლემპიცკას უკანაც იდგა ვილაც, მაგრამ მისი ვინაობა ჩვენთვის უცნობია. კლოზევიჩი გაცილებით საეჭვო ადამიანია, ვიდრე ერლანგენი, დისტელი და ლემპიცკა ერთად აღებული, მაგრამ მის წინააღმდეგ იოტისოდენა სამხილიც არ არსებობს და ვერაფერი დაუმტკიცდება, გარდა უმნიშვნელო ფინანსური მაქინაციისა, რისთვისაც მან უკვე გადაიხადა ჯარიმა ისე, რომ ხელოვნურ უღვაშში მიმალული ღიმილი სახიდან არ მოუშორებია.

27.

რადგან სამივე მკვლელობა (იპოდრომის ნაძლევეების მენეჯერის, ისაია კრუსის, ლედი ჰეხტისა და მადამ ლემპიცკასი), ერთი და იმავე ტიპის იარაღით, იშვიათი „კომბატ მაგნუმ 586“-თ მოხდა, ბალისტიკის ექსპერტებს ვთხოვე, ტყვიები და რევოლვერები შეედარებინათ. აღმოჩნდა, რომ რევოლვერი, რომლითაც ისაია კრუსი მოკლეს, გვაკლდა, თუმცა ამავდროულად, სამივე იარაღიდან ამოღებული ტყვიები ჩვენს ხელთ იყო.

სწორად მოვიქეცი, ექსპერტიზა რომ მოვითხოვე. მგონი, ზოგჯერ ნათელმხილველის ნიჭი მაქვს და მომავალში ვიქეძები, სანამ რაიმე ჭკვიანური არ გამოანათებს. ამჯერად ვგულისხმობ მიგნებას, რომ ისაია კრუსიც დისტელის იარაღით მოკლეს, ოღონდ მაშინ,

როცა მომღერალი საავადმყოფოში იწვა და სასიკვდილოდ განწირული, მეტასტაზებს ებრძოდა. ვის მიუწვდებოდა ხელი მის „მაგნუმზე“? ლემპიცკაზე ეჭვის მიტანა რთულია – არავითარი მოტივაცია არ ჰქონდა კრუსის მოსაკლავად. გარდა ამისა, მის ანდროსოვიჩმა განაცხადა, რომ მკვლელობის დროს მისი და, მარკიზინ ლემპიცკა მასთან ერთად იყო და დისტელის ავადმყოფობის გამო ცხარე ცრემლით მოთქვამდა, მოგვიანებით კი, ცოტა რომ დამშვიდდნენ, დები ერთად ნავიდნენ დასაძინებლად.

28.

დღეს ტროტუარზე მონეტა ვიპოვე, მზის შუქზე ელავდა. წელში მოვიხარე და ავიღე. როგორც ვიცი, ბედნიერება მოაქვს, ან უბრალოდ, ამბობენ, რომ მოაქვს. უეცრად გამვლელი ქალი შეჩერდა და მკითხა:

– დარწმუნებული ხართ, რომ რაც ახლახან გააკეთეთ, უსაფრთხოა?

– და რა არის აქ საშიში? – გავიკვირვე მე. მან თავი გადააქნია:

– თვითონ მონეტა საშიში მართლაც არ არის.

– ?

– ნუთუ არასოდეს გსმენიათ? კარგი, შევეცდები, აგიხსნათ. მონეტას, შეიძლება, თავისი მიზანი ჰქონდეს. ზუსტი და საგულდაგულო. უფრო მეტიც, გამორიცხული არ არის, ის უნიკალურ ეგზემპლარს წარმოადგენდეს.

– ?

– შესაძლოა, ვიღაცამ ჯადო მოიხსნა, მონეტის საშუალებით მოიშორა და მოისროლა. ქუჩაში დაგდებული მონეტა კი გაუმაძღარ გამვლელს ელოდება. ასე გადადის

წყევლა ერთი ადამიანიდან მეორეზე, რომელიც, შეიძლება, თქვენ აღმოჩნდეთ.

გავოგნდი. გამოდის, რაგუსინსკის მონეტებით ჯადოქრობა, დისტელიმ რომ სიზმარში ნახა, გამოგონილი არ ყოფილა და ჩვენს დროშიც გამოიყენება. თუ გარდაცვლილის სიზმრებს დავუჯერებთ, ეს პუშკინმაც იცოდა, მე კი ახლა, ქუჩაში გავიგე.

29.

თუ კლოზევიჩის საქმიანობას გადავხედავთ, სრული საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ლემპიცკას თქმისა არ იყოს, სიზმრებით ვაჭრობა არაფერია, წმინდა წყლის თაღლითობის, ეშმაკობისა და შარლატანობის გარდა. სავარაუდოა, რომ დისტელისა და ლემპიცკას სიზმრები, რომელიც მან სასამართლოს წარუდგინა ანგარიშის სახით, თავადვე მოიგონა. ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ განსვენებულებმა კლოზევიჩის აღწერილი სიზმრები ნამდვილად ნახეს?

საინტერესოა, რამ უბიძგა ლემპიცკას, კლოზევიჩთან გარიგება დაედო და სიზმარი შეესყიდა, მიუხედავად იმისა, რომ „ნიშნების სახლის“ საქმიანობას აფერისტობად და შარლატანობად მიიჩნევდა. ალბათ კლოზევიჩისთვის ფარდის ახდისა და დისტელის სიკვდილში მისი ბრალეულობის გამოაშკარაების სურვილმა, როგორც თავადვე მითხრა ჩვენი პირველი შეხვედრისას. შეიძლება, სწორ გზას დაადგა და ამიტომაც მოკვდა, ან აკრძალულ ტერიტორიაზე შეაბიჯა, რაც არ აპატიეს.

30.

რას არ გავიღებდი, ინსპექტორის ნაცვლად, მდნობელი რომ ვიყო, 1854 წელი იდგეს და სამოთხის მდინარის გაღმა ნაპირზე, კარამატას მეთვრამეტე საუკუნის სახლთან ქამრის ბალთების სამჭედლო მედგეს. ღვინოს უმშვენიერესი თასიდან დავლევდი, ერთი ყურიდან ტირიფი გამეზრდებოდა, მეორედან – ვაზი, შენ კი ყველაფერი იქნებოდი ჩემთვის, გარდა სამჭედლოს სახურავზე მოკალათებული ფლუგერის მამლის ნისკარტის კაკუნით ბუნდოვანი ტკივილისა...

31.

სიზმარი უფრო ბრძენია და ბევრად მეტ წელს ითვლის, ვიდრე მისი მნახველი. უნდა ვალიარო, რომ აქამდე სიზმრებით არასოდეს დავინტერესებულვარ. მე მჯერა, რომ სიზმრები ჩვენი შიშების ექსკრემენტებია. ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანის ცხოვრებაში ექვსი სადღესასწაულო და ამდენივე სამუშაო დღის სიზმარი არსებობს. სულ ესაა. რადგან ჩემი საქმე მსხვერპლს მოითხოვს, როცა დიდ გაუგებრობაში გავეხვიე და „ნიმნების სახლში“ გაჩაღებული ალებ-მიცემობით დავინტერესდი, იუნგის კითხვა დავინყე. ის ამბობს, რომ სიზმარი ორგვირგვინიანი კბილი, ან ორრქიანი მოჩვენებაა, მე კი სიზმარი უფრო სამკუდიან მხეცს მაგონებს. ამის დასტურად, სხვა თუ არაფერი, ლემპიცკას სიზმარი გამოდგება. თუ სიზმარი მართლაც ჩვენს სურვილებს ასახავს და მეტიც, გაცილებით შორს მიდის, ანუ აწონასწორებს იმას, რაც ყველაზე მეტად გვაკლია, ან ზედმეტად ბევრი გვაქვს,

გამოდის, რომ ლემპიცკას სიზმარი სამგვარ კომპენსაციას გვთავაზობს:

ა. სიზმრის „ანდროგენულ ვერსიაში“ ლემპიცკა ბიჭია, მოგვიანებით კი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც არასოდეს ჰქონია სასიყვარულო თავგადასავლები, გარდა ერთისა. ის ქალებს არ მოსწონთ, საკუთარ დედასაც კი არ ეხატება გულზე. ეს ლემპიცკას ფარული, აუხდენელი სურვილებია, სექს-ბომბის, ქალის, რომლის გამოხატული სექსუალურობა და ქალურობა ყოველთვის ინვევდა გარშემომყოფთა აგრესიას, რაც სიზმარში შედარებით უფროსი ასაკის, უტიფარი გოგოსგან შეშინებულ, სექსუალურად ჯერ კიდევ უღონო ბიჭად ქცევით დაკომპენსირდა.

ბ. სიზმრის „ქალურ ვერსიაში“ დაკვირვებული თვალი დაინახავს ლემპიცკას მკრთალ სურვილს, გაუჩნდეს შვილი, რომელიც არ ჰყავს.

გ. სიზმრის მესამე განშტოება ჯერ კარგად არ შემისწავლია, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ „მამაკაცური ვერსია“ ყველაზე საინტერესოა ჩემი გამოძიებისათვის, რადგან სწორედ ისაა მკვლელობებთან კავშირში, მაგრამ მისი ამ მიმართულებით კვლევა ჩემს ცოდნასა და ძალებს აღემატება. თანაც, გარეთ ქარია, ჩემი ოთახის ფარდა კი ორსულადაა. არც ძილის ჟამი დგას და არც სიფხიზლის. ის დროა, წიგნი რომ უნდა გადაშალო, მაგრამ სანამ გადაშლი, შუქი ჩააქრო.

32.

გუშინ, კაზინოში, ასურ დადას შევხვდი, კაცს „30-დოლარიანი“ ლიმილით, რომელიც „სერ უინსტონის-თვის“ მუშაობს. ვკითხე, ფლობდა თუ არა რაიმე ინფორმაციას იპოდრომზე მომხდარი მკვლელობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელი აქამდე უკვე მოეხადა

და ხვდებოდა, რომ „მუჭში მყავდა“, პასუხის გაცემის ნაცვლად, მან გარეპა:

„ნუხელვახშმადთევ ზივჭამედამასშემდეგმთელილამერ ანგლითადადანიტასევიმლერედავიტამაშე... სახლსგადაძვ რათითქმისჭერისხელილამისგაეიჭერი...ჰოდაუცებვინელო დაჩემიორისახელოდანხელისნაცვლადასემარდადბატისთა ვიგამეზარდა...“

33.

რატომ იყო დისტელი ასე შეპყრობილი პუშკინით და განსაკუთრებით, მისი „ბორის გოდუნოვით“? სიზმარმა, სადაც პუშკინის სიკვდილი გამოჩნდა, დისტელის გარდაცვალებაც იწინასწარმეტყველა. კიდევ ხომ არ არსებობს რაიმე, რაც გამომეპარა? რატომ მაინცდამაინც „ბორის გოდუნოვი“? გასაგებია, რომ დისტელი წამყვან პარტიას მღეროდა მუსორგსკის ოპერაში, მაგრამ მან თავად უთხრა მადამ ლემპიცკას (ლემპიცკამ კი მე გამიმხილა), რომ როლი არ მოსწონდა და ნაძალადევად ასრულებდა მას. მაშ, ვინ იყო ბორის გოდუნოვი? მკვლელი. უფლისწული დიმიტრის მკვლელი, სხვების მსგავსი დამნაშავე. ჩანს, დისტელი ცდილობდა, ეთქვა: „არ მინდა, მეც მკვლელი გავხდე!“ რას ვარაუდობდა დისტელი? რა დანაშაულის თავიდან აცილებას ცდილობდა, როცა სიზმარში დაეხეტებოდა და უთვალთვალეზდა პუშკინს, რომელიც სულებს უხმობდა? რატომ სთხოვდა პოეტს, ესწავლებინა მისთვის, როგორ დაეხსნა თავი „გარს შემოხვეული თოკისგან“?

რა თოკზე ლაპარაკობდა დისტელი? „ნიშნების სახლს“ ხომ არ გულისხმობდა? ნუთუ მკვლელობის, ან რაიმე სხვა დანაშაულის ჩადენას აიძულებდნენ? საინტერესოა, მოძალადეს წინააღმდეგობა გაუწია თუ მის ნებას დაჰ-

ყვა, მიუხედავად სიზმრისეული სიბრძნის ფლობისა? სავარაუდოდ, მას დრო არ ეყო (სურვილიც რომ ჰქონოდა, ვერ მოასწრებდა), იქამდე გარდაიცვალა, სანამ რაიმეს მოიმოქმედებდა. თუმცა შესაძლებელია, რომ დისტელის ავადმყოფობა და სიკვდილი სწორედ დანაშაულზე ფიქრმა გამოიწვია, დანაშაულზე, რომელიც მომავალში უნდა მომხდარიყო. ასეთი შემთხვევებიც არსებობს.

34.

ქალბატონ ჰეხტს მისი ბანკის ათი წლის იუბილის აღსანიშნავად გამართულ მიღებაზე შევხვდი. მას სიმ-პათიური, მწვანეთვალეობა კაცი ახლდა, რომელსაც ბანკში მალალი თანამდებობა ეკავა და როგორც შემდეგ გავიგე, მორის ერლანგენი ერქვა.

თოვდა. ჭიქებით ხელში, ისინი ხალხმრავლობას გა-ერიდნენ, ბანკის ხეებით გადახურულ სახურავზე გან-მარტოვდნენ და ხელოვნურად გამთბარ საქანელაზე ჩამოსხდნენ. კაცი „ჩივასს“ სვამდა, ქალი „მარტინის“. ჩემი იქ ყოფნა არც ერთს შეუმჩნევია. ქალბატონი ჰეხტი შეშინებული ჩანდა, მაგრამ მიზეზი ვერ გავიგე. მხოლოდ რამდენიმე წინადადებას მოვკარი ყური. ქალი აშკარად ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყო:

– იცი, რამდენს სძინებია ჩემი თმის ჩრდილში? არ იცი? არც მე. თუმცა ეს მთავარი არ არის. შენც მალე უნდა დაივინყო ყველაფერი. მოიცა... ნახე, თოვას იწყებს... როცა დასასრული დადგება და სიყვარულს უკანდახევით დააღწევ თავს, დაინახავ, როგორ კვამლდები ჩემი სიმხურვალიდან და როგორ გადნებიან ფიფქები სხეულზე... ამის დავინყება არავის შეუძლია...”

35.

ცნობილი ფსიქიატრის რჩევამ, რომელსაც ვთხოვე, დამხმარებოდა მაღამ ლემპიცკას სიზმრის „მამაკაცური ვერსიის“ გააზრებაში, სადაც ლემპიცკა ოფიცრად იქცევა და შუაგულ ომში აღმოჩნდება, შემდეგ ინტერპრეტაციამდე მიმიყვანა: მისთვის ეს პროცესი კომპენსაცია იყო. სიზმრის აღნიშნულ ვერსიაში, მიუხედავად მაღალი სამხედრო ჩინისა და მნიშვნელოვანი მოვალეობებისა, მაიორი სიკინდიალი, იგივე ლემპიცკა, საბრძოლო სტრატეგიაზე სულაც არ ფიქრობს და დროის უმეტეს ნაწილს სამოქალაქო პროფესიას და სამეცნიერო საქმიანობას უთმობს. ფსიქიატრის აზრით, ეს იყო პირდაპირი გაფრთხილება ლემპიცკასთვის: „არ მოკლა!“, რომელსაც ის ცხადში სათანადოდ ვერ აღიქვამს და თავის მეტოქეს, ქალბატონ ჰეხტს კლავს. მოკლედ რომ ვთქვათ, ლემპიცკას სიზმარს, რომელიც გაცილებით ბრძენი და შორსმჭვრეტელია, ვიდრე თავად ლემპიცკა, შესწორებები შეაქვს მის მცდარ და ცალმხრივ სურვილებში, თუმცა ლემპიცკა მინიშნებებს ყურად არ იღებს. ყველაფერი კი საბედისწეროდ მთავრდება.

36.

უფროსი ინსპექტორი, რომელიც ფრთხილად იძიებს სისხლის სამართლის დანაშაულს, უფრო ზუსტად კი, მკვლელობას, იმ ადამიანს ჰგავს, რომელიც ერთი ჩამოვარდნილი ფოთლიდან მეორეზე ადგამს ფეხს და ასე მიუყვება ქუჩას... როცა წინ ფოთოლი არ ჩანს, ის ჩერდება და ელოდება, როდის მოვა შემოდგომა და გაიხსნება ცა, რომ სვლა გააგრძელოს. დისტელი-ლემპიცკას საქმე სწორედ ასეთია. როგორც ჩანს, შემოდგომის დადგომას ველოდები.

37.

ლემპიცკას სეიფის გასახსნელად ორდერი მივიღე, მაგრამ იქ ბევრი ვერაფერი ვიპოვე, მხოლოდ მენამულისფერი შარფი და ქალაღის ნაგლეჯი. ქალაღზე ნანერული ლექსი აშკარად ლემპიცკას ეძღვნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ლექსს დისტელი აწერდა ხელს, დარწმუნებული არა ვარ, კალიგრაფია მას ეკუთვნოდა თუ ლემპიცკამ სტრიქონები საიდანლაც გადმოიწერა. ლექსი მათ შორის არსებულ ასაკობრივ განსხვავებაზე მოუთხრობდა მკითხველს:

ო, ქალბატონო, უსაათო დროს რომ მიჰყვებით,
ჩემმა საათმა დრო დაკარგა – დარეკა ზარი,
სახელი ქუდს ჰგავს: დაუბერავს როდესაც ქარი,
მიაქვს ქუდები. დაიხსომეთ ჩემი სიტყვები.

ამ სიყვარულის მემკვიდრე ვარ დიდი ხანია,
რადგან ბავშვური, წმინდა ტრფობის გამიღეთ კარი,
ვამბობდით: სხვების სავალი გზა უეკლო არის,
სწავლას ბოლოდან ვერვინ იწყებს. არ ახალია.

მათიას დისტელი

38.

ქალაქის ყველაზე დიდ სადაზღვევო კომპანია „ატლასში“ მივედი და შევამოწმე, ინახებოდა თუ არა მათთან ისაია კრუსის სადაზღვევო პოლისი. აღმოჩნდა, რომ ინახებოდა. დაზღვევის თანხა იმდენად დიდი იყო, რომ ნამდვილად გამოდგებოდა ადამიანის თავიდან მოშორების მიზეზად. კრუსის სიკვდილის შემთხვევაში ანაზღაურება მის მეუღლეს ერგებოდა. შეიძლებოდა თუ არა, მადამ ორას, გამდიდრების იმედით, მკვლელი დაექირავებინა და

ქმარი თავიდან მოეშორებინა? ამ ვარაუდს ნაკლები საფუძველი აქვს, სამი მიზეზის გამო:

1. რადგან ისინი დაქორწინებული არ იყვნენ, მაღამ ორა ვერ ჩაითვლებოდა კრუსის კანონიერ მემკვიდრედ.

2. რადგან მაღამ ორა სრულწლოვანი ჯერ არ გამხდარიყო, ქონების გადაფორმებას კიდევ რამდენიმე წელს ვერ შეძლებდა.

3. მაღამ ორა სადაზღვევო კომპენსაციის გარეშეც ზღაპრულ სიმდიდრეს ფლობდა.

მაღამ ორას და მაღამ ლემპიცკას ისტორიები ერთმანეთს ჰგავს: ვერც ვერაფერს გაუგებ და ვერც შეეშვები. ალბათ ჯობია, ისევ ღრუბლებისთვის სახელების დარქმევა განვაგრძო.

39.

ლემპიცკა-ჰეხტ-ერლანგენის საქმე ოფიციალურად დაიხურა, მე კი მაინც არ მტოვებს შეგრძნება, რომ სინამდვილეში ვერაფერი გამოვარკვიეთ და მკვლელობები გაუხსნელი დაგვრჩა. განსაკუთრებით, ზემოხსენებულ საქმესა და ისაია კრუსის მკვლელობას შორის შესაძლო კავშირი მაფორიაქებს და ვცდილობ, როგორმე გავერკვე, როგორ მოუხსნაფეს კრუსს სიცოცხლე დისტელის იარაღით მაშინ, როცა მომღერალი საავადმყოფოში კიბოს ებრძოდა. ხომ არ აჯობებს, ყველაფერი თავიდან, ამჯერად მონმეებით დავიწყო? მაგალითად, მაღამ ლემპიცკას დით, სოფია ანდროსოვიჩით, რომელიც თითქმის მიგვავიწყდა. როცა დავურეკე, ხმამალლა გაიცინა და მიმღებს ჩასძახა:

– როგორც იქნა, გაგახსენდით, ბატონო უფროსო ინსპექტორო! მაინტერესებდა, ჩემამდე თუ მოხვიდოდით და როდის. ჩვენი საუბარი ჩვეულებრივს არ უნდა დაემს-

ვავსოს. მე ვერ დაგპატიყებთ სახლში, რადგან ჩემი მისამართი საძილე ვაგონია – დიახ, მოგზაურობა მიყვარს. აჯობებს, თქვენ წამიყვანოთ საუკეთესო რესტორნებში. ასეთი სადილ-ვახშმების საფასურს მაინც თქვენი დეპარტამენტი იხდის.

ასეც მოვიქეცი. როგორც კი დავსხედით, სასწრაფოდ ვკითხე:

– იპოდრომის ნაძლევების მენეჯერი, ისაია კრუსი, თქვენმა დამ მოკლა?

– რა დღეში ხართ, ძვირფასო და მომხიბვლელ ბატონო, – მის ანდროსოვიჩი თვალის დახამხამებაში გაშინაურდა, – ჩემი და მკვდარია, მისი დაცვის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან ფაქტია, რომ ველარაფერს დაუშავებთ. მაგრამ მაინც გეტყვით, როგორ მოხდა ყველაფერი. იმ საღამოს, თქვენი ბატონი კრუსი რომ მოკლეს და მისი მკვლელობის ამბავი ახალ ამბებში გადმოსცეს, ლემპიცკა ჩემთან იყო. მთელი საღამო თავის მომღერალზე მოთქმაში გაატარა, რომელიც საავადმყოფოში იწვა. რაც შეგეხებათ თქვენ, გინდათ, გითხრათ, თქვენზე რას ვფიქრობ? ოცი წლის ასაკში მამაკაცი ჩვილია, ოცდაათი წლის ასაკში – ბავშვი. სქესობრივ სიმწიფეს ორმოცი წლისა აღწევს, შემდეგ კი გამოუსადეგარი ხდება.

40.

გუშინ „ნიშნების სახლში“ წავედი და კლოზევიჩი ვნახე. სასამართლოს შემდეგ თვალის ალარ მომეკრა მისთვის და მინდოდა, დავლაპარაკებოდი. რადგან სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმა უკვე გადაეხადა, ვიფიქრე, რომ ჩემი გამოჩენით დიდად არ შევანუხებდი. დისტელი-

ლემპიცკა-ჰეხტის საქმეში ჩემთვის ყველაზე ამოუცნობ ფიგურად სწორედ კლოზევიჩი დარჩა და ვიმედოვნებდი, რომ „ტადარში“ მისვლა ახალ კვალზე დამაყენებდა. წინასწარ დავურეკე და მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ ვამცნე.

– აჯობებს, სალამოს მოხვიდეთ. ვფიქრობ, უკეთესი ამინდი იქნება, – მითხრა მან.

იმ დღეს კლოზევიჩი ზრდილობიანი ჩანდა, თუმცა, როგორც ჩვენ ვამბობთ, „ცალ ხელს ზურგსუკან მალავდა“. ვუთხარი, რომ სიზმრების ყიდვა-გაყიდვით ვიყავი დაინტერესებული და ვთხოვე, რაიმე ეჩვენებინა, რაც ჩემს ნანახ ან უნახავ სიზმრებთან იქნებოდა დაკავშირებული. ის გამოცოცხლდა და თავისი სახლის ერთ-ერთი ტერასიდან ვარსკვლავებიანი ცა დამანახა.

– რომელი ნიშნის ქვეშაა დაბადებული ბატონი უფროსი ინსპექტორი? – მკითხა მან. როცა ვუპასუხე, რომ ზოდიანოტი „თევზები“ ვიყავი, მან თითი ზეცისკენ აიშვირა და ახსნა დაიწყო:

– თქვენი თანავარსკვლავედის მარადისობაში, სადაც თქვენი ნანახი და უნახავი სიზმრები იკრიბებიან, ოთხი თევზი მოჩანს. შეიძლება ითქვას, რომ ორი მათგანი „გადამხმარ მინაზეა“, მაშინ, როცა დანარჩენი ორი „ირმის ნახტომის“ რეგიონშია განლაგებული. ხედავთ? აი, სად ლივლივებენ თქვენი სიზმრები. ყველა თქვენ გეკუთვნით, მაგრამ ზოგიერთი მათგანის ნახვას ვერ მოასწრებთ – ზოგიერთ მათგანს, დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, სიკვდილი შეწყვეტს.

– ხომ არ შემუქრებით, ბატონო კლოზევიჩ?

– საამისოდ არავითარი მიზეზი არ მაქვს. უამრავი ადამიანი ვიცი, ვისაც სიზმრის ბოლომდე ნახვა სიკვდილმა არ დააცადა. მარადისობა სავსეა სანახევროდ ნანახი სიზმრე-

ბით, ისევე, როგორც ჩვენი ცხოვრებაა სავსე სანახევროდ წაკითხული წიგნებით. მე ეს ყველაფერი ვარსკვლავებმა მამცნეს. ყოველ ღამით წარმოუდგენლად ბევრი სიზმარი რჩება მხილველის გარეშე.

41.

მეორე დღეს გარდაცვლილი ლემპიცკას მკურნალი ექიმის, არნოლდ მაკინტოშის სანახავად წავედი. დაფსხედით და მასზე ვილაპარაკეთ, უფრო სწორად, ექიმი ლაპარაკობდა და მე ვუსმენდი. ცხვირის ქვემოთ ბაფთის მსგავსი ულვაშები უთამაშებდა. ლაპარაკობდა ყველაფერზე, გარდა ყოფილი პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა. „მადამ ლემპიცკას წყალი უყვარდა. მხოლოდ „პერიერს“ და ბერძნულ „ლუტრაკის“ სვამდა. საუკეთესო სპის ძიებაში მთელი ჩრდილოეთ აფრიკა მოიარა. გარდა წყლის თაყვანისცემისა, მას სხვა საინტერესო ჩვევები და თვისებებიც ჰქონდა. ძირითადად, ზღვის მცენარეებითა და ხამანწკებით იკვებებოდა, იშვიათი ქვები კი განსაკუთრებული ვნება იყო ლემპიცკასთვის – მინერალები, კრისტალები, სტალაქტიტები. არ ვიცი, აგროვებდა თუ არა კოლექციას, მაგრამ ქვებში ძალიან კარგად ერკვეოდა. მეთორმეტე საუკუნის ჩინური „ქვების კატალოგიც“ იყიდა და მწვანე იასპის ბეჭედი მაჩვენა, რომელსაც, მისი ღრმა რწმენით, მომავლის განჭვრეტა შეეძლო. „ქვების ცხოვრება იმდენ საუკუნეს ითვლის, რომ ეჭვგარეშეა, ისინი ჩვენზე მეტს ხედავენ ორივე მიმართულებით, წარსულშიც და მომავალშიც“. – მითხრა ერთხელ ლემპიცკამ.

მხოლოდ წამოსვლისას შევნიშნე ლემპიცკას ექიმის თვალში მოელვარე მთის ბროლი.

როცა ერლანგენი, სანიმუშო საქციელის გამო, ციხიდან თავდებით გამოუშვეს, მისი მონახულება გადაწყვიტე. ჩემი სტუმრობა მისთვის უსიამოვნო აღმოჩნდა, მაგრამ შეეცადა, ეს არ შეემჩნია. უნდა აღვნიშნო, რომ ადამიანები ნიჭიერ მასპინძლებად და ნიჭიერ სტუმრებად იყოფიან, ერლანგენი კი აშკარად ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნებოდა. თითო ჭიქა დავლიეთ და ვკითხე, უკრავდა თუ არა ოთახის კუთხეში მიდგმულ პიანინოზე. როცა მან ინსტრუმენტს თავი ახადა და იქვე, სკამზე ჩამოჯდა, გაოცებისგან პირი დავაღე. პიანინო, მუსიკალური ბგერების ნაცვლად, ანბანის ბგერებს გამოსცემდა. რეგისტრის მიხედვით, თითოეული სხვადასხვა ხმით იყო ჩაწერილი – ქალის, მოხუცი კაცის, ბავშვის, მოდუდუნე კაცის და ა. შ. მოკლედ რომ ვთქვათ, პიანინო, დაკვრის ნაცვლად, ლაპარაკობდა.

წარმოუდგენელ ნივთს ზურგი შევაქციე და ერლანგენს ვკითხე:

– შეგიძლიათ მითხრათ, როგორ აღმოჩნდა მისტერ დისტელის იარაღი ლემპიციკას ხელში?

პასუხის გაცემის ნაცვლად, მან პიანინო ააჭარტალა:

– შენ ხარ შიში, წამომართული უკანა ფეხებზე, ბაკებგაზრდილი, წვერგაზრდილი. შენს თვალებში ბინდი იკვლევს გზას, შენს კბილებში – სიცილი, მაგრამ გახსენება სულ უფრო და უფრო გიჭირს... სული ცხვირში გაქვს. თითქოს ასე სწავლობ, როგორ დააცემინო.

ამალამ ჩემს დღიურში მარკიზინ ლემპიცკას საქმის მოწმეებს უნდა დავუბრუნდე. სადღაც უკვე აღვნიშნე, რომ მის დას, სოფია ანდროსოვიჩს შევხვდი რესტორანში. ის უცნაური ფეხსაცმლით გამომეცხადა, რომლის ქუსლებიც ორ ამოყირავებულ ეიფელის კოშკს ჩამოჰგავდა და თაფლიანი ჭანარი შეუკვეთა.

- მითხარით, თქვენს დას რბოლა უყვარდა? - პირდაპირ მივახალე მის ანდროსოვიჩს.

- უყვარდა. პატარა გოგოები რომ ვიყავით, ჯერ კიდევ მაშინ ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, რომელი ჩვენგანი განიცდიდა ორგაზმს პირველად. მარკიზინი, რომელიც ჯერ კიდევ არ ატარებდა ლემპიცკას გვარს, ჩემზე სწრაფი იყო და შეეძლო, ერთსა და იმავე კაცთან შვიდჯერ, მიყოლებით გაეთავებინა. ციკლი არასოდეს ჰქონია, ალბათ ამიტომაც არ გაუჩნდა შვილები. სექსუალური მომნიფების ნაცვლად, მან პირდაპირ მენოპაუზის საფეხურზე გადაინაცვლა... ბავშვობაში ვენაში ვცხოვრობდით. ერთ დღეს მან მეზობლის ბიჭს ხელი ჩაკიდა, სასაფლაოზე წაიყვანა და ასწავლა, როგორ უნდა წაერთმია მისთვის ქალწულობა იქვე, სამრეკლოს ჩრდილში. მარკიზინმა ამას მისტიკური ქორნილი დაარქვა. ერთხელ, გაკვეთილზე, ჩემ გვერდით მჯდომ ბიჭს მარცხენა ხელით ვასიამოვნე, სანამ მარჯვენით განტოლებები გამომყავდა. სულ ტყუილა ვინვალე. ბიჭი მეზობელ მერხზე მოკალათებულ მარკიზინს უყურებდა, საერთოდ, ყველა ყოველთვის მას უყურებდა. მთელი სკოლა ჩემს დაზე ანძრევდა, მასწავლებლების ჩათვლით, ქალი მასწავლებლებიც კი. ხედავთ? თქვენც მხოლოდ ლემპიცკაზე გინდათ ლაპარაკი, მიუხედავად იმისა, რომ ვახშმად მე დამპატიყეთ.

- მაგრამ, ძვირფასო მის ანდროსოვიჩ, მე მხოლოდ შემთხვევით ვისარგებლე, მინდოდა, თქვენთვის მომე-

სამძიმრებინა. შეკითხვაში კი ცხენების რბოლას ვგულის-
ხმობდი, უბრალოდ, თქვენთან საუბრის გაბმა ვცადე.

– არა, არ უყვარდა, თუმცა დისტელის ხშირად დაყავ-
და რბოლის საყურებლად. დისტელისთან ურთიერთობა
ჩემს დას აწყობდა, რადგან მომღერალი ასაკოვანი იყო
და პირველი ქმრისგან განსხვავებით, მარკიზინს დღეში
ორჯერ არ ახტებოდა ზედ. ისე, უფრო ხშირად ძაღლების
რბოლაზე დადიოდნენ. მარკიზინი დისტელის მწევართან
მეგობრობდა. ერთ საღამოს, როცა დისტელემ ვერაფერი
შეძლო, მარკიზინს კი ძალიან უნდოდა, ჩემმა დამ ძაღლს
ასწავლა, როგორ უნდა დაეკმაყოფილებინა ქალი. მათ
ყურებაში დისტელისაც აუდგა. თუმცა მითი მარკიზინის
არანორმალური სექსუალურობის შესახებ გამოგონილი
და გაზვიადებულია. სინამდვილეში, ყოველი მეორე ქალი
სექს-ბომბია. კაცები, რომლებიც ჩემთანაც ყოფილან და
მარკიზინთანაც, ამტკიცებენ, რომ ჩვენ შორის განსხვავება
თითქმის არ არის და უფრო მეტიც, გარკვეულ ფაზებში მე
უკეთესი ვარ. ალბათ მაინც აჯობებს, ბატონმა უფროსმა
ინსპექტორმა დასკვნა თავად გამოიტანოს, მიუხედავად
იმისა, რომ თქვენ ლემპიცკასთან არ წოლილხართ, ასე არ
არის?

– ჩემი დისგან ერთადერთი რამ ავითვისე.

– ?

– მან ლექსი მასწავლა, რომლისთვისაც ოქროს გადახ-
დაც არ უნდა დაიშურო ადამიანმა.

– ?

– ახლა ვერ გაგიმხელთ, რა ლექსია. თუ ორალური
სექსის დროს ამ სტრიქონებს წარმოთქვამთ, ენა ისე მოძ-
რაობს, რომ სიამოვნებამ ქალი შეიძლება კლიმაქსამდე
მიიყვანოს.

44.

იპოდრომზე ჩადენილი დანაშაული ერლანგენის ვილაზე მომხდარი ორმაგი მკვლელობის აჩრდილად იქცა. იპოდრომის ნაძლევების მენეჯერის, ისაია კრუსის ბინის ჩხრეკისას დადგინდა, რომ მისი მეუღლე ცალკე, საკუთარ სახლში ცხოვრობს, კრუსი კი, მონაცვლეობით, ხან ერთგან რჩებოდა, ხან მეორეგან.

მისი ბინა არაფრით განსხვავდებოდა ნებისმიერი მარტოხელა კაცის საცხოვრისისგან. მხოლოდ ორი საინტერესო ნივთი ვიპოვეთ: მამაკაცის შავი მარაო კორეიდან და ქალის თითბერისგან დამზადებული სალამური, ზედ მოფარფატე მეტალის პეპლით. ეს ორი ნივთი კრუსის საკუთრებას არ ჰგავდა, უფრო მეტიც, ჩანდა, რომ მათი ადგილი კრუსის სახლში საერთოდ არ იყო. თუმცა შესაძლოა, ისინი კრუსს ცხოვრების ჩვენთვის უცნობი პერიოდიდან გადმოყვნენ. იქნებ კორეის ომში მონაწილეობდა? ვისთან ერთად? ალბათ მასთან, ვინც ახლახან მისთვის ანგარიშის გასწორება გადაწყვიტა.

45.

„ნიშნების სახლში“ სტუმრობის მეორე დღეს კლოზევიჩისგან საჩუქარი მივიღე: ზეცის ინდური „რუკა“, რომელზეც გარკვევით ჩანს ჩემი სიზმრები, თანავარსკვლავედში მოლივლივე, „თევზების“ მიდამოს მილიარდობით სხვა, უძველეს და მომავალში სანახავ სიზმრებთან ერთად.

„რუკაზე“ „ირმის ნახტომია“ გამოსახული, „ირმის ნახტომში“ კი ჩემი ზოდიაქოს ოთხი თევზიდან ერთ-ერთი. თევზისკენ, ან მის თავზე გამოსახული ორი ჩიტისკენ ისარია მიმართული, რომელიც მიზანს ცდება და უმი-

სამართოდ მიფრინავს მარადისობაში. მეორე და მესამე თევზებს შორის სამი ფიგურა შეინიშნება – ორი მამაკაცი და ერთი ქალი. ქალი ახალგაზრდაა. მშვენიერ, შიშველ ძუძუებს მზისგან საჩრდილობლით იფარავს. თეთრი, სიფრიფანა ინდური ნაჭრისგან შეკერილი მოკლე შარვალი აცვია, ფეხებგადაჯვარედინებული ზის და ოსტატურად გამოძერწილ ქანდაკებას ჰგავს. მის გვერდით მდგომ კაცს მკლავები ფართოდ გაუშლია. ჩემი ზოდიაქოს თევზებიდან ერთ-ერთი სწორედ მისი მარჯვენა მკლავის ქვეშ მიცურავს. კაცს ყვითელი ქიტონი და წითელი წინდები აცვია, შუბლზე ხელოვნური ხალი აქვს მიმაგრებული. წელზე ჯაჭვი შემოუხვევია, რომელიც წინა მხარეს კოჭებამდე დასთრევს და ისე იკვანძება, რომ ფეხებსაც უბორკავს. ჩემი ნიშნის ორი სხვა თევზი კი ნამდვილად „გადამხმარ მიწაზეა“ – „ირმის ნახტომისგან“ მოშორებით.

ქალის მეორე მხარესაც კაცი დგას. ის საჩრდილობელსაა შეფარებული (რადგან აღნიშნული ნივთი ქალს მზის კი არა, ვარსკვლავების შუქისგან იცავს, ალბათ მართებული იქნება, მას „ვარსკვლავებისგან საჩრდილობელი“ ვუნოდოთ). მენამულისფერი მოსავს, ქუდი ახურავს და შავი ფრთები აქვს. მარცხენა ხელით უზარმაზარ გველს ეხება, რომელსაც თავი ნამოუნევია და მეზობელ თანავარსკვლავედს შესცქერის, უფრო სწორად კი კაცს, რომელიც ვარსკვლავებს კრეფს და პეპლების საჭერი ბადის მსგავს მონყობილობაში ათავსებს. ბადეში უკვე რვა ვარსკვლავია. კაცი მეცხრეს წყვეტს.

„რუკას“ ახლდა კლოზევიჩის მინანერი:

„ასე გამოიყურება თქვენი სიზმრების სამყოფელი“.

სამი ფიგურა: ორი მამაკაცი და ერთი ქალი! დისტელიკრუსი-ლემპიცკა! და ვილაც, ვინც ვარსკვლავებს კრეფს. ან იქნებ, სულაც სიზმრებს.

46.

ამალამ არც ძილის თავი მაქვს და არც ამ წყეულ წიგნაკში წერის. მელანი ამომშრალია, ჩემი სული კი გზააბნეული, სადღაც დაფარფატებს, სანამ მე დანყლულეებულ ფეხებს მარილიანი ღვინით სავსე ვარცლში ვილბობ. საკუთარი ფიქრების ფსკერზე ისე ვწევარ, თითქოს მშვენიერი, ლურჯი დანუბეს ტალღებქვეშ მეპოვოს განსასვენებელი. და შეშინებული ვუყურებ ბეჭედს ჩემს სანოლში მძინარე მის სოფია ანდროსოვიჩის ხელზე, რომელიც დაუსრულებლად კრთის და ბრუნავს.

47.

მოგვიანებით ლემპიცკას საქმის მოწმეებთან დაბრუნება იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემი აზრით, გამოძიების პროცესში, მათ სათანადო ყურადღება ვერ მივაქციეთ. მაგალითად, კლოზევიჩის „ნიშნების სახლში“ კიდევ ერთხელ მივედი. „ტაძარში“ მის სანდრა შემომეგება. მისი სარკეში შეთვალეირება ვერ მოვახერხე, მაგრამ მომეჩვენა, რომ სანამ ჩვენ ვლაპარაკობდით, სარკეში ალექს კლოზევიჩის გადახოტრილმა თავმა და წარბში ჩაკერებულმა ღილმა გაიელვა. მის სანდრას უმანკო მზერისა და ნიკაპქვეშ, შარფის მსგავსად, კამეით შეკრული ლაჟვარდისფერი თმის წინაშე დაუძღურებულმა, შეკითხვა მექანიკურად დავსვი:

– რბოლა თუ გიყვართ?

– დიახ, ფორმულა 1 მიყვარს.

ის მიყურებდა და სახეს მარათი იგრილებდა, რომელზეც მნათობებად კიაფობდა „კიბოს“ თანავარსკვლავედი.

– სხვა რაიმე ვიგულისხმე. ცხენების რბოლაზე გკითხეთ.

- არც ისე. იპოდრომზე სულ რამდენიმეჯერ ვყოფილ-
ვარ, აქედან ერთხელ ძაღლების რბოლაზე. დიდად ვერ მო-
ვიხიბლე. რატომ მეკითხებით?

- უბრალოდ გკითხეთ. სინამდვილეში, თქვენთან საქ-
მის გამო მოვედი. მაინტერესებს, რისი შემოთავაზება
შეუძლია „ნიშნების სახლს“ ჩემთვის?

- გაინტერესებთ, შეგვიძლია თუ არა, თქვენი მო-
მავლიდან რომელიმე სიზმარი გამოვიხმოთ? ხვალინ-
დელი დღევანდელად ვაქციოთ? ასეთი სახის გართობას
გულისხმობთ?

- დიახ, სწორად მიმიხვდით. მეც იგივე მინდა, რაც
დისტელისთვის, ლემპიცკასთვის და სხვებისთვის გაა-
კეთეთ.

- იმედი უნდა გაგიცრუოთ, ძვირფასო ბატონო უფ-
როსო ინსპექტორო შტროს. თქვენი სიზმრების დაჭერა და
გაყიდვა შეუძლებელია.

- ეს როგორ?

- უბრალოდ. თქვენი სიზმრები მეტისმეტად ველურია
საამისოდ და მომინწევს, თავი უდიდეს საფრთხეში ჩავიგ-
დო. თქვენს თანავარსკვლავედში, ორის მაგივრად, ოთხი
თევზი მოჩანს. აქედან ორი „გადამხმარ მინაზეა“. როცა
მოძრაობთ, ორ თევზზე დგახართ. ისინი კი გაურკვეველი
მიმართულებით მიცურავენ. ეს ყველაფერი თქვენს სიზმ-
რებზე ნადირობას მიკრძალავს.

- სულ ესაა, რისი თქმაც შეგიძლიათ?

- არა. ასევე შემიძლია, გირჩიოთ, რომელ ცხენზე და-
დოთ მომავალ კვირას...

ჩემი საქმიანობის ადამიანისთვის აუდიოჩანაწერების გაკეთება ჩვეულებრივი რამაა. როცა „ნიშნების სახლს“ პირველად ვესტუმრე მადამ ლემპიციკასთან ერთად, ყველაფერი ჩავინერე, რაც მის კლოზევიჩის ყალბ ტაძარში ითქვა. ჩანაწერს გუშინ მოვუსმინე. რასაც კლოზევიჩი ამბობს, მართლაც წარმოუდგენლად ჟღერს. ნაწყვეტს აქაც გადმოვიტან:

„კოლექტიური სიზმრები ადრეც არსებობდა და დღესაც არსებობს. ჭაობის გრძელფეხება ბინადრების – ჩიბუხების, სავათების, ყანჩებისა და ფლამინგოების დაჭერა ადვილია, როცა მრავლდებიან. იგივე შეიძლება ითქვას კოლექტიურ სიზმრებზეც. ისინი ყველგან არიან. საუკეთესო მაგალითად გამოდგებად ჯვაროსნების, აღმოსავლეთ რომაელებისა და მუსლიმების მე-11, მე-12 და მე-13 საუკუნეებში ნანახი სიზმრები, სიზმრები ხმელთაშუა ზღვისპირეთის დაპყრობაზე. ეს სიზმრები ქრისტეს შობამდე მერვე, მეშვიდე და მეექვსე საუკუნეებში დაიჭირეს და გამოიყენეს სიზმრით მოვაჭრეებმა. შესაბამისად, სწორედ ეს სიზმრები ნახეს კოლექტიურად ფინიკიელებმა, ბერძნებმა და ეტრუსკებმა, როცა ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ აუზისთვის ბრძოლაში ჩაებნენ. ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის დასაწყისში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებთან ნანახი „ნაუმახიის“ სიზმრებიც გადაზიდეს ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში. მათ, იუნგის სიტყვებით, შეგვიძლია, „კოლექტიური არაცნობიერის შედეგი“ ვუწოდოთ. თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავება მაინც არსებობს. ამ შემთხვევაში, კოლექტიური არაცნობიერი შთამომავლებიდან შორეული წინაპრებისკენ ინაცვლებს და არა პირიქით, როგორც ეს იუნგს აქვს აღწერილი“.

დღეს მუქარის წერილი მივიღე. ჩვენივე ქალაქიდან იყო გამოგზავნილი. კონვერტს გარედან ჩვეულებრივი საფოსტო მარკა ჰქონდა დაკრული. ავტორი წერდა:

„როგორც წყლის ჭიქა და ღვინოში ჩამბალი პურის ნაჭერი დევს მაგიდაზე, ასევე დგას შენი მომავალი შენს წინ. შეგიძლია, ხელი გაიწვინო და აილო ის, სინათლეზე ფერი გაუსინჯო, ჩაკბიჩო და წინასწარ მოინამლო. როგორც გრილი და ცხელი ნელსურნელების სვეტები ჩანს მზიან ტყეში, ასევე დაგანახებს ანმყო შენი მომავლის საათებს. შეგიძლია, ნეკნებივით დათვალო ისინი. ხელის ერთი განვდენა და მომავალი შენს თითებს შორის მოექცევა.“

თუმცა შენ ამჯობინებ, მახე დააგო, ენა გამოყო და გაიგო, წვიმს თუ არა გარეთ, ღრუბლის სწრაფ ჩრდილქვეშ იმოგზაურო, საკუთარ გულში მოიკალათო და შენი მომავლის ნაცვლად, სხვისი მოინადირო. როცა საკითხი ასე დგას, დატყვევებულ ჩიტს ტოტზე მჯდომი გერჩივნოს“.

მომავლის შესახებ წერილში მოცემულმა მსჯელობამ ვილაც გამახსენა. კლოზევიჩი და „ნიშნების სახლი“. სწორედ ისაა, ვინც მომავალს დღეს მთავაზობს. როგორც ჩანს, გაფრთხილება მივიღე მის საქმიანობაში შეჭრის მცდელობისა და სხვისი სიზმრების ნახვის სურვილის გამო.

ლემპიცკა-დისტელი-ჰეხტი-ერლანგენის საქმის ერთი კვანძი სასამართლომ გაუხსნელად სცნო, კერძოდ, იპოდრომზე მომხდარი მკვლელობა. პარასკევს არც ვაციე, არც ვაცხელე და პირდაპირ დიდ ბოსს, „სერ უინსტონს“

მივადექი. მან თავის წიგნის მაღაზიაში მიმიღო. ყურს უკან სიგარა ჰქონდა გაჩრილი. ფრჩხილებდაცლილი ხელით, უსიტყვოდ მანიშნა, რომ დავმჯდარიყავი.

- მისტერ უინსტონ, თქვენზე ამბობენ, რომ ქალაქის ყველა საიდუმლო იცით. ზოგიერთი ხუმრობს, რომ წინასწარ გაქვთ ინფორმაცია, ვის მოკლავენ და სად.

- აჭარბებენ. - თქვა „სერ უინსტონმა“ და სცადა, გაეცინა, მაგრამ მხოლოდ დაცემინება მოახერხა.

- ალბათ, მაგრამ მე მაინც მინდა, ერთი მკვლელობის გახსნაში დამეხმაროთ, რომლის გასაღებიც ვერა და ვერ ვიპოვეთ.

- რისი გაგება გსურთ, მისტერ შტროს?

- ვინ მოკლა ისაია კრუსი?

- როგორ თუ ვინ მოკლა? ცხადია, დისტელიმ, ოპერის მომღერალმა.

- მაგრამ დისტელი ამ დროს პალატაში იწვა და კვდებოდა.

- ხო-ხო-ხო, კვდებოდა, მაგრამ ჯერ არ იყო მკვდარი. მან საავადმყოფო ერთი საათით დატოვა, რომ საყვარელს დამშვიდობებოდა, იპოდრომზე წავიდა, კრუსი გაასადა, შემდეგ ისევ თავის საწოლს დაუბრუნდა და სიკვდილის ლოდინი განაგრძო. რას იტყვით, ხომ სრულყოფილი დანაშაულია?

- კი მაგრამ, რა მიზეზი ჰქონდა? არც ვიცი, იცნობდა თუ არა კრუსს საერთოდ.

- აჰ, ეს კითხვა თქვენთვისაა და არა ჩემთვის... სიგარას ხომ არ ინებებთ? „Partagas“ მაქვს. საუკეთესოა.

ვილაც უცნობმა ფოსტით წიგნი გამომიგზავნა. ლურჯ გარეკანზე გამოსახული მოოქრული ასოები ცხადყოფდა, რომ ის სერიას „გააკეთე თვითონ“ მიეკუთვნებოდა. „როგორ გამოვააშკარავოთ მკვლეელი“ – ეწერა ყდაზე. გავოცდი, როცა აღმოვაჩინე, რომ წიგნი მხოლოდ უხეში ქალაქის ორი გვერდისგან შედგებოდა, თითოეულ გვერდს ნახატი ამშვენებდა. ერთ ნახატზე კაცის ბიუსტი იყო გამოსახული, უკან შეკრული თმით და გახამებული საყელოთი, რომელსაც სახე არ უჩანდა. თმის გაყოფის ადგილას ელვა-შესაკრავი ჰქონდა, სახის ადგილას კი ქალაქზე მიმაგრებული წვრილი ჯაჭვი, რომელიც ერთი ბოლოთი თმის ელვა-შესაკრავს უკავშირდებოდა, მეორით კი საყელოს ღილს. თავისი დანიშნულებისთვის მეტისმეტად გრძლად გამოიყურებოდა, რაც საკმაოდ გვიან შევნიშნე. მეორე გვერდზე გამოსახულ ქალს თმა კურდღლის კუდივით ჰქონდა შეკრული, ყელზე კი მარგალიტის მძივი ეკიდა. სახის ნაცვლად მისთვისაც ჯაჭვი მიებათ. წიგნს სპეციალური განყოფილება ჰქონდა კალმის ჩასადებად, მაგრამ სანერი მონყობილობის მაგივრად, მასში ორი პინცეტი იყო მოთავსებული, რაც მთელ ამოცანას ხსნიდა: პინცეტი ჯაჭვის გადასაადგილებლად და სახის შესაქმნელად გამოიყენებოდა. სახე იმდენჯერ შეიცვლებოდა, რამდენჯერაც მოინდომებდით.

ვილაც მიბიძგებს, ვიფიქრო, რომ მკვლეელი, რომელსაც ვეძებ, შეიძლება, ქალიც იყოს და კაციც, არა ქალი ან კაცი, არამედ ქალი და კაცი ერთდროულად.

პატარა, ზღვისპირა ქალაქებში ქუჩები ისეთი ვიწროა, რომ ორი ადამიანი ერთმანეთს გვერდს ვერ აუქცევს. ასეთ ქუჩებს „გამატარე“-ს ეძახიან. ზოგჯერ ჩვენს არსებაშიც ჩნდება მსგავსი სივიწროვები, სადაც ვიჭედებით, მაგრამ საკმარისია, პატარა ხვრელი მოიძებნოს, რომ საკუთარ და სხვის ფიქრებსაც მაშინვე ვაძლევთ თავისუფლად დინების საშუალებას. ერთმა ჭუჭრუტანამ ჩემს ყურშიც იპოვა გზა. უკვე ყველაფერი მესმის. როგორც იქნა, ამდენი ხნის შემდეგ, ურთულესი საქმე გავხსენი! დისტელი-ლემპიცკა-ჰეხტი-ერლანგენი-კრუსის საქმე!

კლოზევიჩი აშანტაუებდა ჯერ დისტელის, შემდეგ კი ლემპიცკას, სანაცვლოდ კი სთავაზობდა სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგ სანახავ სიზმრებს, სადაც ისინი საკუთარი მომავლის მცირე ნაწყვეტს ხედავდნენ. სანაცვლოდ კი რას ითხოვდა? 1000 დოლარს თითოეულისგან? სისულელეა. ისინი საფასურს მკვლელობებით იხდიდნენ. სწორედ კლოზევიჩის ზეგავლენით მოკლა დისტელიმ კრუსი, ლემპიცკამ კი თავისი მეტოქე, ერლანგენის საყვარელი, ქალბატონი ჰეხტი.

დიახ, ყველაფერი სწორედ ასე მოხდა, მაგრამ კლოზევიჩისთვის ბრალის დამტკიცება შეუძლებელია. დისტელი და ლემპიცკა – ადამიანები, რომლებიც მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას შეძლებდნენ, ცოცხლები აღარ არიან.

ერთადერთი რამ რჩება ამოუხსნელი – რა მიზეზები და ინტერესები ჰქონდა კლოზევიჩს კრუსისა და ქალბატონი ჰეხტის თავიდან მოსაშორებლად? რატომ აირჩია მისიის შესასრულებლად რთული და ჩახლართული გზა? გარდა მოწმეების არარსებობისა, ჩემი ვერსიის დამტკიცებას მოტივაციის არარსებობაც უშლის ხელს.

რატომ მაინცდამაინც ისინი? მგონი, კლოზევიჩს შეუძლია, მშვიდ ძილს მიეცეს ჩემს სამივე ბალიშზე და არაფერზე ინალვლოს.

53.

ხუთშაბათს ან განსვენებული დისტელის ბინაში მივედი. იქ არავინ დამხვდა, მაგრამ როგორც კი ზარი დავრეკე, საიდანღაც დისტელის ძაღლის ღრენა გაისმა და მეზობელი ბინის კარი მოხუცმა ქალმა გააღო, რომელიც სელინად გამეცნო. როცა ქალმა ხმა ამოიღო, გაოცებისგან პირი დავაღე.

– ძვირფასო ქალბატონო სელინა, ნუთუ თქვენ ლაპარაკობთ? რა სასიამოვნო სურპრიზია! – წამოვიძახე და სახლში შევაბიჯე, – გარდაცვლილი ლემპიცკასგან გამიგია, რომ დაბადებიდან მუნჯი ხართ.

– ლემპიცკა არაფრის აზრზე არ იყო. რას დალევთ, ბატონო უფროსო ინსპექტორო? კაკლის ჩაი ხომ არ გესიამოვნებათ? ოდესმე გაგისინჯავთ? საუცხოო არომატი აქვს, თავად დარწმუნდებით.

სანამ სელინა ჩაის ამზადებდა, მე ოთახის შუაგულში მდგარ როიალში ჩავიხედე. როიალი გაჭვარტლული მუნდშტუკებით იყო სავსე. მათ შორის შევნიშნე „მოგული“, ოთხი კონსტანტინოპოლური „ზღვის ქაფი“, უამრავი მოკლე მეზღვაურული და ფაიფურის ჩიბუხი, თავსახურებით, ორიც – საგანგებოდ მფლობელის ხელს მორგებულად შექმნილი. იქვე ნარგილეებიც ეყარა, ერთი კაიროდან, მეორე კი ტუნისიდან ჩამოტანილი. სავარაუდოდ, მთელი ეს ავლა-დიდება დისტელის საკუთრება უნდა ყოფილიყო.

– ქალბატონო სელინა, რა არის თქვენი საიდუმლო? – ვიკითხე და კაკლის ჩაით სავსე ჭიქა ავიღე.

- მეკითხებით, რატომ ვდუმდი თევზივით ოცი წლის განმავლობაში? დისტელის გამო, უფრო სწორად, ბე-ბიაჩემ ისიდორას გამო. ბებია ბოლოს წინა საუკუნეში ვენაში, ოპერეტაში მღეროდა. მშვენიერი მეცოსოპრანო და მაქმანებიანი ქოლგა ჰქონდა. სამწუხაროდ, ყელის საშინელი დაავადებით გარდაიცვალა. როცა დისტელიმ მომღერლობა აირჩია, შემეშინდა, რომ მასაც ყელის ტკივილი მოუღებდა ბოლოს. გადავწყვიტე, საკუთარი ხმა შემენირა მსხვერპლად და დისტელის არაფერი დამართნოდა. ლაპარაკი შევწყვიტე... ჩემმა თავდადებამ შედეგი გამოიღო.

- შედეგში რას გულისხმობთ, ქალბატონო სელინა? დისტელი საყლაპავი მილის კიბომ მოკლა.

- არამც და არამც, ბატონო უფროსო ინსპექტორო! მისმა სენმა მუცლის ღრუში დაიდო ბინა და დისტელი ამის გამო გარდაიცვალა. რა წამსაც ეს მოხდა, მეც იმწამსვე ამოვიდგი ენა. ვერავინ მეტყვის, რომ მსხვერპლი ამაოდ გავიღე. ვერასოდეს!

- ერთი შეკითხვაც და შეგეშვებით, დისტელის ძალღ-თან ერთად დაგტოვებთ.

- თამაზინი ძალღ არ არის. ის მწევარია.

- ქალბატონო სელინა, რა კავშირი გქონდათ განსვენებულ დისტელისთან?

- როგორ თუ რა კავშირი მქონდა? დედამისი ვიყავი. თუმცა, ბატონო უფროსო ინსპექტორო, მეგონა, უფრო მნიშვნელოვანი ამბის შესახებ დამისვამდით კითხვას.

- რას გულისხმობთ, ქალბატონო სელინა?

- ვიფიქრე, იპოდრომზე მომხდარი მკვლელობის დეტალები დაგაინტერესებდათ. წესით, ასეც უნდა იყოს, არა? ერთხელ, ნაშუადღევს, მარკიზინ ლემპიცკა მოვიდა, ჩემი შვილის ბინიდან მისი „კომბატ მაგნუმი“ წაიღო

და აღარასოდეს დაუბრუნებია. მაშინ დისტელი უკვე საავადმყოფოში იწვა. ნაძლევეების მენეჯერი იმავე საღამოს მოკლეს. როგორც გაზეთებიდან შევიტყვე, მკვლელობა სწორედ „კომბატ მაგნუმით“ ჩაიდინეს.

– ულრმესი მადლობა, ქალბატონო სელინა. კიდევ ხომ არ გაიხსენებდით რაიმეს ამ შემთხვევასთან და ლემპიცკასთან დაკავშირებით?

– ის, ვინც ოცი წელი სიჩუმეში გაატარა, დიდხანს ველარ შეინარჩუნებს დუმილს, ბატონო უფროსო ინსპექტორო...

სახლიდან გამოსვლისას თვალი უნებურად გამექცა სააბაზანოსკენ, სადაც ჭუჭყიანი თეფშებითა და ჭიქებით პირამდე სავსე კასრი დავინახე.

54.

რამდენიმე ბიზნესმენს შორის, რომელსაც იპოდრომზე ხშირად ვხედავ, ერთ-ერთი ბატონი იშიგუმია, როგორც ეძახიან, „50-დოლარიანი ღიმილი“. ისე მოხდა, რომ ჩემსა და მას შორის მოკლე დიალოგი შედგა. გთავაზობთ ჩვენს საუბარს:

– ბატონო იშიგუმი, იმ ღამით, როცა ისაია კრუსი მოკლეს, იპოდრომზე იყავით?

– დიახ, ვიყავი.

– და რას აკეთებდით?

– იპოდრომის პირდაპირ ვცხოვრობ და ყოველთვის სახლში ვარ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არა ვარ.

– რაიმე უჩვეულო ხომ არ შეგინიშნავთ?

– შევნიშნე. დავინახე, რომ ჯინსსა და წითელ ბლუზში ჩაცმული ქალი ლიფტში შევიდა და მეოთხე სართულისკენ დაიძრა. როგორც ჩემთვის ცნობილია, მეოთხე სართულზე

ასასვლელად აუცილებელი გასაღები მხოლოდ ისაია კრუსს ჰქონდა.

– ფიქრობთ, რომ კრუსი ქალმა მოკლა?

– არა, მას არ მოუკლავს.

– საიდან იცით?

– როცა ქალი მეოთხე სართულზე ავიდა, კრუსი უკვე მკვდარი იყო. სამი გასროლა მანამდე გავიგონე.

– რატომ მაშინვე პოლიციაში არ დარეკეთ?

– დავრეკე. ისაია კრუსის სიკვდილის შესახებ თქვენმა ხალხმა ჩემგან შეიტყო. მკვლელი არ დამინახავს, რადგან სწორედ მაშინ, როცა ის შენობას ტოვებდა, მე თქვენ გელაპარაკებოდით ტელეფონზე.

და იშიგუმის სახეზე 50-დოლარიანი ღიმილი გადაეფინა.

55.

კარგა ხანს აზრად არ მომსვლია, ლემპიცკას საქმესთან დაკავშირებით მოწმის სტატუსით დამეკითხა „Plusquam City“-ს თანამშრომელი, ბატონი ერლანგენის თანაშემწე. ბოლოს მასთანაც მივედი. არაჩვეულებრივად ლამაზი კრეოლი იმ ქალთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელსაც სამოცი წლის ასაკშიც კი ოცდაათზე მეტს ვერ მისცემთ. ლემპიცკას შესახებ დასმულ კითხვას მან ცხელშოკოლადნარევი ხმით უპასუხა, თან „Dune“-ის სურნელს აფრქვევდა.

– მადამ ლემპიცკა ჩვენი ბანკის, უფრო კონკრეტულად კი განსაკუთრებულად დაცული სეიფების დეპარტამენტის კლიენტი იყო. ძლივს ვიცნობდი, თუმცა მის შესახებ ორიოდ სიტყვის თქმა მაინც შემიძლია. ქალის საკვებს მისი ასაკი მკაცრად განსაზღვრავს. 15 წლამდე

კვების სხვა რეჟიმია საჭირო, 15-დან 25-მდე – სხვა. თუ 25-დან 35-მდე ქალი ისევე იკვებება, როგორც წინა ათი წლის განმავლობაში, მას კარგი არაფერი ელის. ორგანიზმის ნგრევის თავიდან ასაცილებლად მან კიდევ ერთხელ, აუცილებლად უნდა შეცვალოს რაციონი. ცხადია, სასმელსაც ვგულისხმობ. ძუძუმწოვართა კლასის ქალებმა ეს ინსტინქტურად იციან და არასოდეს ცდებიან, ლემპიცკამ კი არ იცოდა. ის არასწორად იკვებებოდა და მისი სხეული და სული მუდმივად განიცდიდა სასტიკ ტანჯვას.

– გასაგებია, მაგრამ რა კავშირშია საკვები ლემპიცკას საქმესთან?

– ძაფების მოძებნა რთულია, მაგრამ შემოძლია, გითხრათ, რა დაემართა ლემპიცკას საბოლოოდ. მას სიყვარული შიმშილში აერია, წყურვილი – სიძულვილში, ფიქრები – სიზმრებში, მომავლის მოგონებები და ეჭვიანობა – სიკვდილის შიშში...

– მართლა ასე ფიქრობთ? – წამოვაცრანტალე უაზროდ. რალაც ხომ უნდა მეთქვა! – და რა შედეგი მიიღო?

– მოულოდნელი. თუმცა აქაც შეიძლება დადებითის მოძებნა.

– ?

– ქალები აღმერთებდნენ ლემპიცკას, აღმერთებდნენ ისეთს, როგორიც იყო, როგორიც არასწორი კვების შედეგად გახდა. ლემპიცკა მათ დაუოკებლად იზიდავდა.

ამ სიტყვების წარმოთქმისას ერლანგენის თანაშემწის ოფლს ტყის თხილის სუნი აუვიდა.

ბანკიდან სრულიად დაბნეული წამოვედი. ველარ გავიგე, რა გახდა ვილაზე მომხდარი მკვლელობის მიზეზი: მადამ ლემპიცკასა და ქალბატონ ჰეხტის გრძნობები საერთო საყვარლის, ბატონ ერლანგენის მიმართ თუ ორი ქალის ვნებიანი ლტოლვა ერთმანეთისადმი?

ალექს კლოზევიჩს (გადაპარსული თავითა და წარბ-ში ჩაკერებული ღილით) პირველად სასამართლოს დარბაზში შევხვდი, მაგრამ ის და მის სანდრა, რომელსაც მანამდე, „ნიშნების სახლის“ „ტაძარში“ ვესტუმრე, ერთად არასოდეს მინახავს. გადავწყვიტე, მათთვის თვალი გამეხსნორებინა. ტელეფონით დავუკავშირდი და ვაცნობე, რომ მისვლას ვაპირებდი. ალექსი საყდარში იჯდა, სანდრა კი მის პირდაპირ, სარკეში.

მოსალმების ნიშნად, მის სანდრა კლოზევიჩმა სარკიდან მითხრა:

– მე და ალექსი ერთარსება ვართ, არა ჰერმეფროდიტი, არამედ ანდროგენი, რისი შემჩნევაც მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი სარკეში გვიყურებთ. ამ დროს ჩვენი მამაკაცური ბუნება ქალურს შორდება. ერთი მათგანი სარკის წინ ინაცვლებს, მეორე კი სარკის მიღმა. თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება. ჩვენი ხილვა ყველასთვის როდია შესაძლებელი.

სანდრა კლოზევიჩი არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა, წარბებს შორის ზურმუხტის ქვა ჩაესვა, თმაში ვარსკვლავებით დანიშნული მარაო ჩაემაგრებინა, ხელებს ხელთათმანები უმშვენებდა. თანაც, რა ხელთათმანები! თავიდან მეგონა, რომ სარკე სინათლეს უცნაურად ირეკლავდა და უბრალოდ, მეჩვენებოდა, რომ გოგოს, რომელიც სარკის იქიდან მიყურებდა, ცალ ხელზე შვიდი თითი ჰქონდა.

მის სანდრამ გაიცინა და თქვა:

– ჩემს ხელთათმანს აკვირდებით? გაინტერესებთ, ხელზე მართლაც შვიდი თითი მაქვს თუ არა? წესით, სიმართლე არ უნდა გაგიმხილოთ.

– არაფერი უთხრა! – შესძახა კლოზევიჩმა.

- რატომ? მე ვფიქრობ, რომ უფროს ინსპექტორს უფლება აქვს, ფლობდეს ინფორმაციას თითების და მათი მსგავსი სხვა...

- სანდრა! სასწორზე თავს დებ და არა მარტო საკუთარს, არამედ ჩემსასაც! ახლავე გაჩერდი!

- კი მაგრამ, რა ხდება? ვერაფერი გავიგე. - ვცადე, მათ კამათში ჩავრეულიყავი, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ გავაუარესე. ალექსმა ჩვენს საუბარს წამოდგომით დაუსვა წერტილი. მან კარამდე მიმაცილა, მის კლოზევიჩის გამოსახულება კი სარკიდან გაქრა.

- კანონის ენით რომ გკითხოთ, მაინტერესებს, რომელმა თქვენგანმა გადაუხადა ჯარიმა განსვენებული მადამ ლემპიცკას დას სარგებლის უკანონოდ მიღებისათვის? - ვკითხე ალექსს.

- ვშიშობ, მოგიწევთ, თავად გადანყვიტოთ, რომელი ჩვენგანია ნამდვილი კლოზევიჩი, ბატონო უფროსო ინსპექტორო.

- ალბათ ის, ვინც თორმეტი თითის საიდუმლო იცის. - გავიფიქრე უკვე ქუჩაში გამოსულმა.

57.

მთელი ცხოვრების განმავლობაში, დღეს პირველად შემაშინა ჩემმა საქმემ, რომელსაც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მუდამ ხიფათი ახლავს. კერძოდ კი, კრუსი-ლემპიცკა-დისტელი-კლოზევიჩი-ერლანგენის ამბავმა მომგვარა ძრწოლა. შემთხვევა უჩვეულო ჩანდა. ამაზე ფიქრმა მაშინ გადასერა ჩემი გონება, როცა სალამოს, ჩვეულებისამებრ დავნეჭი და კითხვა დავინყე გონების დასამშვიდებლად და მომქანცველი დღის შემდეგ, წონასწორობის აღსადგენად. ვკითხულობდი წიგნს, რომელიც

პირველი მომხვდა ხელში, რომელსაც გარეკანზე ზ.ლ.ნ. და ვ.დ.გ. ეწერა და ვხვდებოდი, რომ იყო მასში რალაც, რაც ჩემს შიშსა და ურწმუნოებას ასაზრდოებდა. მეჩვენებოდა, რომ წიგნი აბსოლუტური სიზუსტით აღწერდა ლემპიცკას საქმეს, რომელსაც მე ვიძიებდი. თუმცა სინამდვილეში რაზე იყო წიგნი, ღმერთმა იცის: „გარემოება გიბიძგებს, ხელი უძირო აბგაში აფათურო, საიდანაც ყოველ ჯერზე ახალი, უცნაური ნივთი ამოგაქვს, ან ხელში გხვდება. და სანამ ბუნდოვანი წარმოდგენა მაინც გაქვს, სადამდე შეიძლება, ჩახვიდე, ნახევარწყვდიადში ჩარგული წარსული ნამდვილს და ცოცხალს ემსგავსება. დაბნეულობა მაშინ იჩენს თავს, როცა ველარ ხვდები, საით გაქვს გეზი და უფრო მეტიც, შეგრჩა თუ არა ხელი საერთოდ...“

58.

კვირას, მას შემდეგ, რაც ცხიმებიტა და სანელებლებით გაჯერებული მორიგი სადილი მივირთვი, ცენტრალური პარკისკენ გავემართე სასეირნოდ. პარკში ქალბატონი სელინა დავინახე, რომელიც დისტელის სამეფო მწევარს ასეირნებდა. მწევარი ჩემთან მოვიდა. მწევარი! დიახ, მწევარი!

ბოლოს სად შევხვდი მწევარს? რასაკვირველია, სიზმარში!

რა როლი უჭირავს სიზმარს ჩემს ძიებაში? ვინ არის მწევარი დისტელისთვის? ცხადია, მისი ორეული მათი საერთო მადამ ლემპიცკასათვის. ლემპიცკას სიზმარში თეთრ მწევარს ალუბლის ხის ქვეშ სძინავს. აქ ის ჯერ კიდევ გაულვიძებელი საყვარელია. შესაბამისად, მწევარი დისტელის ორეულს წარმოადგენს.

კიდევ რა? ვინ უნდა იყოს ოქროსთავიანი მწევარი დისტელის სიზმრიდან პუშკინის შესახებ? რა განსხვავებაა ლემპიცკას სიზმრის თეთრ, სამეფო მწევარსა და ოქროსთავიან მწევარს შორის, რომელიც ისე გადანოლილა პუშკინის დივანზე, როგოც პაციენტი - ფსიქოლოგის სავარძელზე? დისტელი მის გარშემო თითის ნვერებზე დადის, რადგან სიზმარშიც კი იცის, რომ გაღვიძებული მწევარი ვილაცას იმსხვერპლებს.

არც ამის მიხვედრაა რთული. დისტელი სიმპათიური კაცი იყო, რომელსაც ოქროს ფაფარი სინათლეზე შარავანდედით უბრწყინავდა. შესაბამისად, ოქროსთავიანი მწევარიც თვითონაა. თუმცა, ამ შემთხვევაში, ძალი საყვარელს არ განასახიერებს. დისტელის ეშინოდა საკუთარ თავში მკვლელის გაღვიძების, რადგან არ უნდოდა, ვინმესთვის სიცოცხლე მოესწრაფებინა. მაგრამ ვისთვის?

დისტელის და ლემპიცკას, ორივეს, მკვლელებად ქცევის ეშინიათ. მათ წინასწარ იცოდნენ, რა მოხდებოდა და რატომ. მე კი ეს ჯერაც არ ვიცი.

59.

მიუხედავად დიდი მცდელობისა, დისტელი-ლემპიცკას საქმესა და იპოდრომზე მომხდარ მკვლელობას შორის კავშირი ვერ ვიპოვე. ვის უნდა გამოეყენებინა მომღერლის „მაგნუმი“ ისაია კრუსის მოსაშორებლად, სანამ დისტელი სასიკვდილო სარეცელზე იწვა? ორმოცდაათ წელს გადაცილებულ მეზობელს, რომელიც მომღერლის ძალს უვლის თუ მადამ ლემპიცკას, დისტელის საყვარელს, რომელიც ზოგჯერ შეირბენს მის ბინაში, რომ მწევარს მიეაღერსოს და მალევე მიდის? სახლის გასაღები ორივეს ჰქონდა. სავარაუდოდ, მეზობლის ვერსიის ერთი ხელის

მოსმით უარყოფა კარგი არ იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ქალი, პირველი შეხედვით, სრულიად უწყინარი ჩანდა.

გადავწყვიტე, ყველაფერი გამერკვია.

ჩაის ვსვამდით. საუბარი მე წამოვიწყე.

– ძვირფასო ქალბატონო სელინა, დიდი ხანია, ლემპიცკას სიზმრის ერთი მონაკვეთის ახსნას ვცდილობ. კლოზევიჩის ანგარიშში ვკითხულობთ: „აქაფებულ ტალღებად ქცეული საიდუმლოებები სისხლად მიედინებოდა მის ძარღვებში. ეს არ იყო სისხლის უბრალო მიმოქცევა, ეს რაღაც უფრო დიდს ჰგავდა, უცნაური კავშირის აჩრდილს, რაღაც უძველესს, რაღაც გამოგნებელს, რასაც ადამიანის სხეული უკვე მილიონი წელია, ატარებს და ინახავს“. ვიტანჯები, ვცდილობ, გავერკვე, რას უნდა ნიშნავდეს „რაღაც უფრო დიდი“, „უცნაური კავშირის აჩრდილი“, ან რა არის კავშირი, რომელიც უფრო ძველია, ვიდრე სიცოცხლე? თქვენ რას ფიქრობთ?

– ნამცხვარი მიირთვით, ბატონო უფროსო ინსპექტორო. ის, რაზეც თქვენ ლაპარაკობთ, დროა. დრო, რომელიც დასაბამიდან მიედინება ჩვენს ვენებსა და არტერიებში. ამიტომაა, რომ ყველა ბავშვს, რომელიც ქვეყანას მოევლინება, მემკვიდრეობით დაჰყვება სხვათა სიზმრები. თუმცა წვრილმანებს თავი დავანებოთ. უფრო მნიშვნელოვანი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი იმ ანგარიშის შესახებ, რომელიც კლოზევიჩმა სასამართლოს წარუდგინა. ჩანანერი, რომელიც მან ლემპიცკას სიზმრად გაასაღა, სხვა არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი თაღლითობა.

მარადისობაში, სადაც ნანახი და უნახავი სიზმრები ლივლივებენ, მომავალი და წარსული ერთმანეთსაა გადაჯაჭვული. იქ ანმყო არ არსებობს, არ არსებობს არავითარი ძალა, რომელიც წარსულს და მომავალს დააშორებს, ისევე, როგორც სიზმარში. ანმყო არც სიზმარს გააჩნია, თუმცა გუშინდელი და ხვალინდელი დღეები სიზმარშიც ერთმანეთს ერწყმიან.

ამ ფიქრებში გართული ცის კაბადონს შევცქეროდი. ჩემი ზოდიაქოს ნიშნის, „თევზების“ ლეთაებრივი სილამაზის თვალთვლებაში მივხვდი, რომ იქ, ზეცაში, ჩემი ანმყო არ არსებობდა.

ჩემი ზოდიაქოს შესახებ ინფორმაცია მოვიძიე. როგორც კლოზევიჩმა აღნიშნა, ინდურ რუკებზე, ორი თევზის ნაცვლად, მართლაც ოთხი ჩანს. სხვა საინტერესო დეტალიც აღმოვაჩინე. ზოგიერთ ასტროლოგიურ ხელნაწერში თევზებს, ქერცლის მაგივრად, ასოები აქვთ. მაგალითად, მეათე საუკუნის ხელნაწერში სწორედ ასოებით დაფარული თევზები არიან გამოსახული. ასეთია ბერძნული მითი ლათინურად. არსებობს ვერსია, რომ თევზებს თითოეულ ქერცლზე სხვადასხვა ასო აწერიან და უხსოვარ დროში ცხოვრობდნენ ასტროლოგები, რომლებსაც მათი ამოკითხვა შეეძლოთ. მე მჯერა, რომ ისინი ჩვენ შორის დღესაც ცხოვრობენ. მიუხედავად ამისა, არავინ დაგვჩა, ვინც ადამიანის არსებობის აზრს ჩანვდება და ამოხსნის.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ კლოზევიჩს, როგორც ასტროლოგს, ნებისმიერ ნუთს შეუძლია ჩემი გაშიფვრა, მე კი ვერაფერში გამოვიჭირე. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. დამეთანხმებით, უფროსი ინსპექტორისთვის სახარბიელო ამბავი ნამდვილად არაა.

რამდენიც უნდა ვეძახო შარლატანი, თალლითი და აფერისტი, ფაქტია, რომ კლოზევიჩმა მე დამაავადა.

61.

ჩემთვის ბუნდოვანია, რა ბედი ენია დისტელის ოქროს საბურნუთე კვერცხს. საინტერესოა, ნივთი მართლა მოიპარეს, როგორც ლემპიციკამ მითხრა, თუ არა? ან ვინ მოიპარა და როდის? იქნებ მაშინ გააყოლეს ხელს, როცა დისტელის ბინა გატეხეს? რა ინახებოდა საბურნუთეში? ახლა სად შეიძლება მისი პოვნა?

ამ კითხვებით მივადექი „მუნჯ“ სელინას, რომელიც, როგორც ჩემთვის იყო ცნობილი, ოცი წლის განმავლობაში არ იღებდა ხმას. მან გასაოცარი პასუხი გამცა:

– ძვირფასო ბატონო უფროსო ინსპექტორო, კვერცხი გინახავთ?

კვერცხის გული ძილია, ცილა – სიფხიზლე. ძილი ჩვენი სიფხიზლით იკვებება და როცა საკმარისად მოძლიერდება, კედლებს ანგრევს და მიფრინავს. დისტელის ოქროს კვერცხსაც ასე დაემართა.

62.

ერლანგენი სასამართლოს მსვლელობისას თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ არსებობდა მონმე, ვინმე ერვინი, ვინც ლემპიციკას მკვლელობას შეესწრო და შეეძლო, ჩვენება მის სასარგებლოდ მიეცა, რითაც დამტკიცდებოდა, რომ ერლანგენმა მხოლოდ თავდაცვის მიზნით გაისროლა. თუმცა მონმის დაკითხვა ვერ მოხერხდა, ვერც იმ ნომერზე მივაგენით, რომელიც მან

ერლანგენს დაუტოვა. მე ჩავთვალე (ისევე, როგორც მოსამართლეებმა), რომ მონმე ერლანგენმა გამოიგონა. თუმცა ბოლო დროს ვფიქრობ, რომ შესაძლოა, ის მართლაც არსებობს. ისაია კრუსის მკვლელობის საქმეშიც ფიგურირებს მონმე, ქალი წითელ ბლუზსა და ჯინსში. ის ბანკის მეზობლად მცხოვრებმა ბატონმა იშიგუმიმ, ე. წ. „50-დოლარიანმა ღიმილმა“ დაინახა, სწორედ მან, ვინც პოლიციას მკვლელობის შესახებ აცნობა. რამდენად შეიძლება, შემთხვევითობად მივიჩნიოთ ის, რომ ყველა მკვლელობა, ფაქტობრივად, მონმის თვალწინ მოხდა? სავარაუდოდ, ვილაც მკვლელობების მონიტორინგს აწარმოებდა. ვილაცას სჭირდებოდა, დარწმუნებულიყო, რომ მკვლელებმა დავალება შეასრულეს.

63.

ლემპიცკას ბინაში კიდევ ერთხელ მივედი, ამჯერად ორდერის გარეშე. ორდერი არ მჭირდებოდა. სახლმა უსიტყვოდ მიმიღო თავის სიბნელეში, რომელსაც დაობებული პიანინოების, გასული წელიწადისა და ხვალინდელი წვიმის სუნი ასდიოდა. დავჯექი და მივაყურადე, როგორ იჭერდა ქარებს ფანჯარაზე მიმაგრებული მახე. ფეხების ნაცვლად ჩლიქებზე შემომდგარი მაგიდის უჯრაში რვეული ვიპოვე. რვეული უცნაურად გამოიყურებოდა – მილივით იყო გადახვეული და ძაღლის საყელურით შეკრული. შიგნით არომატული მცენარეების მალაზიის ჩეკი იდო, უკანა მხარეს ლემპიცკას ხელით წაწერილი ლექსით:

დიდი ხანია, რაც შენს სახეს გული ინახავს,
თოვლში მუდამდღე შენს კვალს მივსდევ, თუ
დამინახავ,

შენი კუდის და თათების კვალს – ვიცი, ვინა ხარ.
ჩიტი იყავი – მხეცად იქეც. ყველაფერს ვხვდები,
მხოლოდ სიკვდილში შეგიძლია, გაშალო ფრთები.
მერე გზად მექცევს შენი კვალი – ჩემი ცდუნება,
ამ ქვეყანაზე კიდევ ერთხელ დასაბრუნებლად.

წარმოუდგენელია! ნუთუ ლემპიცკამ თავისი საყვარ-
ლის, დისტელის მწევარს სატრფიალო ლექსი მიუძღვნა?

64.

გუშინწინ ღამით მივხვდი, რომ გამოძიების პროცესში
საკმარისი ყურადღება არ დამითმია ლემპიცკასა და
კლოზევიჩის ფინანსების შესწავლისთვის. ჰქონდა თუ
არა ლემპიცკას ვალები და ამავედროულად, როგორი იყო
„ნიშნების სახლის“ მდგომარეობა, არსებობდა თუ არა
რაიმე სახის სესხი კლოზევიჩის დაწესებულების სახელზე?
წარმოადგენდა თუ არა სიზმრებით ვაჭრობა და მომავალში
მოპოვებული საქონლის აღებ-მიცემობა მისი შემოსავლის
ერთადერთ წყაროს? ცოტა უცნაურია, ჩვეულებრივი
საკონფერენციო დარბაზის ნაცვლად, სამლოცველო ააგო
საბჭოს შეხვედრების, თუ რაც ჰქვია, მოსაწყობად. როგორ
იხდიდა კლოზევიჩი ფულს? ნაღდი ანგარიშსწორებით?
პროდუქციით? ან ვისი ვალი ჰქონდა, თუკი საერთოდ,
ჰქონდა?

ბუნებრივია, გეზი ქალბატონი ჰეხტის „Plasquam
City“ ბანკისკენ ავიღე. ხელში ორდერი მეჭირა. ჩემს
დანახვას ბანკის თანამშრომლებს შორის დიდი სიხარული
არ გამოუნვევია, მაგრამ როცა გაიგეს, რომ პოლიციას
მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა – ჰქონდა თუ არა „ნიშ-
ნების სახლს“ ბანკის ვალი, სასწრაფოდ მიაშურეს თავი-

ანთ კომპიუტერებს. „არა!“ – იყო პასუხი. ბანკს არასოდეს ჰქონია საქმე მსგავს ორგანიზაციასთან, შესაბამისად, მისი დამფუძნებლები სესხს ვერ მიიღებდნენ.

ცოტა ხანში, მოჩვენებითი გულგრილობით, მთავარი შეკითხვაც შევაპარე – ჰქონდა თუ არა განსვენებულ მადამ ლემპიცკას ბანკის ვალი. რეალურად, სწორედ ამის გასაგებად ვიყავი მისული. იმედი მქონდა, რომ პასუხი მიმიყვანდა მიზეზთან, თუ რატომ მოკლა მადამ ლემპიცკამ ქალბატონი ჰეხტი. ჩემს შეკითხვაზე, იყო თუ არა მადამ ლემპიცკა მათი კლიენტი და ჰქონდა თუ არა მას რაიმე სახის სესხი, ბანკის თანამშრომლებმა მიპასუხეს, რომ მათ არასოდეს ჰქონიათ საქმიანი კავშირი აღნიშნულ პიროვნებასთან, თუ არ ჩავთვლით სეიფს, რომელიც მან განსაკუთრებულად დაცული სეიფების დეპარტამენტში იქირავა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბანკის თანამშრომლები ისე მიყურებდნენ ძრწოლაჩამდგარი თვალებით, როგორც კუ უყურებს თავისი ბაკნიდან ჩიტს, რომელიც მას მალლა მიაფრენს, კლდეზე რომ დაანარცხოს და უფრო ადვილად აქციოს თავის ლუკმად.

65.

გარემოება, რომლის შესახებაც ახლა ვწერ, მაშინ გამოიკვეთა, როცა მე და მადამ ლემპიცკა მის სანდრა კლოზევიჩმა პირველად მიგვიღო „ნიშნების სახლში“. სანამ ჩვენი მასპინძელი არკვევდა, აკავშირებდა თუ არა მადამ ლემპიცკას რაიმე ნათესაობა მხატვარ ლემპიცკასთან, მე შევამჩნიე, რომ სკამების მწკრივს, სადაც ვიჯექი, უჯრები ჰქონდა, სავარაუდოდ, ლოცვების წიგნების შესანახად. უჯრა ჩუმად გამოვალე და შიგნით ჩავიხედე. ნახევრად

ცარიელი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ მის სიღრმეში როგორღაც მოვკარი თვალი საგანს, რომელიც, ჩემდა გასაკვირად, ლოცვანი ან რაიმე მსგავსი კი არ აღმოჩნდა, არამედ სიგარის მილი, ზედ შერჩენილი ნარწერის ნახევრით: „...tagas“. აქ კი ისმის კითხვა, ვის მოუწევია „Partagas“ აქ, მაშინ, როცა კლოზევიჩი არამწველია, ან საიდან გაჩნდა სიგარა „ნიშნების სახლში“, თუ ის რომელიმე კლიენტს არ დარჩენია? მე ერთი კაცი ვიცი, რომელიც გამჭვირვალედ შეხვეულ „Partagas“ არ იშორებს – „სერ უინსტონი“, შესაბამისად, მეძლევა საფუძველი, ვიფიქრო, რომ (თუკი სიგარის ნარჩენი მას ეკუთვნის) კლოზევიჩსა და „სერ უინსტონს“ შორის გარკვეული კავშირი არსებობს.

გამჭვირვალობის ნყალობით, სიგარაში კარგად ჩანდა ერთმანეთს მიწყობილი ხუთი „თუ“... ასეთ აღმოჩენებს გამოძიება წინ მიჰყავს, დუმილის კედლის მიმართულებით.

66.

ჭერიდან ჩამოშვებულ ვერცხლის ჩაიდანში ყვავილები ნაზად ირხევია. ამაღამ, როცა ყვავილების მოძრაობას ვუყურებ, ვხვდები, რომ სიჩუმე ყოველთვის სავსეა სიტყვებით. რას ნიშნავდა ლემპიცკას საქმესთან დაკავშირებული სიჩუმე? რა იმალებოდა დუმილის მიღმა? როგორ მოახერხა კლოზევიჩმა სიზმრების ჩაწერა? რამდენად შეესაბამება სიმართლეს მისი ნათქვამი, რომ ის იჭერს და ყიდის სიზმრებს? იქნებ სავარძელში ჩასვენებულმა ლემპიცკამ და დისტელიმ თავად უამბეს ყველაფერი, ისევე, როგორც ფსიქოლოგს მოუყვებოდნენ? შემდეგ კი კლოზევიჩმა სიზმრების მისეული ვერსია ჩაწერა? საინტერესოა, შეიტანა თუ არა ცვლილებები ლემპიცკას „ნაბიჯების სიზმარში“, სანამ ჩვენ წარმოგვიდგენდა?

ამოჭრა თუ არა გარკვეული ეპიზოდები, რომელიც მის დისკრედიტაციას გამოიწვევდა? ამის დადგენა ძალიან რთულია, რაც თავად კლოზევიჩმაც კარგად იცის.

67.

წვიმა თანდათან იკლებს. დაღლილობას ვგრძნობ. ცაზე მთვარე ჩნდება, გაუბედავად, ნახევარი. ამაღამ ჩემს თვალებს ძილი არ ეწვევა. შუალამე გადადის, საწოლში ვწრიალებ, ცოცვით ვწვდები წიგნებს და კითხვის სურვილით შეპყრობილი, პირველივეს ვიღებ, რომელიც ხელს მოჰყვება. გერმანული წიგნია. არ მახსოვს, როდის ვიყიდე, ან რად მინდოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ერთ-ერთ გვერდს ავტორის ჩემდამი მოძღვნილი, მელნით წაწერილი ავტოგრაფი ამშვენებს. მოგვიანებით მახსენდება, რომ წიგნის ყიდვა მხოლოდ მიზეზი იყო ავტორთან გასაუბრებისთვის, რომლისგანაც ინფორმაციის მიღებას ვცდილობდი ერთი მნიშვნელოვანი საქმის შესახებ. წარწერა მამცნობდა, რომ სწორედ ეს იყო „ჩემი გვერდი“ მის წიგნში და რამდენიმე სტრიქონი მაინც უნდა წამეკითხა, რადგან მათში ჩემთვის განკუთვნილი პირადი შეტყობინება იმალებოდა. შესაძლოა, წიგნში რაიმე ინფორმაცია იყოს ლემპიცკა-ჰეხტი-კლოზევიჩი-დისტელის საქმეზეც, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს. მახსენდება საუბარი, რომელიც ჩემსა და ავტორს შორის შედგა:

– შეგიძლიათ, რჩევა მომცეთ? როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომელიც, რა გზასაც უნდა დაადგეს, ბოლოს მაინც კედელთან აღმოჩნდება?

– როგორ კედელთან? გოდების კედელს გულისხმობთ?

– არა, ჩემი გზის დასასრული ყოველთვის დუმილის კედელია. რა უნდა ვქნა?

- დუმბილი უნდა ისწავლოთ. დროებით მაინც. - მომიგო მან.

ამ სიტყვების გახსენებისას წიგნს ვშლი და მანამდე ვკვდები, სანამ კითხვას დავიწყებ. დილით, როცა ვიღვიძებ, ვხვდები, რომ მხოლოდ სიზმარში აღვესრულე და არა ცხადში. სიზმრისეული სიკვდილი არ არის ნამდვილი, თუმცა ის მაინც რეპეტიციას სიკვდილისა, რომელიც გველის. რაც უნდა იყოს, ვხედავ, რომ ჩემი გასავლელი გზა უფრო მოკლეა, ვიდრე გავლილი. წარმოდგენა არ მაქვს, აქამდე როდის მოვედი.

68.

რუსული რომანტიზმის ექსპერტმა, რომელსაც მათიას დისტელის სიზმრის შესახებ ვკითხე აზრი, ალექსანდრ კლოზევიჩის სიზმრებზე დაყრდნობით მომახსენა, რომ სიზმარში პუშკინის კვალი კიდევ ორ სტრიქონში იკვეთება. ლინგვისტს, რომელსაც მანამდე მივმართე, ეს არ შეუმჩნევია. სიტყვები: „იყურე! სულელი ხარ და ახალგაზრდა, ვერ მომერევი!“ პუშკინის ნაწარმოებიდანაა, რომელსაც „სცენები ფაუსტიდან“ ჰქვია, რაც შეეხება მცირე ზომის ლექსს „გლებებს ვერცხლი გადასდითო თავზე“, სინამდვილეში, სიმღერაა „ევგენი ონეგინიდან“.

ფული გადავუხადე და მივაფურთხე. მისი აღმოჩენა ჩემს გამოძიებას წინ ვერ წაწევდა. მაგრამ საინტერესოა, ვინ იცნობდა ასე კარგად პუშკინის შემოქმედებას? დისტელის ქვეცნობიერი თუ კლოზევიჩი? იქნებ ვინმე მესამე?

69.

დამარცხებას ვერ ვურიგდები, მაგრამ სიხარული აღარც გამარჯვებას მოაქვს. ამაღამ ჩემი შიშები დავთვალე. ისინი გაცილებით მეტია, ვიდრე ღმერთის მცნებები. ყველამ იცის, რომ ქალაქში „სერ უინსტონზე“ სახიფათო კაცი არ დადის, მაგრამ მე კლოზევიჩის უფრო მეშინია.

ლემპიცკას შემთხვევა მუდმივად აცოცხლებს ჩემს უძილობაში მოგონებას მშვენიერ ქალზე, რომელიც ხელში რალაც ცივსა და მძიმეს მაჩეჩებს და მთელი შეგნებით, რომ ჩემთვის სასიკეთო საქმეს აკეთებს, მეუბნება:

- მე გჩუქნი ტყუილს, რომელსაც ვერც თეთრს დაარქმევ და ვერც შავს, რომელიც არც არის და არც არ არის, არც დღეა და არც ღამე, რომელშიც არც ვიარსებებ და არც არ ვიარსებებ, რომელიც არც კია და არც არა, რომელიც შენ ხარ და არც ხარ...

და ჩემს ძილ-ღვიძილში ვხვდები, რომ მსგავსი რჩევის მიღება სრულიად შეუსაბამოა ფაქტთან - იყო უფროსი ინსპექტორი.

70.

ძილის წინ კითხვა ჩვევად მაქვს. ნუხელ ახალ ისტორიას მივაღეჭი, რომელსაც „ორი მარაო გალათადან“ ერქვა. არც კი გადამიხედავს, წიგნი ისე მოვისროლე და ლემპიცკას საქმესთან დაკავშირებული საგნების სია ავიღე, რომელიც კომპიუტერმა შემიდგინა. როგორც „corpus delicti“, ნუსხაში შეტანილი იყო მის სანდრა კლოზევიჩის მარაო, რომელზე მბრწყინავი ვარსკვლავებიც „კიბოს“ თანავარსკვლავედს ქმნიდნენ. რა ქვეტექსტი აქვთ კლოზევიჩის თავზე მანათობელ ვარსკვლავებს? კიბოს, როგორც ცნობილია,

საკუთარი სახლი მეტისმეტად უყვარს და მიჯაჭვულია მასზე. მის დასაცავად და კეთილმოსაწყობად ყველაფერს გააკეთებს. ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ წყვილი კლოზევიჩი (თუკი შეიძლება, მათ ასე ვუწოდოთ), ნებისმიერ საფასურს გადაიხდის „ნიშნების სახლის“ დასაცავად? საიდან, რის საფუძველზე დაასკვნეს ალექსმა და სანდრამ, რომ მათ საკუთრებას საფრთხე ემუქრებოდა? ან რა საფრთხე? ვალები? პასუხი არ მაქვს, მაგრამ თუ კლოზევიჩი არჩევანის წინაშე დადგებოდა, ნათელია, რომელს განირავდა – თავის სახლს თუ ვინმეს სიცოცხლეს. სამწუხაროდ, სულ ესაა, რისი გამოწურვაც მის სანდრას მარაოსგან შემიძლია. მართალია, ვარსკვლავები ანათებენ, მაგრამ მარაო იდუმალ საბურველშია გახვეული.

71.

როცა მორის ერლანგენი თავდებით გაათავისუფლეს, ბრძანება გავეცი, მისთვის ეთვალთვალათ, ისე, ყოველი შემთხვევისათვის. მაინტერესებდა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, პირველ ყოვლისა სად წავიდოდა. როგორც კი თავისი ვილა დატოვა, მანქანა დაძრა და გზას დაადგა, მაშინვე შემატყობინეს. უკან გავყევი. ის რესტორან „შუალამის მზესთან“ შეჩერდა, სადაც ქალი ელოდებოდა. არასოდეს მინახავს კოცნა, არათუ უმჯობესი, ბადალიც კი იმ კოცნისა, რომელიც დამხვდურმა ერლანგენს შეაგება. ეს ქალი სანდრა კლოზევიჩი იყო. სარკეს შევხედე, რომ მისი მამრობითი სახე დამენახა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ალექს კლოზევიჩის ანარეკლი ვერსად დავლანდე. იმ დღეს ალექსის ადგილი სანდრას ცხოვრებაში არ იყო, სარკეში არავინ ჩანდა გადახოტრილი თავითა და წარბში

ჩაკერებული ღილით, ვინც ერლანგენს კოცნიდა. სარკის წინაც და სარკეშიც ერლანგენს ეხვეოდა ღვთაებრივი სილამაზის ქალი, თმაში ჩამაგრებული მარაოთი, რომელზეც ვარსკვლავები „კიბოს“ თანავარსკვლავედად ბრწყინავდნენ. როგორც მივხვდი, მას იმ დღეს „Antracite“-ს მათრობელა სურნელი ასდიოდა.

ამ კოცნისა და სურნელის წინაშე თავი საშინლად ვიგრძენი, სრულიად უვარგისად და ზედმეტად, თითქოს სამყაროში ჩემთვის ადგილი აღარ დარჩა. და მე მივხვდი, ვინ ვიყავი – ის, ვის ხელის გულსაც მუშაობის დროს სხვები აფურთხებენ, ის, ვის თეფშშიც ჭამის დროს სხვისი დუყი ხვდება. ჩემი ერთი ჯიბიდან ხორბალი იზრდება, მეორიდან – ბალახი, ჩემს ჯამში წვიმს, ჩემს სანოლზე კი თოვს. ის ვიყავი, ვინც თმას სავარცხლით ივარცხნის, ვინც დანებს თესავს და კბილებს იბლაგვებს, რათა ჭამის დროს პირიდან კოვზები არ აღმოუცენდეს. მე ღვინის ჭურჭლად ზანზალაკი მერგო, რომელიც მაშინ კი არ დარეკავს, თუ დავლევ, არამედ მაშინ, თუ მის შესმას თავიდან ავირიდებ.

72.

გუშინწინ ღამით უჩვეულო და დაუჯერებელი სტუმარი მენვია. ჩემი ბინის კარი გარდაცვლილი მადამ ლემპიციკას დამ, მის სოფია ანდროსოვიჩმა შემოაღო.

– აქამდე უთქვამს ვინმეს, რომ თქვენი კარის სახელური დაზიანებულია და თქვენი მარცხენა თვალი უფრო ნელია, ვიდრე მარჯვენა? ეს, ძვირფასო უფროსო ინსპექტორო, მნიშვნელოვანია. – განაცხადა ჩემმა სტუმარმა და უახლოეს სავარძელზე გაიშხლართა, – კარგია, რომ ერთდროულად ორი საგნის დანახვა შეგიძლიათ,

რაც ხშირად გამოგდგომიათ, მაგრამ ამავე დროს, თქვენი სხვადასხვა თვალთ აღქმულ ორ სამყაროს შორის, შეიძლება, მთელი საქმე დაიკარგოს, რომელსაც პოლიცია ვერასოდეს გახსნის.

- თქვენ მე მეპირფერებით, მის ანდროსოვიჩი.

- მართალი ბრძანდებით, თუმცა ამის გამო არ მოვსულვარ. აქ იმიტომ ვარ, რომ გითხრათ ის, რისი მოყოლაც სასამართლოში დამავინწყდა. სანამ თქვენი ორი თვალთ სამყაროს სხვადასხვა მხრიდან აკვირდებოდით, საქმეში, სახელად „ლემპიცკა და კომპანია“ გამოგრჩათ რალაც, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

- ?

- ვერაფერს ხვდებით? თამაშში, რომელშიც ყველა ვართ ჩაბმული, ცოცხლებიცა და მკვდრებიც, ჩემი დით, მაღამ ლემპიცკათი დაწყებული, თქვენით დამთავრებული, ბატონო უფროსო ინსპექტორო, არსებობს ვიღაც, ვისაც არც ვამჩნევთ და არც ვახსენებთ, მაგრამ მას, სწორედ მას უჭირავს ხელში ყველა უხილავი ძაფი. მთელი ეს აურზაურიც მან დაგეგმა. იცით, ვისზე ვლაპარაკობ?

- ?

- გეტყვით. მან იცის, რომ თქვენს ლურჯ წიგნაკში გამუდმებით რალცას იწერთ და უფრო მეტიც, თითოეული სტრიქონის ნაკითხვა შეუძლია, როცა მოისურვებს. არ გამოვრიცხავ, ამ წამსაც თვალს აყოლებდეს თქვენს წაწერს. ვიცი, თქვენი წიგნაკის ფურცლებზე ადგილი ჩემთვისაც გამოიძებნა, მან კი, მან, ვისზეც გელაპარაკებით, შესაძლოა, მე და თქვენ ერთად ჩაგვეკეცოს რომელიმე გვერდზე, წიგნაკი ჯიბეში ჩაიდოს და სამუდამოდ დაგვივიწყოს.

და მის ანდროსოვიჩმა ზიზლით აიღო ლურჯი წიგნაკი, რომელშიც ახლა მე ვწერ და ცხვირწინ ამიფრიალა.

შემდეგ ხელჩანთიდან ბოთლი ამოიღო, სუნამო ჩემს სამივე ბალიშს მიაპკურა და თქვა:

- მოდი, საყვარელო! შტურმით უნდა ავიღო შენი მარტოხელა სარეცელი!

73.

ლამით ქუჩაში გავიარე და მაღაზიის ვიტრინაში წიგნი შევნიშნე, ასეთი მინაწერით:

„სიახლე!!! რომანი „უნიკალური ეგზემპლარი“.

„ხაზარული სიტყვისკონის“ ავტორმა კიდევ ერთხელ მოძებნა ლიტერატურული თამაშის უნიკალური, ჯერ არნახული ფორმა: სიყვარულის ზღაპარი და დეტექტივი მრავალი დასასრულით, რომელიც ას განშტოებად იშლება. თითოეულ მკითხველს შეუძლია, აირჩიოს რომანის პირადი ვერსია და ზღაპრის საკუთარი დასასრული. გახდით „უნიკალური ეგზემპლარის“ მფლობელი!“ ჩემდა გასაოცრად, წიგნის გარეკანზე „კომბატ მაგნუმი“ იყო გამოსახული, სწორედ ის იშვიათი და ძვირადღირებული მოდელი, რომლითაც ისაია კრუსი, ქალბატონი ჰეხტი და მაღამ ლემპიცკა მოკლეს. სახელგანთქმული კომბატ მაგნუმ 586, ლურჯი ლითონისგან დამზადებული, მოჩუქურთმებული ხის სახელურით.

ნუთუ ვილაცამ უკვე დაწერა რომანი მაღამ ლემპიცკასა და მისი საყვარლის, მორის ერლანგენის შესახებ, მე კი საქმე ჯერაც არ გამიხსნია. რა ტემპია! ჩვენს საუკუნეში დრო სწრაფად ბერდება. ორშაბათს სრულწლოვანი ხდები და შაბათს უკვე პენსიაზე გადიხარ, იღვიძებ – ცნობილი ხარ, მაგრამ ძილის დრო რომ მოდის, აღმოაჩენ, რომ უკვე დაგივიწყეს. და უფრო მეტიც – სანამ თვლემდი, ვილაცამ გუშინდელი დღე მოგპარა.

74.

ლემპიცკა დამესიზმრა. კომპიუტერთან იჯდა სანკტ-პეტერბურგის სრულიად ცარიელ, უზარმაზარ აეროპორტში. არ ვიცი, თვითმფრინავს ელოდებოდა თუ იქ მუშაობდა. არც კი შევუმჩნევივარ, თავი ისე ეჭირა, თითქოს მარტო იყო. მარცხენა ხელს ამერიკულ ესპანდერს უჭერდა, მარჯვენით კი ულამაზეს მაგიდის გადასაფარებლებს, ფარდებს და ბალიშის პირებს ქარგავდა კომპიუტერულ პროგრამაში. როგორც კი რომელიმე ნაქარგს დაასრულებდა, მაშინვე „ნაშლას“ აჭერდა და ახალს იწყებდა. ყველა ნაქარგზე ერთი და იგივე – „კიბოს“ თანავარსკვლავედი.

ნუთუ ლემპიცკა ცდილობდა, ჩემი ყურადღება ალექსანდრა კლოზევიჩისკენ ამ გზით მიეპყრო და შეეხებინა, რომ როგორც სიცოცხლეში, ახლაც მას მიიჩნევდა ყველაფერში დამნაშავედ?

75.

ჩემს კომპიუტერს დიდი ხნის წინ მივეცი დავალება, შეედგინა ყველა იმ ნივთის სია, რომელიც „ლემპიცკა და კომპანიის“ საქმესთან დაკავშირებით, გამოძიების და სასამართლოს მიმდინარეობისას ახსენეს. ყველაფერი აღინუსხა, ყველა „corpus delicti“, ან მასთან გათანაბრებული ნივთი. სიას გუშინნინ ღამით გადავხედე და ოთხი ნივთი გამოვყავი:

მის სანდრა კლოზევიჩის მარაო,
დისტელის საბურნუთე,
მადამ ლემპიცკას მენამულისფერი შარფი სეიფიდან,
გამჭვირვალე სიგარა, წარწერით „Partagas“, რომელსაც

„ნიშნების სახლის“ „ტადარში“ სტუმრობისას წამიერად შევავლე თვალი უჯრაში.

გადავიფიქრე, რომ თავდაპირველად დისტელის საბურნუთისთვის დამეთმო ყურადღება, რომელიც (ლემპიცკას ზეპირი განცხადების თანახმად) მაშინ გაქრა, ვილაცამ მომღერლის სახლის გატეხვა და იქ შეჭრა მოახერხა. თუმცა გ და შ დროებით დავივიწყოთ. გამოდის, დისტელი რალაცას ისუნთქავდა. ბურნუთს? თუ რალაც უფრო ძლიერს? კოკაინს?

მაშინვე დავნიშნე შეხვედრა „ფელიქსთან“, ჩვენს კაც-თან ოპერაში, რომელსაც ევალეობოდა, აღნიშნული სფეროს წარმომადგენლების მიერ მოხმარებული ნარკოტიკების რაოდენობა ეკონტროლებინა.

– დისტელის ოდესმე შენგან ნარკოტიკი უყიდი?

– კი.

– კოკაინი?

ფელიქსმა ჩაიხითხითა.

– არა, მხოლოდ მოსაწვევი. ჩანს, მედგრად იდგა. ნარკოტიკები არ იზიდავდა. უფრო რალაც „პოზა“ ეჭირა. ან უბრალოდ, შეიძლება ითქვას, რომ „ენეოდა“.

– ანუ უმტკივნეულო შემთხვევა იყო?

– ალაგ-ალაგ მცირედი ჩავარდნებით. თუმცა ჩვენთვის საინტერესო არაფერი.

– დარწმუნებული ხარ, რომ რომელიმე სხვა ნარკომოვაჭრესთან არ ჰქონდა კავშირი? ნამდვილ ნარკომოვაჭრესთან. შეიძლება, რალაც გამოგეპარა.

– არა მგონია. არ გამომრჩებოდა. მოიცა... საბურნუთეში რას ინახავდა? თუ რა ჰქონდა? ქისა? მეტალის ყუთი?

– მეტალის კვერცხი.

– ვერცხლის, ხომ?

- არა, ოქროსი.

- ყველაფერს მივხვდი! დაუჯერებელია!

- რატომ?

- კოკაინი რეაქციაში შედის ვერცხლთან და ფუჭდება, ამიტომაც ინახავენ ოქროს ჭურჭელში, რომელთანაც ქიმიურ კავშირს ვერ ამყარებს.

- გამოდის, შესაძლებელია, რომ გასულელებდა, „მოსანევეს“ გისაღებდა, უფრო მძიმე ნარკოტიკს კი, კონკრეტულად, კოკაინს, სხვა, ნამდვილი მოვაჭრისგან ყიდულობდა... ძვირფასო ფელიქს, მგონი, ვილაც გყავს დასაჭერი ოპერის სიახლოვეს. საბედნიეროდ, მე თავისუფალი ვარ. ჩემი ობიექტი მკვდარია.

76.

როგორც ამ ნიგნაკის რომელიღაც გვერდზე უკვე აღვნიშნე, „Plasquam City“ ბანკში წავედი და განსვენებული ლემპიცკას სეიფი შევამოწმე, სადაც მენამულისფერი შარფი ვიპოვე... რატომ უნდა დაიქირაოს ადამიანი ქალაქის საუკეთესო ბანკის საგანგებო სეიფი ერთი ჩვეულებრივი შარფის შესანახად? შარფი იქამდე იდება ბანკში, სანამ განსვენებულის და, მის სოფია ანდროსოვიჩი არ გამოისყიდის. თუკი საერთოდ, დააპირებს მის გამოსყიდვას. სეიფს მონმეების თანდასწრებით გააღებენ, ნივთს ოფიციალურად გააფორმებენ და მემკვიდრეებს გადასცემენ, თუკი იპოვიან და დაადგენენ, რომ შარფი მათ ეკუთვნით. როგორც ჩანს, შარფზე კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდე და როგორც „corpus delicti“, ჩემს ნუსხას მივუმატო.

77.

ჩემთვის ნათელია, რომ მხოლოდ ღმერთმა უწყის, ერლანგენს მართლაც ეკუთვნოდა სასჯელი თუ მხოლოდ თავს იცავდა და ზღვარი არ გადაულახავს. შესაძლოა, ლემპიცკა აპირებდა კიდევაც ერლანგენის მოკვლას და მიუხედავად იმისა, რომ ფუჭი გასროლა გამოუვიდა, ქალბატონი ჰეხტისკენ მიმართული ტყვიები დათვლილი ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში, როცა ერლანგენს ესროდა, მას ვერ ეცოდინებოდა, რომ „მაგნუმი“ ცარიელი იყო. ვერც ერლანგენს ექნებოდა ინფორმაცია.

ეს იმას ნიშნავს, რომ ბრალდებულის ვერსია, თითქოს მან და ლემპიცკამ ერთდროულად გაისროლეს, სიმართლეს შეესაბამება და ერლანგენი სასამართლოს არასწორი გადაწყვეტილების მსხვერპლი გახდა. თუმცა ამ შემთხვევაში, ყველაზე მცირე, ორ „თუ“-სთან გვაქვს საქმე.

78.

გადავწყვიტე, მის სანდრა კლოზევიჩისთვის დამერეკა. ყურმილს დავწვდი და დავინყე:

– მის სანდრა, ბოლოს რომ შეგხვდით, თითების შესახებ საიდუმლო ახსენეთ. ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ, რომ მარცხენა ხელზე შვიდთითა ხელთათმანი გეცვათ, ორივე ხელზე კი, მთლიანობაში თორმეტი თითი დაგიტვალეთ. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს საკმაოდ უჩვეულო რამაა. გამოგიტყდებით, დავინტრიგდი და ნება მიბოძეთ, ახსნა-განმარტება გთხოვოთ.

– გეტყვით, რაც ხდება. თუმცა ალექსი მიიჩნევს, რომ ამით ჩვენს თავს საფრთხეს ვუქმნი, მე ყოველთვის

ვფიქრობდი, რომ თითების საიდუმლოს ვინმესთვის გამ-
ხელას, შესაძლოა, დავეცავით კიდეც.

– შესაძლოა, ოღონდ სიკვდილის შემდეგ, – ჩაიხიბი-
თა ალექსმა და მივხვდი, რომ ჩვენს საუბარს ისიც უსმენდა.

– დამიჯერეთ, მის სანდრა, – ჩავერთე მე, – პოლი-
ცია ყველა ზომას მიმართავს თქვენს დასაცავად, თუკი
საფრთხე შეგექმნებათ. იქნებ ამიხსნათ, რა საფრთხეზე
ლაპარაკობთ?

– თქვენ ვერ მიმიხვდით. საფრთხე პირადად ჩვენ
არ გვეხება. ჩვენს პროფესიას ვგულისხმობ, ანუ
ზოგადად, ასტროლოგებს. ხელთათმანები, რომელიც წინა
სტუმრობისას ჩემს ხელებზე დაინახეთ, ასტროლოგიური
ხელთათმანებია. ერთი ყოველთვის შვიდთითაა, მეორე
კი ხუთთითა. შვიდი და ხუთი ჯამში თორმეტს გვაძლევს,
რაც იმას ნიშნავს, რომ წელიწადის თითოეული თვის-
ვის ცალკე თითი მაქვს. ასტროლოგიური ხელთათმანების
საშუალებით, ჩემი თითები კოსმოსს და ციურ სხეულებს
უკავშირდებიან. როგორც იქნა, მთავარ სათქმელთან მი-
ვედით. თუ ვინმე გადანყვეტს, რომელიმე ასტროლოგს,
ჩვენი ჩათვლით, ზიანი მიაყენოს, მოქმედება თითებიდან
უნდა დაიწყოს. თუ ვინმე თითს მოგვაჭრის, ჩვენ ისე
კი არ დავსახიჩრდებით, როგორც თქვენ დასახიჩრდე-
ბოდით ჩვენს ადგილას, არამედ ორმაგად. გარდა იმი-
სა, რომ ხელი დაგვიზიანდება, კოსმოსთან კონტაქტის
ძალასაც დავკარგავთ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ,
ზონა, რომელშიც კონკრეტულ თითთან დაკავშირებული
ზოდიაქოს ნიშანია, მთლიანად გამოგვეცლება ხელიდან,
იქ სიზმრების დაჭერას ვეღარ შევძლებთ... ასეთია ხელ-
თათმანების ამბავი. – თქვა მის სანდრამ და დაამატა:

– თუ ოდესმე ყურს მოჰკრავთ, რომ ვილაცას, დავუშ-
ვით, ნეკა თითი მოაჭრეს, ბატონო უფროსო ინსპექტორო,

არ დააყოვნოთ, მალე გაიაზრეთ, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს და დამნაშავის ძებნას სამმაგი სისწრაფით შეუდექით, რადგან იგი თითებზე არ გაჩერდება...

ყურმილი რომ დავკიდე, იგივე კითხვა არ მასვენებდა, რომელიც მანამდეც მიტრიალებდა თავში. ვის უნდა სდომებოდა კლოზევიჩისთვის ზიანის მიყენება და რატომ? ფაქტია, რომ ალექსმა და სანდრამ ეს ძალიან კარგად იცოდნენ, მაგრამ დუმილის შენარჩუნება მკაცრად ჰქონდათ გადაწყვეტილი.

79.

კომპიუტერმა კლოზევიჩისა და ლემპიცკას საქმესთან დაკავშირებული შესაძლო „სამხილების“ განახლებული ნუსხა შემომთავაზა. შევნიშნე, რომ კლოზევიჩის ნარბში ჩაკერებული ღილი მათ შორის არ იყო. თუმცა აღნიშნული ღილი გარკვევით მოვიხსენიე პირველსავე დღეს, როცა მე და ლემპიცკა „ნიშნების სახლს“ ვესტუმრეთ.

უკანა გზაზე, სანამ ერთმანეთს დავემშვიდობებოდით, მე და ლემპიცკამ რამდენიმე სიტყვა გავცვალეთ:

– თქვენც შენიშნეთ „ტაძარში“ მყოფი მამაკაცი, სანამ სანდრა კლოზევიჩს ველაპარაკებოდით? – ვკითხე მე.

– არ შემინიშნავს. მეგონა, მარტო ვიყავით.

– უცნაურია, ძალიან უცნაურია, მაღამ ლემპიცკა. ის თუ შეამჩნიეთ, რომ მის სანდრას „ტაძარში“ სარკე უდგას?

– დიახ.

– დავიჯერო, სარკეში უჩვეულო არაფერი დაგინახავთ?

– არაფერი, გარდა იმისა, რომ „ტაძარში“ ეკიდა, მაგრამ ეს „ტაძარიც“ ხომ არ არის ნამდვილი.

- იცით, სარკე ისე იდგა, რომ მასში მხოლოდ სანდრა კლოზევიჩი უნდა გამოჩენილიყო.

- მერე რა?

- მერე ის, რომ მის სანდრას ანარეკლის ნაცვლად სარკეში კაცი გამოჩნდა, გადახოტრილი თავითა და წარბში ჩაკერებული ღილით. თქვენც დაინახეთ?

- არ დამინახავს. არადა, სარკეს კარგა ხანს ვაკვირდებოდი, მის სანდრა ისე აშტერდებოდა საკუთარ ანარეკლს, ალბათ თმაში გაჩრილ სასაცილო მარაოს აფასებდა. უცნაურ რამეებს ხედავთ...

ახლალა მივხვდი, რომ ლემპიცკას სარკეში ის დაინახა, რის დანახვასაც ელოდა, მე კი ის, რაც მართლა ჩანდა - კაცი წარბში ჩაკერებული ღილით.

მადამ ლემპიცკა ცოცხალი რომ ყოფილიყო, ალბათ ახლა მაინც შეძლებდა, დაენახა სარკეში ის, ვისაც ალექს კლოზევიჩი ჰქვია და ვინც მის სიკვდილშია დამნაშავე, მიუხედავად იმისა, რომ ბრალს ვერაფრით ვუმტკიცებ.

80.

საქმის მოსმენაზე ერლანგენს ვკითხე:

- რა ურთიერთობა გქონდათ ლემპიცკასთან?

- მეტად გულითადი.

- უფრო კონკრეტულად?

- ვბურღავდი.

- და ქალბატონ ჰეხტთან?

- ჰეხტს ვხერხავდი.

- რა განსხვავებაა?

- მონიფული მამაკაცი ხართ, ბატონო უფროსო ინსპექტორო, განსხვავება უნდა გესმოდეთ. ლედი ჰეხტს ისე ვხმარობდი, როგორც კაცს, ლემპიცკას კი როგორც ქალს.

- ლემპიცკა რატომ მოკალით?
- თავს ვიცავდი. ერთდროულად გავისროლეთ.
- მას ტყვიები აღარ ჰქონდა, რატომ უნდა გაესროლა?

რევოლვერი ცარიელი იყო.

- მე ეს ვერ მეცოდინებოდა.
- რადგან ამბობთ... ბოლო შეკითხვა მაქვს. მადამ ჰეხტის მოკვლა ლემპიცკას თქვენ სთხოვეთ?

- რა თქმა უნდა, არა. ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა. ბატონმა უფროსმა ინსპექტორმა ისეთი კითხვები არ უნდა დასვას, რომელზეც დადებითი პასუხი, წინასწარ იცის, რომ არასწორი იქნება.

81.

განსვენებული მადამ ლემპიცკას მეგობარს შევხვდი. ვკითხე, რაზე ისაუბრეს, როცა ერთმანეთი ბოლოს ნახეს.

- ზუსტად არ მახსოვს. უცნაურად იქცეოდა.
- ?

- შაბათ-კვირას „ვიაგრასავით“ იყენებდა, ორშაბათს კი პენიცილინივით... ბოლოს რომ ვნახე, მახსოვს, ვკითხე, რატომ არის, რომ ზოგს ხანგრძლივი ორგაზმი აქვს, ზოგს კი ხანმოკლე.

„იმიტომ“, - მიპასუხა მან, - „რომ არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც ანმყო დაუსრულებლად გრძელდება და არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც ანმყო თვალის დახამხამებაა, რადგან ზოგიერთ სიკვდილს ბოლო არ უჩანს, ზოგიერთი კი გაელვებას ჰგავს“.

- ჭკვიანი კაცისთვის ორი სიტყვა საკმარისია, სამი კი ძალიან ცოტა, - გავიფიქრე უკან დაბრუნებისას.

ციხიდან ინფორმაცია გამოვითხოვე, მიუღია თუ არა ერლანგენს წერილი იქ ყოფნის განმავლობაში. რისი მოძიებაც შეძლეს, ყველაფერი გადმომცეს. მისმა სასიყვარულო ბარათებმა ჩემი დიდი ინტერესი გამოიწვია. მას მხოლოდ ერთი ქალი უგზავნიდა წერილებს, რომელსაც, როგორც ჩანს, მანამდე არასოდეს შეხვედრია. ქალი ხელს ასე აწერდა: „რ. ალფა“. ერლანგენით მას შემდეგ დაინტერესებულა, რაც გაზეთში მისი ფოტო ნახა და მომხდარის შესახებ წაიკითხა. ქალს სჯეროდა, რომ ერლანგენი სასჯელს უსამართლოდ იხდიდა და უნდოდა, მისთვის პატიმრობა წერილებით შეემსუბუქებინა. ბუნებრივია, ჩემთვის უცნობია, რას წერდა ერლანგენი ქალს, მაგრამ ქალის იმ წერილის ტექსტი, რომელიც კონვენტში მყარი საგნის აღმოჩენის გამო გახსნეს, სასიყვარულო ლექსი აღმოჩნდა. ჩანდა, ქალი მოუთმენლად ელოდა ერლანგენის ციხიდან გამოსვლას. სტრიქონებს აქვე გადმოვიტან:

რაც გვეკუთვნოდა, წაგვერთმევა. კარგად თუ ავად,
მარადისობა ასეთია – არ სცნობს თარიღებს,
გაგვალატაკებს, გაგვაშიშვლებს – მიხვდებით თავად,
რაც კი გვებოძა, დრო ყველაფერს უკან წაიღებს.

სიმართლეს ფარდა აეხდება – აღარსად გიშვებ
და საიდუმლოს ვხედავ მალე ჩემსავით შიშველს,
შენი პირბადე ისევ მკრთალი სინათლით ბრწყინავს.
გიფარავს ჩრდილი, მე კი ხელებს კვლავ შენკენ ვიშვერ,
ჩემს საიდუმლოს ჯერაც უღევს შენს სულში ბინა.

83.

საკმაოდ გვიან მივხვდი, რომ კლოზევიჩს არაჩვეულებრივად განვითარებული ყნოსვა ჰქონდა. ხალხი ამის შესახებ ლაპარაკობდა კიდევ. ერთხელ ლემპიციკამ, თითქოს კლოზევიჩის წინააღმდეგ გამოსადეგ „corpus delicti“-ზე მიმანიშნებდა, მითხრა: „მას შესწევს უნარი, ქიშის წიგნიდან „ადრეული მწუხარება“ წიწილის სიმყრალე, პაბლო პიკასოს ნახატიდან კი კამეჩის ნეხვის სუნი იგრძნოს“.

ლემპიციკას სიტყვები კარგად მახსოვს, მაგრამ ვერ ვიხსენებ, კიდევ ვის შესახებ წავიკითხე (ან დამესიზმრა) იგივე... ვინ შეიძლებოდა, ყოფილიყო? დილით კომპიუტერს ბრძანებას მივცემ, ლემპიციკას და დისტელის სიზმრები გადაქექოს და იპოვოს, ვის აქვს იქ სრულყოფილი ყნოსვა...

84.

სასიყვარულო წერილებიდან, რომელიც ციხეში მყოფ ერლანგენს უცნობი პიროვნებისგან მისდიოდა, თვალში კოდის მსგავსი ხელმოწერა მომხვდა: „რ. ალფა“. კომპიუტერულ ცნობარი ყველაფერი გადავჩხრიკე, რაც ასო „ალფას“ უკავშირდებოდა. შედეგად კი დავასკენი, რომ „რ. ალფა“ ასტროლოგიური აბრევიატურა უნდა ყოფილიყო, რომლის ვრცელი ვერსიაც ასე უღერდა: „რექტასენცია ალფა“, რაც კირჩხიბის ზოდიაქოსთან მოდიოდა შესაბამისობაში. გამოდის, ქალი, რომელიც ერლანგენს სასიყვარულო ბარათებს უგზავნიდა, „კირჩხიბის“ ნიშნის ქვეშ იყო დაბადებული. ამიტომაც წერილების უკანა მხარეს, სახელისა და მისამართის ნაცვლად, ის ხუთ ვარსკვლავს სახავდა, რომლებიც ორკაპის მსგავს, ზეციურ თანავარსკვლავედს – „კიბოს“ ქმნიდნენ.

საკუთარ თავს ვკითხე, კიდევ სად მენახა ასეთი ფიგურა? ვარსკვლავების ასეთი განლაგება? რა თქმა უნდა, მის სანდრა კლოზევიჩის მარაოზე...

85.

ანდროგენ ალექს კლოზევიჩს, როცა ის მამაკაცის სახით ჩნდება, თავი გადახოტრილი აქვს. კიდევ ვის აქვს გადახოტრილი თავი „ლემპიცკა და კომპანიის“ საქმეში? და რას ნიშნავს ეს?

ჩემს კითხვაზე პასუხის გაცემა რთული სულაც არ არის. დისტელის სიზმარში პუშკინის შესახებ თავი თვითმარქვია გრიშკა ოტრეპიევმა გადაიპარსა პუშკინის მიერ აფრიკული ნემსებით გაკეთებული ჯადოს ასარიდებლად. მიუხედავად იმისა, რომ სიზმრის ჩანაწერი ჩვენს ხელთაა, დისტელის სიზმარი პუშკინის შესახებ ბოლომდე არ გვიმხელს, გრიშკა ოტრეპიევი ეშმაკეულია თუ არა.

ასეა თუ ისე, ერთადერთი სარწმუნო ვერსია გვაქვს: კლოზევიჩმა თმა ჯადოსგან, წყევლისგან, ავი თვალისგან ან რაიმე სხვა სახის მისნობისგან თავდაცვის მიზნით გადაიხოტრა. ვისგან ელოდა საფრთხეს და რატომ?

86.

ჯერ კიდევ ერლანგენის ვილაზე მყოფმა გამომძიებლის თანაშემწემ, რომელმაც ეჭვმიტანილი შემთხვევის ადგილზე დააკავა, სატელეფონო საუბარში მოგვახსენა, რომ ორივე ქალი ერლანგენმა მოკლა, ქალბატონი ჰეხტიც და მარკიზინ ლემპიცკაც.

მისი აზრით, მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: ერლანგენი შინ ორი „მაგნუმითა“ და ხელთათმანებით დაბრუნდა. ჯერ ქალბატონი ჰეხტი მოკლა ერთი რევოლვერით, შემდეგ ლემპიცკა – მეორით, ბოლოს კი პირველი იარაღი მეორე მსხვერპლს ჩაუდო ხელში. პირველ „მაგნუმზე“ სწორედ მარკიზინის თითის ანაბეჭდები აღმოჩნდა. ერლანგენმა კი განაცხადა, რომ მხოლოდ თავდაცვის მიზნით ისროლა.

გამომძიებლის თანაშემწის ვერსია საინტერესოდ უღერდა, მაგრამ მაშინვე გაცამტვერდა, როგორც კი ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგები დაიდო და საქმის სხვა დეტალები გამოიკვეთა.

87.

სასამართლოს ხელთ არსებული დოკუმენტები, რომელიც „ლემპიცკას, კლოზევიჩს და კომპანიას“ უკავშირდებოდა, კლოზევიჩის დაბადების თარიღის შესახებაც შეიცავდა ინფორმაციას. ის აპრილის თვეში დაბადებულა და ზოდიაქოთი „ვერძია“. თუ „ვერძის“ მიმართ ყველაზე შეუწყნარებელ ნიშანს მოვძებნით, ხელში აუცილებლად „კიბო“ შეგვრჩება, დიახ, სწორედ „კიბო“, რომელიც სანდრა კლოზევიჩის მარაოზე ბრწყინავს.

ნუთუ შესაძლებელია, რომ ანდროგენებს ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშანი ჰქონდეთ იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოგვიდგებიან – ქალად თუ კაცად, მზედ თუ მთვარედ?

88.

დისტელის სიზმრის რიკოშეტი ისევ ჩემს გონებას იპყრობს. შეიძლება ითქვას, რომ სიზმარში კვანძს სწორედ ის კრავს. რა არის სიზმრის მთავარი შეტყობინება? ვინ არის სამიზნე დისტელი-ლემპიციკას საქმეში? ვისთვისაა განკუთვნილი ტყვია, რომელიც, პრიალა საგანზე ასხლეტილი, მკერდს სცდება და უკან ბრუნდება, მას კი, ვისი გულიც უნდა განეგმირა, სალსალამათს ტოვებს? რიკოშეტი! ჩემს გამოძიებას ვილაც დააკლდა, ვილაც, ვინც აუცილებლად უნდა ყოფილიყო. ვინ? ნუთუ ის, ვინც დისტელის ოქროს საბურნუთეს დაეპატრონა?

89.

განსვენებული ლემპიციკას დას, მის სოფია ანდრო-სოვიჩს გუშინ კიდევ ერთხელ შევხვდი. მაგიდას რომ მივუსხედით, მან თავისი მშვენიერი, ჭრელი თვალები შემომანათა და მითხრა:

– შეგიმჩნევიათ, რომ თქვენი დაბადების დღე ერთი და იგივე თარიღი არ არის მაშინ, როცა გლვიძავთ და მაშინ, როცა გძინავთ? თქვენი ძილისეული დაბადების დღე ათასწლეულებით ძველია. სიზმარში ჩვენი უკვდავება დაბადებამდე იწყება და დაუსრულებლად გრძელდება დროში, რომელიც ჩვენს შემდეგ მოდის. შესაძლოა, სწორედ ეს იყოს ერთადერთი უკვდავება. ძილში არა მხოლოდ საუკუნეები გვემატება, არამედ უკვდავები ვხდებით. არ ვიცი, ცოცხლობს თუ არა დრო მომავალში, მაგრამ შემიძლია, დანამდვილებით გითხრათ, რომ წარსულში ის აღარ არსებობს. იქნებ ის, რასაც მომავალს ვეძახით, მხოლოდ დროის სწეულებაა და სხვა არაფერი,

მარადისობა ნარსულში რჩება, მის ფსკერზე კი ჩვენ თვითონ განვისვენებთ...

– და კლოზევიჩის შემთხვევას როგორ ახსნით? ალექსის და სანდრას დაბადების თარიღები არა მარტო ძილში, არამედ სიფხიზლეშიც განსხვავდება. კაცი „ვერძია“, ქალი კი „კიბო“. შეიძლება, ანდროგენს დაბადების ორი თარიღი ჰქონდეს? ერთი მამაკაცური, მეორე კი ქალური ნაწილისთვის?

– მირჩვენია, კლოზევიჩზე არ ვილაპარაკო. ერთს გეტყვით: მათი დაბადების თარიღები ისე არ იანგარიშება, როგორც ჩვენი. სულ ესაა.

90.

სულების გამოძახების სურვილმა ისევ შემიპყრო. მომცეს თუ არა სადღაც ათდღიანი შვებულება, გეზი მაშინვე კაიროსკენ ავიღე. გადანყვეტილი მქონდა, ქალაქის კოპტურ ნაწილში მკითხავი ზოიდა მომეძებნა, ვისი ნახვაც ჯერ კიდევ პარიზში მირჩიეს. ის კოპტური ეკლესიის ეზოში, ფანჩატურის ჩრდილქვეშ ვიპოვე, ვილაც ქალს ეგვიპტურად უხატავდა თვალებს.

– გინდათ, მიცვალებულის სული გამოვიძახო? – მკითხა მან, როგორც კი მარტო დავრჩით.

– დიახ.

– გარდაცვლილის სახელი მითხარით.

– მარკიზინ ანდროსოვიჩ ლემპიციკა.

– ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ იყო დაბადებული?

– მერწყულის.

– პირადად იცნობდით?

– დიახ.

– რა გინდათ, ჰკითხოთ?

- ვინ არის დამნაშავე მის სიკვდილში.

- რაიმე ნივთი თუ გაქვთ, რაც მას ეკუთვნოდა? ან ნიგნი, რომელსაც კითხულობდა?

მათ, ვინც კაიროელ მკითხავთან მისვლა მიეჩიეს, წინასწარ გამაფრთხილეს, რომ ზოიდა ლემპიცკას ნივთს მომთხოვდა. მარკიზინის მამის წერილი, რომელიც მან ქალიშვილს გაუგზავნა, ჯიბიდან ამოვიღე და მკითხავს გადავეცი. ზოიდამ ხელი ქაღალდს დაადო, თვალები დახუჭა და მითხრა:

- რათა ის გამოიძახოთ, ჯერ თავად უნდა „განიწმინდოთ“ და გაეხსნათ მას, მხოლოდ მისგან ნუ დაელოდებით გულახდილობას.

- ეგ როგორ?

- თუკი ძილში სხვის სიზმარს ნახავთ, დილით „განწმინდილი“ გაიღვიძებთ.

- როგორ უნდა მივხვდე, ვნახე თუ არა სხვისი სიზმარი?

- ეს არც ისე იშვიათია. ყველას ემართება. უბრალოდ, ადამიანები ყურადღებას არ აქცევენ და მალე ივიწყებენ სიზმრებს. სხვისი სიზმარი გინახავთ თუ არა, ამის მიხვედრა ადვილია - სანამ თქვენ გაიღვიძებთ, სიზმარში ვიღაც სხვა ახელს თვალს. ისინი კი, სხვის სიზმრებში რომ უბრუნდებიან ცხადს, სწორედ ისეთ სიზმრებს ირჩევენ, რომელიც არ ყარს და შესაბამისად, ბინძურიც არაა. თუ აგირჩიეს, ე. ი. იმ დღეს თქვენი სიზმარი „წმინდაა“ და ლემპიცკა შეძლებს, შეგიცნოთ და მოგეახლოთ. რომ გამოფხიზლდებით, შეეცადეთ, დეტალურად გაიხსენოთ, როგორ გამოიყურებოდა ის. პასუხი თქვენს კითხვას მხოლოდ ამის შემდეგ გაეცემა.

- რა ფორმით მივიღებ პასუხს?

- საკუთარი ხელით გამოსახავთ. პირველ ყოვლისა, თქვენი „მამოძრავებელი ძალები“ უნდა ჩამოწეროთ, მაგალითად: სიყვარული, სევდა, სიცივე და ასე შემდეგ. თითოეული მათგანი ანბანის ასოთი მონიშნეთ, იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენს ის თქვენთვის. შემდეგ ყველაფერი მარტივია. ყოველდღე უნდა აღნიშნოთ, იმ დღეს ყველას რომელმა ენერგიამ დაასწრო თქვენამდე მოსვლა, დილით შეგცივდათ, კბილი გეტკინათ, გშიოდათ, გწყუროდათ, გახურებდათ... რადგან თითოეული ენერგია უკვე გექნებათ აღნიშნული ანბანის ასოთი, არ გაგიჭირდებათ, ამოიკითხოთ, რა აქვს სათქმელი მადამ ლემპიცკას...

მოგვიანებით გიზაში წავედი პირამიდების სანახავად. მყარად მქონდა გადანყვეტილი, რომ სულების გამოძახებაზე ფიქრიც კი აღარ გამევილო თავში. განშორებისას ზოიდამ ჩემი ხელი თითებს შორის მოიქცია და თვალი თვალში გამიყარა:

- ფრთხილად იყავით! თუ მის გამოხმობას მოახერხებთ, ეს თქვენთვის კარგად არ დამთავრდება.

91.

გასულ კვირას იურისტმა დამირეკა, რომელიც სასამართლო პროცესზე ლემპიცკას დას, მის სოფია ანდროსოვიჩს წარმოადგენდა. აღმოჩნდა, რომ ლემპიცკაკლოზევიჩის საქმის შესახებ რაღაც ჰქონდა სათქმელი.

- ბატონო უფროსო ინსპექტორო, მოგეხსენებათ, რომ სანამ მადამ ლემპიცკა ცოცხალი იყო, მისი წარმომადგენელიც ვიყავი. რაღაც ეტაპზე მას უნდოდა, კლოზევიჩისთვის ეჩივლა ძალადობრივი გზით სექსუალური ურთიერთობის დამყარებისა და თაღლითობის გამო.

თავისი განზრახვის შესახებ მაღამ ლემპიციკამ გამგზავრებამდე მაცნობა.

- სად გაემგზავრა? კაიროში?

- დიახ, თავის იმდროინდელ საყვარელთან, ერლანგენტან ერთად.

- რატომ არ იჩივლეთ?

- მოგზაურობიდან რომ დაბრუნდა, აღმოჩნდა, რომ აღარ სურდა, სასამართლოსთვის მიგვემართა. მითხრა, რომ ყველაფერი გამოიგონა.

92.

კარგა ხნის შემდეგ გამახსენდა, მის სოფია ანდროსოვიჩისთვის (გარდაცვლილი ლემპიციკას დისთვის) მეკითხა, ჰქონდა თუ არა რაიმე, რაც მანამდე მის დას ეკუთვნოდა. მან მითხრა, რომ მოუშუშებელ იარას შეეგებ და დასძინა, რომ დები ისე გაიზარდნენ, არც კი იცოდნენ, ჰქონდათ, ვინ იყო მათი მამა, რომლის ნახვასაც დედა გოგონებს მუდამ თავიდან არიდებდა. მხოლოდ მამის სიკვდილის შემდეგ გაიგეს შვილებმა, რომ გარდაცვლილმა მათი სახელები იცოდა, რომ წერილებსაც სწერდა შვილებს, მაგრამ რადგან წარმოდგენა არ ჰქონდა, სად გაემგზავნა ბარათები, თითოეულ მათგანს სათუთად ინახავდა თავის არქივში, რომელიც მემკვიდრეობით სოფია ანდროსოვიჩს ერგო. სწორედ სოფიამ გადმომცა წერილი, რომელიც ოდესღაც მამამ მარკიზინს მისწერა:

„ჩემო უცნობო ქალიშვილო,

ჩემო ძვირფასო მარკიზინ,

ერთ ღამით, საფრანგეთში, დედაშენმა მაჩვენა, რა საოცრად ცეკვავს ტანგოს, მაგრამ იქვე დასძინა, რომ არ აღელვებდა სიტყვები, რომელიც მუსიკას ახლდა თან.

მან თქვა, რომ დასაბამიდან მოყოლებული, სასიყვარულო პოეზია არ ეძღვნება ქალებს (თუ საფოს და რამდენიმე სხვა ქალი ავტორის ლექსებს არ ჩავთვლით) და სატრფიალო სტრიქონები სხვა არაფერია, თუ არა წმინდა წყლის მეტოქეობა მამაკაცებს შორის და ყოყლოჩინობა, რომელიც ფარშევანგის კუდებით თავის მოწონებას და სიუხვის რქების დატოლებას გულისხმობს. როგორც თავად მითხრა, პოეზია მას არ ეკუთვნოდა, ამიტომაც არ აინტერესებდა. „ესეც რომ არა“, – დაასკვნა მან, – „მე მუსიკა მაცეკვებს და არა სიტყვები“.

რალაც ვიპოვე, რალაც, რასაც შეიძლება, „პოეზიის კითხვის გაკვეთილები“ ვუნოდოთ. გწერ ამ ლექსს, რომ ზოგჯერ მაინც გაგახსენდეს დედაშენისა და მამაშენის სევდიანი საუბარი, რომ შენც ისწავლო, როგორ იკითხება პოეზია. ლექსს მხოლოდ ამიტომ გიგზავნი. მე არ დამინერია, უბრალოდ, საკუთარი ხელით გადავწერე შენთვის:

მოდის, გასწავლო, როგორ უნდა წაკითხვა ლექსის,
მომიახლოვდი, შემოცურე, მე ვიცი, გესმის.

ნიკაპი მალლა დაიჭირე, ნუ გეძინება,
გაშალე მხრები. არ ებრძოლო ტალღის დინებას.
თუმცა სიფრთხილე მაინც გმართებს მარადუამს
წყალთან,

რომ შენს სხეულში არ დაიშროს წვეთუხვი კალთა.

სიტყვები მუდამ ჩრდილებისკენ მიიჩქარიან
და სანამ მივლენ, ორთქლდებიან, აღარ არიან.

ანდა ამბობენ: „სადაც შენ გასურს, იქ გელოდები,
ოღონდ იჩქარე, ერთი წამით ნუ შეყოვნდები“.

ვიცი, რთულია, მაგრამ მაინც გაიგო უნდა,
რომ მისკენ სწრაფვა გვაახლოვებს მიზანთან მუდამ.
თმის ერთი ღერი წიგნში ჩარგე, არ არის ჭორი,

ხვალ დილით, როცა გადაფურცლავ, დაგხვდება ორი.
თითქოს შენს ბაღში შემოდგომის დადგა სისრულე,
გიხმობს ნაყოფი მოსაწყვეტად, თუ მოისურვებ.
დილით იკითხავ – სანამ შენთვის გეძინა ტკბილად,
ვინ და რამდენჯერ, უბოდიშოდ გაგანნა სილა.

93.

დიდი ხნის წინ შევნიშნე, რომ საავადმყოფოს დო-
კუმენტაციაში (თუ დისტელის გარდაცვალების ოფიცია-
ლურ ცნობას არ ჩავთვლით) ღრმად არ ჩამიხედავს და
არც გარდაცვლილი მომღერლის მკურნალობის პერიოდ-
ის დეტალები შემისწავლია. მიკვირს, რატომ არ დავ-
ლაპარაკებოვარ ექიმებს დისტელის მდგომარეობაზე, მის
ქცევაზე? მაგალითად, რატომ არ მიკითხავს, იმყოფებოდა
თუ არა დისტელი ფსიქიატრის მეთვალყურეობის ქვეშ?
მისმა პირადმა ექიმმა, ახალგაზრდა პროფესორმა
არნოლდ გეტცმა, რომელსაც გუშინ მივაკითხე, ჩემს
კითხვებს მოთმინებით უპასუხა. ის, როგორც ფსიქიატრი,
დისტელის თვალს ადევნებდა.

– რა თქმა უნდა, პაციენტმა მიაშობო პუშკინთან
დაკავშირებული სიზმრის შესახებ. – სასწრაფოდ დამი-
დასტურა ექიმმა, – შევამჩნიე, რომ სიზმარში დიდი
ყურადღება ეთმობოდა პუშკინის ოჯახის გენეალოგიურ
ხეს და პოეტის წინაპრებს. აფრიკული ნემსებიც კი,
რომელიც ადამიანების დასამორჩილებელი და შენი სურ-
ვილის მიხედვით მოქმედი ბერკეტია, პუშკინის დიდი
ბაბუის მემკვიდრეობას წარმოადგენს. დისტელის სიზმარი
დეტალურად რომ გავიგოთ, გავიხსენოთ ინდივიდუალური
არაცნობიერი (ფროიდი), კოლექტიური არაცნობიერი

(იუნგი) და ოჯახური არაცნობიერი (ჟომბი). ახსნა-განმარტება, თუ როგორ მიიღო მეცნიერებამ მესამე და ყველაზე ახალგაზრდა თეორია ოჯახური არაცნობიერის შესახებ, შორს წაგვიყვანს. როგორც ჩანს, დისტელი მიიჩნევდა, ან გრძნობდა, რომ ოჯახის რომელიღაც წევრისგან მიიღო განსაკუთრებული ძალა, ეიძულებინა სხვები (სიზმარში – „დემონები“), მისი დავალებები შეესრულებინათ. საინტერესოა, ეს მხოლოდ დისტელის სიზმრისეული ფანტაზიის ნაყოფი იყო თუ მართლაც შემონახულია მსგავსი ისტორიული ფაქტები პოეტის დიდი ბაბუის შესახებ?

სიზმარში პუშკინის წინაპრის შესახებ, დისტელის ქვეცნობიერმა გაიელვა, რამაც დაგვანახა, რომ დისტელის გენეტიკურად ერგო ძალადობისკენ მისწრაფება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისწრაფება, ეიძულებინა ახლობელი ადამიანები, თვალი გაესწორებინათ საკუთარი სურვილებისა და განზრახვებისთვის. თუ დისტელის სიზმარში მომხდარ ამბებს ფაქტობრივი საფუძველი ჰქონდა, რასაც, შეიძლება, ლიტერატურული და ისტორიული წყაროებიდან მიელწია მომღერლამდე, მაშინ სიზმარში სხვა მნიშვნელობას შეიძენდა და განსხვავებულ დასკვნებამდეც მიგვიყვანდა. თუმცა ამის გასარკვევად ისტორიკოსი დაგვჭირდება...

ამ სიტყვებით ექიმმა არნოლდ გეტცმა საუბარი დაასრულა, მე კი, დაეჭვებული, რომ უკვე ორმოს ვთხრიდი, საიდან ამოსვლაც გამიჭირდებოდა, სასწრაფოდ ავიბარგე.

94.

მადამ ლემპიცკას საქმის მოსმენისას მის დას, სოფია ანდროსოვიჩს, სასამართლოს აბუჩად აგდების გამო ჯარიმა დაეკისრა. ყველა კითხვას, რომელიც სასამართლოში დაუსვეს, მან ერთი და იგივე პასუხი გასცა:

– არ დაიჯერებთ, მაგრამ დილაობით, როცა ვდგები, ჩემი სულის თმას საგულდაგულოდ ვივარცხნი, ვინნი და ზურგზე ვიგდებ. აი, თქვენი სულები კი საშინლადაა ანენილი! თუმცა თქვენ ამას ვერ ამჩნევთ. ეჭვგარეშეა, თვალბზე ბინდი გაქვთ გადაკრული და არ გინდათ, დაინახოთ, თქვენს სულში რა ხდება. სულები დაივარცხნეთ, ბატონო მოსამართლეებო, ნაფიცო მსაჯულებო და თქვენც, ბატონო უფროსო ინსპექტორო შტროს!

95.

ამ დღეებში მივხვდი, რომ ოპერის ამბებში საკმარისად არ ჩავმძვრალვარ, დისტელის გარდაცვალების შესაძლო გარემოებების შესახებ რომ ინფორმაცია მომეძიებინა. გავარკვიე, ვის მისცეს როლი, რომელსაც განსვენებული დისტელი ასრულებდა ოპერაში და ცნობილ ბანთან, ისააკ ზაბოროვსკისთან ერთად, ფინჯანი ყავის მისართმევად წავედი.

როცა ვკითხე, რას ლაპარაკობდნენ კულისებში, ავადმყოფობა მომღერლის სიკვდილის ერთადერთ, ეჭვმიუტანელ მიზეზად მიაჩნდათ თუ სხვა ვერსიებსაც განიხილავდნენ, ზაბოროვსკი სიცილისგან აკვნესდა, თუმცა მე მომეჩვენა, რომ შუა სიცილში ის დაბერდა, საკუთარ ტუჩებში ჩაიმალა, დაიჭიმა და თვალბები ისე გადმოქაჩა, თითქოს შიგთავსით გამოტენილი მუავე კომბოსტოს ორი ფოთოლი გამომიწოდა.

– ჰმ, ჰმ, არ ვიცი, როგორ აგისხნათ... ამბობენ, რომ ბორის გოდუნოვმა თავი მოინამლა. მას ეშინოდა დანაშაულის მორევის, რომელიც თანდათან ითრევდა და სიძულვილის, უშურველად რომ დათესა გარშემო. ამიტომ სიცოცხლე თავადვე მოისწრაფა ერთი მნიკვის დახმარებით...

– რისი ერთი მნიკვი? – ვკითხე ინტერესით.

– მნიკვი სანამლავის, ადამიანო, სხვა რა უნდა ყოფილიყო?

– ეს საიდან იცით? ვინ ავრცელებს ასეთ ხმებს ოპერაში?

– როგორ თუ საიდან, ბატონო უფროსო ინსპექტორო? წიგნებს ვკითხულობ. როცა სპექტაკლისთვის ვემზადებით, ვცდილობთ, ბედისწერა ზედმინევენით შევისწავლოთ.

– რა ბედისწერა?

– პერსონაჟის ბედისწერა.

– კი მაგრამ, დისტელიზე ლაპარაკობთ თუ გოდუნოვზე?

– ბორის გოდუნოვმა რომ თავი მოინამლა, ეს ვენეციაში, ჯერ კიდევ 1772 წელს, ანონიმურად დაბეჭდილ წიგნში წერია... ჩვენს პროგრამაშიც იგივეა ნათქვამი. რადგან დისტელი ეჭვს იწვევს, ნება მიბოძეთ, ვთქვა, რომ ის გოდუნოვის პარტიას იქამდე ასრულებდა, სანამ... მოდი, ასე ჩამოვაყალიბოთ – საკუთარი თავი სცენიდან არ გაისტუმრა. თუ იმის საკითხავად მოხვედით, მოიშორა თუ არა დისტელი თავიდან რომელიმე კოლეგამ, ღმერთმა დაგვიფაროს, ამის საჭიროება არც არსებობდა. დისტელიმ თავად მოიღო ბოლო...

და ზაბოროვკსიმ ხელში პროგრამა შემომჩეჩა, სადაც ეწერა, რომ მუსორგსკის ოპერაში მთავარ როლს ახლა ის ასრულებდა.

ზუსტად ვიცი, რომ არაფრის გაგებაში არ ვარ. ეს ყოველთვის ვიცოდი. ყველაფერი, რასთანაც სპირიტუალისტებს აქვთ საქმე, ჩემთვის ამოუცნობი რჩება. არ მჯერა მათი სამყაროსი. თუმცა ალბათ საჭიროა, ვინმე იქაც იქეჭებოდეს. ალბათ პასუხი კითხვაზე, ვინ არის დამნაშავე ლემპიცკას სიკვდილში, მხოლოდ იქ მოიძებნება.

ზოიდას სიტყვები თავიდან ვერ ამოვიგდე და ლურჯ ნიგნაკში ჩემი „მამოძრავებელი ძალების“ ნუსხა ჩამოვწერე, მათ შორის: შიმშილი, ტკივილი, დარდი, სურნელება, სიმყრალე, სიხარული, სიცილი, ცრემლები, სიყვარული, წყურვილი და ასე შემდეგ. ყველაფერი, რაც გვქმნის, ყველაფერი, რაც, როგორც „სპირიტუალისტები“ ამბობენ, ჩვენი ცხოვრების არსს წარმოადგენს და ამქვეყნიურ მოგონებებს გვინახავს სიკვდილის შემდგომი სიცოცხლისათვის. შემდეგ თითოეული „ძალა“ ანბანის ასოებით აღვნიშნე იმ თანმიმდევრობით, რომელიც თავში მომივიდა. მხოლოდ ერთი პუნქტი მრჩებოდა შესასრულებელი კაიროელი მკითხავის რჩევიდან – სხვისი სიზმარი უნდა მენახა.

ერთ დღით მივხვდი, რომ ასეც მოხდა. ჩემს სიზმარში ვილაცამ გაიღვიძა, ვილაც კაცმა და მე, საწოლიდან წამომდგარმა, პირში უცნაური გემო ვიგრძენი და მივხვდი, რომ ჩემთვის უცნობი ადამიანის სიზმარი ვნახე, რომელიც მაშინვე გაქრა, როგორც კი პირველ სარკეში ჩავიხედე. საკუთარმა ანარეკლმა მამცნო, რომ „განვიწმინდე“ და ჩავთვალე, რომ შორს აღარ იყო წამი, როცა ლემპიცკა ჩემთან შესახვედრად მოვიდოდა. იმ დღით, ჩემს მოგონებებში, მე დავინახე ლემპიცკა, მთელი თავისი მშვენიერებითა და „Addict Dior“-ის სურნელით და საკუთარ თავს დავუდარაჯდი, ჩემი „მამოძრავებელი ძალებიდან“,

უპირველესად, რომელი იჩენდა თავს. ამაოდ. ვერაფერი ვიგრძენი. შიმშილიც კი. შუადღემდე დავიცადე და უცებ მივხვდი, რომ პასუხი მაშინვე მივიღე, როგორც კი კითხვა დავსვი – სუნი, მისი სუნი. მისი სუნამო „Addict Dior“. ჩემი ნუსხის მიხედვით, სუნს „ნ“ შეესაბამებოდა. ჩავინიშნე კიდევაც წიგნაკში. მარკიზინ ლემპიცკა ალაპარაკდა. მის პასუხს საკუთარი ხელით ვინერდი, იმ „ძალების“ დახმარებით, რომელიც ერთმანეთთან გვაკავშირებდა.

მომდევნო დღეებში „ო“ ჩავინიშნე. ბერდებოდა ლემპიცკა ჩემს მოგონებებში. თმა უკვე სანახევროდ გაჭალარავებოდა. შიშმა ამიტანა. მიუხედავად ამისა, საქმე წინ მიდიოდა. მალე შემდეგი ასოებიც გამოჩნდა: „ე“, „მ“ და „ბ“, შემდეგ კი მარკიზინი გაჩუმდა. ხელში სიტყვის ნახევარი შემრჩა. ჩემს წიგნაკში მხოლოდ „ნოემბ...“ ეწერა. ცოტა დრო რომ გავიდა, ჩემს მოგონებებში დაბინავებული ლემპიცკა გახდა, დათხელდა და ისე გალამაზდა, როგორიც არასოდეს ყოფილა. ჭალარამ ზღვის ტალღასავით დაიწყო უკუქცევა, სანამ მარკიზინი ბოლომდე არ გაახალგაზრდავდა. როცა სიტყვის ჩანერა დავასრულე, ჩემს მოგონებებში მან ისევ დაიბრუნა მშვენიერება, ხოლო მარწყვის ელფერი – მისმა ტუჩებმა, ტუჩებმა, რომელსაც მარკიზინი ყველაზე ხშირად მაშინ იღებავდა, როცა დისტელის მწვერის თვალელებში უყურებდა საკუთარ ანარეკლს.

ლურჯ წიგნაკში ჩანერილი ლემპიცკას სიტყვები საიდუმლოდ მატყობინებდნენ, თუ ვინ იყო დამნაშავე მის სიკვდილში. პასუხი გამაოგნებელი აღმოჩნდა. უფრო სწორად, მას ჩემს შეკითხვასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

„პირველი ნოემბერი“ – ასე გამოიყურებოდა ლემპიცკას პასუხი.

– სისულელეა! – ვუთხარი საკუთარ თავს, სანამ ლურჯ წიგნაკს გვერდზე გადავდებდი.

მას შემდეგ, რაც დისტელის ფსიქიატრმა ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ პაციენტის სიზმარში პუშკინის შესახებ „ოჯახური არაცნობიერის“ ელემენტები გამოიკვეთა და ძიების გაგრძელება ამ მიმართულებით მირჩია, გადავწყვიტე, დახმარება ისტორიკოსისთვის მეთხოვა. შეიძლება ითქვას, რომ დისტელის სიზმარი განუწყვეტლივ ტრიალებდა პუშკინის დიდი ბაბუისგან მემკვიდრეობით მიღებული ძალადობრივი მეთოდების („ვუდუს“ და ნემსებით ჯადოქრობის) ირგვლივ. ისტორიკოსს, რომელსაც რეკომენდაცია უნივერსიტეტმა გაუწია, სიზმრის შინაარსს კავშირი რეალურ ფაქტებთან ჰქონდა თუ ყველაფერი დისტელიმ გამოიგონა და სიზმარში გადაიტანა.

გადახედა თუ არა კლოზევიჩის ანგარიშს, კერძოდ კი სიზმრის ნაწილს, რომელიც პუშკინის წინაპარს ეხებოდა, ისტორიის პროფესორმა დაასკვნა, რომ ყველაფერი, ან მონათხრობის უდიდესი ნაწილი მაინც რეალურ ფაქტებს ეყრდნობოდა. როცა მივხვდი, რომ კიდევ ერთხელ აღმოვჩნდი კედლის პირისპირ, ზრდილობის გამო მომიხდა, მომესმინა პროფესორისგან შემდეგი ინფორმაცია, რომლებიც მან პუშკინის წარმომავლობის შესახებ მიაგმო:

ალექსანდრ სერგეევიჩ პუშკინის დიდი ბაბუა მართლაც აფრიკიდან იყო, ტომის ბელადის ოჯახიდან. ის უმცროსი გახლდათ ცხრამეტე ძმას შორის. უფროსი დაც ჰყავდა, სახელად ლეგანი. სწორედ მან მისცა რვა წლის ასაკში აფრიკული ნემსები და მათი გამოყენების ხელოვნებასაც აზიარა, ასწავლა, როგორ უნდა ჩაემალა ისინი ხშირ, ხვეულ თმაში და აუხსნა, როგორ ამოიცნობდნენ და მოემსახურებოდნენ ნემსები მას. ხმელთაშუა ზღვის ნაპირას გაზრდილებს, ცურვა უყვარდათ. მონებით მოვაჭრეებმა ბიჭი ერთ დღეს სწორედ ტალღებიდან მოიტაცეს.

ლეგანი დიდხანს მისდევდა ცურვით გემს, რომელსაც მისი ძმა უცნობი სამყაროსკენ მიჰყავდა, მაგრამ ამაოდ. გემმა ბიჭი კონსტანტინოპოლში დატოვა, სადაც ის მონათა ბაზარში იყიდა რუსმა მდიდარმა არისტოკრატმა და დიპლომატმა, გრაფმა სავა ვლადისლავიჩ რაგუზინსკიმ. სავარაუდოდ, მისი ყურადღება მიიქცია ნემსებმა, რომელიც გრაფმა სიმპათიური, შავი ბიჭის თმაში შენიშნა, რადგან თავადაც გატაცებული იყო ჯადოქრობით და ამისთვის ყველაზე ხშირად მონეტებს მიმართავდა. ასეთ გრძნეულებას ჰქონდა ძალა, ადამიანისკენ მიმართული წყევლა ფულზე გადაეხურდავებინა. ახალგაზრდა, შავი ბიჭის ახალი პატრონის, გრაფი რაგუზინსკის ძალაუფლება ორ ქვეყანაზე ვრცელდებოდა. გრაფის პორტრეტი თვით ვან დეიკმა შეასრულა, მის მეუღლეს კი, რომელიც ვენეციელი დოჟების ოჯახიდან იყო, მზითევში ვენეციაში მდებარე სასახლე მოჰყვა. მეორე სასახლე რაგუზინსკის სანკტ-პეტერბურგში ერგო, პეტრე პირველისგან, ვის სამსახურშიც ჩადგა და ვის ჯარშიც სრულიად ახალი სიტყვა თქვა პოლტავის ბრძოლის დროს – მან რუსული არმიის მეთაურთა საკვებითა და აღჭურვილობით დროულად მომარაგების განსხვავებული სისტემა შეიმუშავა.

მეფემ, რომელსაც პატარა, შავი ბიჭი გრაფმა რაგუზინსკიმ წარუდგინა, ის ვილნაში მონათლა და სახელად ავრამ პეტროვიჩ ჰანიბალი დაარქვა, მოგვიანებით კი სამხედრო სასწავლებლებში გაგზავნა, ჯერ რუსეთში, შემდეგ საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში. ბოლოს გამოჩენილი რუსული ოჯახის ქალიშვილზეც დააქორწინა. ჰანიბალი კვლავაც რჩებოდა რაგუზინსკის ერთგულ მეგობრად და როცა მეფემ გრაფი ჩინეთში თავის ემისრად წარგზავნა, ჰანიბალიც მასთან ერთად გაემგზავრა,

როგორც თანმხლები რაზმის წინამძღოლი. მან აფრიკული „ვუდუს“ ნემსები წაიღო თან და უკან დაბრუნებამდე, თავის კოლექციას ჩინური შეჰმატა. მოგზაურობა, რომლის მთავარ მიზანსაც ჩინეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის განსხვავებების დადგენა წარმოადგენდა, რაც უმტკივნეულო პროცესი არ იყო, მაგრამ ჰანიბალმა და რაგუზნისკიმ იცოდნენ, როგორ უნდა დაეცვათ თავი, არა მარტო იარაღით, არამედ სხვა გზებითაც.

98.

ხუთშაბათს განსვენებული ლემპიცკას დას, მის სოფია ანდროსოვიჩს შეეხვდი. ჩაი ფუნდუკ „წითელ მამალში“ დავლიეთ, სადაც სასიამოვნო გარემოა და მხოლოდ შავი დანა-ჩანგალი აქვთ. ჩაი „აქბარი“ და მწანე ფქვილით გამომცხვარი აფრიკული ორცხობილები მოგვართვეს.

– იცით, ჩაი რა არის? – მოულოდნელად მკითხა სოფიამ.

– ?

– ან საერთოდ, ცხელი სასმელების შესახებ თუ იცით რაიმე? თუ გესმით, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის მათ მიღებას? ისინი სისხლის შემცველები არიან.

– სისხლის?

– დიახ, ახლად დაკლული ნადირის თქრიალა სისხლის, რომლის სმაც ათასეულობით წლის წინ შევწყვიტეთ, თუმცა წყურვილი ჯერაც არ გაგვნელებია. ცხელი სასმელებისადმი მარადიულ ლტოლვას სწორედ ამიტომ განვიცდით, განსაკუთრებით რძის მიმართ და როცა არაფერი გაგვაჩნია, ცხელი სისხლის არანორმალური წყურვილი მთელ ჩვენს არსებას იპყრობს. ბევრ ადამიანს ეს ცხოველური სურვილი ჯერაც არ განელებია. მაგალითად,

დისტელისა და ლემპიცკას მსგავს მკვლევებს. მათთვის ჩაისა და სისხლს შორის არჩევანის გაკეთება რთული არ არის.

- არ მჯერა, - ვუპასუხე მე - მგონია, რომ ვიღაც სისხლისმსმელი დგას მათ უკან, რომელმაც აიძულა ისინი, მკვლევლობა ჩაედინათ. ამ ადამიანს აუცილებლად ვიპოვი და ნახავთ, რომ მართალი მე ვიყავი და არა თქვენ.

99.

„კლოზევიჩი მოკლულია!“ - გავიფიქრე გაღვიძებისთანავე. ვიღაცის სიზმარი დამესიზმრა. ეგვიპტეში ამბობენ, რომ სხვისი სიზმრების ნახვა ხშირად შეგვიძლია, თუმცა მათი დამახსოვრება გვიჭირს, ამიტომ ისინი მაშინვე ქრებიან, როგორც კი ცხადს ვუბრუნდებით. როგორც ვიცი, მის სოფია ანდროსოვიჩს პერიოდულად დის სიზმრები ესიზმრებოდა საკუთარის ნაცვლად.

მიუხედავად გავრცელებული აზრისა, როგორც ჩანს, სხვისი სიზმრის ფრაგმენტების დამახსოვრება მაინც მოვახერხე. კიბე დამესიზმრა, ქანდაკებით, რომელიც თხების სუნად ყარდა. იქვე იყო ორი დაქანცული სარკე და ვიღაც, ვინც ცდილობდა, გაეცინა, მაგრამ მხოლოდ ცემინება გამოსდიოდა. სახეს ვერ ვხედავდი, თუმცა როგორღაც მოვახერხე, გამერჩია მარმარილოს ვარსკვლავების მოაჯირზე დანყობილი ხელები - ფრჩხილები არც ერთ თითზე არ ჰქონდა.

- კლოზევიჩი მოკლულია! - მითხრა უცნობმა, უფრჩხილებო მამაკაცმა სიბნელიდან და სიცილის ნაცვლად, კიდევ ერთხელ დააცემინა.

გავიკითხე და სხვისი სიზმარი ცრუ განგაში ყოფილა. კლოზევიჩი ცოცხალი აღმოჩნდა. საინტერესოა, ვინ არის კაცი, რომელმაც ის არ მოკლა?

100.

დღეს 2003 წლის პირველი ნოემბერია. ამ საღამოს „უ“-სთან ერთად ვახშობა მაქვს დაგეგმილი. მან დისტელი-კრუსი-ლემპიცკა-ჰეხტის საქმის შესახებ გაცილებით მეტი იცის, ვიდრე მე. დარწმუნებული ვარ, რომ ჩადენილი მკვლევარების უკან სწორედ ის დგას და არა კლოზევიჩი. მის სახელს არ ვახსენებ, ამ ნიგნაკშიც კი არ აღვნიშნავ. სახლი საძირკვლიდან იგება, გამოძიება – სახურავიდან. ამჯერად საკმარისი მტკიცებულება მაქვს მის დასაპატიმრებლად. თუ კარგად გავწურავ და ასევე, თუ ცოცხალი გადავურჩები, სახელს ჩემს დღიურში კი არა, სასამართლოს დოკუმენტებშიც ჩავწერ.

თუ ვახშმიდან ვერ დავბრუნდი და ეს ჩანაწერი ბოლო აღმოჩნდება „ლურჯ ნიგნაკში“, სასამართლოს ეცოდინება, ვის დასდოს ბრალი ჩემი მკვლელობის გამო. მისი სახელი „Plasquam City“-ში, მაღამ ლემპიცკას სეიფში ინახება. მარკიზინის მკვლელობის დღიდან მოყოლებული, სეიფის გაღება მხოლოდ პოლიციას შეუძლია...

P. S.

მას, ვინც სამოცდამეერთე წელიწადში შეაბიჯა, მას, ვისაც ღვთისგან სამოცი წელი ადევს ვალად, უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი.

სარჩევი

როგორ წავიკითხოთ ეს წიგნი.....3

ნაწილი პირველი

ორმოცდაათდოლარიანი ღიშილი.....5

1. KENZO7

2. OLD SPICE..... 12

3. POISON 15

ნაწილი მეორე

ოქროს საბურთუთა კოჰანით..... 19

1. HUGO BOSS21

2. ADDICT DIOR24

3. MAGNUM31

ნაწილი მესამე

მუხვიღე ტყვია..... 39

1. MUST DE CARTIER POUR HOMME41

2. ANTRACITE47

3. ENVERGURE POUR HOMME.....56

4. ADDICT DIOR + DOLCE & GABBANA..... 61

5. ADDICT DIOR + DOLCE & GABBANA + POISON 69

ნანილი მეოთხე
განაჩენი.....75

დანართი
ანგარიში სიზმრების შესახებ.....80

სიზმარი პუშკინის სიკვდილის შესახებ83
ჩანაწერი I

სიზმარი ნაბიჯების შესახებ..... 108
ჩანაწერი II

ლურჯი წიგნაკი
„უნიკალური ეგზემპლარის“ 100 დასასრული
ეპილოგი, ანუ ლურჯი წიგნაკი..... 139

wignis el versia moamzada: DiaDma
DaTuCHam.

diadi datuchas momzadebuli el. wignebis sanaxavad
ewviet jgups:

